1962/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები

ტ. XIX

ეკონომიურ-გეოგრაფიული სერია
აჭარის სსრ

ТРУДЫ

ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ ИМ. ВАХУШТИ

Т. XIX

ЭКОНОМИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ СЕРИЯ
АДЖАРСКАЯ АССР

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
თბილისი — 1962 — ТБИЛИСИ

570/
1962/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის

შრომები
ტ. XIX

ეკონომიურ-გეოგრაფიული სერია
აჭარის ასსრ

ТРУДЫ

ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ ИМ. ВАХУШТИ
т. XIX

ЭКОНОМИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ СЕРИЯ
АДЖАРСКАЯ АССР

8971/
1968

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი—1962—Тбилиси

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

ალ. ჯავახიშვილი (მთავარი რედაქტორი), ალ. ასლანიკაშვილი, გ. გველესიანი, ლ. ვლადიმიროვი, მ. კორძახია, ლ. მარუაშვილი, შ. ყიფიანი, დ. წერეთელი, ვ. ჯაოშვილი (მდივანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია. — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XIX, 1962
Академия наук Груз. ССР—Труды Института географии им. Вахушти, т. XIX, 1962

გ. გველესიანი, ვ. ნეიძე

აჭარის ასსრ ზოგადი ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება

მეურნეობრივი განვითარების ბუნებრივი და ეკონომიური პირობები

საქართველოს განუყოფელი ნაწილი — აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — განსაკუთრებული ხასიათის მქონე ტერიტორიულ-საწარმოო ერთეულს წარმოადგენს. აჭარის, როგორც საქართველოს შემადგენლობაში შემავალი პოლიტიკური და ეკონომიური ერთეულის თავისებურება არა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ იგი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობიაა დასახლებული, არამედ იმაშიც, რომ თანამედროვე სოციალისტური წყობის პირობებში აქ ჩამოყალიბდა სრულიად თავისებური მეურნეობრივი სტრუქტურა, რომელიც თითქმის უნიკალურია მთელ საბჭოთა კავშირში.

აჭარის მეურნეობრივი კომპლექსის შექმნაზე ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიურ მიზეზებთან ერთად, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, გარკვეული გავლენა იქონია ბუნებრივ-გეოგრაფიულმა გარემომაც. ბუნებრივ კომპონენტთა სპეციფიკურმა ხასიათმა, რაც მკვეთრად გამოჰყოფს აჭარას მთელ საქართველოში, საფუძველი შეუქმნა რიგ დარგთა განვითარებას და უზრუნველჰყო ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებაღმავლობა.

როგორც საქართველოში შემავალი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აჭარა ჩამოყალიბდა საქართველოს რეგიმის დეკრეტით 1921 წ. 16 ივნისს. ამჟამად მის შემადგენლობაში შედის 5 ადმინისტრაციული რაიონი — ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხულოსა და შუახევის, რომელთა საერთო ტერიტორია 2.9 ათას კვ. კმ უდრის.

თავისებურია აჭარის გეოგრაფიული და სატრანსპორტო მდებარეობა, რომლის გავლენა მეურნეობის განვითარება-განლაგებაზე როგორც წარსულში, ისე ამჟამადაც მნიშვნელოვანია. დასავლეთით აჭარას შავი ზღვა ეკვრის, აღმოსავლეთით იგი შემოზღუდულია არსიანის ქედით, რომელიც მას ახალციხის რაიონიდან გამოჰყოფს, სამხრეთით თურქეთს ებჯინება (სსრკ-ს სახელმწიფოებრივი საზღვრის გასწვრივ), ჩრდილოეთით კი — მახარაძისა და ჩოხატაურის ადმინისტრაციულ რაიონებს ესაზღვრება.

აჭარის პოლიტიკური და მეურნეობრივი განვითარების მსვლელობაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა მისმა ზღვისპირა მდებარეობამ. შავი ზღვის მეზობლობა და საზღვაო კომუნიკაციების გამოყენების შესაძლებლობა, (რომელნიც საქართველოს აკავშირებენ მსოფლიოს მრავალ საზღვაო ქვეყანას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თან) წარსულშივე აჭარის ეკონომიური განვითარების მძლავრ ფაქტორს წარმოადგენდა (განსაკუთრებით საქართველოს კაპიტალიზმის დამყარების შემდეგ). აჭარა იქ არსებული პირველხარისხოვანი პორტით — ბათუმით უკვე XIX საუკუნეში მთელი ამიერკავკასიის საზღვაო ჭიშკრის როლს თამაშობდა და სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული აქ მრეწველობის გარკვეული დარგების გადაადგილება. ამ მდგომარეობის ხელსაყრელობა კიდევ უფრო მკვეთრად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოვლინდა, როდესაც შეიქმნა საბჭოთა კავშირის რაიონთაშორისი და აგრეთვე სახელმწიფოთაშორისი ფართო ეკონომიური კავშირურთიერთობა.

თანამედროვე აჭარას ეკონომიურ-გეოგრაფიული მდგომარეობის თვალსაზრისით კარგი პირობები გააჩნია, თუმცა სამხრეთით და აღმოსავლეთით სატრანსპორტო ეკონომიური კავშირის დამყარების ძალიან შეზღუდული შესაძლებლობა აქვს. სამაგიეროდ მდგომარეობის ეს უარყოფითი მხარე საესებით კომპენსირებულია დანარჩენი უპირატესობით, რასაც ზღვის მეზობლობა და სარკინიგზო ხაზით საქართველოს, ამიერკავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის რაიონებთან კავშირი უქმნის.

აჭარის გეოგრაფიული მდგომარეობა უძველეს დროიდან დიდ როლს თამაშობდა მისი ისტორიული ბედის წარმოქმნაში. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხე — აჭარა ყოველთვის წარმოადგენდა იმ სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობის მხარეს, რომლის მიმართ ინტერესს იჩენდნენ სხვადასხვა მეზობელი სახელმწიფოები. ეს გარემოება კი, ცხადია, მოქმედებდა ამ ისტორიული ოლქის პოლიტიკური, მეურნეობრივი და კულტურული ცხოვრების მსვლელობაზე.

ხელსაყრელი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა (სუბტროპიკულ ზონაში) საუკუნეების მანძილზე ხელს უწყობდა აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარებას; მაგრამ XVI—XVII საუკუნეებში თურქების შემოსევებმა შეარყიეს ამ კუთხის და მის მეზობლად მდებარე საქართველოს სხვა რაიონების ეკონომიკა.

პოლიტიკური ძალადობის და ეკონომიური ზემოქმედების გზით თურქეთი ყოველმხრივ ცდილობდა ადორიგენული ქრისტიანი ქართველების გამაჰმადიანება-ასიმილაციას. აჭარის საქართველოდან მოწყვეტამ და თურქეთის სახელმწიფოებრიობის სფეროში მოხვედრამ გამოიწვია მისი მეურნეობის დეგრადაცია (ვაზის მოსპობა, მეცხოველეობის დაცემა, ალებ-მიცემობის შეზღუდვა), მოსახლეობის შემცირება. თურქეთის მაშინდელი „ეკონომიური პოლიტიკის" ერთ-ერთი მჭრმეტყველური მაგალითია ვაჭრობის ისეთი ბარბაროსული სახის განვითარება, როგორიცაა ტყვე-მონებით ვაჭრობა, რამაც აჭარაში ფართო ხასიათი მიიღო.

აჭარის განვითარების ახალი ეტაპი მისი რუსეთთან შეერთების შემდეგ იწყება. ითვალისწინებდა რა ბათუმის პორტის უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც საუკეთესოა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მეფის რუსეთი XIX საუკუნის დამდეგიდან (1828 წ.) ცდილობდა აჭარის შემოერთებას იმპერიის შემადგენლობაში. ამის შესახებ მარქსი წერდა: „რადგან ბათუმის ყურე ერთადერთი საიმედო თავშესაფარია გემებისათვის შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, ამიტომ მისი დაკავება რუსეთის მიერ თურქეთს მოუსპობდა სამხედროსაზღვაო ბაზას და გადააქცევდა მას მხოლოდ რუსულ ზღვად"[1]. მხო-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Собр. соч., IX т., 1957, стр. 117.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ რუსეთ-თურქეთის ომის (1877—1878 წწ.) შედეგად შემოიერთა რუსეთმა აჭარა ბათუმის ოლქის სახელწოდებით.

აჭარის და კერძოდ, ბათუმის ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობის ხელსაყრელი პირობები კარგად გამომჟღავნდა XIX საუკ. მეორე ნახევარში, როცა ბაქოს ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გასაღების საკითხი წარმატებით გადაიჭრა ბათუმის ნავსადგურის საშუალებით. 1883 წელს ბაქო-ბათუმის ერთიანი რკინიგზის შექმნამ, ხოლო შემდეგში ბაქო-ბათუმის ნავთსადენის გაყვანამ დიდად გაზარდა ბათუმის მნიშვნელობა, როგორც საექსპორტო მაგისტრალზე მდებარე ქალაქისა, და დიდი როლი შეასრულა თვით აჭარის ეკონომიური სახის ჩამოყალიბებაში.

ბაქოსა და ბათუმს შორის მჭიდრო ეკონომიური კავშირის დამყარებამ ეს უკანასკნელი გადააქცია კავკასიის მესამე სამრეწველო და პროლეტარულ ცენტრად (ბაქოსა და თბილისის შემდეგ), ხოლო თვით ნავსადგურს საერთაშორისო მნიშვნელობა შესძინა. ბათუმში მრეწველობის დინერგვამ გააპირობა აქ რევოლუციურად განწყობილი მუშათა კლასის შექმნა, რომელიც მედგარ ბრძოლას აწარმოებდა იმდროინდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიური წყობის წინააღმდეგ.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ რევოლუციამდელი აჭარის ერთგვარი ეკონომიური წინსვლა მიმდინარეობდა გარკვეული სამრეწველო დარგების მხოლოდ ბათუმში გაჩენის ანგარიშზე, რაც ორგანულად არ იყო დაკავშირებული საქართველოსა, თუ კერძოდ, აჭარის საწარმოო ძალების საერთო განვითარებასთან და უფრო მეტად წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ეკონომიური ექსპანსიის ერთგვარ გამოხატულებას.

თუ მეფის რუსეთის მთავრობა ამიერკავკასიისა და საქართველოს მიმართ აწარმოებდა დიდმპყრობელურ და ეკონომიკის სფეროში—კოლონიურ პოლიტიკას, აჭარაში ამ პოლიტიკას თავისებური ფორმები უნდა მიეღო. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ხელს უწყობდა შავი ზღვისპირა ზოლის კოლონიზაციას და აქ რუსეთის მოხელეთა ჩასახლებას, მათთვის საუკეთესო საგარაკო მიწების დარიგებით, რაც მკვიდრ მოსახლეობის შევიწროების ანგარიშზე წარმოებდა.

მეორე მხრივ, თბილი, სუბტროპიკული ჰავა ქმნიდა ძვირფას მცენარეთა კულტივირების შესაძლებლობას; ამასთან დაკავშირებით რუსეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა აჭარა გადაექცია სუბტროპიკული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მწარმოებელ რაიონად. მხოლოდ რუს მოხელეთა სისუსტით და უუნარობით შეიძლება აეხსნათ აჭარის მშვენიერი ბუნებრივი პირობების გამოუყენებლობა, რის შედეგადაც სუბტროპიკული მეურნეობა იქ რევოლუციამდელ პერიოდში მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ ის დიდი ღვაწლი, რომელიც მოუძღვის იმდროინდელი რუსეთის რიგ მოწინავე მოღვაწეს აჭარაში ძვირფასი სუბტროპიკული ფლორის სხვადასხვა სახეების შემოტანა-აკლიმატიზაციისა და გავრცელების საქმეში (მაგალითად პროფ. ა. ნ. კრასნოვი).

მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში შეიქმნა აჭარის ხელსაყრელი ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობის და მდიდარი ბუნებრივი რესურსების უფრო სრულად გამოყენების შესაძლებლობა. სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა სიფუძვლეზე ფართოდ იქნა გამოყენებული აჭარის ბუნებრივი პირობების ის თავისებურებანი, რომელთაც ამ მხარის წარმოებრივი სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულება განაპირობეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში აჭარის მონაწილეობის სწორად შეფასებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ მისი ბუნებრივი პირობებისა და რესურსების მთავარი ნიშნები. მიუხედავად ძალიან მცირე ფართობისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რელიეფი დიდი კონტრასტულობით ხასიათდება (სიმაღლეთა აბსოლიტუდა მერყეობს 0—2800 მეტრამდე), რაც ბუნებრივი კომპონენტების ნათლად გამოსახულ ვერტიკალურ ზონალობას ქმნის.

მსგავი ოროგრაფიული ერთეულები, როგორიცაა აჭარა-გურიის, არსიანისა და შავშეთის ქედები მას უპირატესად მთიან მხარედ აქცევენ. მთიან აჭარისაგან მკვეთრად გამოიყოფა სულ სხვა ბუნებრივი პირობების მქონე დაბლობი ნაწილი, წარმოდგენილი ზღვისპირა დაბლობებისა და გორაკ-ბორცვების ზონით (ახალბერის, ქობულეთის, ჩაქვის, დაბლობები; ბათუმი — მწვანე კონცხის, ციხისძირისა და ოჩხამურის გორაკ-ბორცვიანი ზოლები, რომელთაც დასახლებისა და სოფლის მეურნეობრივ საქმიანობისათვის კარგი პირობები გააჩნიათ).

ავტონომიური რესპუბლიკის ეს ნაწილი, ფართობის სიმცირის მიუხედავად, წარმოდგენს იმ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ერთეულს, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს აჭარის, როგორც ეკონომიური რაიონის მეურნეობრივ სახეს.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში რელიეფის პირობები ძნიშვნელოვან ფარგლებში ზღუდავენ სოფლის მეურნეობის განვითარებას, განსაკუთრებით მთიან მხარეში (რელიეფის დიდი დანაწევრება, ციცაბო ფერდობების სიმრავლე, მეწყერული და ეროზიული მოვლენები).

აჭარის ბუნების დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს მისი ნოტიო სუბტროპიკული ნიშნების მქონე კლიმატი. კლიმატური თვისებებით აჭარა მეტად საინტერესო ოლქს წარმოადგენს; ის ორ მკვეთრად განსხვავებულ კლიმატურ ერთეულად იყოფა — საზღვაო სანაპირო და შიდა. პირველ მიკროარაიონში, რომლის ზედაპირის სიმაღლე 400—500 მ ზევით არ ვრცელდება, წარმოდგენილია საბჭოთა კავშირში ყველაზე მკაფიოდ გამოხატული სუბტროპიკული ჰავა. იგი ხასიათდება ტემპერატურების ყველაზე დაბალი წლიური ამპლიტუდებით და ქმნის სუბტროპიკული მემცენარეობის შესანიშნავ პირობებს. მეორე კლიმატურ მიკროარაიონს წარმოადგენს მთიანი აჭარა, სადაც აღმოსავლეთის მიმართულებით შავი ზღვის გავლენა თანდათან მცირდება და მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა აღინიშნება. აქ არსებული ზომიერი ჰავა ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა მეხილეობა-მევენახეობა, მეთამბაქოეობა, მემინდვრეობა და მეცხოველეობა.

აჭარისათვის და კერძოდ მისი სანაპირო ზოლისათვის, რომელიც ცნობილია სსრკ „ნალექთა პოლუსის“ სახელწოდებით, დამახასიათებელია ატმოსფერული ნალექების სიჭარბე და მაღალი ტენიანობა. აქტიური ტემპერატურათა და ნალექთა დიდი საშუალო წლიური ჯამი ამ ზოლში მცენარეთა აღმოცენების მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

რელიეფის და კლიმატის თავისებურება განსაზღვრავს აჭარის ნიადაგსაფარის მრავალფეროვნებას, მის მკაფიოდ გამოხატულ ვერტიკალურ ზონალობას. სანაპირო და გორაკ-ბორცვიან რაიონში გავრცელებული სუბტროპიკული ზონისათვის დამახასიათებელი წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები, რასაც გადაჭარბების გარეშე შეიძლება ავტონომიური რესპუბლიკის „ოქროს ფონდი“ ეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდოთ. ნიადაგების ეს ტიპები საუკეთესო პირობებს ქმნიან სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, ციტრუსები, ტუნგი და სხვ.) გაშენებისათვის.

აჭარის ტერიტორიის ყველაზე დიდი ნაწილი უკავია მთა-ტყის ყომრალ ნიადაგებს, რომლებიც გავრცელებულია წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგების ზონის შემდეგ 1700—1900 მ-დე ზღვის დონიდან. მეთამბაქოეობა, მარცვლეული კულტურების წარმოება, მეხილეობა-მევენახეობა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის იმ ძირითად დარგებს, რომლებიც განვითარებულია ამ ტიპის ნიადაგზე. ქედების მაღალ ზოლში განვითარებულია მთა-მდელოს ნიადაგები; მათი სამეურნეო გამოყენების ხარისხი ჯერ-ჯერობით დაბალია.

წიაღისეული სიმდიდრეებით აჭარა უხვად დაჯილდოებული მხარე არაა და ისინი მის მეურნეობრივ ცხოვრებაში უმნიშვნელო როლს თამაშობენ. თუმცა ავტონომიურ რესპუბლიკის ფარგლებში ცნობილია სპილენძის საბადო (მერისს), მაგრამ ის ამჟამად მრეწველურად ათვისებული არაა. არალითონურ წიაღისეულიდან გამოყენებულია კერამიკული თიხები, აგრეთვე ტორფი, რომლის ბაზაზე შექმნილია ორგანო-მინერალური სასუქების წარმოება.

აჭარას ფლორის სიმდიდრით და მრავალსახეობით განსაკუთრებული ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის მცენარეულ სამყაროში. სანაპირო ზოლში ადამიანის მიერ გავრცელებულია მარადმწვანე სითბომოყვარული დეკორაციული მცენარეები (პალმა, მაგნოლია, დაფნა, ბანანის ხე და სხვ.), რომლებიც კარგად არიან შეგუებული გარემოსთან. ბუნებრივ ლანდშაფტთან ერთად, აქ გვხვდება სუბტროპიკული მცენარეებისაგან შექმნილი ძალიან თავისებური კულტურული ლანდშაფტიც, რომელიც განსაკუთრებით გამატონებულია ზღვისპირა ზოლში.

ტყეებისა და ბუჩქნარების ფართობით (173,8 ათ. ჰა) აჭარა საქართველოს ეკონომიურ რაიონებს შორის პირველ ადგილზეა; მათ აჭარის ტერიტორიის დაახლოებით 60% უკავიათ. ტყეები ამჟამად უმთავრესად გვხვდება შიდა აჭარაში, სადაც გავრცელებულია ძვირფასი ჯიშები (წაბლი, კაკალი, ცაცხვი, თელა, წიფელი, სოჭი, ფიჭვი, ნაძვი და სხვ.).

აჭარის მაღალმთიანი ნაწილის მცენარეულობა წარმოდგენილია სუბალპური და ალპური მდელოებით, რაც ძვირფას საკვებ ბაზას წარმოადგენს მეცხოველეობისათვის. შესანიშნავმა ბუნებრივმა პირობებმა განსაზღვრა აჭარის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგის, სახელდობრ საკურორტო მეურნეობის შექმნა-განვითარება. აქ წარმოქმნილი რიგი საზღვაო კურორტი მშვენიერი სამკურნალო თვისებებით და ლამაზი ბუნებით გამოირჩევა მთელ ჩვენს ქვეყანაში.

სწორედ ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მრეწველობის და საკურორტო მეურნეობის თავისებურებამ შექმნა ძირითადი პირობა იმისათვის, რომ აჭარის ასსრ წარმოგვიდგეს როგორც საერთო საკავშირო მასშტაბით სპეციალიზირებული რაიონი, რომელიც დიდ როლს თამაშობს საქართველოს მეურნეობრივ კომპლექსში.

ავტონომიური რესპუბლიკის სოციალისტური მეურნეობის გეოგრაფიულ გარემოსთან, „ბუნებრივ ბაზასთან“ მჭიდრო კავშირი მისი ეკონომიური გეოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი მხარეა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საწარმოო ძალების განვითარება-განლაგების ძირითადი ნიშნები

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში და სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა გამარჯვებამ ძირეული ცვლილებები შეიტანა აჭარის მეურნეობრივ და კულტურულ ცხოვრების ყველა სფეროში.

როგორც საბჭოთა კავშირის სხვა დანარჩენ კუთხეებში, სოციალისტური მშენებლობის მძლავრმა აღმავლობამ აჭარაშიაც ჰპოვა თავისი გამოსახულება და ომამდელ თუ ომის შემდგომ ხუთწლედების მანძილზე მისი სახალხო მეურნეობა შეუჩერებელი წინსვლისა და განვითარების გზით მიდიოდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ შეიქმნა საკმაოდ მძლავრი, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული მრეწველობა, რომლის მთავარ დარგებს საერთო-საკავშირო მნიშვნელობა მიენიჭათ. ასეთებია ნავთობგადამუშავების, მანქანათმშენებელი, ხისდამუშავების, ჩაის, საკონსერვო, ქიმიურ-ფარმაცევტული და მრეწველობის სხვა დარგები.

აჭარის სამრეწველო პროდუქცია ამჟამად საღდება არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და ეკონომიურ რაიონებში, არამედ მრავალ საზღვარგარეთულ ქვეყნებშიაც, სადაც მას კარგი სახელი აქვს მოხვეჭილი.

სრული რეკონსტრუქცია განიცადა სოფლის მეურნეობამ. პრიმიტიული, დაბალსაქონლური რევოლუციამდელი აჭარის სოფლის მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულ, მაღალსაქონლურ დარგად, რომლის მნიშვნელობა სცილდება არა მხოლოდ ავტონომიურ რესპუბლიკის, არამედ საქართველოს ფარგლებსაც.

სოფლის მეურნეობის განვითარება დაეყრდნო აჭარის სპეციფიკურ კლიმატურ-ნიადაგობრივი თვისებების გამოყენებას, რის შედეგადაც აქ შეიქმნა სავსებით თავისებური, დიდი ღირებულების მქონე სუბტროპიკული მემცენარეობა და მისი ნედლეულის გამოყენების საფუძველზე — რიგი გადამმუშავებელი მრეწველობის დარგიც.

სოციალისტური განვითარების შედეგად აჭარა თავისი საწარმოო ძალებით აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს სახალხო მეურნეობის გაფართოებულ კვლავწარმოების პროცესში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირის საწარმოო თუ სამომხმარებლო დანიშნულების მქონე პროდუქციით მომარაგების საქმეში.

განვლილი გზის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის მკვეთრი ზრდა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა რიგ მაჩვენებლებში (სპბინაო მშენებლობა, ჯანმრთელობის დაცვა, ფულადი შემოსავლის ზრდა, სამრეწველო და სასურსათო საქონლით მომარაგება და სხვა).

ისტორიული, სოციალ-ეკონომიური და ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორების ზემოქმედებასთან დაკავშირებით აჭარაში ჩამოყალიბდა თავისებური ნიშნების მქონე ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი.

როგორია ის ზოგადი ნიშნები, რომელიც ქმნის აჭარის ტერიტორიული-საწარმოო კომპლექსის თავისებურებას და გამოჰყოფს მას საქართველოს დანარჩენ ტერიტორიიდან.

ა. უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის ძალიან მაღალინტენსიური დარგობრივი სტრუქტურა და მაღალსაქონლიანობა, შექმნილი სითბომოყვარულ, ძვირფას მრავალწლიან კულტურათა განვითარების შედეგად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. მრეწველობის სპეციფიკური ხასიათი, დაკავშირებული ძირითადად სოფლო-სამეურნეო სანედლეულო ბაზასთან და ხელსაყოფ სატრანსპორტო მდებარეობის გამოყენებასთან;

გ. მკვეთრად გამოსახული საერთოსაკავშირო მნიშვნელობის მეურნეობრივი სპეციალიზაცია (მრეწველური და სასოფლო-სამეურნეო), ერთდროულად კომპლექსური განვითარების ნაკლები დონით;

დ. ბუნებრივ პირობებთან დაკავშირებული სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგთა შექმნა — მძლავრი საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების სახით, რომელნიც აგრეთვე დიდ როლს თამაშობენ ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკაში;

ვ. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოო ძალების არათანაბარი განლაგება, გამოწვეული ბუნებრივ-გეოგრაფიული და სატრანსპორტო-ეკონომიური მიზეზებით.

აღნიშნულ ნიშანთა ერთობლიობა ქმნის აჭარის მეურნეობრივი სტრუქტურის სრულიად თავისებურ სახეს. ამასთან ხაზგასასმელია, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ბუნების განუმეორებელი ეგზოტიკური სილამაზე და მიმზიდველობა, დასვენებისა და მკურნალობისათვის ხელსაყრელი პირობები საბოლოოდ იღებს რა მატერიალიზებულ ფორმებს მისი ეკონომიური პოტენციალის ზრდის ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორად წარმოგვიდგება.

ისე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, აჭარაშიაც საბჭოთა პერიოდის წლებში გამოვლინებას პოულობდა სოციალისტური წყობის ობიექტური კანონზომიერებათა მოქმედება და მისი სახალხო მეურნეობის ფორმირება მიმდინარეობდა გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის ზეგავლენით. ამ კანონზომიერებათა ზემოქმედებით ჩამოყალიბდა აჭარის როგორც საქ. სსრ-ს ეკონომიური რაიონის მეურნეობრივი პროფილი, დამყარდა ის სპეციალიზებული საწარმოო ფუნქციები, რომელსაც იგი რესპუბლიკის შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში ასრულებს.

ამჟამად აჭარა წარმოადგენს სუბტროპიკული ინტენსიური სოფლის მეურნეობის და მის ნედლეულზე დამყარებული მრეწველობის, ნავთობის გადამუშავების და მზარდი მანქანათმშენებლობის რაიონს საზღვაო კურორტებისა და ტურიზმის განვითარებით.

ქვეყნის მეურნეობრივი და კულტურული ცხოვრების განმსაზღვრელ ფაქტორს, მისი საწარმოო ძალების წამყვან ელემენტს მოსახლეობა წარმოადგენს.

აჭარა მოსახლეობის რაოდენობით (245,3 ათ. კაცი) სსრ კავშირის ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის თითქმის უკანასკნელ ადგილზე დგას.[2] მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება არათანაბარია, რაც რელიეფის თავისებურებასთან და უმთავრესად კი მეურნეობის განლაგებასთანაა დაკავშირებული. მცხოვრებთა ძირითადი მასა ზღვისპირა ზოლშია მოთავსებული და ღიმოსავლეთით მკვეთრად კლებულობს. საკმარისია ითქვას, რომ ზღვისპირა რაიონში მცხოვრებთა საერთო რაოდენობის 73%-ია განლაგებული, ხოლო მთიან რაიონებში კი — 27%; ამასთან აღსანიშნავია, რომ ზღვისპირა აჭარის მოსახლეობის ხვედრითი წონა სისტემატურად იზრდება. მთიანი აჭარის მოსახლეობა ძირითადად დასახლებულია მდ. აჭარისწყლის ხეობაში, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის შედარებით კარგი პირობები არსებობს არათანაბარი განსახლების გამო.

[2] მოსახლეობის რაოდენობით მას ჩამოუვარდება მხოლოდ ნახიჩევანის ასსრ — 141, 4 ათ. კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 84,6 კაცს უდრის 1 კვ. კ.-ზე. ზღვისპირა ნაწილში კი 156 კაცს აღწევს.

აჭარის მოსახლეობის დამახასიათებელი ნიშანია ზრდის მაღალი ტემპი, განსაკუთრებით უკანასკნელი 34 წლის მანძილზე, როცა მისი რიცხვი თითქმის 2-ჯერ გაიზარდა (1926 წ. 132,0 ათ. კაცი). მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპით აჭარა საქართველოს საშუალო მაჩვენებლებს ბევრად ჭარბობს. თუ საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე ყოველ 1000 მცხოვრებზე ყოველწლიური ნამატი 16—17 კაცს შეადგენდა, აჭარაში ეს მაჩვენებელი 21—22,5 კაცს უდრიდა.

თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ აჭარაში მიმდინარეობს მოსახლეობის მექანიკური ზრდაც, ჩვენთვის გასაგები გახდება საკვლევი რაიონის მოსახლეობის ხვედრითი წონის სისტემატური გადიდება საქართველოს საერთო მოსახლეობაში (1926 წ. — 4,9%, ხოლო 1959 წ. — 6.0%).

მოსახლეობის სწრაფი ტემპით ზრდა, როგორც ცნობილია, სოციალისტური წყობის პირობებში წარმოადგენს ქვეყნის საწარმოო ძალების აღმავლობის ერთერთ საწინდარს.

რელიეფის გავლენა განსახლებაზე და სათანადო სამეურნეო დარგების განლაგებაზე ნათლად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ აჭარის იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს 200-მდე მ. ზ. დ. ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 66,2%, მაშინ როდესაც ამ ფართობს აკუ. რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის მხოლოდ 13% უკავია.

აჭარაში მოსახლეობის მოძრაობისათვის საბჭოთა პერიოდში დამახასიათებელია გარდა იმიგრაციისა, საკმაოდ მძლავრი შიგამიგრაციული პროცესი, რაც უმთავრესად მაღალ ზონებიდან დაბლობ ზონაში ჩამოსახლებასთანაა დაკავშირებული. ამ პროცესის შედეგად 200 მეტრზე მაღლა მცხოვრებთა საერთო რაოდენობა მოსახლეობაში 42%-დან 1926 წ. შემცირდა 34%-მდე 1959 წ.

მრეწველობისა და საკუთრრტო მეურნეობის განვითარების შედეგად სისტემატურად იზრდება ქალაქის მოსახლეობა, რომელიც 1959 წ. — 111 ათ. კაცამდე გაიზარდა, ანუ საერთო მოსახლეობის 45% გადააჭარბა (საქართველოს საშუალო მაჩვენებელი — 42,4%).

როგორც დადებითი მოვლენა მოსახლეობის შრომითი რესურსების გამოყენებისა, აღსანიშნავია, შრომითი აქტივობის სისტემატური ზრდა; შრომით საქმიანობაში ჩაბმულ მცხოვრებთა ხვედრითი წონა 1926 წ. 32%-დან 1959 წ. თითქმის 50%-მდე გაიზარდა. ამასთან ისიც საგულისხმოა, რომ დასაქმებული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (57%) სოფლის მეურნეობის დარგებში მუშაობს.[3] ეს გარემოება აჭარის სოფლის მეურნეობის ინტენსიური ხასიათითაა შეპირობებული და ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკაში მის დიდ მნიშვნელობაზე მიგვითითებს.

აჭარის შრომითი ბალანსისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მუშა მოსახლეობის ნაკლები ხვედრითი წონა საერთო მოსახლეობაში, ვიდრე საშუალოდ საქართველოს მთელ რესპუბლიკაში (27% ნაცვლად 31%-სა), რაც ერთგვარად მის ნაკლებად ინდუსტრიული პროფილის გამოხატულებას წარმოადგენს.

---

[3] მოსახლეობის შესახებ მოტანილი ციფრობრივი მონაცემები აღებულია ძირითადად ამავე წიგნში მოთავსებულ ვ. ჯაოშვილის შრომიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა ქართველი მოსახლეობა (72,8%) გაცილებით სჭარბობს დანარჩენ ეროვნების წარმომადგენელთა რიცხვს. ქართველი მოსახლეობა განსახლებულია მთელს ტერიტორიაზე და აჭარის შრომითი რესურსების ძირითად, განმსაზღვრელ მასას წარმოადგენს. რუსებისა და სხვა ეროვნებათა უმეტესობა ვიწრო სანაპირო ზოლში ცხოვრობს და ჩაბმულია მრეწველობასა და საბჭოთა მეურნეობებში.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აჭარის მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონე მკვეთრად ამაღლდა. მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონით აჭარის ასსრ საქართველოს ეკონომიურ რაიონებს შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას.

საბჭოთა პერიოდში აჭარის საწარმოო ძალების აღმავლობამ გამოხატულები ჰპოვა სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგის — მრეწველობის შექმნა-განვითარებაში.

აჭარის მრეწველობა სპეციფიურობით გამოირჩევა. მისი ძირითადი დარგები, როგორც ზემოთ იქნა მითითებული, უმთავრესად შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და ხელსაყრელი სატრანსპორტო პირობების გამოყენების საფუძველზე. (ნავთობგადამამუშავებელი, გემთმშენებელი, ქიმიურ-ფარმაცევტული, კვების მრეწველობა). ავტონომიური რესპუბლიკის არსებობის პერიოდში აშენებულ იქნა მრავალი მსხვილი ფაბრიკა და ქარხანა, რის შედეგად 1960 წელს აჭარის მრეწველობამ თითქმის 71-ჯერ მეტი მთლიანი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე 1928 წელს.

აჭარის მრეწველობისათვის დამახასიათებელია მისი კონცენტრაცია უმთავრესად ქ. ბათუმში, საერთოდ კი სანაპირო ზოლში, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 98,9% იძლევა. საკვლევი რაიონის ამ ზოლში მრეწველობის ასეთი თავმოყრა გაპირობებულია როგორც მისი ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული პირობებით, აგრეთვე იმით, რომ აქ განლაგებულია შრომითი რესურსების ძირითადი ნაწილი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავარი დარგები. ფაქტიურად აჭარაში მხოლოდ ერთი დიდი სამრეწველო ქალაქია — ბათუმი და ეს გარემოება განაპირობებს აჭარის ასსრ მრეწველობის გეოგრაფიულ განლაგებას. საბჭოთა პერიოდში, მართალია, მრეწველობის ზოგიერთი დარგი აჭარის სხვა რაიონებშიც განვითარდა (ქობულეთი, ქედა და სხვ.), მაგრამ ბათუმის წამყვანი როლი იმდენად დიდია, რომ ფაქტიურად იგი ასახავს აჭარის სამრეწველო სახეს და აჭარის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 69,0%-ს იძლევა.

თავისებურება ახასიათებს აჭარის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურას. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 71%-მდე მოდის კვებისა და ნავთობგადამამუშავებელ დარგებზე (1959 წ.). ეს დარგები, როგორც ცნობილია, ნაკლებად შრომატევადია და მათ მიერ შექმნილი პროდუქციის ღირებულების უმთავრეს ნაწილს გადამუშავებული ნედლეულის ღირებულება შეადგენს (სასოფლო-სამეურნეო და ნავთობი). ამით აიხსნება, რომ დასახელებულ დარგებში დასაქმებულია აჭარის მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა მხოლოდ 36%.

მრეწველობის ამგვარ სტრუქტურასთანაა დაკავშირებული ის გარემოება, რომ საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე გამომუშავებული მთლიანი სამრეწველო პროდუქცია აჭარაში 12%-ით სჭარბობს საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს, მაშინ როდესაც, მრეწველობაში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა ხვედრითი წონა მოსახლეობაში აჭარაში თითქმის 14%-ით ნაკლებია, ვიდრე მთელ საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოში. ასეთი შეფარდება გვაიძულებს დავასკვნათ, რომ აჭარის მრეწველობაში შექმნილი ახალი ღირებულება (შესაბამისად მონაწილეობა ეროვნულ შემოსავლის შექმნაში) შედარებით დაბალია, რაც მისი დარგობრივი სტრუქტურითაა გაპირობებული.

აჭარის მრეწველობაში თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობა, რომლის შექმნაში დიდი როლი ითამაშა ბაქოს ნავთობმა და ბათუმის ხელსაყრელმა ეკონომიურ-გეოგრაფიულმა მდებარეობამ. ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა აქ მრეწველობის ყველაზე დიდი საწარმოა. ქარხნის მიერ გამოშვებული ნავთობპროდუქტები (ნავთი, სხვადასხვა დანიშნულების ბენზინი, საწვავი, მაზუთი, საპოხი ზეთი და სხვ.) მაღალი ხარისხისაა და მათი უდიდესი ნაწილი ბათუმის ნავსადგურით გაჰქვთ როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში, ისე საზღვარგარეთ.

საბჭოთა პერიოდში აჭარაში შეიქმნა მანქანათმშენებლობა, რომელიც უკანასკნელ წლების მანძილზე სწრაფად მზარდ დარგად გადაიქცა; ის წარმოდგენილია ქ. ბათუმში მანქანათმშენებელი და გემთმშენებელი ქარხნებით. მანქანათმშენებელი ქარხანა ამზადებს კვების მრეწველობისათვის საჭირო მანქანებს, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილებაა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის გარეთაც.

ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა ახალგაზრდა საწარმოა, რომელიც წარმოიქმნა გემთშემკეთებელი ქარხნის ბაზაზე. იგი უშვებს კატერებს, გლისერებს და მცირეწყალწყვის თბომავლებს. ქარხანას სიმძლავრის ზრდის მაღალი ტემპები ახასიათებს, რასაც ხელი შეუწყო უკანასკნელ დროს საწარმოში ჩატარებულმა მექანიზაციამ.

მანქანათმშენებლობის სრულიად ახალგაზრდა დარგი წარმოდგენილია სამი ელექტროტექნიკური საწარმოთი — ელექტროკარების, ელექტროტექნიკური და ელექტროხელსაწყოების ქარხნებით. აღნიშნული საწარმოები საქართველოს განვითარებადი ელექტროტექნიკური მრეწველობის მნიშვნელოვანი ობიექტებია, რომელიც საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების შემდეგ აჭარის მრეწველურ განვითარებაში დიდ როლს ითამაშებენ.

აჭარის მრეწველობას სპეციფიურ იერს აძლევს ბათუმის კოფეინის ქარხანა (ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწვ.), რომელიც ჩაის მეურნეობის ნარჩენების ბაზაზე მუშაობს. ეს საწარმოო ერთად-ერთია საბჭოთა კავშირში, რომელიც ბუნებრივ კოფეინს იძლევა და მის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიაც.

საკვლევი რაიონის მრეწველობაში გარკვეული ადგილი უჭირავს ხე-ტყის მრეწველობას; ის წარმოდგენილია ბათუმის ხის დასამუშავებელი კომბინატით და რიგი სახერხი ქარხნით რაიონებში.

არასაკმაოდაა განვითარებული აჭარის საშენ მასალათა მრეწველობა, რომელიც მოიცავს რამდენიმე ადგილობრივი მნიშვნელობის აგურ-კრამიტის ქარხანას (ბათუმის, ქობულეთის, ქედის, შუახევის რაიონებში) და ინერტული მასალის დამამზადებელ რამდენიმე საწარმოს. საშენ მასალათა მრეწველობა, როგორც ცნობილია, რაიონების კომპლექსური განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა და მისი ჩამორჩენა ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას. ამასთან დაკავშირებით შეიდწლეული ნავარაუდევია თანამედროვე საშენ მასალათა მრეწველობის შექმნა. ბათუმში აშენდება ასაწყობი რკინაბეტონის, სილიკატური ბლოკების და სახლმშენებელი ქარხნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვების მრეწველობა თავისი მნიშვნელობით და პროდუქციის მოცულობით წარმოადგენს აჭარის ასსრ მრეწველობის ძირითად დარგს, რომელიც მისი მეურნეობრივი სპეციალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მომართულებას გამოხატავს. სუბტროპიკული კულტურების ფართო გავრცელებამ განაპირობა აჭარაში კვების მძლავრი მრეწველობის შექმნა, რომლის პროდუქციას უმეტესად საკავშირო მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით გამოიყოფა ჩაის მრეწველობა წარმოდგენილი 11 ჩაის ფაბრიკით (ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში). კვების მრეწველობაში დიდ როლს თამაშობს ბათუმის ციტრუსოვან ნაყოფთა და ხილის გადამამუშავებელი ქარხანა (ციტრუსკომბინატი), ოჩხამურის ტუნგის ზეთსახდელი ქარხანა, ბუკნარის ეთეროვან ზეთების ქარხანა, ბათუმის თამბაქოს ქარხანა. ყველა ეს საწარმო აჭარის სპეციფიურ სასოფლო-სანედლეულო ბაზას ემყარება და ამგვარად მჭიდროდაა დაკავშირებული ორსებულ გეოგრაფიულ გარემოსთან.

კვების მრეწველობასთან შედარებით უფრო სუსტად არის განვითარებული მსუბუქი მრეწველობა; ის ძირითადად წარმოდგენილია ტყავ-ფეხსაცმლის და სამკერვალო მრეწველობით, რომელთაც უმეტესად რესპუბლიკური მნიშვნელობა აქვთ.

აღსანიშნავია, რომ აჭარის სპეციალიზაციის გამომსახველი მრეწველობა წარმოდგენილია მძლავრი, ტექნიკურად კარგად შეიარაღებული დარგებით, მაშინ როდესაც, ავტონომიური რესპუბლიკის კომპლექსური განვითარების უზრუნველმყოფი დარგები (საშენი მასალები, ავეჯის წარმოება, მსუბუქი მრეწველობის ფართო მოხმარების საგანთა წარმოება) ბევრად უფრო სუსტადაა წარმოდგენილი. ამიტომ აჭარის მრეწველური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერსპექტივ ამოცანად ისახება მაკომპლექსირებელ დარგთა გაძლიერება.

აჭარის სახალხო მეურნეობაში თავისი მნიშვნელობით არანაკლებ როლს თამაშობს სოფლის მეურნეობა, რომელსაც ამ მხარეში განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აჭარის სოფლის მეურნეობამ განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. ადრეულ საუკუნეებში აჭარა საქართველოს ერთ-ერთ ეკონომიურად განვითარებულ კუთხეს წარმოადგენდა და ცნობილი იყო „ვენახოვან, ხილიან, მოსავლიან მხარედ"[4], მაგრამ თურქთა ბატონობის პერიოდში სოფლის მეურნეობამ დიდი დაქვეითება განიცადა. ხოლო, რაც შეეხება მეღვინეობა-მევენახეობას და მეღორეობას, ეს დარგები სრულიად მოისპო. „დაგვრჩენია მხოლოდ აღვნიშნოთ ის სამწუხარო ფაქტი, — წერდა თ. სახოკია, — რომ მაჰმადის სჯულ ქრისტიანობასთან ერთად მეურნეობის ამ საპატიო დარგისათვისაც ამოუკვეთნიბია ფეხი აჭარიდან".[5]

რევოლუციამდელი აჭარის სოფლის მეურნეობა განვითარების მეტად პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა. სრულებით არ იყო გამოყენებული ამ მხარის შესანიშნავი ბუნებრივი პირობები. სიმინდი წარმოადგენდა მთავარ სასოფლო-სამეურნეო კულტურას, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად საკვებს შეადგენდა. ნაწილობრივი სასაქონლო მნიშვნელობა მოიპოვა მეთამბაქოეობამ და მეჩაიეობამ. საბჭოთა პერიოდში აჭარა გადაიქცა სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურებზე სპეციალიზირებულ მძლავრ სასოფლო-სამეურნეო რაიონად. ასევე ფართო გავრცელება ჰპოვა მეხილეობა-მევენახეობამ, მეთამბაქოეობამ და მეცხოველეობამ. სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგები წარმოადგენენ აჭა-

---

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 134.

[5] თ. ს ა ხ ო კ ი ა, მოგზაურობანი, თბილისი, 1950, გვ. 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მთავარ შემოსავალ წყაროს და ქმნიან სანედლეულო ბაზას კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის.[6]

აჭარის სოფლის მეურნეობრივი განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემზღუდველი ფაქტორია მიწის ფონდის სტრუქტურა. რელიეფის პირობებთან დაკავშირებით დამუშავებული მიწების ფართობი ძალიან შეზღუდულია და მთლიანად აჭარის ტერიტორიის 13,5% უდრის, ხოლო ხუელსა და შუახევის რაიონებში 7% არ აღემატება (საქართველოში 17%-ია). ამ გარემოებამ, სათანადო ნიადაგობრივ, კლიმატურ პირობებთან ერთად, ხელი შეუწყო აჭარაში ძალიან ინტენსიურ მრავალწლიანი კულტურების გავრცელებას, რაც ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის თავისებურებას წარმოადგენს.

მაშინ როდესაც საქართველოში მთლიანად ინტენსიური მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წონა დამუშავებულ ფართობში 19,5% შეადგენს, აჭარაში ის 57,2% უდრის, ხოლო ზღვისპირა ზოლის რაიონებში 75—82% აღწევს. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის არც ერთ ეკონომიურ რაიონს არ გააჩნია სოფლის მეურნეობის ასეთი ინტენსიური პროფილი და მით უფრო მემცენარეობის დარგთა ამგვარი შეთანაწყობა, როგორიც აჭარის ზღვისპირა რაიონებს. სოფლის მეურნეობის ინტენსივობა გამოხატულია პოულობს დამუშავებულ მიწის ფართობზე მაღალ შრომით დანახარჯებში და ერთდროულად მაღალ ფულად შემოსავლიანობაში. თუ საქართველოს კოლმეურნეობებში საშუალოდ ყოველ 100 ჰექტარ დამუშავებულ ფართობზე დახარჯულია 6840 კაც/დღე და მიღებულია ფულადი შემოსავალი 21,1 ათ. მან., აჭარაში ასეთსავე ფართობზე დაიხარჯა 20000 შრომადღე და მიღებული იქნა 89,4 ათ. მანეთზე მეტი შემოსავალი (1959 წ.), ანუ ოთხჯერ უფრო მეტი.

ამგვარად, საქართველოშიაც კი, რომელიც შედარებით ინტენსიური სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, აჭარა მკვეთრად გამოიყოფა როგორც მაღალინტენსიური სოფლის მეურნეობის რაიონი.

აჭარის სოფლის მეურნეობაში წამყვანი როლი ეკუთვნის ჩაის კულტურას. სხვა კულტურებთან შედარებით ჩაის ფართობს ავტონომიურ რესპუბლიკაში პირველი ადგილი უკავია (6217 ჰა 1959 წ.). პლანტაციები განლაგებულია ძირითადად ორი რაიონის (ბათუმის და ქობულეთის) კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ჩაის კულტურისათვის ყველაზე უფრო ხელისშემწყობი კლიმატური და ნიადაგური პირობებია. აჭარისათვის დამახასიათებელია ჩაის მაღალი მოსავალი, რომლითაც მას საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში პირველი ადგილი უკავია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩაის კულტურიდან მიღებული ფულადი შემოსავალი შეადგენს კოლმეურნეობათა მთლიანი ფულადი შემოსავლის 62%. ამჟამად კოლმეურნეობებში მარტო ჩაის კულტურიდან იმდენ ფულად შემოსავალს იღებენ, რამდენსაც მთლიანად იძლეოდა სოფლის მეურნეობა 1953 წლამდე.[7]

მეჩაიეობის, როგორც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარ-

---

6 1960 წლის 1 იანვრისათვის აჭარის ასსრ-ში იყო 166 კოლმეურნეობა და 16 საბჭოთა მეურნეობა.

7 კ. ელიზბარაშვილი, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობა, „საქართველოს ეკონომისტი", № 1, 1960, გვ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის განვითარების პერსპექტიული გეგმა ახალ დიდ ამოცანებს ისახავს.

აჭარაში მრავალწლიან ნარგავთა შორის, ჩაის შემდეგ, მეორე ადგილი ციტრუსოვან კულტურებს უჭირავს. მათზე საქართველოს სსრ ციტრუსოვანთა მთელი ფართობის ნახევარზე მეტი მოდის. ავტონომიური რესპუბლიკის მეციტრუსეობას დიდი ზიანი მიაყენა 1949—50 წლების სუსხიანმა ზამთარმა; მან თითქმის 3-ჯერ შეამცირა ციტრუსების ნარგავთა ფართობები. ამჟამად არსებული 5241 ჰექტარიდან 62% მანდარინის ნარგავებს უკავია.

აჭარა წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ციტრუსების მთავარ მწარმოებელ რაიონს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დამზადებული ციტრუსების 65—75% იძლევა. რესპუბლიკაში მოკრეფილი ციტრუსები იგზავნება სსრკ-ის სხვადასხვა რაიონებში, ნაწილი გამოიყენება ადგილობრივ, კონსერვების დასამზადებლად. აჭარის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სუბტროპიკულ მეხილეობას (უმთავრესად ხურმას); აგრეთვე სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურებს, როგორიცაა ტუნგი, ბამბუკი, დაფნა. ეს კულტურები ავტ. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ფულადი შემოსავლის საკმაოდ დიდ წყაროს წარმოადგენს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ინტენსიურად ვითარდება მებაღეობა-მევენახეობა, რომელიც ადრე ამ კუთხის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო. მხოლოდ საბჭოთა პერიოდში მიიღო ამ დარგმა სასაჯოსლო ხასიათი და ამჟამად 16 კოლმეურნეობაში იგი ფულადი შემოსავლის ძირითადი წყაროა. ვაზი კარგად გავრცელდა ქედის და შუახევის რაიონებში; მეხილეობაც, ძირითადად განვითარებულია შიდა აჭარაში. უნდა აღინიშნოს, რომ ხეხილის ბაღებსა და ვენახებს აჭარაში ჯერ-ჯერობით არასაკმარისი ფართობი უკავიათ და მეხილეობა-მევენახეობა შიდა აჭარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად პერსპექტიულ დარგს წარმოადგენს.

ერთწლიან კულტურებს შორის განსაკუთრებული ადგილი თამბაქოს უკავია. მეთამბაქოეობა აჭარის სოფლის მეურნეობის შრომატევადი და შემოსავლიანი დარგია. ის მდ. აჭარისწყლის ხეობაშია უმთავრესად გავრცელებული და შიდა აჭარის წამყვან ტექნიკურ კულტურას წარმოადგენს.

მარცვლეულოვნ შორის საუკუნეების მანძილზე გაბატონებული ადგილი ეკავა სიმინდის კულტურას, რომელიც მოსახლეობის მთავარ საკვებს წარმოადგენდა. საბჭოთა პერიოდში სიმინდის ნათესთა გეოგრაფიულ განლაგებაში ცვლილებები მოხდა. სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ნარგავების და ნათესების ფართობების გადიდების პარალელურად მიმდინარეობდა სიმინდით დაკავებული ფართობების შემცირება, და მხოლოდ შიდა აჭარაში მან შედარებით მეტად შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. მთლიანად აჭარა მარცვლეულის დეფიციტური ბალანსის მქონე რაიონია და ესეც მისი კომპლექსური განვითარების ერთ-ერთი ხარვეზია, რომელიც ნაწილობრივ მეურნეობრივი სპეციალიზაციის სიღრმესთანაა დაკავშირებული.

აჭარაში მებოსტნეობა-მებაღჩეობას ძირითადად ადგილობრივი საკარმიდამო ხასიათი აქვს. მხოლოდ საკურორტო ზონაში და ქ. ბათუმის მახლობელ სოფლებში იძენს იგი სასაქონლო მნიშვნელობას. საკურორტო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით პერსპექტიულ ამოცანას წარმოადგენს ამ დარგის აჭარაში უფრო მეტად განვითარება.

მეცხოველეობა საკვები ბაზის შეზღუდულობისა და რიგ სხვა მიზეზთა გამო, აჭარის სოფლის მეურნეობის შედარებით ჩამორჩენილი დარგია და უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს შიდა აჭარაში, მიუხედავად იმისა, რომ აჭარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხოველეობის დიდი სიმჭიდროვით გამოიყოფა (100 ჰექ. სავარგულზე 43 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი მოდის, ნაცვლად 57 მთლიანად საქართველოში), მეცხოველეობის პროდუქტების გამოსავალით ბევრად ჩამორჩება საქართველოს დანარჩენ რაიონებს. მაგალითად 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 1959 წ. აჭარაში მიღებულ იქნა 114 ცენტ. რძე, მთლიანად საქართველოში კი 180 ცენტ. ამავე დროს ბათუმისა და ქობულეთის რაიონების რიგმა კოლმეურნეობამ წველადობის ძალიან მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. მეცხოველეობის ინტენსიური განვითარება წარმოადგენს აჭარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რომლის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ საკვები ბაზის განმტკიცების, პირუტყვის მოვლა-პატრონობის, ჯიშობრივი გაუმჯობესების და სხვა ღონისძიებების უზრუნველყოფის გზით.

აჭარის საწარმოო ძალებს შორის აღსანიშნავია ტრანსპორტიც, რომელიც დიდ როლს თამაშობს ამ მხარის ეკონომიურ წინსვლაში. აჭარა ტრანსპორტის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული რაიონია. აქ კარგად არის განვითარებული ტრანსპორტის თითქმის ყველა სახე. ავტ. რესპუბლიკის სატრანსპორტო ცენტრს წარმოადგენს ბათუმი-შავი ზღვის მსხვილი პორტი და ბაქო-თბილისი-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალის დამაბოლოებელი სადგური. ისე როგორც საწარმოო ძალების დანარჩენი სახეები, ტრანსპორტიც არათანაბრადაა განლაგებული აჭარის ტერიტორიაზე. მაშინ როდესაც ზღვისპირა ზოლი კარგადაა უზრუნველყოფილი ტრანსპორტის ყველა სახით, მთიანი აჭარის რაიონები რკინიგზას მოწყვეტილია. ამ ხარვეზს ავსებს აჭარის საავტომობილო ტრანსპორტი. რომელიც დიდ როლს თამაშობს ადგილობრივი მნიშვნელობის ტვირთბრუნვაში.

აჭარის ეკონომიური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკურორტო მეურნეობას. აჭარა ცნობილი საკურორტო ქვეყანაა. მისი საკურორტო ჯგუფი (ბათუმი, ქობულეთი, მწვანე კონცხი, ციხისძირი, მახინჯაური) თავისი სამკურნალო თვისებების, საუცხო პლაჟების და ეგზოტიკური ბუნების გამო ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხიდან დიდი რაოდენობით იზიდავს დამსვენებლებსა და ტურისტებს. განსაკუთრებით გაიზარდა დამსვენებელთა რიცხვი სამამულო ომის შემდეგ, როცა გაყვანილ იქნა სოხუმ-ადლერის რკინიგზა და დიდი სამგზავრო გემების რეგულარულმა მიმოსვლამ ოდესასა და ბათუმს შორის ფაროო ხასიათი მიიღო. შავი ზღვისპირეთის ეს შესანიშნავი საკურორტო ჯგუფი საჭიროებს უფრო მეტად კეთილმოწყობას, საკურორტო მეურნეობის გაძლიერებას, რათა იგი უახლოეს მომავალში საბჭოთა კავშირის მშრომელთა დასვენების ერთ-ერთ საუკეთესო კერად გადაიქცეს.

ᲨᲘᲓᲐᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐᲜᲘ

აჭარის ასსრ-ის მეურნეობრივ კომპლექსს ჰქმნის ამ ტერიტორიაზე არსებული საკმაოდ განსხვავებული ბუნებრივი და საწარმოო პირობების მქონე ადმინისტრაციული რაიონები. აჭარის 5 ადმინისტრაციული რაიონი სამეურნეო თავისებურებების მიხედვით პირობითად 2 ეკონომიურ ქვერაიონად შეიძლება დაიყოს: 1. ᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲐᲭᲐᲠᲐ, რომელშიც ერთიანდება ბათუმის და ქობულეთის ადმინისტრაციული რაიონები და 2. ᲨᲘᲓᲐ ᲐᲭᲐᲠᲐ, რომელშიც ერთიანდება აჭარის დანარჩენი 3 ადმინისტრაციული რაიონი — ქედის, შუახევის და ხულოს.

ეს ორი ქვერაიონი მკვეთრად განსხვავდება როგორც ბუნებრივი პირობებით, ისე სატრანსპორტო მდებარეობით და რაც მთავარია, მეურნეობრივი სტრუქტურით, რაც მათი გამოყოფის საფუძველს ჰქმნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვისპირა აჭარა წარმოადგენს მრეწველობის, ძვირფასი ნედლეულის, ტროპიკული კულტურების და საკურორტო მეურნეობის მაღალგანვითარებულ რაიონს და ფაქტიურად იგი გამოხატავს აჭარის ასსრ საწარმოო სპეციალიზაციას. მართლაც, ამ ნაწილშია თავმოყრილი ავტონომიური რესპუბლიკის მაპროფილებელი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგები, რომლითაც აჭარა ცნობილია საკავშირო მასშტაბით.

საუკეთესო ბუნებრივმა პირობებმა და ხელსაყრელმა სატრანსპორტო-გეოგრაფიულმა მდებარეობამ გამოიწვია ამ რაიონში მოსახლეობის კომპაქტური განსახლება და მნიშვნელოვან სატრანსპორტო და სამრეწველო ქალაქად ბათუმის გადაქცევა. აჭარის მოსახლეობის 73,2% ცხოვრობს აღნიშნულ ქვერაიონში[8] და ეს ფაქტორი, რასაკვირველია, დიდ გავლენას იხდენს ორი ქვერაიონის არათანაბარ სამეურნეო განვითარებაზე. შრომითი რესურსების თავმოყრამ ზღვისპირა აჭარაში ხელი შეუწყო ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის სხვადასხვა დარგების — ნავთობგადამმუშავებელი, მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, აგრეთვე სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ინტენსიურ განვითარებას.

საკავშირო მნიშვნელობა აქვს ჩაის მრეწველობას, რომლის ყველა საწარმო ამ ქვერაიონშია განლაგებული, აქვე მდებარეობს ციტრუსების, თამბაქოს, ტუნგის და ეთეროვან კულტურების გადამმუშავებელი საწარმოები.

1959 წელს ქვერაიონის მიერ გამოშვებულმა სამრეწველო პროდუქციამ შეადგინა აჭარის ასსრ მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 98,8%, რაც აშკარად მეტყველებს შიდა აჭარის მრეწველურ განუვითარებლობაზე.

ზღვისპირა აჭარაში მრეწველობის გარდა განვითარების მაღალ დონეზე დგას სოფლის მეურნეობა, რომელსაც აქ მაღალინტენსიური ხასიათი აქვს. მიუხედავად ამისა, რომ ტერიტორიით ის შიდა აჭარაზე ნაკლებია, მას თითქმის ორჯერ მეტი დასამუშავებლად ვარგისი ფართობი გააჩნია ვიდრე შიდა აჭარას (შესაბამისად 24 ათ. ჰა, და 13 ათ. ჰექტარი 1959 წ.). ამასთან სავსებით განსხვავებულია დამუშავებული ფართობის გამოყენების დონე. პირველ შემთხვევაში დამუშავებულ ფართობების 79%-დე დაკავებულია მრავალწლიანი ინტენსიური კულტურებით, ხოლო მეორე შემთხვევაში — მხოლოდ 24%, დანარჩენი ნაწილი კი ერთწლიან კულტურებს აქვთ დათმობილი, უმთავრესად სიმინდს.

სოფლის მეურნეობაში არსებულ სხვაობათა ნათელსაყოფად ქვემოთ მოგვყავს დასახლებული ქვერაიონებისათვის დამახასიათებელი მაჩვენებლები (1959 წ.):

	ზღვისპირა აჭარა	შიდა აჭარა
1. 100 ხულ სოფლის მოსახლეზე მოდიოდა		
ნათესი ფართობი ჰექტრობით	7,2	15,5
მრავალწლიანი ნარგავები „	27,2	8,1
სათიბ-საძოვრები „	7,3	59,0
2. კოლმეურნეობებში მიღებული ფულადი შემოსავალი		
1 ჰექ. დამუშავებულ ფართობზე (მან.)	1320	344
3. მიღებული ფულადი შემოსავალი		
საშუალოდ ერთ კოლმეურნეზე (მან.)	590	

[8] მარტო ქობულეთის რაიონის მოსახლეობა (54 401 კაცი), თითქმის უტოლდება თავისი რაოდენობით შიდა აჭარის მოსახლეობის რიცხვს (65 687 კაცი)

8961

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზემოთმოყვანილი ციფრები ნათლად მოწმობენ ზღვისპირა აჭარის სოფლის მეურნეობის ბევრად უფრო ინტენსიურ ხასიათს, რაც გამოხატულებას პოულობს კოლმეურნეობებში 1 ჰექტარ დამუშავებულ მიწაზე ფართობის თითქმის ოთხჯერად უფრო მაღალ ფულად შემოსავლიანობაში, შიდა აჭარასთან შედარებით.

ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების შედეგად განვითარებული სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა ზღვისპირა აჭარაში წარმოდგენილია მეტად ძვირფასი კულტურებით (ჩაი, ციტრუსები, ტუნგი, დაფნა და სხვ.), რაც მკვეთრად განსხვავებს მას შიდა აჭარის სოფლის მეურნეობისაგან.

ჩაის პლანტაციები განლაგებულია ზღვისპირა ვაკისა და გორაკ-ბორცვიან ზონაში, ძირითადად ქობულეთის რაიონში (საერთო ფართობის თითქმის 70%). ციტრუსების პლანტაციებიც ჩაის გავრცელების არეში მდებარეობენ, მაგრამ რაიონების მიხედვით ისინი უფრო თანაბრად არიან განაწილებულნი (არსებულ 5267 ჰა-დან: ქობულეთის რ-ში — 2829 ჰა, ბათუმის რ-ში — 2438 ჰა).

აღნიშნულ ქვერაიონშია აგრეთვე გავრცელებული ტუნგისა და ბამბუკის პლანტაციები, სუბტროპიკული ხილის ნარგავები, რაც ადგილობრივ მოსახლეობას დიდ ფულად შემოსავალს აძლევს. აქვეა უმთავრესად განვითარებული ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები (აჭარის ფართობის 70%-მდე) რომელთა პროდუქტებზე დიდ მოთხოვნილებას აყენებს ზღვისპირა ზოლში მდებარე ქალაქები და კურორტები.

ზღვისპირა აჭარაში საძოვრებისა და ბალახეული საკვების სიმცირის გამო განვითარებულია სარძევე-სახორცე მესაქონლეობა, რომლის საკვებ ბაზასაც წარმოადგენს უმთავრესად სასილოსე სიმინდი, საკვები კულტურები და სხვა რაიონებში შესყიდული სხვადასხვა სახის საკვები. საქონელი ბაგურ რეჟიმზე იმყოფება და მაღალპროდუქტიულობით ხასიათდება.

სუბტროპიკულ ზონაში ზღვისპირა აჭარის მდებარეობამ დიდად შეუწყო ხელი ძმლავრი საკურორტო მეურნეობის განვითარებას. ვიწრო სანაპირო ზოლში წარმოდგენილია ერთმანეთთან რკინიგზით დაკავშირებული კურორტები — ბათუმი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი, ქობულეთი, რომლებიც ერთ მთლიან საკავშირო მნიშვნელობის საკურორტო ზონას ქმნიან.

შიდარაიონული სხვაობანი შეინიშნება თვით ზღვისპირა აჭარის ფარგლებში. მაგალითად, ბათუმის რაიონი გამოირჩევა მძლავრად განვითარებული მრეწველობით, ქობულეთის რაიონისათვის უფრო დამახასიათებელია სასოფლო-სამეურნეო ფუნქციები. რაიონს პირველი ადგილი უკავია ჩახს, ციტრუსების, ტუნგის, დაფნის, ბამბუკის პლანტაციების ფართობებით და წარმოადგენს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან რაიონს მთელს საქართველოში.

ზღვისპირა აჭარისაგან სრულებით განსხვავებული ქვერაიონია მთიანი აჭარა. ზღვისპირა აჭარასთან შედარებით მას ნაკლებ ხელსაყრელი ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. საკმარისია ითქვას, რომ მის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთადერთი საავტომობილო გზა გადის. მთიანი რელიეფი, შედარებით მკაცრი ჰავის პირობები და მრეწველობის განუვითარებლობა მოსახლეობის განსახლებაზედაც მოქმედებს.[9] მოსახლეობა ძირითადად ცხოვრობს მდ. აჭარისწყლის აუზის ხეობებში განლაგებულ სოფლებში.

ეკონომიკაში მთავარ როლს სოფლის მეურნეობა ასრულებს. მრეწველობა აქ თითქმის სრულებით არაა განვითარებული და წარმოდგენილია ადმინისტრა-

---

[9] მთიან აჭარაში ცხოვრობს აეტ. რესპუბლიკის მოსახლეობის დაახლოებით $^1/_4$.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციულ ცენტრებში არსებული წვრილი მრეწველობით. ერთგვარი მნიშვნელობა მოიპოვა ტყის მრეწველობამ, რომელიც ამზადებს ხე-ტყის მასალას ძირითადად ბათუმის საწარმოებისათვის, ხე-ტყის სახეობი ქარხნები განლაგებულია სხვადასხვა პუნქტებში (წელათი, ტაბახმელა, ქედა, ხულო და სხვ.).

სოფლის მეურნეობაში განვითარებულია მთიანი რელიეფის და ზომიერი ჰავის მქონე მხარისათვის დამახასიათებელი დარგები: მემინდვრეობა, მებაღეობა-მევენახეობა, მეცხოველეობა. გარდა ამისა, აჭარის ამ ნაწილისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე დარგია — მეთამბაქოეობა, რომელიც ბევრი კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის მთავარი წყაროა. თამბაქოს კულტურა ითვლება აქაური სოფლის მეურნეობის სპეციფიკურ დარგად (აჭარის თამბაქოს პლანტაციების მთელი ფართობის — 1,3 ათ. ჰა-დან შიდა აჭარაზე მოდის 1,2 ათ. ჰა, 1959 წ.), მისი პლანტაციები უმთავრესად გავრცელებულია მდინარეების აჭარისწყლისა და ჭირუხისწყლის ხეობებში მდებარე სოფლების კოლმეურნეობებში.

ქვერაიონისათვის დამახასიათებელი დარგია მეხილეობა, რომელიც ქედისა და შუახევის კოლმეურნეობებს დიდ შემოსავალს აძლევს. მდ. აჭარისწყლის ხეობაში გავრცელებულია ზამთრის ჯიშის ვაშლი, მსხალი, ქლიავი და სხვ. ამასთან, აქაური ხილი ნაკლები წყლიანობის გამო, მეტად ტრანსპორტაბელურია. აღნიშნულის გამო, მეხილეობის მთავარ მწარმოებლურ რაიონს შიდა აჭარა წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციფიკურ დარგს წარმოადგენს მევენახეობა, რომელიც ფაქტიურად საბჭოთა ხელისუფლების წლებში განვითარდა. ვენახების გავრცელების ზონა თანხვდება ხეხილის გავრცელების ზონას და ფართობების უმეტესი ნაწილი მოქცეულია ქედის და შუახევის რაიონების კოლმეურნეობებში (წონიარისი, ცხმორისი, კოკოტაური, გობრონეთი, გოგინაური, ნიგაზეული და სხვ.)

ერთწლიან კულტურათა შორის აღსანიშნავია სიმინდი, რომელსაც ქვერაიონში ავტონომიური რესპუბლიკის ნათესების საერთო ფართობის 66%-მდე უკავია. მემინდვრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი კარტოფილის ნათესებს, რომელიც გავრცელებულია ხულოსა და შუახევის რაიონებში.

შიდა აჭარა ითვლება განვითარებული მეცხოველეობის რაიონად. კოლმეურნეობების ფულად შემოსავალში მისი ხვედრითი წილი აქ გაცილებით მეტია, ვიდრე ზღვისპირა აჭარის კოლმეურნეობებში. ქედის რაიონში განვითარებულია სახორცე-სარძევე მესაქონლეობა, ხოლო შუახევის და ხულოს რაიონებში დამატებით — სუსტად განვითარებული სამატყლე-სახორცე მეცხოველეობაც, რაც გაპირობებულია ბუნებრივ მაღალმთიან საძოვრებზე ცხვრისა და თხის მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობით (აჭარის ცხვრებისა და თხების მთელი სულადობის 76%).

მეურნეობრივი ნიშნების მიხედვით შიდა აჭარა პირობითად შეიძლება ორ მიკრორაიონად დაიყოს. ქედის მიკრორაიონი, რომელიც ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიას მოიცავს და წარმოადგენს გარდამავალ ზონას ზღვისპირა და ზემო აჭარას შორის. აჭარის იმ ნაწილში ვხედებით სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის კერებს (ჩაი, დაფნა, თამბაქო) და ამავე დროს, საქართველოს მთიანი ნაწილებისათვის დამახასიათებელ სასოფლო-სამეურნეო დარგებს. მიკრორაიონის წამყვან დარგებს მიეკუთვნება მეთამბაქოეობა, სახორცე-სარძევე მესაქონლეობა და განსაკუთრებით მეხილეობა-მევენახეობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხულოს მიკრორაიონი (მოიცავს შუახევის და ხულოს ადმინისტრაციული რაიონების ტერიტორიას) გამოირჩევა განვითარებული მეცხოველეობით, მეთამბაქოეობით, მეკარტოფილეობით და ნაწილობრივ მეხილეობა-მევენახეობით. აღსანიშნავია, რომ მევენახეობას ხულოს რაიონში მოსავლიანობის მხრივ საქართველოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.

ამგვარად, ზემოაღწერილ შიდარაიონულ წარმოებრივ სხვაობათა განხილვის შედეგად აჭარა, ერთგვარი პირობითობით, შესაძლოა შემდეგი განსხვავებული ეკონომიური პროფილის მქონე ტერიტორიულ ერთეულებად დავყოთ:

1. ზ ღ ვ ი ს პ ი რ ა ე კ ო ნ ო მ ი ე ბ ი ს ა ქ ვ ე რ ა ი ო ნ ი — მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს, ს უ ბ ტ რ ო პ ი კ ე ლ ი მ ე მ ც ე ნ ა რ ე ო ბ ი ს დ ა ს ა კ უ რ ო რ ტ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი თ.

ა. ბ ა თ უ მ ი ს — ნავთობგადამმუშავებელი, მანქანათსამშენებლო და კვების მრეწველობის, მეჩაიეობა-მეცატრუსეობის, სარძევე მეცხოველეობის და საკურორტო მეურნეობის მ ი კ რ ო რ ა ი ო ნ ი.

ბ. ქ ო ბ ულ ე თ ი ს — კვების მრეწველობის (ჩაისა და ტუნგის), მეჩაიეობა-მეციტრუსეობის და ტექნიკური მემცენარეობის, სარძევე-მეცხოველეობის და საკურორტო მეურნეობის მ ი კ რ ო რ ა ი ო ნ ი.

2. შ ი დ ა ა ჭ ა რ ი ს ე კ ო ნ ო მ ი ე ბ ი ს ქ ვ ე რ ა ი ო ნ ი — ტ ყ ი ს ჭ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს, მ ე თ ა მ ბ ა ქ ო ე ო ბ ი ს, მ ე ხ ი ლ ე ო ბ ა-მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ი ს, მ ე მ ი ნ დ ვ რ ე ო ბ ი ს, მ ე კ ა რ ტ ო ფ ი ლ ე ო ბ ი ს, ს ა ხ ო რ ც ე-ს ა რ ძ ე ვ ე მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი თ:

ა. ქ ე დ ი ს — მეთამბაქოეობის, მეხილეობა-მევენახეობის და სახორცე-სარძევე მესაქონლეობის მ ი კ რ ო რ ა ი ო ნ ი.

ბ. ხ უ ლ ო ს — მეთამბაქოეობის, მეკარტოფილეობის, სახორცე-სარძევე და სუსტად განვითარებული სამატყლე-სახორცე მეცხოველეობის მ ი კ რ ო რ ა ი ო ნ ი.

შიდარაიონულ სხვაობათა აღნიშნული სქემატური დახასიათება გვიჩვენებს, რომ აჭარის ტერიტორიის ცალკეული ნაწილები ბუნებრივი და ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით მკვეთრად განსხვავდებიან და ამ სხვაობათა ცოდნის, გარეშე შეუძლებელია აჭარის ეკონომიურ-გეოგრაფიული შესწავლა.

გარდა ამისა, შიდარაიონული მეურნეობრივი ნიშნების აღნუსხვა და ანალიზი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, თუ რამდენად არათანაბრადაა განაწილებული აჭარაში საწარმოო ძალები და რამდენად დიდი განსხვავებაა ზღვისპირა აჭარისა და შიდა აჭარის ეკონომიური განვითარების დონეთა შორის. ცხადია, რომ ეს განსხვავება გარკვეულად მოქმედებს მოსახლეობის კეთილდღეობაზე, მისი მატერიალური ცხოვრების დონეზე. ამასთან დაკავშირებით, ნათლად ისახება ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერსპექტიული ამოცანა — შიდა აჭარის მეურნეობრივი დონის აწევა, შესაძლებლობის ფარგლებში მისი საწარმოო ძალების უფრო მეტად განვითარება. ამ მიმართულებით შიდა აჭარას კიდევ ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობა გააჩნია. პირველ რიგში მეთამბაქოეობის, მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდის საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Г. ГВЕЛЕСИАНИ, В. НЕИДЗЕ,

ОБЩАЯ ЭКОНОМИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА АДЖАРСКОЙ АССР

Резюме

Аджарская Автономная Советская Социалистическая Республика совершенно своеобразный экономический район Грузинской ССР.

Представляя собой неотъемлемую часть Грузии, в прошлом Аджарии в течении веков приходилось выносить тяжелое иго турецких завоевателей, насильственно омусульманивших проживающее там грузинское население. Однако, несмотря на постоянные жесточайшие репрессии турецких поработителей, народ до конца сохранил свой родной грузинский язык, фамилии предков и грузинские обычаи.

В условиях социалистического строя в Аджарии сформировался исключительный по своей хозяйственной структуре территориально-производственный комплекс, уникальные черты которого выделяют его во всем Советском Союзе.

Экономическому развитию Аджарии способствовали весьма благоприятные природно-географические условия, выгодное экономико-географическое положение, предопределившее создание здесь, еще во второй половине XIX века крупного порта в Батуми — морских ворот Закавказья. Прибрежное положение и связь Аджарии ж. д. магистралью с Баку обусловили организацию в 80-х годах прошлого века в Батуми предприятий по розливу, упаковке и экспорту бакинской нефти в заграничные страны.

Небольшая территория Аджарской АССР характеризует большое разнообразие природных условий. Гористый характер страны, большая амплитуда высот (от 0 до 2800 м) создают вертикальную зональность в ее природных компонентах. Аджаро-Гурийским хребтом автономная республика делится на две различные по своей природе части — прибрежную Аджарию и внутреннюю (горную) Аджарию.

Прибрежная Аджария отличается большей равнинностью, мягким климатом влажного субтропического типа, с соответствующим набором почв (красноземы, желтоземы и др.), способствующих развитию теплолюбивых и влаголюбивых культур. Естественная растительность под воздействием человеческого труда здесь уступила место культурной растительности, массовое распространение которой определило создание характерного для этого края культурного ландшафта.

Внутренняя Аджария — характерный горный район с сильно пересеченным рельефом; с прорезающим его глубокими ущельями рек; крутыми склонами гор покрытых лесами; климат здесь умеренный, менее влажный.

На базе благоприятных природных и экономических предпосылок в условиях социалистического строя был создан ряд отраслей промышленности из которых наиболее важные: нефтеперерабатывающая, машиностроительная, деревообрабатывающая, чайная, консервная, химико-фармацевтическая (производство кофеина).

Коренной реконструкции подверглось сельское хозяйство, которое из примитивного, потребительского превратилось в высокотоварное, с наличием ряда ценных субтропических и технических культур, значение коих выходит за пределы не только Аджарии, но и Грузинской ССР.

В результате прошедшего пути развития, хозяйственный комплекс автономной республики приобрел ряд характерных черт:

а) прежде всего, высокоинтенсивная структура и большая товарность сельского хозяйства, создавшаяся благодаря широкому развитию ценных многолетних культур;

б) специфический характер промышленности определяемый ее связью с сырьевой сельскохозяйственной базой и использованием выгодных транспортных условий;

в) ярко выраженная общесоюзная производственная специализация (промышленная и сельскохозяйственная), одновременно с более слабым уровнем комплексного развития;

г) обусловленное природными предпосылками развитие непроизводственных отраслей в виде мощного курортного хозяйства и туризма, играющих важную роль в экономике автономной республики;

д) неравномерное размещение производительных сил по территории Аджарии, определяемое природно-географическими и транспортно-экономическими условиями.

В территориальном разделении труда в Грузинской ССР Аджарская АССР выделяется как район интенсивного субтропического сельского хозяйства со связанными с ним отраслями перерабатывающей промышленности, нефтеперерабатывающей и развивающейся машиностроительной промышленности, морских курортов.

Население в Аджарии развивается более быстрыми темпами, чем в целом по Грузии, что в основном вызвано высоким естественным приростом (22,5 чел. на 1000 жит. 1959 г.); размещено оно на территории неравномерно — 73%, приходится на прибрежную часть. На территории до 200 м н. у. м. занимающей 13% авт. республики проживает 66,2% общего количества жителей.

Отмечается систематическое повышение производственной активности населения. Если в 1926 г. удельный вес работающего населения составлял 32%, в 1959 — 50%; наибольшая часть работающего населения занята в сельском хозяйстве. Около 73% населения — грузины.

Промышленность Аджарии также сосредоточена в прибрежной полосе, где производится 98,8% валовой продукции всей промышленности. Основные предприятия размещены в Батуми: нефтеперерабатывающий завод, судостроительный завод, машиностроительный завод, три электротехнических завода, деревообрабатывающий комбинат,

цитрускомбинат, табачноферментационный, кожевенный и кофейный заводы и много других. В Аджарии работает 11 чайных фабрик, тунгомаслобойный завод, эфиромасличный завод, ряд деревообрабатывающих предприятий и заводы по производству стройматериалов. Характерным для структуры промышленности является высокий удельный вес материалоемких отраслей производства (71%).

Развитие сельского хозяйства ограничено структурой земельных угодий. Обрабатываемые площади не превышают 13,5% общей территории, в горных частях — 7%. За советский период создано мощное субтропическое хозяйство, представленное плантациями чая, цитрусов, тунга, бамбука, благородного лавра и др. теплолюбивых культур. Особенностью сельского хозяйства является ее высокоинтенсивный профиль. Площади многолетних интенсивных культур в обрабатываемой площади занимают в целом по Аджарии 57,2%, в прибрежных же районах 75—83%. Не в одном экономическом районе СССР нельзя встретить такой интенсивной отраслевой структуры растениеводства, как в названной прибрежной части Аджарии. Если в колхозах Грузии на 100 га обрабатываемых площадей затрачивалось в среднем 6840 чел/дней и был получен денежный доход — 21,1 т. руб., в Аджарии на такую же площадь затрачивалось 20000 чел/дней и было получено 89,4 тыс. руб., то есть в четыре раза больше (1959 г.).

В статье рассматриваются общие вопросы развития и размещения отдельных отраслей промышленности, сельского хозяйства, значение транспорта для экономического развития края, состояние курортного хозяйства и внутрирайонные производственные различия.

В экономическом отношении Аджария подразделяется на:

1) Прибрежный подрайон — промышленный, субтропического растениеводства и курортного хозяйства, с микрорайонами Батумским (нефтепереработка, машиностроение, пищевая промышленность, чаеводство-цитрусоводство, молочное скотоводство, курорты) и Кобулетским (чайная и тунгоперерабатывающая промышленность, чаеводство-цитрусоводство и техническое растениеводство, молочное скотоводство, курорты).

2) Внутренне-Аджарский подрайон — лесной промышленности, табаководства, виноградарства-садоводства, полеводства, картофелеводства, мясомолочного животноводства, с микрорайонами Кедским (табаководство, садоводство-виноградарство, мясомолочное животноводство) и Хулойским (табаководство, картофелеводство, мясомолочное и слабо выраженное мясошерстное животноводство).

Первый подрайон отличается гораздо более развитым экономическим уровнем, что видно например из того, что в среднем на 1 работающего колхозника получено здесь в четыре раза больше денежных доходов чем соответственно во внутренней Аджарии (1959 г.).

Одной из важнейших перспективных задач развития автономной республики является подтягивание хозяйственного уровня Внутренней Аджарии, путем расширения в ней табаководства, виноградарства-садоводства и повышения продуктивности животноводства.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.
2. ნ. დეკეიძე, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობა, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები (საფონდო მასალა), 1961.
3. კ. ელიზბარაშვილი, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობა, საქართველოს ეკონომისტი, № 1, 1960.
4. ვ. კაკაბაძე, აჭარის ასსრ მრეწველობის განვითარება და განლაგება, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები (საფონდო მასალა), 1961.
5. დ. მამულაძე, აჭარის ასსრ ეკონომიკის აყვავება, საქართველოს ეკონომისტი, № 2, 1961.
6. ნ. ნიქარაძე, ნ. ჯიბუტი, აჭარის ასსრ, ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომ-გეოგრაფიული დახასიათება, ბათუმი, 1957.
7. საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათუმი, 1961.
8. საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1961.
9. თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი, 1950.
10. ი. სიხარულიძე, სამხრ.-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი 1, ბათუმი, 1958.
11. ვ. ჯაოშვილი, აჭარის ასსრ მოსახლეობა, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები (საფონდო მასალა), 1961.
12. ი. ჯიბლაძე, ბათუმის რაიონი, ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება, ბათუმი, 1961.
13. К. Маркс и Ф. Энгельс, Собр., соч., IX т., 1957.
14. Грузинская ССР, Экономико-географическая характеристика, М., 1958.
15. Промышленность Грузии за 40 лет 1921—1961 гг., Тбилиси, 1961.

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია. — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XIX, 1962
Академия наук Груз. ССР—Труды Института географии им. Вахушти, т. XIX, 1962

ე. კობახიძე

აჭარის ასსრ ბუნებრივი პირობები და რესურსები

1. ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები. აჭარის ასსრ მდებარეობს საქართველოს სსრ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით ცენტრალური იტალიისა და ჩრდილოეთი ესპანეთის განედზე. მისი ტერიტორია შეადგენს 2.9 ათას კმ², რაც მთელი საქართველოს ფართობის 4,1% უდრის.

აჭარის ასსრ ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს ძნელად გადასალახი აჭარა-გურიის, შავშეთისა და არსიანის ქედები. აჭარის ტერიტორიაზე ჩრდილო-დასავლეთით სოლისებურადაა შემოჭრილი კოლხეთის დაბლობის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ამ მიმართულებით არის წარმართული ძირითადი სახმელეთო კომუნიკაციები.

თუმცა გეოგრაფიულად აჭარას ჩიხისებური მდგომარეობა უკავია, მაგრამ შავი ზღვის ნაპირებზე მდებარეობა და ბათუმის სახით, საუკეთესო ნავსადგურის არსებობა, ბაქო—ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალთან ერთად, მნიშვნელოვნად ამცირებს მისი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის უარყოფით მხარეებს. ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ მისი ბუნებრივი ჰინტერლანდი, მდ. ჭოროხის აუზი, თურქეთის ფარგლებში არ იყოს მოქცეული.

რ ე ლ ი ე ფ ი. აჭარის ოროგრაფია დიდი დანაწევრებით ხასიათდება და წარმოდგენილია რამდენიმე მსხვილი მორფოგრაფიული ერთეულით: აჭარა — გურიის, შავშეთისა და არსიანის ქედებით, აგრეთვე აჭარისაკენ მიმართული მათი მრავალრიცხოვანი განშტოებებით.

ზღვისპირა ზოლს გორაკ-ბორცვიანი წინამთების ხასიათი აქვს. იგი ფართოდდება ჩრდილოეთითა და სამხრეთით, სადაც წარმოქმნილია ქობულეთისა და კახაბერის დაბლობები. პირველი მთავანი კოლხეთის ვაკის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ გაგრძელებას წარმოადგენს, მეორე კი მდ. ჭოროხის მიერ ალუვიური მასალის დაგროვების პროდუქტია. როგორც აღნიშნული დაბლობების, ისე წინამთების ოროგრაფიული პირობები საშუალებას იძლევა მრავალდარგოვანი სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებისათვის, თუმცა რელიეფის დიდი დახრილობის გამო ზოგჯერ აუცილებელი ხდება გორაკ-ბორცვების ფერდობების ტერასირება.

აჭარა-გურიის ქედს, რომელსაც საკვლევი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია, დაახლოებით განედური მიმართულება აქვს. თავის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იგი იტოტება და ეშვება ზღვისაკენ ქობულეთისა და ჩაქვის ქედების სახით, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით გადადის ჯიხანჯირის, მუხაესტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესა და ხეცუბნის მაღლობებში. აჭარა-გურიის ქედის საშუალო სიმაღლე 2000—2500 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

აჭარისაკენ მიმართული აჭარა-გურიის ქედის სამხრეთი ფერდობები ძლიერი დაქანებით გამოირჩევიან. მდინარეთა ხეობები ღრმად არის ჩაჭრილი ქედებს შორის და ხასიათდებიან მეტად ციცაბო ფერდობებით. შედარებით ფართოა ამ ხეობების მხოლოდ ცალკეული მონაკვეთები, რასაც თან ახლავს კარგად გამოხატული ტერასები. ამის გამო, აჭარა-გურიის ქედის ფერდობები საკვლევი რაიონის ფარგლებში სამეურნეო თვალსაზრისით ნაკლებად არის გამოსადეგი. აქ მიწათმოქმედების განვითარებას ხელს უშლის მოვაკებული და მცირე დახრილობის მქონე ადგილების სიმცირე.

აჭარის სამხრეთი ნაწილი შავშეთის ქედს უჭირავს, რომელსაც განედური მიმართულება აქვს. შავშეთის ქედი გადაჭიმულია მწვერვალ კანლი-დაგიდან დასავლეთით 65 კმ-ის მანძილზე; ქედის უმაღლეს წერტილს წარმოადგენს მ. ხეგა (2809 მ ზ. დ), რომელიც მის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. შავშეთის ქედის აჭარისაკენ მიმართული ფერდობები ციცაბოა და მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარი. რაც შეეხება ქედის უმაღლეს, ცენტრალურ ნაწილს, მას ზეგნის სახიათი აქვს, სადაც წარმოდგენილია სუბალპური და ალპური მდელოები. ისინი საზაფხულო საძოვრებად არიან გამოყენებული.

აჭარის აღმოსავლეთი ნაწილი უკავია არსიანის ქედს, რომელსაც მერიდიანული მიმართულება აქვს. საკვლევი რაიონის ფარგლებში მდებარეობს ამ ქედის ჩრდილოეთი მონაკვეთი მ. კანლი-დაგიდან (300 1 მ. ზ. დ) მდ. ქობლიანისწყლამდე. იგი 35 კმ-ის მანძილზე შეიცავს მახვილ თხემს, რომელიც სამხრეთით სულ უფრო მოსწორებული და ბრტყელი ხდება. ადგილ-ადგილ არსიანის ქედი დადაბლებულია. ერთ-ერთ ასეთ დადაბლებაზე მდებარეობს გოდერძის უღელტეხილი (2025 მ ზ. დ.), რომელზედაც გადადის ბათუმი-ახალციხის გზატკეცილი.

არსიანის ქედის დასავლეთით, აჭარა-გურიისა და შავშეთის ქედებს შორის, მდებარეობს აჭარისწყლის ხეობა, რომელიც შავი ზღვისაკენაა დახრილი. აჭარისწყლისა და მისი შენაკადების ხეობათა ფერდობები უმეტესად ციცაბოა და ტყითაა შემოსილი. ვულკანური ქანების გავრცელების ადგილებში ისინი ტიპიური ვიწრობების სახეს ატარებენ. ამ ხეობების მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთია გაფართოებული. აქ წარმოქმნილი მოვაკებული ადგილები გამოყენებულია მიწათმოქმედებისა და დასახლებისათვის.

აჭარის ასსრ ტერიტორია უფრო მთიანია, ვიდრე, საერთოდ საქართველო. მისი რელიეფი დანაწევრებული და მკვეთრად დახრილია. 200 მ სიმაღლემდე არის მოქცეული საკვლევი ტერიტორიის 12,9%, ხოლო 1000 მ-ზე მაღლა 57,6%; საქართველოში მთლიანად 1000 მ-ზე მაღლა მდებარეობს მისი ტერიტორიის 53,8%. მაგრამ აჭარის მთიანი ნაწილის სუსტ დასახლებასა და სამეურნეო აუთვისებლობაში მთავარი ბრალი მიუძღვის რელიეფის დანაწევრებულობის მაღალ ხარისხს.

ს ა ს ა რ გ ებ ლ ი წ ი ა ღ ი ს ე უ ლ ი. აჭარის წიაღისეული სიმდიდრეებიდან ყველაზე უფრო პერსპექტიულია ქედის ადმინისტრაციულ რაიონში, მდ. მერისის ხეობაში წარმოდგენილი, გასული საუკუნის დამლევიდანვე ცნობილ. ს პ ი ლ ე ბ ი ს ა და პ ო ლ ი ლ ი თ ო ნ ებ ის საბადოები, რომელთაც 206 კვ. კმ სეართო ფართობი უკავიათ. აღნიშნულ მადნებში საგრძნობლად სჭარბობს სპილენძი. არის აგრეთვე ტყვია-თუთიის ძნიშვნელოვანი მარაგიც. უახლოეს წლებში უნდა დადგინდეს ამ მადნიანი რაიონის სამრეწველო ღირებულება, მით უმეტეს, რომ აჭარაში ცნობილია სპილენძისა და პილილითონების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი სხვა გამოვლინებაც, ამ მხრივ, იგი ერთ-ერთი პერსპექტიული რაიონი საქართველოში.

რკინის მადნის საბადოები აჭარაში რამდენიმე ადგილას გვხვდება. რუხი რკინაქვა არის სოფ. ქედასთან, წითელი რქინაქვა სოფ. მარადიდთან, მაგნიტური ქვიშა — ქობულეთის მიდამოებში. ამ საბადოების მრეწველური მნიშვნელობა დადგენილი არ არის.

არალითონური წიაღისეულიდან აგურ-კრამიტის თიხების მრავალრიცხოვანი საბადოები წარმოდგენილია აჭარის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში (ოჩხამურის, ცეცხლაურის, კინტრიშის, აჭარისწყლის, დოლოგნის და სხვა საბადოები). მათ ბაზაზე მუშაობენ საკმაოდ მრავალრიცხოვანი აგურ-კრამიტის ქარხნები. პრაქტიკული გამოყენება პოვა აგრეთვე **ცეცხლგამძლე თიხების** საბადოებმაც ქობულეთის რაიონში.

ტექნიკის შემდგომი განვითარების გათვალისწინებით, ალუმინის მისაღებად შეიძლება გამოყენებულ იქნას **ლატერიტები** (ჩაქვისა და ციხისძირის რაიონებში). აჭარის ასსრ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წიაღისეულ სიმდიდრეს წარმოადგენს **ტორფი**, რომლის სასადო მდებარეობს ქობულეთის მახლობლად. იქვე წარმოებს მისი გადამუშავება სასუქად.

აჭარაში გვხვდება, აგრეთვე, ბაზალტის მსგავსი ქანები, ბენტონიტური თიხები, ცეცხლგამძლე თიხები, აღათი, მთის ბროლი, სამშენებლო ქანები, მარმარილო, ოზოკერიტი, გოგირდის კოლჩედანი, რომელთა საბადოები, ძირითადად, დასავლეთ აჭარაშია თავმოყრილი. ზოგიერთ მათგანს დამატებითი ძიების ჩატარების შემდეგ, შესაძლოა, მიეცეს პრაქტიკული მნიშვნელობა.

აჭარის ასსრ საკმაოდ მდიდარია **ჰიდრომინერალური რესურსებითაც**. მინერალური წყაროების უმეტესობა, რომელთა შორის სჭარბობს რკინის დიდი შემცველობის მქონე წყაროები, თავმოყრილია მთიან აჭარაში.

კლიმატი. აჭარის ასსრ ტერიტორია მდებარეობს კოლხეთის ზღვიური, ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ზონაში, შავი ზღვის უშუალო სიახლოვეს. რელიეფის ძლიერი დანაწევრების და სიმაღლეთა დიდი ამპლიტუდების შესაბამისად, აჭარის კლიმატს ახასიათებს ნათლად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, რომელსაც მნიშვნელოვნად არბილებს დასავლეთიდან მოსული ზღვიური ჰაერის მასები. ამით აიხსნება აჭარის კლიმატის მაღალი სინოტივე, სირბილე და ნისლოვან დღეთა სიხშირე, რის შესაბამისადაც, მზის რადიაციის ინტენსივობა საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ნაკლებია, ვიდრე შავიზღვისპირეთის უფრო ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში და ბათუმში წელიწადში მხოლოდ 1852 საათს შეადგენს.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა აჭარაში მაღალია და ზღვისპირა ზოლში 13 — 14° აღემატება. ამ მაჩვენებლით, აჭარის სანაპირო რაიონები, საბჭოთა კავშირის უთბილეს კუთხეებს მიეკუთვნება. განსაკუთრებით მაღალია შემოდგომა-ზამთრის თვეების ტემპერატურები. აბსოლუტური მინიმუმები აჭარის სანაპიროზე — 8° — 10° ქვევით არ ჩამოდის და 934 მ სიმაღლეზე მდებარე ხულოშიც კი აბსოლუტური მინიმუმი მხოლოდ — 14°-ია, იმ დროს როცა, დაახლოებით ამავე სიმაღლეზე მდებარე რიწის ტბაზე იგი—20° შეადგენს.

ამის გამო სუბტროპიკული კულტურების და, განსაკუთრებით, ციტრუსების გასაშენებლად სწორედ აჭარის ზღვისპირეთი არის საუკეთესო ადგილი. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1949/50 წლის ზამთარში დაღუპული ციტრუსების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვედრითი წონა შეადგენდა (%-ში): აჭარის ასსრ 68, აფხაზეთის ასსრ 77, ქვემო იმერეთში 90 — 99, გურიაში 82, საქართველოში მთლიანად 76.

აჭარის ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა საგრძნობ ცვლილებას განიცდის სიმაღლის მატებასთან ერთად და შეადგენს (ცხრილი № 2)

ცხრილი № 2

№	მეტეოსადგურ დასახელება	სიმაღლე ზ.დ.-ში	საშუალო თვიური ტემპერატურები (თვების მიხედვით)												წლიური
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
1	ბათუმი	3	6.4	6.5	8.4	11.3	16.1	20.3	23,0	23.2	20.2	16.3	12.1	9.2	14.4
2	მახუნცეთი	138	3.4	4.5	8.2	12.1	16.6	19.1	21,6	22.0	18.7	14.9	10.2	6.0	13.1
3	ქედა	257	2.9	3.8	7.9	12.0	16,0	18.6	21,1	21.5	18.2	14.4	9.7	5.4	12.6
4	ხულო	934	0.8	1.3	4.2	8.9	13.5	15.7	18,4	19.2	16.2	12.9	7,6	3.1	10.2

აჭარაში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა მეტად დიდია და ამ მხრივ ერთ-ერთ მაქსიმალურ მაჩვენებელს აღწევს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. განსაკუთრებით ბევრი ნალექი იცის სანაპირო ზოლში, აგრეთვე ქობულეთისა და ჩაქვის ქედების კალთებზე (არანაკლები 2500 — 3000 მმ-ისა წელიწადში). ზღვისპირეთში ნალექების მაქსიმუმი მოდის სექტემბერზე, მინიმუმი — კი მაისზე. ხშირია კოკისპირული წვიმები, რომლის დროს ნალექების დღეღამური მაქსიმუმი ზოგჯერ 300 მმ-ს აღწევს. ნალექების დიდი რაოდენობის მიუხედავად, დასავლეთ აჭარაში გაზაფხულის მეორე ნახევარში აღინიშნება გვალვიანი პერიოდი. მისი ხანგრძლივობა საშუალოდ 30 დღეს შეადგენს, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო ვეგეტაციაზე.

შიდა აჭარაში, თავისებური ოროგრაფიული პირობების გამო ზღვიური ჰაერის მასების გავლენა შესუსტებულია. შესაბამისად, ნალექების წლიური რაოდენობა აქ ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ზღვისპირეთში და 1200 — 1400 მმ-ს არ აღემატება.

ჰაერის სინოტივე აჭარაში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში მეტად მაღალია. საშუალოწლიური შეფარდებითი სინოტივე 75% შეადგენს. მინიმუმი მოდის ზამთრის თვეებზე, დანარჩენ სეზონებში კი ეს მაჩვენებელი თითქმის თანაბარია.

აჭარის სანაპირო ზოლის ტიპიური ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი საუკეთესო პირობებს ქმნის მეჩაიეობის და სუბტროპიკული მეხილეობის განვითარებისათვის, კარგი მოვლის პირობებში აჭარის ჩაის პლანტაციები რამდენჯერმე უფრო მაღალ მოსავალს იძლევიან, ვიდრე მსოფლიოს სხვა ჩაისმწარმოებელ რაიონებში.

შიდა აჭარის კლიმატური პირობები პერსპექტიულია მეთამბაქოეობის, მევენახეობისა და კონტინენტური მეხილეობის განვითარებისათვის. ვენახი აქ ადის ხულოს ზევით, 900 — 1000 მ სიმაღლეზე ზ: დ. საუკეთესო ხარისხის პროდუქციას მევენახეობა იძლევა შუახევის რაიონში, 300 — 500 მ სიმაღლეზე. ამ ზონაში რთველის პერიოდში (ოქტომბერი) საშუალო თვიური ტემპერატურა 14°-ზე მეტია, რაც საუკეთესო პირობებს ქმნის ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

შ ა ვ ი ზ ღ ვ ა. აჭარის ასსრ დასავლეთით რამდენიმე ათეული კმ-ის მანძილზე ესაზღვრება შავ ზღვას. სამხრეთით სანაპირო ზოლი იწყება მდ. ჭოროხის მიერ მოტანილი ნაშალი მასალით აგებულ კახაბერის ალუვიური დაბლობით. კახაბერის დაბლობი და ბათუმის ყურე ახალგაზრდა წარმოშობისა არიან. ბათუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ყურე საუკეთესო ბუნებრივ ნავსადგურს წარმოადგენს და თავისი ღირსებ-ებით იგი შავ ზღვაზე სევასტოპოლის ყურეს თუ ჩამოუვარდება. ბათუმის ყურე-დან ჩრდილოეთით ზღვასთან უშუალო სიახლოვეს მოდის ძველი ეულკანური ქანების სამი კლდოვანი შვერილი — ციხისძირთან, მწვანე კონცხთან და მახინ-ჯაურთან.

ქედების გაწშტოებებს შორის მდებარეობენ მთის მდინარეთა—ყოროლის—წყლის, ჩაქვის—წყლის, კინტრიშის და სხვ. შესართავები. მათი ხეობების ქვედა ნაწილები გაგანიერებულია და წარმოქმნილია სხვადასხვა სიდიდის ვაკე-დაბლო-ბები.

შავი ზღვა თევზით, საერთოდ, არ არის მდიდარი. ეს აჭარის სანაპირო ზოლსაც ეხება. ძირითადი სარეწაო მნიშვნელობა აქვს ხამსას, სტავრიდას, პე-ლამიდას, კამბალას, კეფალს. ყოველწლიურად აჭარის ნაპირებთან იჭერენ რამ-დენიმე ათას ცენტნერ თევზს. მომავალში თევზჭერის მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობანი ერთობ შეზღუდულია. ასეთ პირობებში მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული შორეული თევზჭერის განვითარება (ატლანტურ ოკეანე-ში და სხვ.).

შ ი დ ა წ ყ ლ ე ბ ი. აჭარის ასსრ მდინარეები, ამ კუთხის მთიანი რელი-ეფის შესაბამისად, დიდი დახრილობით ხასიათდებიან, რაც უხვ ატმოსფერულ ნალექებთან ერთად განაპირობებს ჰიდროგრაფიული ქსელის საერთო სიხშირეს საკვლევ ტერიტორიაზე. მდინარეთა უმეტესობას სუსტი კლაკნილობა, ციცაბო და მაღალი ნაპირები ახასიათებს.

ჩამონადენის მოდული აჭარის ტერიტორიაზე საკმაოდ მნიშვნელოვან სი-დიდეებს აღწევს. დასავლეთ, ზღვისპირა რაიონებში ჩამონადენის მაქსიმუმი შემოდგომა-ზამთარზე მოდის, შიდა აჭარის მდინარეებს კი გაზაფხულის ჩამონა-დენის სიკაბე ახასიათებს.

აჭარის მდინარეთა შორის თავისი სიდიდით გამოირჩევა ჭოროხი. იგი სათა-ვეს იღებს თურქეთში, გიავურდაგის ქედის კალთებზე (ტავრის მთიანი სისტემა) 2700 მ სიმაღლეზე ზ. დ. სიგრძე მისი აღწევს 500 კმ-ს. აქედან საბჭოთა კავშირ-ზე მოდის მხოლოდ 20 კმ. აჭარის ფარგლებში ჭოროხი უხვწყლიან და ფართო მდინარეს წარმოადგენს. მისი საშუალო ხარჯი სოფ. ერგესთან შეადგენს 300 მ³/სეკ., მაქსიმალური 1800 მ³/სეკ, მინიმალური 50 მ³/სეკ. თავისი წყლიანობით ჭოროხს მეორე ადგილი უჭირავს საქართველოში რიონის შემდეგ.

ძველთაგანვე ჭოროხი წარმოადგენდა სასიცოცხლო არტერიას, რომელიც შავშეთს უკავშირდება სხვა ქართულ პროვინციებს შავიზღვისპირეთში. მასზე გაცხოველებული ნაოსნობა წარმოებდა X X საუკუნის დამდეგამდე. ამჟამად ჭო-როხზე მხოლოდ უახლოესი ადგილობრივი გადაზიდვები წარმოებს.

აჭარის ასსრ წყლის მთავარ არტერიას წარმოადგენს ჭოროხის მარჯვენა შე-მდინარე მდ. აჭარისწყალი, რომელიც კვეთს თითქმის მთელ ავტონომიურ რეს-პუბლიკას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. იგი სათავეს იღებს არსიანის ქე-დის დასავლეთ კალთებზე 2379 მ სიმაღლეზე ზ. დ. და 90 კმ დინების შემდეგ ერთვის ჭოროხს. აჭარისწყალი საკმაოდ უხვწყლიანი მდინარეა, მის შემდინარე-თა შორის აღსანიშნავია სხალთა, მარიტისხევი, ჭვანა, მერისი. ჭოროხის შენაკად-ებს შორის, აჭარისწყლის გარდა, უნდა მოვიხსენიოთ მდ. მაჭახელისწყალი. აჭა-რის სხვა მნიშვნელოვან მდინარეებს შორის აღსანიშნავია ყოროლის—წყალი, ბარცხანა, ჩაქვის-წყალი და, განსაკუთრებით, კინტრიში. ამ უკანასკნელს სიგრ-ძით (49 კმ) და წყლიანობით მესამე ადგილი უკავია აჭარის მდინარეთა შორის.

აჭარის მდინარეებს მრავალგვარი გამოყენება აქვთ. ძველთაგანვე მათ იყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებდნენ წყლის წისქვილებისათვის, სასმელ წყლად და ა. შ. ჭოროხზე წყალმა-ლედა ნაოსნობა და ხე-ტყის დაცურება. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აჭარის მდინარეებს, როგორც ენერგიის წყაროს. ნალექების უდიდესმა რაოდენობამ და სიმაღლეთა მკვეთრმა სხვაობებმა განაპირობეს აჭარის მდინარეების ჰიდროენერგორესურსების დიდი მარაგი. მხოლოდ მდ. ჭოროხის აუზის (აჭარის ფარგლებში) ჰიდროენერგორესურსები უდრის 0,6 მლნ. კვტ-ს, ხოლო თეორიულად შესაძლებელი ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 5 მლრდ კვტ/საათზე მეტია. რაც შეეხება დასავლეთ აჭარის მნიშვნელოვან მდინარეებს (ენტრიში, ჩაქვის-წყალი და სხვ.), თითოეული მათგანის პოტენციური მარაგი ათეულ ათას კვტ-ს შეადგენს. დღესდღეობით ეს დიდი ჰიდროენერგორესურსების მარაგი მხოლოდ უმნიშვნელოდ არის გამოყენებული (დაახლოებით 2%-ოდენობით) და მისი სრული ათვისება მომავლის საქმეა.

აჭარა ტბებით არ არის მდიდარი. კახაბერის დაბლობზე გვხვდება მცირე ზომის რელექტური ტბები, რომელთაც არსებითი ეკონომიური მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

ჭაობებს აჭარაში ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ ეკავათ დიდი ფართობი. ამჟამად მათი ნაწილი ამოშრობილია. შერჩენილი ჭაობები თავმოყრილია კახაბერისა და ქობულეთის დაბლობებზე. მათი ფართობი თანდათან მცირდება სისტემატური სამელიორაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად.

ნ ი ა დ ა გ ე ბ ი. აჭარის ასსრ ნიადაგსაფარი რამდენიმე ძირითადი ტიპით არის წარმოდგენილი, რომელთა გავრცელებაში თავს იჩენს ვერტიკალური ზონალობა. დაბლობი და გორაკ-ბორცეანი ზონისათვის დამახასიათებელია წითელმიწები, რომლებიც ქ. ქობულეთის ჩრდილოეთით იცვლება გაეწრებული, ნაწილობრივ დაჭაობებული ყვითელმიწა ნიადაგებით. დიდი სიმძლავრის მქონე წითელმიწებს უფრო მეტად დამრეცი ფერდობები უჭირავს; ციცაბო ფერდობებზე მათ ახასიათებთ ნაკლები განვითარება და სისქე, ზოგან კი ისინი ძლიერ ჩამორეცხილნი არიან.

წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები საუკეთესო პირობებს ქმნის ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული კულტურების გაშენებისათვის. ადამიანის აქტიური ჩარევის შედეგად, ამ სახის ნიადაგები საგრძნობლად სახეშეცვლილი და გაუმჯობესებულია. ეროზიული მოვლენის ინტენსივობის მკვეთრ შენელებას ხელი შეუწყო ფერდობების ტერასირებამ, რაც ფართო მასშტაბით ჩატარდა. დაბალ ზონაში, მდ. მდ. ჭოროხის, აჭარისწყლის, ჩაქვისწყლის ხეობების ქვეშო ნაწილებში, ქობულეთის დაბლობის ვიწრო ზღვისპირა ზოლში და კახაბერის დაბლობზე გავრცელებულია ალუვიური ნიადაგები. მათი გამოყენება შესაძლებელია სიმინდისათვის, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისათვის, ავრეთვე, სუბტროპიკული ნარგავებისათვის.

წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგების ზონის ზევით წარმოდგენილია მთატყის ყომრალი ნიადაგები. ისინი გავრცელებულნი არიან 1700 — 1900 მ-დე ზ. დ. და ყველაზე უფრო ვრცელი ფართობი უკავიათ საკლევი რაიონის ფარგლებში. მთა-ტყის ყომრალი ნიადაგები გამოიყენებიან თამბაქოსათვის, მარცვლეული კულტურებისა და ა. შ. მათ, განსაკუთრებით, თამბაქოს კულტურის გაშენების ადგილებსა და ტყის მასიური ჭრის რაიონებში ახასიათებთ ძლიერი ეროზია.

არსიანის, შავშეთისა და აჭარა-გურიის ქედების ზედა სარტყლებში, სადაც წარმოდგენილია სუბალპური და ალპური მდელოების მცენარეულობა, ფართოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არის გავრცელებული მთამდელოს ნიადაგები. მათ უკავიათ 1800 — 2000 მ-ზე მაღლა მდებარე ტერიტორია.

მ ცენარეულობა. აჭარის ასსრ მცენარეული საფარი განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია. ამ მხრივ საკვლევი რაიონი უნიკალური კუთხეა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

აჭარის დასავლეთ ნაწილში, 500 მ-დე ზ. დ., ადგილ-ადგილ შემორჩენილია კოლხეთის ტიპის ტყე, თუმცა ამ სარტყელისათვის დღევანდელ პირობებში უფრო მეტად დამახასიათებელია კულტურული მცენარეულობა. კოლხეთის ტიპის ტყე შედგება მუხისაგან, რცხილისაგან, წაბლისაგან. მას ახასიათებს ფოთოლმცვენი და მარადმწვანე ბუჩქნარისაგან შემდგარი მდიდარი ქვეტყე.

500-დან 1000 — 1200 მ-დე წარმოდგენილია საშუალომთიანი ზონის ფართოფოთლოვანი ტყეები. ისინი შედგებიან წიფლისაგან, ნაწილობრივ მუხისაგან, რცხილისა და ცაცხვისაგან. ამ ზონაში, განსაკუთრებით 700 მ-დე ზ. დ., გაბატონებულია წიფლის ტყეები, რომლებსაც შედარებით ღია ადგილებში ენაცვლება როდოდენდრონისაგან შემდგარი მარადმწვანე ბუჩქნარი.

1000 — 1200 მ-ზე მაღლა ჩვეულებრივია სოჭისა და ნაძვის ტყეები. ხშირად ისინი მთლიან მასივს ქმნიან. აჭარაში ტყის ზედა საზღვარი გადის 1800 — 2000 მ-ზე ზ. დ., უფრო ზევით მდებარე სარტყლისათვის დამახასიათებელია ხშირი ბუჩქნარები, პონტური როდოდენდრონის სიქარბით. კიდევ უფრო მაღლა ვრცელდება სუბალპური და ალპური მდელოები.

განსხვავებულ სურათს იძლევა შიდა აჭარის მცენარეული საფარი, რომელიც ამ მხარის კლიმატური თავისებურებების შედეგად, ქსეროფიტულ იერს ატარებს. აქ გვხვდება მაქისის ტიპის მცენარეული დაჯგუფებანი, მთის ტყეები ქართული მუხით, ნაძვითა და სიმშრალის მოყვარული სხვა ჯიშებით.

აჭარის ბუნებრივ მცენარეულობას მრავალგვარი გამოყენება აქვს. მრავალი სახეობის მცენარე შეიძლება გამოყენებულ იქნას ქიმიურ-ფარმაცევტულ მრეწველობაში, ლაქ-საღებავების წარმოებისათვის, მთრთიმლავი ნივთიერებების მისაღებად, მეფუტკრეობის ბუნებრივ საწარმოო ბაზად და სხვ. საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარის ტყეებს მერქანის მისაღებად. ტყიანობის დონით საკვლევ რაიონს ერთერთი წამყვანი ადგილი უკავია საქართველოში. ტყეებისა და ბუჩქნარების საერთო ფართობი შეადგენს 173,8 ათას ჰას, ანუ აჭარის ტერიტორიის 60%; ამ მაჩვენებლით აჭარა ერთნახევარჯერ სჭარბობს საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებელს.

საკუთრივ ტყეების ფართობი შეადგენს 157,3 ათას ჰა-ს, რომლებიც ადმ. რაიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (ათასი ჰა): ქობულეთის 38,3, ბათუმის 23,5, ქედის 30,2, შუახევის 32,2, ხულოს 33,1, ამ ტყეების ჯიშობრივი შემადგენლობა შემდეგია (სახელმწიფო ტყეების მიხედვით): წიფელი 54%, ნაძვი 17%, სოჭი 13%, წაბლი 5%, წყავი 5%, თხმელა 4%, რცხილა 1%, სხვა 1%.

აჭარის ტყეებს ძირითადად ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი და საკურორტო მნიშვნელობა გააჩნია. მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ექსპლოატაცია ზომაზე მეტად წარმოებს. წამყვანი სამრეწველო ჯიშებია ნაძვი, სოჭი, წიფელი, წაბლი. მიღებული მერქანი უმეტესად მშენებლობას ხმარდება; მნიშვნელოვანი რაოდენობით ხდება მისი გადამუშავება აგრეთვე ბათუმის საწარმოებში. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ აჭარის ტყეები არარაციონალურად იჩეხება, რამაც გამოიწვია ნიადაგის ძლიერი ეროზია, მეწყერები და სხვა უარყოფითი ბუნებრივი მოვლენები. განსაკუთრებით გამეჩხერდა წაბლის ტყეები. უკანასკნელი ათეული წლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მანძილზე შეიმჩნევა აგრეთვე ტყის ზედა საზღვრის საგრძნობი დაწევა. ... ტეგორიულად უნდა დადგეს საკითხი, რომ უსისტემო ექსპლოატაცია აკრძალულ იქნას და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა მიაქციონ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება.

აჭარის ბალახეული საფარი მნიშვნელოვან საკვებ ბაზას წარმოადგენს ადგილობრივი მეცხოველეობისათვის. საძოვრების საერთო ფართობი აჭარაში შეადგენს 31,1 ათას ჰა-ს. მათი უმეტესი ნაწილი თავმყრილია ხულოსა (15.9 ათასი ჰა) და შუახევის (9,3 ათასი ჰა) რაიონებში, არსიანისა და შავშეთის ქედების მაღალმთიან ნაწილებში.

ცხოველთა სამყარო. აჭარის ცხოველთა სამყარო შედარებით კარგად არის შემონახული. ძუძუმწოვრებიდან გვხვდება დათვი, კვერნა, გარეული ღორი, ქურციკი, არჩვი, ირემი. მტაცებლებიდან აღსანიშნავია მგელი, გარეული კატა, იშვიათად ფელა. ორნიტოფაუნა არ არის მდიდარი, თუ არ ჩავთვლით მიმომფრენ ფორმებს, რომლებიც იზამთრებენ მდ. ჭოროხის შესართავში. მათი სარწყაო მნიშვნელობა უაღრესად მცირეა. საკმაოდ მრავალფეროვანია ენტომოფაუნა, რომლის რამდენიმე ათეული სახეობა მავნებელ მწერთა რიცხვს მიეკუთვნება. დაჭაობებული ადგილების მნიშვნელოვანი ფართობი და კლიმატური თავისებურებანი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ აქ კოღოების გამრავლებისათვის.

II. ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ასსრ შედარებით მცირე ფართობი უჭირავს, მის ტერიტორიაზე მკაფიოდ გამოიყოფა ორი ძირითადი ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეული: 1. დასავლეთის (ზღვისპირა) რაიონი და 2. აჭარის-წყლის (ანუ შიდა აჭარის) რაიონი. ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად, პირველი მათგანი მოიცავს ქობულეთის და ბათუმის, ხოლო მეორე ქედის, შუახევის და ხულოს რაიონებს. ამ ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონების ლანდშაფტების ჩამოყალიბებაში ძირითადი როლი შესასრულეს ოროგრაფიულმა პირობებმა. მათ საფუძველზე ცალკეული ფიზიკურ-გეოგრაფიული კომპონენტებიც განსხვავებულ სურათს იძლევიან. აჭარის ლანდშაფტები შესწავლილი აქვს ნ. ჯიბუტს, ქ. ალასანიას, ა. ტერელაძეს და სხვ.

1. დასავლეთი აჭარა ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო რაიონია დასავლეთ ამიერკავკასიაში და, საერთოდ, მთელს საბჭოთა კავშირში. ნოტიო სუბტროპიკების ზონა აქ ტიპიურ სახეს იღებს. სიმაღლეთა დიდი ამპლიტუდების გამო (2700—მ-დე) ეს მთლიანი ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონი ლანდშაფტთა ნაირსახეობით გამოირჩევა. დასავლეთ აჭარაში მიზანშეწონილად უნდა იქნას მიჩნეული შემდეგი ლანდშაფტური ზონების გამოყოფა:

ა) ზღვისპირა ვაკეებისა და გორაკ-ბორცვების ზონა, მკვეთრად გამოხატული ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით, კულტურული მცენარეულობის პატონობით, 200 მ სიმაღლემდე ზ .დ.

ბ) მთისწინების ზონა 200-დან 500 მ-მდე ზ. დ., ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით, კოლხეთის ტიპის ტყის მცენარეულობით.

გ) დაბალ და საშუალო მთიანი ზონა 500-დან — 2000 მ-დე ზ. დ., ზომიერი კლიმატით, ფოთლოვანი და შერეული ტყეებით.

დ) მაღალმთიანი ზონა 2000 მ ზეკვეთ ზ. დ., ზომიერად ცივი კლიმატით, ალპურ და სუბალპურ მცენარეულობით.

ზღვისპირა ვაკეებისა და გორაკ-ბორცვების ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ა ს უკავია რამდენიმე ასეული კვ. კმ ფართობი. მისი ძირითადი მორფოლოგიური ერთეულებია: კახაბერის, ჩაქვისა და ქობულეთის დაბლობები, ბათუმი—მწვანე კონცხის, ციხისძირისა და ოჩხამურის გორაკ-ბორცვიანი რაიონები. აქ არის წარმოდგენილი ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი თავისი ყველაზე უფრო ტიპიური სახით. ამ ზონას ახასიათებს მაღალი საშუალოწლიური ტემპერატურები (13 — 14,5°), მაღალი სინოტივე (75%), ნალექების უფრო ან ნაკლებ დიდი რაოდენობა (წელიწადში 2200 — 2500 მმ-დე). საშუალოწლიური ტემპერატურები აჭარის ზღვისპირეთში ხშირად უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთი ევროპის (პირინეის და აპენინის ნახევარკუნძულების) სანაპირო რაიონების ანალოგიური მაჩვენებლები. ყველაზე უფრო ახლოს დგას აჭარის სანაპიროს კლიმატთან, როგორც ტემპერატურული მაჩვენებლებით, ასევე ნალექების საერთო რაოდენობით და სინოტივით, არა ხმელთაშუაზღვისპირეთის, არამედ სამხრეთი იაპონიის კლიმატი. ამის შედეგად იაპონიის აღნიშნული ნაწილის მცენარეული საფარის ბევრი წარმომადგენელი წარმატებით იქნა აკლიმატიზებული აჭარის ზღვისპირეთში.

ნიადაგები ამ ზონაში წარმოდგენილია უმეტესად ტიპიური წითელმიწებით, ქობულეთის რაიონში კი, ნაწილობრივ, ყვითელმიწებით, რაც თითქმის მთლიანად დაკავებულია ჩაის პლანტაციებით და სხვა, ძირითადად სუბტროპიკული, სასოფლო-სამეურნეო კულტურებით. მნიშვნელოვანი ფართობები უკავია ალუვიურ ნიადაგებსაც მდინარეთა ხეობების გაყოლებით და კახაბერის დაბლობზე.

საკვლევი ზონის მცენარეულობა მეზოფილურ ხასიათს ატარებს. თავისი პირველადი სახით იგი წარმოდგენილი იყო კოლხეთის ტიპის ტყისა და ჭაობის მცენარეულობით. ამჟამად ამ რაიონში გაბატონებულია, როგორც ადგილობრივი წარმოშობის, ისე შემოტანილი კულტურული მცენარეული საფარი.

ნალექების დიდი რაოდენობის გამო, ამ რაიონის ჰიდროგრაფიული ქსელი ძალზედ ხშირია. მდინარეები, მიუხედავად თავისი სიმოკლისა, ხასიათდებიან უხვწყლიანობით. მათი ხეობების ქვემო ნაწილები გაგანიერებულია და იქ წარმოქმნილია საკმაოდ ფართო ვაკეები, გამოსადეგი სასოფლო-სამეურნეო თავისებისათვის.

აჭარის ზღვისპირა ზოლი სამხრეთ-დასავლეთით იწყება სარფის გორაკ-ბორცვიანი მიკრორაიონით, რომელიც წარმოადგენს ჭანეთის ქედის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ განშტოებათა დაბოლოებას. მთები აქ ძალზედ ახლოსაა ზღვასთან, რის გამო ვიწრო სანაპირო ზოლი კარგად არის დაცული ცივი ქარებისაგან და მაღალი ტემპერატურებით ხასიათდება. საშუალოწლიური ტემპერატურა აქ მაქსიმალურ სიდიდეს აღწევს (15° და მეტი), რაც წითელმიწა ნიადაგების არსებობასთან ერთად ხელს უწყობს ჩაის კულტურის ფართო გავრცელებას. ოპტიმალური კლიმატური პირობები არსებობს ამ მიკრორაიონში ციტრუსების (განსაკუთრებით მანდარინის და ფორთოხლის) გაშენებისათვისაც.

სამეურნეო თვალსაზრისით აჭარის ასსრ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რაიონს წარმოადგენს კ ა ხ ა ბ ე რ ი ს დ ა ბ ლ ო ბ ი. იგი საკვლევი ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, მახინჯაურისა და გონნოს კონცხებს შორის. სიგრძე მისი 18 კმ-მდეა, სიგანე 10 — 12 კმ. კახაბერის დაბლობს აქვს ტალღოვანი მდებარეობა, ამიტომაც, მიუხედავად ზამთრის მაღალი ტემპერატურებისა, ზოგჯერ (მაგ. 1949/50 წ. ზამთარში) ტემპერატურა საკმაოდ დაბლა ეცემა (—9°-მდე). მთელი ეს დაბლობი ოდესღაც გაუვალ ტყეებს ეჭირა, მაგრამ ადამიანის მრავალსაუკუნოვანი სამეურნეო ზემოქმედების შედეგად აქ წარმოიქმნა კულტურული ლანდშაფტი. დაბლობის უმეტესი ნაწილი (შემაღლებული ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები) უკავია მანდარინის, ფორთოხლის, ევკალიპტის პლანტაციებს. აქ არსებული ალუვიური ნიადაგები გამოდგება სიმინდის, ბოსტნეულის და სხვა კულტურებისათვის. ქ. ბათუმის საგარეუბნო ტიპის სოფლის მეურნეობის შესაქმნელად სწორედ კახაბერის-დაბლობზე არსებობს საუკეთესო ბუნებრივი და ეკონომიური პირობები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ კუთხის სოფლის მეურნეობაში ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემდგომი დანერგვა სიმინდით დაკავებული ფართობების შემცირების ხარჯზე.

კახაბერის დაბლობის მნიშვნელოვანი ნაწილი მისი ვაკე ხასიათის გამო გამოყენებულია ბათუმის განაშენიანებისათვის.

მახინჯაურიდან მოყოლებული იწყება მახინჯაური-მწვანე კონცხის გორაკ-ბორცვიანი მიკ�რორაიონი. იგი წარმოქმნილია ჩაქვის ქედის განშტოებათა დაბლობებით. კულტურული მცენარეულობა, ამ რაიონის მიკროკლიმატური პირობების შესაბამისად, განსაკუთრებით მრავალფეროვანია, რასაც ხელს უწყობს მწვანე კონცხზე გაშენებული უნიკალური ბოტანიკური ბაღის არსებობა. მას 108 ჰა ფართობი უკავია, რომელზედაც ტროპიკული და სუბტროპიკული სარტყლისათვის დამახასიათებელი მრავალი ასეული სახეობის მცენარეა წარმოდგენილი. ბევრ მათგანს, შესაძლოა, მომავალში სამრეწველო მნიშვნელობა მიეცეს. მწვანე კონცხისა და მახინჯაურის გორაკ-ბორცვებზე გაშენებულია ჩაი, ციტრუსები, ხურმა, ტუნგი, ბამბუკი, ევკალიპტი. მომავალშიც ეს მიკრო-რაიონი წარმოგვიდგება, როგორც უზარმაზარი საცდელი საოგური ახალი სითბომოყვარული კულტურების სამეურნეო ათვისებისა და დანერგვისათვის.

მწვანე კონცხის ჩრდილოეთით მდებარეობს შედარებით მცირე ტერიტორიის მქონე, მაგრამ ეკონომიურად ძალზე განვითარებული ჩაქვის დაბლობი, რომელსაც დასავლეთი აჭარის ცენტრალური ნაწილი უკავია. აქაც ტიპიური ნოტიო სუბტროპიკული კლიმატია წარმოდგენილი, თუმცა აბსოლუტური მინიმუმი -11°-მდე ეცემა. გაშენებულია ჩაი, ციტრუსები, ტუნგი, ბამბუკი, აგრეთვე კვიპაროსი, ევკალიპტი და მრავალი სხვა ტექნიკური და დეკორაციული მცენარე.

ჩაქვის დაბლობი ჩრდილოეთით გადადის ციხისძირის -გორაკ-ბორცვებში, რომლებიც ზღვაში ციცაბოდ დაშვებულ ქობულეთის ქედის დასავლეთ დაბლობებს წარმოადგენენ. ამის გამო რელიეფი აქ დიდი დახრილობით ხასიათდება და მოვაკებული ფართობები უმნიშვნელოა.

ციხისძირის ბორცვების ჩრდილოეთით იწყება საკმაოდ ვრცელი ქობულეთის დაბლობი. იგი ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით ხასიათდება. თუმცა საშუალოთეიური და საშუალოწლიური ტემპერატურები აქ 1-2° უფრო დაბალია, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთ აჭარაში. აბსოლუტური მინიმუმი -14°-მდე ეცემა. დაბლობის მნიშვნელოვანი ნაწილი ნათესებს უჭირავს (ძირითადად სიმინდს); შემაღლებულ ადგილებში ხარობს ციტრუსები, ტუნგი და განსაკუთრებით, ჩაი. ზღვისპირა ზოლში მეტად კარგი წინამძღვრებია საკურორტო მშენებლობისათვის. ამ მიკრორაიონის ბუნებრივი პირობები, გარდა წამყვან დარგის მეჩაიეობისა, ნაწილობრივ ხელს უწყობს ციტრუსების, სიმინდის და მებოსტნეობის განვითარებას. სამელიორაციო სამუშაოთა ჩატარების შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულს, შესაძლოა, კიდევ მნიშვნელოვანი ფართობები შეემატოს.

ქობულეთის დაბლობის აღმოსავლეთით მდებარეობს ქობულეთი-ოჩხამურის გორაკ-ბორცვიანი მიკრორაიონი. მისი საშუალოწლიური ტემპერატურები უფრო მაღალია, ვიდრე ქობულეთის დაბლობზე, აბსოლუტური მინიმუმი-12° ქვევით არ ჩამოდის. ნიადაგები ძირითადად წითელმიწაა. ეს ერთ-ერთი წამყვა-

ნი ჩაისმწარმოებელი რაიონია აჭარაში. იგი ხელსაყრელია მეციტრუსეობისთვის (განსაკუთრებით მანდარინის) განვითარებისათვისაც.

მთიანი ზონა ვრცელდება, შედარებით ვიწრო ზოლის სახით 200-დან 500-მდე ზ-დ. იგი შექმნილია აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ, დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ და შავშეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთი განშტოებებით. ეს ზონა ხასიათდება ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით. ჰაერის საშუალოწლიური ტემპერატურა 12-13° აღწევს. მცენარეული საფარი წარმოდგენილია კოლხეთის ტიპის ტყით, რომლის მთავარი ჯიშებია წიფელი და წაბლი. ამ ზონის ტყეები მნიშვნელოვან წილად გაჩეხილია და მათი ადგილი დაიკავა კულტურულმა მცენარეულობამ.

წინამთების ზონის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით 400 მ სიმაღლემდე, შეიძლება გამოყენებულ იქნას სუბტროპიკული კულტურებისათვის, რადგან ტემპერატურული ინვერსიების გამო აბსოლუტური მინიმუმები აქ თითქმის იგივეა, რაც დაბლობ და გორაკ-ბორცვიან ზოლში. გამოსაყენებლად ვარგისი იქნება თავმოყრილია მდ. მდ. ჩაქვისწყლის, კინტრიშის და სხვათა ხეობებში. სასოფლო-სამეურნეო ფართობების ზრდა ამ ზონაში შესაძლებელია, მრავალრიცხოვანი ბუჩქნარების გაჩეხვის ხარჯზე. გარდა ციტრუსებისა აქ კარგად უნდა იხაროს ბროწეულმა, ხურმამ, ატამმა, მსხალმა, ვაშლმა. ამიტომ წინამთების ზონას გააჩნია შესაძლებლობა სპეციალიზებული იქნეს როგორც სუბტროპიკულ კულტურებზე, ისე მეხილეობაზე.

დაბალთოვანი და სამუალმთიანი ზონა ვრცელდება 500-დან 2000 მ-დე ზ. დ., უჭირავს რა აჭარა-იმერეთის ქედის დასავლეთი ნაწილი, მისი განშტოებები ჩაქვისა და ქობულეთის ქედების სახით, აგრეთვე შავშეთის ქედის მცირე ნაწილი. იგი ხასიათდება ხომიერი კლიმატით, გრილი ზაფხულითა და თბილი ზამთრით. ნიადაგსაფარი წარმოდგენილია უმეტესად მუქი ყომრალი (1000-1100 მ-დე ზ.დ.) და ღია ყომრალი ნიადაგებით (1000-2000 მ ფარგლებში). მცენარეულობა, ძირითადად, ფოთლოვანი და შერეული ტყეებისაგან შედგება, ამასთანავე 1200 მ-მდე სჭარბობს წიფლისა და წაბლის ტყეები, უფრო ზევით კი წიწვოვანები. ტყის ზედა საზღვარი დაახლოებით თანხდება საშუალმთიანი ზონის საზღვარს 1800-2000 მ-ის სიმაღლეზე გადის.

სამეურნეო თვალსაზრისით ეს ზონა ნაკლებად არის გამოსადეგი მოვაკებული და მცირე დაქანების მქონე ადგილების სიმცირის გამო. მდინარეთა ხეობებში ტერასები არამკვეთრადაა გამოხატული, ხეობები მეტწილად ღრმა და ჩამოკვეთილი ფერდობები გააჩნია. ამ მიზეზით ხშირია მეწყერული მოვლენები, ხოლო ტყეების გაჩეხვის ადგილებში გაძლიერებული ეროზია. ბუნებრივი რესურსებიდან ძირითადია ტყეები, თუმცა მათი ექსპლოატაცია ხშირად უსისტემო და და არარაციონალურად წარმოებს. ამ ზონის სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაცია განისაზღვრება მეხილეობის (ვაშლი, მსხალი) და მებოსტნეობის განვითარებით.

მაღალმთიანი ზონა მოიცავს 2000 მ ზ. დ. მაღლა მდებარე ტერიტორიას. მას მთლიანად ახასიათებს ცივი ტენიანი ზამთარი და ხანმოკლე გრილი ზაფხული. მდგრადი თოვლის საფარის ხანგრძლივობა 7-8 თვეს შეადგენს. მცენარეულობა სუბალპური ზონის ქვედა სარტყელში წარმოდგენილია ტანბრეცილა წიფლის ტყით და, ძირითადად, კავკასიური როდოდენდრონის ბუჩქნარით. აღნიშნულ მცენარეულ ფორმაციებს უფრო ზევით ცვლის სუბალპური მდელოები. იმის გამო, რომ აბსოლუტური სიმაღლეები მაღალმთიან ზონაში არ აღემატება 2600-2700 მ-ს, ალპური ზონა აქ ფრაგმენტულად არის წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენილი. მაღალმთიანი ზონის წამყვან ბუნებრივ რესურს საზაფხულო-საძოვრები წარმოადგენს. ისინი მოთავსებულნი არიან უმეტესად ხინოს მთაზე. მათი საერთო ფართობი შედარებით მცირეა (სულ 1,4 ათასი ჰა).

2. აჭარის წყლის ხეობის (შიდაჭარის) რაიონი. იგი მოიცავს ქედის, შუახევის და ხულოს ადმინისტრაციულ რაიონებს. მის თავისებურ ღერძს აჭარისწყლის ხეობა წარმოადგენს.

მდ. აჭარისწყლის ხეობა მდებარეობს განედური მიმართულების მქონე აჭარა-იმერეთისა და შავშეთის ქედებს შორის. მდ. აჭარის წყალი იწყება არსიანის ქედის დასავლეთ კალთებზე და შავი ზღვისაკენ მიედინება. აჭარისწყლის და მის შემდინარეთა ხეობები ღრმად არიან ჩაჭრილნი ქედებს შორის და ხასიათდებიან საკმაოდ ციცაბო ფერდობებით, რაც აფერხებს და ხშირად შეუძლებელს ხდის მათ სამეურნეო ათვისებას. დიდი სოფლები ოროგრაფიული პირობების შესაბამისად მდებარეობენ მდინარეთა ხეობების გაფართოებულ ნაწილებში ან ვიწრო ზოლად არიან გაჭიმულნი ხეობების გაყოლებით.

აჭარის-წყლის ხეობის კლიმატი შედარებით მშრალია, რადგანაც იგი მთებით არის დაცული შავი ზღვის პირდაპირი გავლენისაგან. საშუალო წლიური ტემპერატურები აქ მაღალია და 1000 მ სიმაღლემდე 10-13° ფარგლებში მერყეობს. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1000-1400 მმ არ აღემატება. ნალექების მინიმუმს, დასავლეთ აჭარის მსგავსად, ადგილი აქვს მაისში. ამ რაიონის ჰავაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ჯავახეთის ზეგანისა და ახალციხის ქვაბულის მშრალი კონტინენტური კლიმატი. ზაფხულის და შემოდგომის თვეები (ნოემბრის გარდა) გამოირჩევიან ნალექების შედარებით მცირე რაოდენობით და მაღალი ტემპერატურებით. ხულოში, მაგალითად, ივლისის და აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 18°-ზე მეტია, ქედაში კი თითქმის 22° აღწევს. აქტიური ტემპერატურათა ჯამი მერყეობს 3400°-დან (ბურტიო) 4000°-მდე ქედაში. აღნიშნული კლიმატური პირობები განსხვავებით ზედაპირა ზოლისაგან, იძლევა საშუალებას მევენახეობის, კონტინენტური მეხილეობისა და მეთამბაქოეობის განვითარებისათვის.

შიდა აჭარაში გაბატონებულია ტყის ყომრალი ნიადაგები. ისინი გამოირჩევიან საშუალო და მცირე სისქით, ხშირად ჩამორეცხილნი არიან. მცენარეული საფარი ფრიად განსხვავებულია ზღვისპირა ზოლთან შედარებით. აქ გვხვდება მაქესის ტიპის მცენარეული დაჯგუფებანი, ჭოროხის მუხით წარმოდგენილი ტყეები, კლდოვანი ქსეროფიტული მცენარეულობა, მთის ტყეები ქართული მუხის სიჭარბით, ნაძვის ტყეები და სხვა სიმშრალის მოყვარული მცენარეული ფორმაციები. წიფლისა და წაბლის ტყეები, რომლებიც ესოდენ ტიპიურია დასავლეთ აჭარისათვის, აქ შედარებით ნაკლებია. მცენარეულობის სიმაღლითი ზონები შიდა აჭარაში არ არის მკვეთრად გამოხატული. შიდა აჭარის ტყეების დაცვას, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უწესრიგოდ გაჩეხილია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებისას შიდა აჭარაში, განსხვავებით დასავლეთ აჭარისაგან, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფერდობების ექსპოზიციას, რადგან ქვემოთ და შუა სარტყელში ნაკლები ტენიანობის და შედარებით მშრალი კლიმატის პირობებში ფერდობების ექსპოზიციაზე არის დამოკიდებული ამა თუ იმ ადგილის მიკროკლიმატური თავისებურებანი.

აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია არსებული ბუნებრივი რესურსების უფრო სრულ და ეფექტურ ათვისება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე. ამიტომ საკვლევი ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონის მეურნეობრივი დაგეგმვა უნდა ეყრდნობოდეს აჭარის ასსრ გეოგრაფიული გარემოს უფრო ზუსტად შესწავლასა და რაციონალურად გამოყენებას.

Е. КОБАХИДЗЕ

ПРИРОДНЫЕ УСЛОВИЯ И РЕСУРСЫ АДЖАРСКОЙ АССР

Резюме

Аджарская АССР расположена на крайнем юго-западе Грузинской ССР. Ее периферийное географическое положение имеет ряд теневых сторон, что частично сглаживается наличием первоклассного морского порта Батуми. Аджария с трех сторон окружена хребтами: с севера — Аджаро-Имеретинским, с юга — Шавшетским и с востока Арсианским. Между ними располагается наклоненная к западу Аджарис-цкальская долина. Указанные хребты и их отроги обращены в сторону Аджарии своими крутыми и труднодоступными склонами, что сильно уменьшает возможности их хозяйственного освоения. На юго-западе и Северо-западе авт. республики имеется две значительных низменности — Кахаберская и Кобулетская, которые вместе с предгорьями являются экономически наиболее развитой частью Аджарии.

Из полезных ископаемых интерес представляют медные и полиметалические месторождения в долине р. Мериси. Они могут иметь промышленное значение. Из других полезных ископаемых эксплуатируются лишь некоторые виды сырья для промышленности строительных материалов, а также торф.

Климат Аджарской АССР, в связи с большими амплитудами высот, имеет ярко выраженную вертикальную зональность. Здесь представлены ряд чередующихся типов климата, начиная от влажного субтропического в приморской полосе и кончая холодным климатом субальпийской и альпийской зоны. В приморской полосе среднегодовая температура колеблется в пределах 13—14°, среднеянварьская 4—6° и среднеиюльская 22—23°. Среднегодовое количество осадков весьма значительно, составляя 2200—2500 мм, что является максимальным показателем для СССР. Что касается Внутренней Аджарии, то климат ее отличается большей сухостью.

Климат приморской полосы Аджарии благоприятствует разведению ряда ценных субтропических культур: чая, цитрусовых, тунга и др.

Значительное влияние на природные условия Аджарии оказывает Черное море. Береговая линия сравнительно расчленена, образуя очень удобную естественную Батумскую бухту. Рыбные запасы Черного моря у берегов Аджарии сравнительно невелики. Основное промысловое значение имеют хамса, ставрида, пеламида, камбала, кефаль. Ежегодный улов рыбы у берегов Аджарии исчисляется в несколько тысячи центнеров.

Речная сеть Аджарии, благодаря орографическим и климатическим условиям, отличается высокой степенью густоты. Крупнейшей водной артерией Аджарии является Чорохи, вторая по водности река Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა

(после р. Рионы). Из ее притоков особое значение имеют р. р. Аджарис-цкали и Мачахелис-цкали. В средней и северной части западной Аджарии надо отметить р. р. Чаквис-цкали, Кинтриши и др. Реки, Аджарии, благодаря значительным перепадам высот, обладают крупными запасами гидроэнергии, исчисляемые в сотни тысяч квт.

Растительность Аджарии исключительно богата и разнообразна, образуя уникальный флористический район. Леса занимают 157,3 тыс. га. Из лесообразующих пород преобладают бук, ель, пихта, каштан и др. Их значительная часть особенно в низменной и предгорной полосе, почти полностью уничтожена и ее место заняли культурные фитоценозы.

В связи с небольшим удельным весом территории, расположенной выше 2000 м над ур. моря, субальпийская и альпийская зоны представлены ограниченными массивами.

Животный мир Аджарии сохранился сравнительно хорошо, особенно в лесной зоне. Широко представлена энтомофауна.

На территории Аджарии выделяется две крупные физико-географических единицы: Западная Аджария и долина р. Аджарис-цкали (Внутренная Аджария).

Западная Аджария один из интереснейших районов в западном Закавказье и, вообще, в СССР. В результате значительных высотных амплитуд этот единый физико-географический район отличается разнообразием ландшафтов. Нами выделены следующие ландшафтные зоны: 1. Приморская равнинно-холмистая; 2. Предгорная; 3. Среднегорная и 4. Высокогорная. Каждой из них соответствует особое направление сельскохозяйственной специализации.

Внутренная Аджария характеризуется замкнутым орографическим положением и соответственно сухостью климата. Эта часть Аджарии специализируется на табаководстве, виноградарстве, плодоводстве, животноводстве. В горной части развито картофеловодство и в более пониженной частично внедряется чайная культура.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. ქ. ალასანია, აჭარის ასსრ დასავლეთი ნაწილის გეოგრაფიული ლანდშაფტები. ბათუმის რუსთაველის სახ. პედ. ინ-ტის შრომები, ტ. VI, 1958.
2. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941
3. ლ. ვლადიმიროვი, საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმი. საქ. მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, ნაკვეთი 2, თბ., 1948.
4. ლ. ვლადიმიროვი, ი. შაქარაშვილი, საქართველოს დარაიონება ძირითადი ჰიდროლოგიური ნიშნების მიხედვით. საქ. მეცნ. აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, ნაკვეთი 2, 1948.
5. ნ. კეცხოველი, საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები. თბ., 1935.
6. ნ. კეცხოველი, კულტურული მცენარეულობის ზონები საქართველოში, თბ., 1957.
7. ნ. კეცხოველი, საქართველოს მცენარეული საფარი, თბ., 1959.
8. თ. კიკილაშვილი, საქართველოს მდინარეთა ჰიდროგრაფია. საქ. მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, ნაკვეთი 2, 1948.
9. მ. ჯორჯანია, ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეჟიმი საქართველოში. საქ. მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინ-ტის შრომები, ტ. III, ნაკვეთი 2, 1948.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ნ. ნიკარაძე, აჭარის ალპური მეურნეობა, ბათუმი, 1943.
11. ნ. ნიკარაძე, ნ. ჯიბუტი, აჭარის ასსრ, ბათუმი, 1957.
12. თ. ნუცუბიძე, ჭობები, საქ. მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, ნაკვეთი 2, 1948.
13. თ. ნუცუბიძე, საქართველოს ტბები. საქ. მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, ნაკვეთი 2, 1958.
14. მ. საბაშვილი, საქართველოს სსრ ტენიანი სუბტროპიკული ზონის ნიადაგები, თბ., 1936.
15. მ. საბაშვილი, ნიადაგმცოდნეობა, თბ. 1948.
16. თ. ჩიქოვანი, ვ. ნიკოლაიშვილი, ჯოროხზე ნაოსნობის ისტორიიდან. აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის შრომები, ტ. III, ბათუმი 1958.
17. ალ. ჯავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, გეომორფოლოგია, თბ: 1926.
18. არჩ. ჯანაშვილი, ზოოგეოგრაფია, თბ., 1955.
19. ვ. ჯორბენაძე, აჭარის-წყლის ხეობის მცენარეულობის ზოგადი დახასიათება. ბათუმის რუსთაველის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1954.
20. М. М. Альбов, Очерк растительности Колхиды. Землеведение, кн. 1. 1896.
21. С. А. Анисимов, Батумское побережье, Бат. 1911.
22. Н. А. Веру, Батум и его окрестности. Бат. 1910.
23. Геология СССР, т. X. Закавказье, М., 1941.
24. К. С. Гогишвили, О режиме и краткосрочном прогнозе морозов, наносящих вред сельскому хозяйству Грузинской ССР. Диссерт. работа на соиск. уч. степени канд. географ. наук. Тб. 1953, на правах рукописи.
25. М. К. Дараселия, Красноземные и подзолистые почвы Грузии и их использование под субтропические культуры. Тб. 1949.
26. А. Н. Джавахишвили, Геморфологические районы Грузинской ССР, М.—Л., 1947.
27. В. И. Кавришвили, Ландшафтно-гидрологические зоны Грузинской ССР, Тбилиси, 1958.
28. М. Калинин, О почвах Аджарии, Тр. почв.-бот. эксп. 1916.
29. М. О. Кордзахия, Типы климатов Грузии и зоны их распространения. Сообщ. А. Н. Груз. ССР, 1946, № 8.
30. А. Н. Краснов, Очерки растительности ближайших окрестностей г. Батуми.
31. А. Н. Краснов, Южная Колхида и ее место среди других физико-географических областей земного шара, 1915.
32. С. С. Кузнецов и М. И. Трифонов, Материалы для геоморфологии Аджаристана. Мат. по геологии и петрографии ССР Грузии, вып. I, 1935.
33. Материалы по агроклиматическому районированию субтропиков СССР, вып. 1 — 2, Л., 1936—1938.
34. Природные ресурсы Грузинской ССР, т. 1 металические полезные ископаемые. М., 1958.
35. Природные ресурсы Грузинской ССР, т. 2. Неметаллические полезные ископаемые. М., 1959.
36. М. Н. Сабашвили, Почвы Грузии, Тб., 1948.
37. Е. В. Сохадзе, Ботанико-географической характеристике Колхидской низменности. Фонды института географии им. Вахушти АН Груз. ССР, 1959.

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ., შრ., ტ. XIX, 1962
Академия наук Груз. ССР—Труды Института географии им. Вахушти, т. XIX, 1962

კ. ანთაძე

აჭარის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი

(უძველესი დროიდან 1921 წლამდე)

აჭარის ასსრ ფარგლებში მთლიანად ან ნაწილობრივ შემოდის შუასაუკუნეების საქართველოს რამდენიმე პროვინციის ტერიტორია. (12, 27, 28, 50).

საკუთრივ აჭარა ეწოდებოდა მდინარე აჭარისწყლის აუზში მდებარე მხარეს. ისტორიულ აჭარაში ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ ზემო და ქვემო აჭარას, რომელთაც შესაბამისად ეკავათ მდინარე აჭარისწყლის აუზის ზემო და ქვემო ნახევარი.

აჭარა-გურიის ქედსა, შავ ზღვასა, ჭოროხსა და ჩოლოქს შორის მოქცეულ მხარეს უმთავრესად მოიხსენიებდნენ ქვემო გურიად.

მეძიბნა-მილისის ქედის სამხრეთით მდებარე მდინარე მაჭახლისწყლის ხეობა შავშეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს წარმოადგენდა და მას მიჯიხიანს უწოდებდნენ. ამჟამად საქართველოს საზღვრებშია მიჯიხიანის მხოლოდ დასავლეთი ნაწილი.

მსგავსად მიჯიხიანისა, თანამედროვე საქართველოს ფარგლებში შემოდის ნიგალის (შემდეგდროინდელი ლივანას) მხოლოდ ჩრდილო კუთხე, რომელიც იწყებოდა ბოლოკოსა და ხედის მთებიდან და აღწევდა ჭოროხთან აჭარის წყლის შესაყარს.

შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარე ჭოროხის შესართავის სამხრეთით, დღევანდლამდე შემოინახა აფსარ-გონიას კედლები; ამ ციხე-ქალაქმა მიმდებარე რაიონსაც გონიას სახელი დაუმკვიდრა.

გონიას სამხრეთით იწყებოდა საკუთრივ ჭანეთის (ლაზეთის) რიზეს მხარე, რომლის მხოლოდ ვიწრო ჩრდილო ზოლი ხედება საქართველოს თანამედროვე საზღვრებში.

რიზეს მხარე, გონია, ნიგალი, მიჯიხიანი, ქვემო გურია, ზემო და ქვემო აჭარა ქართველი ერის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ხშირად აღმოჩენილან ერთმანეთისაგან განსხვავებულ მდგომარეობაში და საქართველოს სხვა მხარეებისაგან მოწყვეტილნი. თუმცა უმეტესად ისინი გაერთიანებულნი იყვნენ დანარჩენ ქართულ პროვინციებთან.

დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს აღმოცენდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა დიდი გაერთიანება — კოლხა, რომლის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრის მდებარეობა ჭოროხის შესართავთანაა სავარაუდებელი [55]. რადგან თანამედროვე საბჭოთა ქართული ისტორიოგრაფია კოლხას თვლის არა ტომთა ჩვეულებრივ კავშირად, არამედ სახელმწიფოდ ქცევის მიჯნაზე მდგარ წარმონაქმნად [9], აჭარის ზღვისპირა მხარეში კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი შორს უნდა ყოფილიყო წასული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვ. წ. IX — VII სს. მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში სამეურნეო და საბრძოლო იარაღების დასამზადებლად რკინის მასობრივმა გამოყენებამ [55] დაარქარა საქართველოს წამყვან კუთხეებში და მათ შორის აჭარაშიც ეკონომიური და საზოგადოებრივი განვითარება. როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა დაამტკიცეს ბრინჯაოს მეტალურგიის ტრადიციების მქონე აჭარაში, ადგილობრივი მადნის გამოყენების გზით, უძველესი დროიდან ჩაეყარა საფუძველი რკინის გამოდნობას.

ძვ. წ. VIII საუკუნეში სკვითებისა და კიმერიელების შემოსევებმა ბოლო მოუღეს არგონავტების თქმულებაში აღწერილ კოლხას გაერთიანებას. მაგრამ ორი საუკუნის შემდეგ, შედარებით უფრო დაცულ კოლხას ჩრდილო ნაწილში (შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო მხარეში) ჩამოყალიბდა ეგრისის (კოლხეთის) აღრემონათმფლობელური სახელმწიფო [55]. ამ დასავლეთ ქართული სამეფოს სამხრეთი საზღვარი ჯერჯერობით არაა ზუსტად ლოკალიზირებული, რის გამოც ღიად რჩება, როგორც მთლიანად საკვლევი ტერიტორიის, ისე მისი ცალკეული კუთხეების კოლხეთის სახელმწიფოში შემავალობისა თუ ეგრისის მეფეებზე დამოკიდებულების საკითხი. უნდა ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის სამეფოს ძლიერების ხანაში საკვლევი ტერიტორიის დიდი ნაწილი, მეტადრე კი ზღვისპირა მხარე ეგრისის შემადგენლობაში შედიოდა.

ასევე არაა სადღეისოდ საბოლოოდ გადაჭრილი და გარკვეული ძვ. წ. III საუკუნეში შექმნილი ქართლის (იბერიის) სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი განვრცობის თავდაპირველი არეალი. შუა საუკუნეებიდან ჩვენამდე მოღწეული ეროვნული ისტორიული ტრადიციის მიხედვით საკუთრივ აჭარა ოდიდანვე აღმოსავლეთ-ქართულ გაერთიანების ფარგლებში შედიოდა. [31] ძველი დროიდან დაწყებული ქართველი და უცხოელი ავტორებიც ისტორიულ აჭარას იბერიის სამეფოს შემადგენელ ნაწილად და ერთ-ერთ საერისთაოდ სთვლიდნენ [31, 49, 56].

მონათმფლობელურიდან ადრეფეოდალურ ხანაზე გარდამავალ პერიოდშიაც ქართლისა და ეგრისის სამეფოებს შორის საზღვარი საკვლევ ტერიტორიაზე ალბათ ჩაქვისა და გურია-აჭარის ქედებს გასდევდა. სწორედ შესასწავლი რეგიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იუსტინიანე კეისრის განკარგულებით გამაგრებულ ძლიერ ციტადელის პეტრას (ციხისძირის) მიდამოებში ჰქონდა ადგილი სპარსეთ-ბიზანტიის VI საუკუნის ომების სისხლისმღვრელ ბრძოლებს, [25, 29] რამაც დიდი ზიანი მიაყენა ეგრისის სამეფოს ამ კუთხის მოსახლეობას. ბიზანტიელებისათვის პეტრაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ჭოროხის სამხრეთით მდებარე უძველესი საზღვაო ციხე-ქალაქი აფსარი (გონია), რომელიც მიმდებარე რაიონთან ერთად ანტიკური დროიდან მოყოლებული ბუფერულ ზონას წარმოადგენდა დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ქართულ სამეფოებსა და ბერძნულ-რომაულ სახელმწიფოებს შორის და ხელიდან ხელში გადადიოდა. [14, 15].

VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე შესასწავლ რეგიონს უაღრესად ხელსაყრელი პირობები შეექმნა სამეურნეო და სოციალური დაწინაურებისათვის. VIII საუკუნის მიწურულში ლეონ მეორის მოთავეობით აფხაზეთის სამეფოს დაარსებამ და IX საუკუნის დასაწყისში აშოტ ბაგრატიონის თაოსნობით ტაო-კლარჯეთის სამფლობელოს შექმნამ [9, 15, 42, 44, 48] საკვლევი ტერიტორია ფეოდალური საქართველოს შუაგულში მოაქცია. მის სამხრეთით ტაო-კლარჯეთის ბირთვმა დედაქალაქ არტანუჯით, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით აფხაზეთის სამეფოს ცენტრმა სატახტო ქალაქ ქუთაისით უდიდესი სამხედრო, პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა მოიპოვეს. ჯერჯერობით არაა ზუსტად დადგენილი ამ ორი ძლიერი ქართული სამთავროს გამყოფი საზღვრის დასავლეთი მონაკვეთი. [15, 48] სავარაუდებელია, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების კუთვნილი აჭარა შესასწავლ ეკონომიურ-გეოგრაფიულ რეგიონის მთიან მხარეს შეიცავდა, ხოლო ზღვისპირა ნაწილი აფხაზეთის სამეფოში შედიოდა.

ორივე ამ ქართულ სახელმწიფოში ადგილი ჰქონდა ეკონომიურ წინსვლას, უცხოელთა დამპყრობთაგან დანგრეულ ქალაქებსა და სოფლების აღდგენა-განვითარებას. ე. ი. ამ მხრივ ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა საკვლევი ტერიტორიის, როგორც ზღვისპირა, ისევე შიდამთიანი მხარეები. მოსახლეობის მომრავლებასა და მეურნეობრივ დაწინაურებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ გარეშე მტერი აჭარამდე თითქმის ვერ აღწევდა, ხოლო შიდაფეოდალურ ომების ასპარეზად IX — X საუკუნეებში ქართლი გადაიქცა. მაშინაც კი როდესაც საქართველოში პირველობის მოსაპოვებლად ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის მესვეურები ერთმანეთს ებრძოდნენ, ისინი სამხედრო მოქმედების ბრძოლებს ამჯობინებდნენ არა თავიანთი ფეოდების გამყოფ საზღვრებზე (მაგ. აჭარაში), არამედ ცენტრალურ ამირეკავკასიაში. [31, 34]

საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შემდეგ ე. წ. ქვემო გურია ჯერ ოდიშის საერისთაოს შემადგენლობაშია სავარაუდებელი, ხოლო უფრო მოგვიანებით, როდესაც გურია ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოიყო, ეს მხარე ალბათ გურიელს ექვემდებარებოდა. რაც შეეხება საკუთრივ აჭარას, მას მესხეთის თემებთან ერთად XI საუკუნის მეორე მეოთხედიდან მართავდნენ ბაგრატიონების მიერ დანიშნული აბუსერისძეები. კლდეკარის ერისთავების საქართველოს მეფეების წინააღმდეგ ბრძოლის დროს აბუსერისძეებმა დაჰკარგეს ციხისჯვარი და ოძრახე (1057 წ.), ხოლო უფრო მოგვიანებით შავშეთიც და XII საუკუნის მიწურულისათვის მათ საგანმგებლად მხოლოდ აჭარა დარჩათ [4, 12, 27, 31, 32].

დიდი თურქობის დროს, 1080 წელს საკვლევმა ტერიტორიამაც განიცადა უცხოელთა გამანადგურებელი შემოსევა, მაგრამ XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით საქართველოდან თურქ-სელჯუკთა განდევნის შემდეგ აჭარამ მოიშუშა მომთაბარეთაგან მიყენებული საშინელი იარები.

საკვლევი ტერიტორიის ზღვის სანაპიროს უძველესი დროიდან გასდევდა დასავლეთ საქართველოს სამხრეთთან დამაკავშირებელი მთავარი გზა, რომელიც მდინარე ჭოროხთან ორად იყოფოდა: ერთი შტო ჭოროხის ხეობით თეოდოსიოპოლისაკენ („შემდეგდროინდელ არზრუმისაკენ) მიემართებოდა („გზა კლარჯეთისა"), ხოლო მეორე — ზღვისპირით ტრაპიზონისაკენ. ამ დიდი მნიშვნელობის სახმელეთო მაგისტრალისა და ორივე მისი განშტოების გასწვრივ წარმოებდა საკბილაჟო ნაოსნობა. [28, 31, 43].

საკუთრივ აჭარა ზღვისპირეთსა და ახალციხეს უკავშირდებოდა აჭარის წყლის ხეობაში გამავალი გზით. იმ ადგილებში სადაც ეს გზა აჭარის წყლის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადადიოდა ან კვეთდა ამ მდინარის შენაკადებს ხშირად ქვის თაღიანი ხიდები იყო აგებული. მათგან ზოგიერთმა ჩვენ დრამდე მიაღწია. ეს ნაგებობები XII საუკუნით თარიღდებიან [22, 24, 28].

საგზაო ქსელი გამოიყენებოდა, როგორც სამეურნეო, ისევე სამხედრო მიზნებისათვის. გზების მეშვეობით აჭარის სხვადასხვა კუთხე ერთმანეთს, ნავიადგურებსა და საქართველოს სხვა მხარეებს უკავშირდებოდა. ადვილდებოდა საგარეო და საშინაო ვაჭრობა. ზღვისპირა და გორაკ-ბორცვიან ზონიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჰქონდათ მარცვლეული, ღვინო, ხილეული. სანაცვლოდ მთიანი რაიონებიდან შემოჰქონდათ მეცხოველეობის პროდუქტები, ხოლო ნავსაყუდლებიდან— ხელოსანთა ნაწარმი და უცხოური საქონელი.

გზების უმნიშვნელოვანესი მონაკვეთები გამაგრებული იყო, რათა მტერს მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში გაძნელებოდა სტრატეგიული კომუნიკაციების სწრაფი გადაკვრა. მაგალითად, ზემო და ქვემო აჭარის დამაკავშირებელ გზის უბანზე, დანდალოს ხიდთან აგებული იყო ციხეკოშკი. [22]

თუმცა ამ ხანებში აჭარაში საგზაო მშენებლობაზე ნაკლები ყურადღება რომ ეთმობოდა ეკლესიებისა და ტაძრების აგებას, ჩვენ დრამდე საკვლევი ტერიტორიის მხოლოდ რამდენიმე სოფელში (მაგ. სხალთაში, ვერნებში) შემორჩა შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტურის ნიმუშები და ისიც ძლიერ დაზიანებული [18, 24]. სახით. ეს გარემოება იიხსნება ოსმალოების მიერ ეკლესია-ტაძრების მასიური განადგურებით მათი ბატონობის შავბნელ ხანაში, როდესაც ბარბაროსი დამპყრობლები ცდილობდნენ ქრისტიანობის ამოგდებითა და მაჰმადიანობის გავრცელებით საბოლოოდ მოეწყვიტათ აჭარა დედა სამშობლოსაგან.

ეკლესია-ტაძრებიდან განსხვავებით აჭარაში შუა საუკუნეებიდან მრავალმა ციხე-სიმაგრემ მოაღწია. [8, 23, 24, 40]. მათი მრავალგზის შელეწილი და ადგგენილი კედლები მეტყველებენ აჭარის თავზე გარდავლილ საომარ ქარტეხილებზე.

ერთიანი ქართული სამეფოს არსებობის პირველ პერიოდში ბიზანტიის კეისრებმა მოახერხეს მცირე ხნით ხელში ჩაეგდოთ ჭოროხისა და შავ ზღვას შორის მოქცეული საკვლევი ტერიტორიის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი კუთხე. სავარაუდებელია, რომ XIII საუკუნის დამდეგიდან გონიოს ციხე და აღმოსავლეთი ჭანეთი საქართველოსა და თამარ მეფის მიერ დაარსებულ ტრაპიზონის საკეისროს საერთო მფლობელობაში იმყოფებოდა. [13, 14, 15].

იმავე ასწლეულის მიწურულიდან რიზე-ათინა-ხოფა-გონიოს პროვინციაშევიდა ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში და უშუალოდ სამცხე-საათაბაგოს შეუერთდა. ამავე ხანებში დაექვემდებარა ისტორიული აჭარაც სამცხე-საათაბაგოს განმგებლებს. მესხეთისა და გურიას შორის მოქცეული აჭარა და ჭანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის დაწყების შემდეგ, ხელიდან ხელში გადადიოდა. მათ ხან ათაბაგი ფლობდა და ხან გურიელი, იმისდამიხედვით, თუ როგორი კონკრეტული სიტუაცია იქმნებოდა საგარეო ომებისა და ქართველ მეფე-მთავრებს შორის ბრძოლის შედეგად. [13, 14, 15].

საშინაო აშლილობა ასუსტებდა ქართველთა ბრძოლისუნარიანობას და უადვილებდა XV საუკუნიდან გაძლიერებულ ოსმალეთს საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებას. 1545 წელს, თურქეთის მხედრობის უკეთესი შეიარაღებისა და სამეგრელო-მესხეთის ფეოდალების ღალატის გამო, იმერეთისა და ქართლის სამეფოების გაერთიანებული ლაშქრის დამარცხებამ სახიოსტასთან ოსმალობს საშუალება მისცა მტკიცედ მოეკიდებინათ ფეხი სამცხე-საათაბაგოში და საკვლევი ტერიტორიის დაპყრობას შედგომოდნენ. მიუხედავად მოსახლეობის თავგანწირული წინააღმდეგობისა, XVI საუკუნის შუა წლებში თურქები ნიგალსა და შავშეთ-მაჭახელას დაეუფლნენ [10, 21, 27, 34, 45].

ოსმალობმა გონიოს ციხეც აიღეს და ბათუმში დამკვიდრებასაც შეეცადნენ. მაგრამ გურიელმა სასტიკად დაამარცხა ხონთქრის მიერ გამოგზავნილი ლაშქარი. ოსმალობმა ძლივს მოასწრეს ნავებში ჩაჯდომა და გაქცევა. რადგან

ჭოროხი ადიდებული იყო, გამარჯვებულმა მხედრობამ ვეღარ შეძლო მდინარეზე გადასვლა და ბათუმის მსგავსად გონიოს განთავისუფლებაც. [33, 34].

თურქებმა გონიოს ციხე ხელახლა გაამაგრეს და იგი შავშეთ-მაჯახელასა და ნიგალეთან ერთად გურიისა და აჭარის წინააღმდეგ შეტევის ბაზად გადაქცეს. XVII საუკუნის დამდეგს გურიის სამთავრომ ვეღარ გაუძლო ოსმალოების მოძალებას და დაკარგა აჭარა. [5, 7, 27] მთიანი აჭარისათვის დადგა თურქული ბატონობის სისხლიანი პერიოდი.

რაც შეეხება ბათუმს, იგი XVIII საუკუნეში ხელიდან ხელში გადადიოდა. ეს ციხე-ფაბა ხან გურიის სამთავროში შედიოდა და ხან უშუალოდ თურქეთში. ბათუმი ოსმალოებმა საბოლოოდ 1726 წელს მიიტაცეს. ამავე დროს იპყრობენ ისინი ციხისძირისაც, რამაც მათ გაუადვილა ქობულეთ-ხიროს ხელში ჩაგდება. [28].

XVIII საუკუნის შუა წლებისათვის თურქებმა შეძლეს მთელი საკვლევი ტერიტორიის საქართველოდან მოწყვეტა. იმერეთიდან ოსმალოების გარეკვის შემდეგ, სოლომონ პირველის ჩაქვთან დამარცხებამ ცსადყო, რომ ქართველები რუსების დაუხმარებლად საკუთარი ძალებით ვერ შეძლებდნენ აჭარის თურქებიდან დახსნას.

თუმცა ოსმალთა გაბატონებას მოჰყვა საკვლევი ტერიტორიის ჩილდრისა და ტრაპიზონის ეიალეთებს შორის განაწილება, ადგილობრივმა ქართველმა ფეოდალებმა შეინარჩუნეს ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობა და აიძულეს მაღალი პორტა ედიარებინათ ისინი საგვარეულო, სამემკვიდრეო და კერძო საკუთრების უფლების მქონე სანჯაყ-ბეგებად. [5]

აჭარის ხელში ჩაგდების შემდეგ თურქეთმა მიზნად დაისახა მხარის გაოსმალება. დაიწყო ქართული ფეოდალიზმის ოსმალურით შეცვლა, ქრისტიანობის — მაჰმადიანობით, ქართული ენის — თურქეულით. მაგრამ დამპყრობთა ამ რეაქციული ღონისძიებების ცხოვრებაში მთლიანად გატარება მოსახლეობის აქტიური წინააღმდეგობის გამო ვერ მოხერხდა. მიუხედავად ულმობელი ასიმილატორების თითქმის სამსაუკუნოვანი ბატონობისა, აჭარამ შეინარჩუნა ქართული ენა და სიყვარული თავისი სამშობლოსადმი — საქართველოსადმი.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა არც მაშინ შეწყვეტილა, როდესაც თურქეთმა სამხრეთ საქართველოს მცხოვრებთ უსასტიკესი ძალდატანებით საბოლოოდ მოახვია თავს მუსულმანობა. [7, 41]. თუ როგორი ველური და არაადამიანური საშუალებებით ნერგავდნენ ოსმალო დამპყრობლები აჭარის მოსახლეობაში მაჰმადიანობას, ამაზე მრავალი ისტორიული ცნობაა შემონახული. [7, 41] თუმცა შეუპოვარი ბრძოლით ბათუმისა და აჭარის სანჯაყების მოსახლეობამ ტრაპიზონისა და ჩილდრის ეიალეთების სხვა მხარეებისაგან განსხვავებით შეინარჩუნა მამა-პაპეული მიწები და არ დაუშვა მათი თურქი მფლობელების ხელში გადასვლა [5]. ისლამის გავრცელებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საკვლევი ტერიტორიის სოფლის მეურნეობაში; მაგ., საშინელი ზიანი ძაიყენა მევენახეობას.

ოსმალოების წინააღმდეგ ბრძოლის გაადვილების მიზნით ადგილობრივმა მოსახლეობამ ხელი შეუშვა გზების მოვლა-პატრონობასაც. [50] გზების მოშლამ თუმცა გააიოლა თავდაცვა, მაგრამ გააძლიერა აჭარის სამეურნეო კარჩაკეტილობა. გარდა უგზოობისა, ადებმეცემობას აძნელებდა ოსმალოების მიერ ზღვისპირა სიმაგრეების ხელში ჩაგდება და ამ ციხეების ადამიანებით ვაჭრობისა და ყოველგვარი შევიწროვების ადგილად გადაქცევა. [11, 20, 35, 41]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ქართველთაგან ბათუმის განთავისუფლების შემთხვევაში ოტომანთა იმპერიის მესვეურთა განკარგულებით განდგომილი სანაპიროს ბლოკირება. [13,48]

საკვლევ რეგიონში არაერთგზის მომხდარი ანტითურქული აჯანყებების რთული ხასიათი განსაკუთრებით რელიეფურად გამოვლინდა აჭარის მმართველი სელიმ ხიმშიაშვილის მეთაურობით ოსმალოებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ დაწყებულ ამბოხების დროს [7]. XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგის ეს აჯანყება წარმოადგენდა სოციალური, ფეოდალური და ეროვნული ბრძოლის ნარევს.

გლეხებისა და სხვა პლებეური ელემენტების შეიარაღებული გამოსვლები მღელვარებას სახალხო ხასიათს აძლევდა. სელიმ ხიმშიაშვილის წოდებრივი და უფლებრივი მდგომარეობა, მისი ახალციხის ფაშად გახდომა, მიუთითებდა ამ მოძრაობის ფეოდალურ მხარეზე; ხოლო გაფაშების შემდეგ სელიმის ცდა თავისი სამფლობელოები კვლავ საათაბაგოდ გადაექცია და თვით ათაბაგი გამხდარიყო, აშკარავებდა სამხრეთ საქართველოს გამაჰმადიანებულ წარჩინებულთა კავშირს თავადაზნაურულ ქართულ ნაციონალიზმთან. სელიმ ხიმშიაშვილის მიერ ქრისტიანების მფარველობა, მოკავშირული ურთიერთობის დამყარება ერეკლე მეორესთან და სოლომონ მეორესთან, ხოლო უფრო მოგვიანებით მთავარმართველ ციციანოვთან, აფლეწდნენ სამხრეთ საქართველოში მიმდინარე ბრძოლის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბუნებას. ამიერკავკასიაში განწესებულმა მეფის რუსეთის გენერლებმა, ვერ შეძლეს გამოეყენებინათ სამაჰმადიანო საქართველოში შექმნილი ხელსაყრელი ვითარება, რამაც განაპირობა სელიმ ხიმშიაშვილისა და მისი მომხრეების დამარცხება და სიკვდილით დასჯა 1815 წელს.

1828 — 29 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს მესხეთ-ჯავახეთის მსგავსად ვერ მოხერხდა აჭარისა და ბათუმის განთავისუფლება; 1829 წლის ადრიანოპოლის ზავით აჭარა კვლავ ოსმალეთს დარჩა. რადგან ახალციხის რუსეთის ხელში გადასვლის შემდეგ ჩილდრის ეიალეთი დაიშალა, აჭარის სანჯაყიც ტრაპიზონის ეიალეთში შეიყვანეს. [5]

1839 წლამდე, ვიდრე ოსმალეთში დაიწყებოდა ზომიერი ბურჟუაზიული რეფორმების, ე. წ. თანზიმათის პერიოდი, აჭარა თურქეთის ვასალურ სამფლობელოს წარმოადგენდა. სტამბოლის წინაშე მოსახლეობის ერთად-ერთი ვალდებულება სამხედრო სამსახურში მდგომარეობდა. თანზიმათის დროს კი მაღალი პორტა შეუდგა აჭარაში სახელმწიფო გადასახადების შემოღებას. აჭარის მოსახლეობის დაბეგვრას ოსმალეთის მესვეურები ანხორციელებდნენ თანდათანობით, ადგილობრივი ბეგების დახმარებით, რომელნიც ამ საქმეში მთავრობასთან თანამშრომლობისათვის ღებულობდნენ სხვადასხვა შეღავათებსა და ფირმანებს და თვითონ თავისუფლებდნენ რიიმე გადასახადებიდან. გასული საუკუნის შუა წლებში, როდესაც თურქეთმა ადგილობრივ ფეოდალების გამცემლობისა და სპეციალურად დანიშნულ სასტიკი ემისარების მეშვეობით შესძლო აჭარის ვასალური მდგომარეობის შეზღუდვა, ოსმალეთის მთავრობამ აჭარელ ბეგებს გამოსტყუა საგვარეულო სიგელები და მათგანაც დაიწყო სახელმწიფო გადასახადების აკრეფა. [59]

თურქეთის დაინტერესება აჭარით არ ამოიწურებოდა მხოლოდ ფისკალური მოსაზრებებით. ოსმალეთის იმპერია აჭარას და კერძოდ ბათუმს განიხილავდა როგორც მნიშვნელოვან სამხედრო პლაცდარმს კავკასიაში ექსპანსიისათვის. ყირიმის ომის დროს თურქეთის სარდლობა შეეცადა გამოეყენებინა საკვლევი რეგიონის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და განეხორციელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინა ბათუმიდან და აჭარიდან ფართო სამხედრო შეტევა დასავლეთ საქართველოზე. ქართველ მოხალისეთა რაზმებისა და რუსული რეგულარული ნაწილების გმირობამ 1853 და 1854 წლებში გადაუღობა გზა ძლიერ მოწინააღმდეგეს და ჩაშალა ოსმალეთის მესვეურთა ეს სტრატეგიული გეგმა.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ ოსმალეთში დაიწყო თანზიმათის მეორე პერიოდი. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, თურქეთის მთავრობამ ვერ მოახერხა აჭარის საბოლოო ინკორპორირება. საქართველოს ეს მხარე თუმცა მეტად დამძიმებულ პირობებში, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა ვასალურ მდგომარეობას. [5].

ადგილობრივმა ფეოდალებმა ახალ კანონმდებლობასთან შეფარდებით მოახერხეს ხელიდან არ გაეშვათ ის მიწები, რომლებზედაც იურიდიული უფლებები დაჰკარგეს, მაგრამ აჭარის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უდიდეს ნაწილზე თურქული მიწისმფლობელობის პირობითი ხასიათის გავრცელებამ უაღრესად რეაქციული როლი ითამაშა მხარის ეკონომიურ ცხოვრებაში. თანზიმათის დროს აჭარისა და ბათუმის სანჯაყებში თურქული მიწისმფლობელობის პირობითი ხასიათის შემოღებამ დაასრულა ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ დაწყებული საქართველოს ამ კუთხეების განვითარებული სოფლის მეურნეობის პრიმიტიული სოფლის მეურნეობით შეცვლის პროცესი. [5]

აჭარა, ოსმალთაგან განთავისუფლების წინა პერიოდში (გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში) წარმოადგენდა უაღრესად ჩამორჩენილ კუთხეს. [12, 50, 59]. მარცვლეულთაგან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო სიმინდი. გარდა სიმინდისა, ისტორიულ აჭარაში მცირე რაოდენობით მოჰყავდათ სხვადასხვა სახის ხორბლეული, ხოლო ზღვისპირა ნაწილში — ბრინჯი და ღომი.

ზღვის სანაპირო ზონაში კარგად ხარობდა ნარინჯი, ლიმონი, ზეთის ხილი, ბროწეული. საკუთრივ აჭარაში ხეხილიდან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ვაშლის და მსხლის ხეები. შემორჩენილი მაღლარებიდან მიღებული ყურძენი სარწმუნოებრივი მოსაზრებების გამო აღარ გამოიყენებოდა ნედლეულად მეღვინეობისათვის.

თითქმის ყოველ გლეხურ მეურნეობაში იყო პატარა ბოსტანი. ბოსტნებში საკუთარი მოთხოვნილებისათვის მოჰყავდათ უმთავრესად მწვანილი, ხახვი, ცერცვი, ლობიო, კიტრი. აჭარის ზოგიერთ კუთხეში, მაგ., სხალთას ხეობაში, კარგად ხარობდა საზამთრო და ნესვი. მეთამბაქოეობა და მეკარტოფილეობაც სამომხმარებლო ხასიათს ატარებდა.

თაფლოვან მცენარეების სიმოავლე მტკიცე საფუძველს უქმნიდა მეფუტკრეობას, ხოლო თუთის გაშენების შესაძლებლობა— მეპარეშუმეობას.

მესაქონლეობა ძირითადად განვითარებული იყო ზემო აჭარაში, განსაკუთრებით კი მდინარე აჭარისწყლის ჩრდილო შენაკადების ხეობებში. ბეგების საქონელი ზამთრობით ჩამოჰყავდათ ზღვისპირა მხარეში, ზაფხულობით კი — მთის საძოვრებზე ეჰყავდათ. ბეგების ჯოგები მსხვილფეხა პირუტყვის გარდა ასობით ცხვარს ითვლიდნენ ხოლმე.

გასული საუკუნის მესამე მეოთხედში საკვლევი ტერიტორიის ყველაზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტის — ბათუმის სავალალო მდგომარეობა თვალნათლივ მეტყველებდა საქალაქო ცხოვრების უაღრესად დაბალ დონეზე ოსმალეთის უღელქვეშ მოქცეულ აჭარაში. იმ ხანებში ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა რამდენიმე ათას კაცს არ აღემატებოდა. ბათუმის მოსახლეობა შედგებოდა ძირითადად ქართველებისაგან (აჭარლებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზებისაგან); სხვა ეროვნებებიდან სახლობდნენ ბერძნები, თურქები და სომხები [26, 38].

ოსმალოების ბატონობის პერიოდში ქალაქში არც ერთი სამრეწველო საწარმო არ იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატარა სახელოსნოებსა და ფარდულებს, რომლებშიაც პრიმიტიულად სრულდებოდა კერძო დაკვეთები. [26, 38].

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან რუსეთის სანაოსნო საზოგადოების მიერ ხის გემმისადგომის აგებამ და ქალაქში სააგენტოს დაარსებამ გაახშირა გემების მიმოსვლა და გაზარდა ბათუმის სანავსადგურო მნიშვნელობა [38]. რადგან სამდინარო ნაოსნობა ჭოროხზე ართვინიდან შესართავამდე მნიშვნელოვნად ვერ აფართოვებდა არეალს, რომლის საზღვაო კარიბჭედაც შეიძლებოდა გადაქცეულიყო ბათუმი, განზრახული ყოფილა ბათუმ-ყარსისა და ბათუმ-არტაანის გზების გაყვანა; მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ მიუხედავად ამ გზების სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობისა, განაზრახი ვერ შეასრულა. [26, 38]

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ინიციატივით დანდალოს ზევით აჭარის მთავარი გზის შეკეთება, რა თქმა უნდა, საკვლევი ტერიტორიის საგზაო პრობლემას ვერ გადაწყვეტდა. ამიტომაც ქედა და ხულო, ქვემო და ზემო აჭარის ტრადიციული სავაჭრო ადგილები პატარა სოფლად რჩებოდნენ, რამდენიმე დუქნითა და ფარდულით. [50, 59].

ქედაში და ხულოში, აჭარის დანარჩენი სოფლების მსგავსად იდგა ხის სახლები. ქვისაგან იყო აშენებული ბეგებისა და შეძლებულთა საცხოვრებლები. ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის არ ხმარობდა აგურს, მაგრამ ფართოდ იყენებდა კრამიტს. [50, 59].

შინამოწველობის დარგებიდან აღსანიშნავია იარაღის წარმოება მაჰახელასწყლის ხეობაში. მიჯახიანში დამზადებული თოფები-მაუახელები პოპულარული იყვნენ არა მხოლოდ აჭარაში, არამედ დასავლეთ საქართველოშიაც. გარდა თოფებისა, ამ კუთხის მკვიდრნი აკეთებდნენ ცივ იარაღსაც. [50]

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ბატონყმობის გადავარდნამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ ხელი შეუწყო შრომის დანაწილების დამყარებას საქართველოს ოლქებს შორის და დასაბამი მისცა ქართველი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბების პროცესს, [2] რამაც ბრძოლა ბათუმისა და აჭარის განთავისუფლებისათვის ახალ საფეხურზე აიყვანა. ქართველი ხალხის ეს საერთო-ეროვნული მისწრაფებები დაემთხვა რუსული ბურჟუაზიისა და ცარიზმის ეკონომიურ და სამხედრო განზრახვებს, ამასთანავე 70-იან წლების შუახანისათვის ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება შეიქმნა ოსმალეთზე სამხედრო ზემოქმედებისათვის. თანაც 70-იანი წლებიდან აჭარისა და ბათუმის სანჯაყებში, ერთი მხრივ, სწრაფად მწიფდებოდა ახალი კონფლიქტი მოსახლეობის პროგრესულ ნაწილსა და თურქ დამპყრობლებს შორის და, მეორე მხრივ, არანაკლები სისწრაფით მტკიცდებოდა კავშირ-ურთიერთობა ადგილობრივ მოწინავე ძალებსა და ეკონომიურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ღონავლობის გზაზე დამდგარ საქართველოს შორის. ყოველივე ამან უაღრესად გააადვილა და დაჩქარა საკვლევი ტერიტორიის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დაწყება [19].

1877 — 78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს, მიუხედავად ბათუმისა და აჭარის სანჯაყების მოსახლეობის დიდი ნაწილის თანაგრძნობისა, ქართველ მოხალისეთა რაზმების გმირობისა და რეგულარული ნაწილების მამაცობისა, ფრონტის აჭარა-ბათუმის უბანზე შეტევითი სამხედრო ოპერაციები უშედეგოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრდა და ბრძოლამ პოზიციური ხასიათი მიიღო. საკვლევი ტერიტორიის შეიარაღებული ძალით განთავისუფლების წარუმატებლობა იიხსნება ოსმალეთის მიერ მრავალრიცხოვანი და ძლიერი შენაერთების თავმოყრით ფრონტის ამ უბანზე და უადრესად ძნელად დასაძლევ ბუნებრივ პირობებთან შეხამებით საფორტიფიკაციო სისტემის შექმნით. მაგრამ რუსეთის არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებმა კავკასიის ფრონტის სხვა მონაკვეთებზე და ბალკანეთში, აიძულეს თურქეთი ეთხოვა ზავი და დათანხმებულიყო აჭარისა და ბათუმის დათმობაზე.

რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ დიდი ბრიტანეთი ყოველი საშუალებით ცდილობდა არ დაეშვა ბათუმის გადაცემა მეფის რუსეთისათვის— თავისი მთავარი მეტოქისათვის აზიაში. ინგლისი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ სამხედრო ფლოტის გაგზავნით სრუტეებში და სან-სტეფანოს ზავის პირობების გადასინჯვის მიზნით ბერლინის კონგრესის მოწვევით. ლონდონისა და სტამბოლის აგენტები შეეცადნენ ამმხედრებინათ აჭარისა და ლაზეთის მკვიდრნი რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ეს წამოწყება უშედეგოდ დამთავრდა. [17].

ამავე დროს ბათუმის საკითხი ბერლინის კონგრესზე იმდენად გამწვავდა, რომ ახალი ომის დაწყების რეალური საფრთხე შეიქმნა. რათა მიეღწია მშვიდობიანი გზით საკვლევი ტერიტორიის შეერთებისათვის, რუსეთის იმპერია იძულებული გახდა ოსმალეთისათვის დაებრუნებინა უკვე დასაკუთრებული მიწა-წყლის ნაწილი, ხოლო ბათუმი გამოეცხადებინა უმთავრესად სავაჭრო ხასიათის თავისუფალ ნავსადგურად. ინგლისისა და ოსმალეთის წარმომადგენელთა მოთხოვნით, რომელნიც კონგრესის დროს ამტკიცებდნენ თითქოს ბათუმისა და აჭარის სანჯაყების მოსახლეობა მტრულად ყოფილიყო განწყობილი რუსეთის მიმართ, შესასწავლი რეგიონის მცხოვრებთ უფლება მიეცათ რამდენიმე წლის მანძილზე თავისუფლად გადასახლებულიყვნენ თურქეთში. [17, 26, 38].

1878 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში რუსეთის ჯარი სამი მხრიდან დაიძრა ბათუმისაკენ: მუხაესტატე-ციხისძირ-ბათუმის, ახალციხე-ხულო-ქედა-ბათუმისა და ართვინ-ქედა-ბათუმის მიმართულებით. თუმცა მიღწეული შეთანხმებით რუსეთისათვის საკვლევი ტერიტორიის გადაცემა მშვიდობიან ვითარებაში უნდა მომხდარიყო, ოსმალეთისა და ინგლისის ემისარები კვლავ ცდილობდნენ გამოეწვიათ ანტირუსული ინციდენტები და შეიარაღებული ძალის გამოყენებით, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, აიძულებდნენ მცხოვრებთ თურქეთში გადასახლებას. მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა განმათავისუფლებლებს თანაგრძნობითა და სიხარულით ეგებებოდა [17].

25 აგვისტოს რუსეთის არმიის ნაწილები და ქართველთა მოხალისე ლაშქრის რაზმები შევიდნენ ბათუმში. თურქეთის მიერ რუსეთისათვის ქალაქის გადაცემის ცერემონია მოსახლეობის საერთო ზეიმად გადაიქცა. [17]

ოსმალთაგან განთავისუფლების შემდეგ აჭარაში რუსული მმართველობა დამყარდა. 1878 წლის 20 სექტემბერს შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელიც შედგებოდა ქალაქ ბათუმიდან და ბათუმის, აჭარის და ართვინის ოკრუგებისაგან. [26]

1883 წლის 12 ივლისიდან ბათუმის ოლქი შევიდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში, ხოლო ბათუმისა და აჭარის ოკრუგები გაერთიანდა. [26]

მეფის რუსეთის ულტრაშოვინისტურად განწყობილმა უმაღლესმა ბიუროკრატიამ 1883 წლის ადმინისტრაციული რეფორმა უდიდეს შეცდომად მიიჩნია. ამ წრეების აზრით, ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიაში შეყვანას მოჰყვა აჭარა-ლაზეთში ქართული კულტურის ფართო გავრცელება. [26]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარის რუსიფიკაციის გაადვილებისა და ადგილობრივი რევოლუციონერების მოძრაობის შეფერხება-ჩახშობის მიზნით 1903 წელს აღდგენილი იქნა ბათუმის ოლქის დამოუკიდებელი ორგანიზაცია [26].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, (რუსეთი ინგლისის დაკონებითი მოთხოვნით ბერლინის კონგრესზე იძულებული გახდა დათანხმებულიყო გამოეცხადებინა ბათუმი თვისუფალ სანავსადგურო ქალაქად. პორტო-ფრანკოს რეჟიმმა ბათუმში 8 წელიწადს, 1886 წლამდე გასტანა) [26] და შემოფარგლა რუსეთთან შეერთების შემდეგ ფორმირებული ქალაქის ისტორიის პირველი პერიოდი.

(პორტო-ფრანკო ანუ თავისუფალი ნავსადგური იმას ნიშნავდა, რომ ქალაქის ხელობელ სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება იგი სამხედრო-სტრატეგიულად ბაზად გადაეცია, იქ ციხე-სიმაგრეები აეშენებინა და თავისი სამხედრო ფლოტი შეეყვანა. ამავე დროს ყველა ქვეყნის სავაჭრო ხომალდებს თავისუფლად შეეძლოთ ნავსაყუდელში შემოსვლა და საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟი არ ედებოდა.) ე. ი. პორტო-ფრანკოს სტატუტის გამო რუსეთი კარგავდა იმ სამხედრო და სამეურნეო სარგებლობის უდიდეს ნაწილს, რასაც მას ძალუედა ბათუმის შემოერთება. (ეს გარემოება განსაკუთრებით მძიმე იყო რუსეთისათვის, რადგან ბათუმს თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო უდიდესი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა შავ ზღვაზე.)

სანამ ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება შეიქმნებოდა, ცარიზმი იძულებული იყო ბათუმში დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ მოსამზადებელი ღონისძიებებით, რომელთაც უნდა შეექმნათ ძლიერი დასაყრდენი მახლობელ აღმოსავლეთის, ჩრდილო ნაწილის მისადგომთან და დიდი როლი ეთამაშთან მეფის რუსეთის ბომბეულ გარდამწყვეტ ეკონომიურ და შესაძლო სამხედრო აქციებშიც თავის ძველი მეტოქის კოლონიური ინგლისის წინააღმდეგ.

ბათუმის ეკონომიურ და სამხედრო შესაძლებლობათა სრულ გამოყენებას მეფის რუსეთი მოახერხებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ეს სანავსადგურო ქალაქი რკინიგზით დაუკავშირდებოდა საქართველოს უმთავრეს რაიონებს. და მართლაც 1883 წელს დამთავრდა ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის მშენებლობა. ბათუმი შეუერთდა საქართველოს სარკინიგზო ქსელს. ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარისა და საქართველოს სხვა კუთხეების კიდევ უფრო მეჯადოდ დაახლოების საქმეში. ამავე წელს დამთავრდა თბილის-ბაქოს სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ბათუმის ეკონომიურ განვითარებაში. 1883 წელს ამიერკავკასიის კასპიის და შავი ზღვების სანაპიროების რკინიგზით დაკავშირებამ ბათუმი გადაქცია ბაქოს საზღვაო კარიბჭედ, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გატანის საქმეში.

რკინიგზაზე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმისათვის კარგად მოწყობილ ნავსადგურს. ისევე, როგორც თურქებისაგან ბათუმის განთავისუფლების შემდეგ ქალაქის წინ გადაშლილ ფართო პერსპექტივების განსახორციელებლად არ ცმაროდა უბადრუკ მდგმარეობაში მყოფი ულიანდაგო გზები, ისევე კასპიკარისი იყო რუსეთის სანაოსნო საზოგადოების საავენტოს მიერ 50-იან წლებში აშენებული, ხელოვნური ნაგებობებით დაუცავი ხის ნავმისადგომი. განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი ნავსადგურის სწრაფად აგების აუცილებლობამ ბათუმამდე რკინიგზის გაყვანის შემდეგ. ამიტომაც, თუკი 1883 წლამდე ეს საკითხი შეიძლებოდა მხოლოდ სხვადასხვა პროექტების განხილვის სტადიაში ყოფილიყო, მომდევნო წლიდანვე შეუდგნენ და ძირითად-დ ერ წელიწადში დასრულეს ნავსადგურის მშენებლობა [60].

რკინიგზით ბათუმის ბაქოსთან დაკავშირებამ და ახალი ნავსადგურის აგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ 80-იან წლების შუახანისათვის შექმნეს აუცილებელი სამეურნეო პირობები ქალაქის სწრაფი აღმავლობისათვის. ბათუმის ინტენსიური განვითარებას წინ ეღობებოდა პორტო-ფრანკოს რეჟიმი.

ინგლისი იყენებდა თავისუფალ სანავსადგურო ქალაქად გამოცხადებულ ბათუმს იმ ვაჭრობისათვის, რომელსაც იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან ეწეოდა სპარსეთთან და თურქეთთან და თანაც ცდილობდა ამ მოხერხებული პუნქტიდან განეხორციელებინა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. ეკონომიური შეღწევა ამიერკავკასიაში. მეფის რუსეთის თავრობამ იმ მიზნით, რომ დაეცვა თავი იაფფასიანი ინგლისური საქონლისაგან დააწესა მკაცრი საბაჟო კორდონი ბათუმის ირგვლივ, რაც მკვეთრად აუარესებდა 1877-78 წლების ომის შემდეგდროინდელი აჭარის მოსახლეობის ისედაც მძიმე მდგომარეობას. თუ ბევრივალისწინებთ საბაჟოს მოხელეთა ბორტმოქმედებებს, მაშინ წარმოგვიდგება კიდევ უფრო ნათელი სურათი იმ აუტანელი ვითარებისა, რომელიც შეიქმნა სოფლის მცხოვრებთა ტრადიციული და ერთად-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტის ხელოვნური მოწყვეტით მიმდებარე რაიონებისაგან [26].

ამით სარგებლობდნენ ოსმალეთის აგენტები და აქეზებდნენ მკვიდრთ თურქეთში გასახლებისაკენ — მუჰაჯირობისაკენ, რის უფლებასაც მათ აძლევდა ინგლისის ზეგავლენით ბერლინის კონგრესზე მიღებული სათანადო შეთანხმება. საქართველოს პროგრესული საზოგადოებრიობა ყოველი ძალღონით ცდილობდა ჩაეშალა თურქეთის ეს მზაკვრული განზრახვა. [19].

საქართველოს მოწინავე ადამიანები, კარგად ხედავდნენ აჭარისათვის ოქმით მიყენებულ უდიდეს გაპარტახებას და გვევრანებას. მათ შესანიშნავად ესმოდათ დაზარალებულ და უკიდურეს გაჭირვებამდე მიყვანილი მოსახლეობისათვის დაუყოვნებლივი და ყოველმხრივი დახმარების გაწევის აუცილებლობა. ისინი შეშფოთებული იყვნენ, ერთი მხრივ, მაჰმადიანური სამყაროს ბნელეთის მოცულობის საქმიანობით მუჰაჯირობის სასარგებლოდ და მეორე მხრივ, ცარიზმის ჩინოვნიკების ბულგრილობით ბათუმის ოლქის მცხოვრებთა უბედურებებისადმი.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთებისა და საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივით აჭარის მოსახლეობამ მიიღო ქართული საზოგადოების მიერ შეგროვილი სახსრები და სახელმწიფო სესხი [17]. მაგრამ საზოგადოების დახმარება, სახელმწიფო სესხი წარმოადგენდნენ მხოლოდ პალიატივებს, რომელთაც თავიანთი სიმცირისა და ერთდროულობის გამო არ შეეძლოთ რადიკალურად და ხანგრძლივი დროით გამოესწორებინათ მოსახლეობის მდგომარეობა.

1882 წელს დამთავრდა ბერლინის კონგრესის მიერ ბათუმის ოლქიდან ოსმალეთში მოსახლეობის თავისუფალი ემიგრაციის დადგენილი ვადა. ამავე ხანებისათვის შესუსტდა ან გაჭრა ომის შედეგებით გამოწვეული სიძნელეები; (განსაკუთრებით აღსანიშნავია 1886 წელს ბათუმში პორტო-ფრანკოს რეჟიმის გაუქმება) და ამასთან დაკავშირებით ბათუმის ირგვლივ საბაჟო კორდონის მოხსნა. მოსახლეობა შეეგუა ახალ მდგომარეობას. აჭარის მცხოვრებთა უკმაყოფილება ცარიზმის მიერ დამყარებული ნახევრადკოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ვლინდებოდა არა სამშობლოდან გადახვეწაში, არამედ ბრძოლის ახალ ფორმებში, რომელნიც სულ უფრო და უფრო უკავშირდებოდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ხოლო ბათუმის ბაზარი ბელოვნოვანეს სამრეწველო ცენტრად გადაქცევის შემდეგ პროლეტარიატის რევოლუციურ გამოსვლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა იმ კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრისა, რომელსაც საქართველოს სხვა კუთხეების გლეხობის მსგავსად აჭარის სოფლის მცხოვრებლებიც განიცდიდნენ, ბათუმის ოკრუგში ემატებოდა კიდევ მეფის რუსეთის მთავრობის მიერ ოსმალთა ბატონობის დროს მოსახლეობისათვის თავზე შემოხვეული უცხო და მეუღებელი მიწისმფლობელობის ნორმების გამოყენება, მკვიდრთა დამატებითი შეევიწროებისათვის.

ზემოთ აღინიშნა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე ოსმალთა ბატონობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საშინელი შედეგი, რამაც საფუძველი გამოუთხარა მხარის სოფლის მეურნეობას და დასცა ეკონომიკის ეს დარგი, მდგომარეობდა მიწის საკუთრების ქართული ფეოდალური წესის შეცვლაში თურქული მიწისმფლობელობის პირობითი ხასიათით. თითქოს ბუნებრივი და ლოგიკური იყო ოტომანთა იმპერიის ბატონობისაგან განთავისუფლებულ აჭარაში ადგილობრივ მცხოვრებთა დაყინებითი მოთხოვნების შესაბამისად გავრცელებულიყო მეფის რუსეთში საერთოდ არსებული მიწის საკუთრების ნორმები. მაგრამ ბათუმის ოკრუგისათვის დანერგილი „რუსული სამართალი“ სრულ ძალაში სტოვებდა თურქული მიწისმფლობელობის პირობით ხასიათს [25]. ცარიზმის სატრაპები იმ საბაბით, რომ ოსმალური კანონმდებლობა მკვიდრთ მამაპაპეულ ადგილებს მხოლოდ სარგებლობაში და არა საკუთრებაში აძლევდა, ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი მიწა გადაეცათ სახაზინო უწყებისათვის, რათა შეექმნათ ცენტრალურ გუბერნიებიდან ჩამოსული „ნოვოსელების“ სოფლები.

მიუხედავად განაზრახისა, მეფის რუსეთის მოხელეებმა ჩამოსულთა მიერ უცხო გეოგრაფიულ პირობებთან შეუგუებლობისა და ადგილობრივი მოსახლეობის სასტიკი წინააღმდეგობის გამო ვერ შეძლეს დასახული მიზნის განხორციელება [16]. სამაგიეროდ დიდი აჟიოტაჟით მიმდინარეობდა აჭარის ზღვისპირა ზონაში მიწების ხელში ჩაგდება, უმთავრესად აგარაკების გასაშენებლად. ამ ბინძურ მაქინაციებში მონაწილეობდნენ იმდროინდელი ოფიციალური რუსეთის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები [16].

ამგვარად მეფის რუსეთის მთავრობამ ერთი-ორი შემთხვევის გარდა ვერ მოახერხა სახელმწიფო წესით აჭარის ზღვისპირა ნაწილში დაეარსებინა რუსული სოფლები, კულაკური მეურნეობებით; ამავე დროს ზღვის სანაპირო ზოლში ბათუმიდან ქობულეთამდე კერძო ინიციატივით შეიქმნა ძირითადად მოაგარაკეთა რუსული დასახლებანი.

ამ გარემოებამ განაპირობა ცარიზმის აგრარული საკანონმდებლო პოლიტიკა ბათუმის ოკრუგის მიმართ XX საუკუნის დამდეგიდან. რადგან თურქული კანონმდებლობით მიწისმფლობელებს არ ჰქონდათ მიწის გაყიდვის უფლება, ვერ ხერხდებოდა მოაგარაკეთა მიერ მიტაცებულ ნაკვეთების მათზე გაფორმება. უმაღლესმა ხელისუფლებამ მიაქცია ყურადღება ამ „არანორმალურ“ მდგომარეობას და 1902 წელს გამოსცა სეპარატული კანონები. ეს კანონები უფლებას აძლევდნენ ჩამოსულ მესაკუთრეებს, რომელთაც 1902 წლამდე ჰქონდათ შეძენილი ნაკვეთები, ხაზინისათვის სიმბოლური ფასის გადახდით გამოეყიდათ მათ სარგებლობაში მყოფი მიწები [47].

მაგრამ ბათუმის სანაპიროზე მიწების შეძენით დაინტერესებულ მეფის რუსეთის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები არ დაკმაყოფილა აგარარული საკითხის ამგვარმა ცალმხრივმა, აშკარად ვიწრო კლასობრივმა და ველაკოდერეკავულმა გადაწყვეტამაც კი. ისინი ბათუმის ოკრუგში რუსეთიდან „გადმოსულ „კულტურტრეგერების“ რაოდენობის გაზრდისა და მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიის გაფართოვების აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შკვიდრთათვის მიწაზე კერძო საკუთრების დამტკიცებას; რათა დაკანონებულიყო არა მხოლოდ ბათუმიდან ქობულეთამდე ვიწრო ზოლში, არამედ აჭარის მთელ ზღვისპირა ნაწილში ნაკვეთებით თავისუფალი ვაჭრობა [47].

პირველი მსოფლიო ომის წინ მეფისნაცვლის საბჭოც მივიდა ანალოგიურ დასკვნამდე. რადგან უაღრესად ძნელდებოდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის შიშველი ძალდატანების გზით მიწების წართმევა და ამავე დროს შესაძლებელი აღმოჩნდა ჩალის ფასად ნაკვეთების შეძენა რუსეთიდან ჩამოსული მდიდარ და პრივილეგირებულ პირთა მიერ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მკვიდრთათვის მცირე გასამრჯელოდ მამამაპაეულ მიწებზე კერძო საკუთრების დამტკიცება [47].

საკვლევი ტერიტორიის რუსეთის იმპერიის ფარგლებში შესვლის მომდევნო პერიოდში მიწისმფლობელობის პირობითი ხასიათის შენარჩუნებამ შეაფერხა კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება აჭარის სოფელში და დაამაბრკოლა საქართველოს ამ კუთხის სოფლის მეურნეობის წინ გადადგმული ფართო პერსპექტივების განხორციელება. აჭარის ზღვის სანაპირო, ვაკეები, დადაბლებული ადგილები, ხეობები, მთისწინა გორაკ-ბორცვიანი და მაღალი ნაწილები ხელს უწყობდნენ მრავალდარგობლივი სოფლის მეურნეობის ფორმირებასა და ცალკეული ზონების სპეციალიზაციას. ზღვისპირა აჭარის რელიეფი, ნიადაგები და კლიმატი საშუალებას იძლეოდა წარმოშობილიყო ისეთი სუბტროპიკული სასოფლო სამეურნეო დარგები, რომელთა პროდუქციაზეც დიდი მოთხოვნილება იყო კაპიტალისტურ განვითარების გზაზე დამდგარ საქართველოსა და რუსეთის საშინაო ბაზრებზე.

ამ მხრივ უპირველესი მნიშვნელობა ჩაის კულტურას ჰქონდა. გასული საუკუნის 50-იან წლებთან შედარებით რუსეთის იმპერიაში ჩაის ყოველწლიური შემოზიდვა 60-იან წლებში გაორკეცდა, ხოლო 70-იან წლებში კი გაოთხკეცდა და საშუალოდ წელიწადში 24 ათას ტონას მიაღწია [53]. ამავე დროს ფართო სარკინიგზო მშენებლობამ და ქვეყნის კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციის დაწყებამ რუსეთ-თურქეთის ომის წინა ხუთწლეულში რუსეთის საგარეო ვაჭრობის პასიური სალდო ნახევარ მილიარდ მანეთს მიუახლოვა, რაც უპრეცენდენტო შემთხვევა იყო. საგარეო ვაჭრობის კვლავ აქტიურ ბალანსზე გადასვლის მიზნით 1877 წლიდან მეფის რუსეთის მთავრობამ დაიწყო შემოზიდულ საქონელზე ბაჟების გადიდება [57]. ეს ღონისძიება ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო ნედლეულის იმ სახეობათა წარმოებისათვის, რომელთა მიღებაც თვით რუსეთის იმპერიაში იყო შესაძლებელი, რათა მათგან განტვირთა იმპორტი და მართლაც სამაჯო პროტექციონიზმმა გამოიწვია შუა აზიაში მეგბამბეობის, ხოლო საქართველოში (აფხაზეთში) ხარისხოვანი მეთამბაქოეობის სწრაფი განვითარება.

ხელახლა გამოცოცხლდა ინტერესი მეჩაიეობის დანერგვისადმი საქართველოში. რუსი მეცნიერები დარწმუნდნენ ბათუმის სანაპაროსა და იაპონიის კლიმატის მსგავსებაში და 1885 წელს ჩინეთიდან გამოიწერეს ჩაის ბუჩქები, ნერგები და თესლები. ბუჩქები დაიღუპა, ნერგებიდან და თესლებიდან კი ა. ა. სოლოვცევმა ჩაქვში საფუძველი ჩაუყარა პირველ ჩაის პლანტაციას საქართველოში [51].

მეფის რუსეთის რეჟიმის პირობებში ნახევარი საუკუნე დასჭირდა საქართველოში ჩაის კულტურის დანერგვას; 52 წელმა განვლო სოხუმში ჩაის პირველი ბუჩქების დარგვიდან ჩაქვში პირველ პლანტაციის შექმნამდე. მაგრამ ჩაქვში ჩაის პლანტაციის წარმატებით გაშენებამ, ისევე ვერ დაიჩქარა მეჩაიეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფი განვითარება, როგორც თავის დროზე სოხუმში ჩაის ბუჩქების შეჯაბრებანავმა აკლიმატიზაციამ ვერ შეუწყო ხელი ამ კულტურის ფართო გავრცელებას.

დიდი მასშტაბით მეჩაიეობის შექმნა, მეთამბაქოეობისა და მებამბეობისაგან განსხვავებით, მოითხოვს ხანგრძლივი დროით დიდძალ პირველად კაპიტალდაბანდებებს; არც ჩაის ვაჭრობაში ჩაბმულ რუსულ ფირმებს და არც საზღვარგარეთზე ფინანსიურად დამოკიდებულ ცარიზმს, რომ არაფერი ვთქვათ მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადგილბრივ მოსახლეობაზე, არ ჰქონდათ არც სურვილი და არც სათანადო თანხები საქართველოში ფართოდ ჩაის კულტურის გასავრცელებლად.

ამ მიზეზების გამო მეჩაიეობის განვითარება საქართველოში უაღრესად ნელა მიმდინარეობდა და ძირითადად აჭარით შემოიფარგლებოდა, თუმცა 1900-1913 წწ. რუსეთი საზღვარგარეთიდან წელიწადში იძენდა 75 ათას ტონამდე სხვადასხვა ხარისხის ჩაის, რაც იმპორტირებულ საქონლის საერთო ღირებულების დაახლოებით 5% ეთანაბრებოდა და მსოფლიო ბაზარზე გასასყიდად გამოტანილ ჩაის $^1/_5$ აღწევდა [51, 53, 57].

გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაქვში ჩაის პლანტაციები გაშენეს და დავიდსონის საშრობი ღუმელებით აღჭურვილი ჩაის პატარა ფაბრიკები ააგეს ჩაითმოვაჭრე პოპოვმა და საუფლისწულო მამულის უწყებამ. პოპოვისა და საუფლისწულო უწყების ჩაის პლანტაციები შეადგენდნენ აჭარაში ჩაით დაკავებული ფართობის $^3/_4$-ზე მეტს. [6, 51, 58]

აჭარაში უმთავრესად ამზადებდნენ დაბალი ხარისხის ე. წ. „საღდათურ ჩაის“, რომელსაც იძენდა საშხედრო უწყება ჯარისკაცებისათვის და საქალაქო გამგეობები (მაგ., მოსკოვის) საავადმყოფოებისათვის და სხვა დაწესებულებებისათვის [58]. თუმცა აჭარაზე მოდიოდა საქართველოს ჩაის პლანტაციების 9/10. მეჩაიეობა უმნიშვნელო როლს თამაშობდა საკვლევი ტერიტორიის სოფლის მეურნეობაში, რადგან ამ კულტურით დაკავებული ფართობი ბათუმის ოკრუგში საბჭოთამდელ პერიოდში არ აღემატებოდა 850 დესეტინას [6].

რაც შეეხება ციტრუსებს, ზოგიერთი მათგანი (მაგ., ფორთოხალი, ლიმონი) ადრევე იყო ცნობილი აჭარაში და ეს კულტურები პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში გონიოს, სარფისა და ლიმანის მცხოვრებთა მეურნეობებში სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებდნენ [52]. XX საუკუნის დამდეგიდან საკვლევი ტერიტორიის ზღვისპირა მხარეში სწრაფად გავრცელდა იაპონური ჯიშის მანდარინი უნშიო-მიკანი. იგი იტალიურზე უფრო შეეგუა ადგილბრივ პირობებს და თანაც უკეთესიც აღმოჩნდა. 1910 წლისათვის აჭარაში უკვე უნშიო-მიკანის ჯიშის 100 ათასამდე მანდარინის ხე იყო და ყოველწლიურად საშუალოდ რგავდნენ 20-23 ათას ძირს [47].

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, ბათუმის ოკრუგის მეციტრუსეობა იმდენად მცირე ზომისა იყო, რომ პირველ მსოფლიო ომის წინ საქართველოს ბაზრებიც კი ლიმონებითა და მანდარინებით ძირითადად საზღვარგარეთიდან მარაგდებოდა [47]. სხვა სუბტროპიკული კულტურებიდან აჭარის ზღვისპირა ნაწილში უმნიშვნელო რაოდენობით აშენებდნენ ბამბუკსა და რამის კულტურას. (ჩინურ ჭინჭარს) [58].

ბათუმის ოკრუგის სოფლის მეურნეობის დარგთა შორის უპირველესი მნიშვნელობა მარცვლეულ მეურნეობას ჰქონდა, მარცვლეულ მეურნეობაში კი წამყვანი ადგილი მესიმინდეობას ეკავა, რომელიც პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის ზღვისპირა ნაწილში გარდა სიმინდისა, სთესდნენ ბრინჯს. მებოსტნეობა-მებაღჩეობა სუსტად იყო განვითარებული ბათუმის ოკრუგში. ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურათაგან უმთავრესად მოჰყავდათ ხახვი, ტარხუნა, წიწმატი, ჭარხალი, უფრო იშვიათად კომბოსტო, პამიდორი, ბადრიჯანი. მებოსტნეობა სასაქონლო ხასიათს ატარებდა მხოლოდ ბათუმის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბანში. აქ ქალაქის ბოსტნეულ-ბაღჩეულით მოსამარაგებლად იყო გაშენებული ბოსტნები [58].

აჭარის თითქმის ერთად-ერთ ტექნიკურ კულტურას თამბაქო წარმოადგენდა. სასაქონლო მეთამბაქოეობას მისდევდნენ ბათუმის ოკრუგის სამხრეთ ზოლში [58], რომლის უდიდესი ნაწილიც ამჟამად თურქეთის ფარგლებშია. აჭარის მეთამბაქოეობა რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც დიდად ჩამოუვარდებოდა აფხაზეთისას.

ბათუმის ოკრუგში მრავალწლიანი ნარგავები გარდა ჩაისა და ციტრუსებისა, წარმოდგენილი იყვნენ ხეხილითა და ვაზით, მეხილეობას გორაკ-ბორცვიანი ზონის მოსახლეობის მეურნეობაში და შემოსავალში საგრძნობი ადგილი ეკავა. ზემო აჭარის მცხოვრებთ კი უგზოობის გამო უძნელდებოდათ ხილეულის ბათუმში ჩამოტანა და გაყიდვა. ბათუმის ოკრუგში თითქმის არ არსებობდა ევროპული წესით მოწყობილი ხეხილის ბაღები. ვაზის ნაცარმა და ჭრაქმა, ხოლო უფრო მოგვიანებით ფილოქსერამ გამოიწვია ვაზის ძველი ტრადიციული ჯიშების იზაბელათი შეცვლა [52,58].

სამთვრების სიმცირის გამო მეცხოველეობას ბათუმის ოკრუგში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. მუშა საქონლის განსაკუთრებით დიდი ნაკლებობა იგრძნობოდა აჭარის ზღვისპირა ნაწილში. ზემო აჭარაში მეცხოველეობა ერთ-ერთ წამყვან სასოფლო-სამეურნეო დარგს წარმოადგენდა და აქ მას სარძევე-სახორცე მიმართულება ჰქონდა. საკვები ბაზის სიმცირე უბიძგებდა მოსახლეობას თხების მოშენებისაკენ, რადგან მათი შენახვა უფრო იოლი იყო. ამიტომაც აჭარაში თხების რაოდენობა სპარბობდა ცხვრებისას [52,58].

ბათუმის რძის პროდუქტებით მომარაგების მიზნით ქალაქის გარეუბანში ჰყავდათ ძროხები, რომელთა საკვებად იყენებდნენ შემოზიდულ თივას. ამ პატარა მეურნეობებში მეცხოველეობა ბაგურ ხასიათს ატარებდა [58].

მთიან აჭარაში ტრადიციულად მისდევდნენ მეფუტკრეობას, ხოლო ზღვისპირა ნაწილში მეაბრეშუმეობას [37].

ამგვარად, პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდისათვის ბათუმის ოკრუგში შესაძლოა გამოიყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორი ზონა: აჭარის ზღვისპირა და შიდა აჭარის ზონები.

აჭარის ზღვისპირა ზონაში ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებთან და კაპიტალისტურ განვითარების გზაზე დამდგარ რუსეთის საშინაო ბაზრების მოთხოვნილებათა შესაბამისად დაიწყო მეჩაიეობის შექმნა. მაგრამ მეჩაიეობა სოფლის-მეურნეობის სხვა სუბტროპიკულ დარგების მსგავსად მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა და უმნიშვნელო როლს თამაშობდა. ამ ზონაში მარცვლეული მეურნეობა ძირითადად წარმოდგენილი იყო მესიმინდეობით. სიმინდს გარდა მცირე რაოდენობით სთესდნენ ღომს და ბრინჯს. ბათუმის ირგვლივ მდებარე სოფლებში მებოსტნეობა-მეხილეობა და მეცხოველეობა სასაქონლო წარმოებად გადაიქცა. ზღვისპირა აჭარის სხვა კუთხეებში კი ეს სასოფლო სამეურნეო დარგები კვლავ სამომხმარებლო ხასიათს ინარჩუნებდნენ.

შიდა აჭარის ზონაში ბუნებრივი საკვების სავარგულები ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ სახორცე-სარძევე მეცხოველეობის განვითარებას. ამ მხარეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვისპირა ზონასთან შედარებით სიმინდის ყოველწლიური მოსავალი გაცილებით უფრო დაბალი იყო და „მწვანე“ წლებიც ხშირად გამოერეოდა ხოლმე, როდესაც მარცვლეული და ხილი ვერ ასწრებდა დამწიფებას. შიდა აჭარაში ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავდათ თამბაქო.

ბათუმის ოკრუგის სოფლის მეურნეობის საფუძველზე არ შექმნილა კვების ან მსუბუქი მრეწველობა, თუ არ ჩავთვლით ჩაის ორ პატარა ფაბრიკას ჩაქვში და კიდევ რამდენიმე მცირე ზომის საწარმოს. XX საუკუნის დამდეგისათვის ბათუმში არსებული თამბაქოს ორი ფაბრიკა ნაკლებად იყენებდა ადგილობრივ ნედლეულს. რაც შეეხება ბათუმს, ამ უკანასკნელის მნიშვნელოვან სამრეწველო და სატრანსპორტო ქალაქად გადაქცევა განხორციელდა არა აჭარის მეურნეობის მოთხოვნილებებითა და შესაძლებლობებით, არამედ უმთავრესად ბაკოსთან დაწყვილებით.

ქალაქის მნიშვნელოვანი საწარმოები თითქმის მთლიანად ნავთობის ექსპორტის საქმეს ემსახურებოდნენ და ეკუთვნოდნენ ბაქოს სარეწაოების მფლობელ საერთაშორისო სამრეწველო და საფინანსო მაგნატებს ან მათთან დაკავშირებულსა და მათგან დამოკიდებულ კაპიტალს.

1883 წლიდან, ბათუმისა და ბაქოს რკინიგზით დაკავშირების შემდეგ, დაწყო ახალი ეტაპი აფშერონის ნავთობის მრეწველობაში, რომელმაც თითქმის ოცი წელი გაუტანა. ბათუმის საშუალებით ბაქოს ნავთობმა გზა გაიკაფა მსოფლიო ბაზრებისაკენ და დასძლია 1879 წლიდან დაწყებული მწვავე კრიზისი, ოღა გამოწვეული იყო რუსეთის საშინაო ბაზრის სივიწროვით [26]. წლითი წლობით ზრდებოდა ბათუმის ნავსადგურით ბაქოს ნავთობის გატანა. ნავთობის ექსპორტი ხორციელდებოდა სატარო და გადასხმითი წესით. ბათუმის მრეწველობის ფეოვითარებას განაპირობებდა არა ამ ნედლეულის გადასხმით გაზიდვა, არამედ საზღვარგარეთ ნავთობის პროდუქტების სატარო გატანა.

ტარით ე. ი. ბიდონებში ნავთი უმთავრესად იგზავნებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ნავთს ასხამდნენ 36 გირვანქის ტევადობის თუნუქის ბიდონებში. ორ ასეთ თუნუქის ბიდონს შესაბამის ხის ყუთში ათავსებდნენ.

უკვე 1883 წელს ბათუმში გაიხსნა ბიდონებისა და ყუთების დამამზადებელი პირველი ქარხანა. XIX საუკუნის მიწურულისათვის კი ქალაქში მოქმედებდა ორთქლის ქვაბებით აღჭურვილი ნავთის ჭურჭლის მწარმოებელი ცხრა ქარხანა, რომლებიც ყოველწლიურად 10-11 მილიონ ყუთსა და 20-22 მილიონ ბიდონს უშვებდნენ.

XX საუკუნის დამდეგისათვის ბათუმში 200-მდე მეკასრე მუშაობდა. კასრებსაც ნავთობის პროდუქტების ექსპორტისთვის ამზადებდნენ [60].

1900-1913 წლებში ბათუმში აგებული და რეკონსტრუირებული იქნა მომთუთიებელი, თუჯის ჩამომსხმელი, მექანიკური და ქიმიური ქარხნები, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ ნავთობის პროდუქტების ტარის დამზადებასთან. [38] ე. ი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბათუმის მრეწველობის საფუძველს საზღვარგარეთ ნავთის სატარო წესით გატანა წარმოადგენდა. ბათუმიდან ბაქოს ნავთობისა და ნავთობის პროდუქტების ექსპორტის გაადვილებისა და გაიაფებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1891 წელს სურამის სარკინიგზო გვირაბის გახსნას, 1906 წელს ბაქო-ბათუმის ნავთსადენის გაყვანის დამთავრებას და გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ბათუმში დიდი ტევადობის რეზერვუარების აშენებას [26].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავთობისა და ნავთობის პროდუქტების გაზიდვის განუხრელ გადიდებასთან ერთად ბათუმის მრეწველობის განვითარება იწვევდა საკვლევ ტერიტორიაზე არსებულ ერთად-ერთი ქალაქის სწრაფ ზრდას და ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონის ამაღლებას ბათუმის ოკრუგის მცხოვრებთა საერთო რაოდენობაში, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან.

ცხრილი 1

ბათუმის ოკრუგის მოსახლეობა 1886 და 1897 წწ. [54].

წლები	ქ. ბათუმის მოსახლეობა	ბათუმის ოკრუგის სოფლის მოსახლეობა	მთლიანად ბათუმის ოკრუგი მოსახლეობა	ქ. ბათუმის მოსახლეობის ხვედრითი წონა ბათუმის ოკრუგის მოსახლეობაში
1886	14.803	46.564	61.367	24.1%
1897	28.512	59.809	88.321	32.3%

ბათუმის მრეწველობის განვითარებასთან ერთად მწვავდებოდა წინააღმდეგობა კაპიტალისტებსა და ახლადშექმნილ პროლეტარიატს შორის. ბათუმის მუშათა კლასმა არა ერთი სახელოვანი ფურცელი ჩასწერა საქართველოს რევოლუციურ მოძრაობის ისტორიაში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმში 1902 წელს 9 მარტს მოწყობილ სახელგანთქმულ დემონსტრაციას და ბათუმის მუშების გმირულ ბრძოლას ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ რუსეთის პირველი რევოლუციის დროს [1.30].

1905-7 წლებში ბათუმის პროლეტარიატის გამოსვლების მძაფრი და მასობრივი ხასიათი შეპირობებული იყო არა მხოლოდ ბოლშევიკების ხელმძღვანელობითა და რუსეთში მიმდინარე სახალხო რევოლუციით, არამედ ამ პერიოდში მსოფლიო ნავთობის მრეწველობაში მომხდარი ძირეული ცვლილებებითაც, რასაც შედეგად მოჰყვა ბათუმის მუშათა კლასის ისედაც დაბალი სასიცოცხლო ღონის კატასტროფული გაუარესება.

1902 წელს აშშ-მა გაუსწრეს მეფის რუსეთს ნავთობის მოპოვებაში და მსოფლიო პირველი ადგილი დაიკავეს. ჩრდილო-ამერიკულმა და აღმოსავლეთის ქვეყნებში მოსაქმე ევროპულმა ნავთობის კომპანიებმა 1905 წელს ეკონომიურად ჩამორჩენილი მეფის რუსეთი განდევნეს ნავთობის მომხმარებელ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ბაზრებიდან [57].

ცხრილი 2

ნავთობისა და ნავთობის პროდუქტების გატანა ბათუმის ნავსადგურიდან 1888-1906 წწ. (ათას ფუთებში) [26]

წლები	სახღვარგარეთ	რუსეთში	მთლიანად
1888	28.551,0	3.382,1	31·933,1
1894	48.456,4	8 288,7	56.745,1
1900	60.658,9	4.704,7	65.363,6
1906	20.279,0	9.485,7	29.764.7

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტანილი ცხრილიდან აშკარად ჩანს ბაქოელ მაგნატთა მიერ საზღვარგარეთელ კონკურენტებისაგან 1905 წელს განცდილი სასტიკი დამარცხების გავლენა ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის საქმეზე. თუ კი XX საუკუნის დამდეგამდე ბათუმიდან ნავთობისა და ნავთობის პროდუქტების საზღვარგარეთ გაზიდვა იზრდებოდა, 1906 წლისათვის იგი 1900 წელთან შედარებით სამჯერ დაეცა.

1904 წელს ბათუმიდან აღმოსავლეთის ქვეყნებში გაიგზავნა 21. 777 ათასი ფუთი ნავთობის პროდუქტი, 1905 წელს კი ეს მაჩვენებელი 5.226 ათას ფუთამდე დავიდა [26]. რადგან ბიდონებით ნავთი ძირითადად აღმოსავლეთის ქვეყნებში იგზავნებოდა, მსოფლიოს ამ ნაწილში ექსპორტის ასეთ სწრაფ შეკვეცას მოჰყვა ნავთობის პროდუქტების ტარის დამზადებაზე დაფუძნებული ბათუმის მრეწველობის მრავალი ქარხნის დაკეტვა და მასობრივი უმუშევრობა.

ჯერ კიდევ 1905 წლამდე, სანამ ბაქოს ნავთობი ბათუმიდან ფართო ნიაღვრად მიედინებოდა უცხო ქვეყნებში, ბათუმის ნავსადგურიდან, გარდა ნავთობის პროდუქტებისა, მნიშვნელოვანი რაოდენობით იგზავნებოდა სხვა სახის საქონელიც. ამავე დროს შავი ზღვის ამ მოხერხებულ სანავსადგურო ქალაქიდან შემოიზიდებოდა, გარდა თვით ბათუმის მრეწველობისათვის აუცილებელი ნედლეულისა, საქართველოსა და ამიერკავკასიისათვის საჭირო პროდუქციის საგრძნობი ნაწილი. ბათუმი გამოიყენებოდა სპარსეთთან და შუა აზიასთან სატრანზიტო ვაჭრობისათვისაც [60].

XIX საუკუნის მიწურულიდან ბათუმის ნავსადგურიდან საზღვარგარეთ და ნაწილობრივ რუსეთში ყოველწლიურად გაჰქონდათ: 0.5-დან 2 მილიონამდე ფუთი ჭიათურის მანგანუმი, ელისავეტოპოლის გუბერნიაში დამზადებული რამდენიმე ასეული ათასი ფუთი ძირტკბილა; გურიიდან, სამეგრელოდან და იმერეთიდან მიღებული 100-500 ათასი ფუთი სიმინდი; ოზურგეთისა და ქუთაისის გუბერნიებიდან მოტანილი 9 მილიონამდე ქათმის კვერცხი; საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის მეაბრეშუმეების რაიონებიდან მიღებული 400 ათასამდე ფუთი აბრეშუმის პარკი; კავკასიის ძვირფასი ხის ჯიშები — ბზა, კასრების დასამზადებლად საჭირო მუხის ფიცრები, კაკლის ძელები და კორეი [60].

1897 წლიდან დაიწყო ბათუმიდან შუა აზიისათვის ჩინური მწვანე ჩაის შემოზიდვა. ბათუმის და ფოთის საშუალებით მარაგდებოდა ამიერკავკასია პურის ფქვილით. ორივე სანავსადგურო ქალაქი როსტოვიდან, ეკატერინოდარიდან, ქერჩიდან, და ოდესიდან ყოველწლიურად ღებულობდა 5 მილიონ ფუთზე მეტ პურის ფქვილს. ამ რაოდენობის 1/3-დე მოდიოდა ბათუმზე [60].

ბათუმის ნავსადგურით შემოიზიდებოდა ნავთის ტარის მრეწველობისათვის საჭირო მასალა: თუნუქი, თუთია, ტყვია, მარილქაჟა, ნაძვისა და ფიჭვის ხეტყე. გარდა ამ ნედლეულისა და მასალებისა რუსეთიდან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან შემოჰქონდათ: ქვანახშირი, რკინა, ცემენტი, მარსელის კრამიტი, ცეცხლგამძლე აგური, გოგირდი და შაბიამანი. ეს საქონელი ნაწილობრივ ადგილობრივ მოთხოვნილებებს ხმარდებოდა, უმეტესწილად კი იგზავნებოდა საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში [60].

1914-18 წლების იმპერიალისტური ომის გაჩაღებამ მინიმუმამდე დაიყვანა, ფაქტიურად შეწყვიტა ბათუმის ნავსადგურით წარმოებული ტვირთბრუნვა.

აჭარის მდებარეობამ თურქეთის მეზობლად, საკვლევი რეგიონი პირველი მსოფლიო ომის დროს ბრძოლის ასპარეზად გადაქცია. 1914 წლის ზაფხულში გერმანიასთან ომის დაწყებამ გამოიწვია ამიერკავკასიაში განლაგებულ არმიის ძირითადი ნაწილების დასავლეთის ფრონტზე გადასროლა, რამაც ოსმალეთს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალება მისცა ოქტომბრის მიწურულში კავკასიაში შეტევაზე გადასულ[illegible] თურქები სწრაფად მიიწევდნენ წინ, ისინი ისტორიულ აჭარაში შეიჭრნენ; ამავე დროს გერმანიის გემებმა „ბრესლაუმ“ და „გებენმა“ დაბომბეს ბათუმი. ნოემბერში შექმნილმა კრიტიკულმა მდგომარეობამ მოსახლეობაში დიდი პანიკა გამოიწვია. მაგრამ დეკემბერში რუსეთის არმიის ბრწყინვალე გამარჯვებამ საერაყამიშოან ოსმალების შეტევა ამიერკავკასიაში შეაჩერა. დაიწყო დამპყრობთა განდევნა აჭარიდან, თურქები რის წაღებასაც ვერ ახერხებდნენ — ანადგურებდნენ [39].

თურქთა ხანმოკლე ოკუპაციისა და საომარი მოქმედების დროს უაღრესად დაზარალებულ მოსახლეობას თავს დაატყდა ცარიზმის სამხედრო ბიუროკრატიის რეპრესიები. ყოველივე ამან გამოიწვია მოსახლეობის მასიური წასვლა შუბლიური სოფლებიდან [39].

პირველი მსოფლიო ომის დროს მუშაობას განაგრძობდნენ ბათუმის მხოლოდ ის საწარმოები, რომელნიც ასრულებდნენ სამხედრო დაკვეთებს ან ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავების გზით უშვებდნენ სამომხმარებლო საქონელს (მაგ., პიტოევის სამხედრო ქარხანა, ბინიატ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკა [39].

აჭარის სოფლის მოსახლეობისაგან განსხვავებით ბათუმში მცხოვრებთა რაოდენობა კი არ შემცირებულა, არამედ კიდევაც გაიზარდა ლტოლვილთა ხარჯზე. ეს უკანასკნელნი თანახმა იყვნენ გროშების საფასურად ემუშავნათ. ამით ისარგებლეს ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეებმა და გააძლიერეს მუშათა ექსპლოატაცია. მშრომელთა მდგომარეობას მკვეთრად აუარესებდა ომის გამოცხადების შემდეგ პირდაპირი გადასახადების 50-100% გადიდება და მზარდი სასურსათო სიძნელეები.

1915-17 წლებში ბათუმის ოკრუგის მუშებმა გააძლიერეს ცარიზმის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლა. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ დემოკრატიულმა და ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციებმა ვერ გაუუმჯობესეს ბათუმისა და აჭარის მშრომელთა მდგომარეობა, რადგან ადგილობრივმა რეაქციულმა ძალებმა შესძლეს ხელისუფლების შენარჩუნება.

1918 წლის 1 აპრილს თურქეთის ჯარები ბათუმში შემოვიდნენ. 1918 წლის 4 ივნისს ოსმალეთსა და ამიერკავკასიის დელეგაციებს შორის ბათუმში დადებული საზავო ხელშეკრულებით ბათუმი და აჭარა თურქეთს გადაეცა [38].

პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ თურქები იძულებული გახდნენ 1918 წლის დეკემბრიდან ბათუმი ინგლისელებისათვის დაეთმოთ [1,38].

ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმის სიმძიმემ, დენიკინელთა შეიარაღებული ავანტიურის საშიშროებამ, პანთურქისტთა წრეგადასულმა საქმიანობამ დაარჩევინა სამუსულმანო საქართველოს წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევა, რომელმაც მოითხოვა ბათუმისა და ბათუმის ოლქის სამარადისოდ თავის დედა სამშობლოსთან — საქართველოსთან შეერთება ფართო ავტონომიის ნიადაგზე. მაგრამ ინგლისელები არ ჩქარობდნენ წასვლას და მხოლოდ წითელი არმიის გამარჯვებებმა სამოქალაქო ომის ფრონტებზე აიძულა ინტერვენტები დაეტოვებინათ ბათუმი და ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცე ნებასურვილის შესაბამისად 1920 წელის ივლისში დაებრუნებინათ აჭარა საქართველოსათვის [38].

მენშევიკების ხელისუფლებამ ბათუმში და აჭარაში ნახევარ წელიწადს გასტანა, მან ვერ მოახერხა იმპერიალისტური ომისა და საგარეო ინტერვენციით გამოწვეული სამეურნეო ნგრევის შეჩერება. მენშევიკებმა საქართველოს ეს ისტორიული მხარე თურქეთთან ვაჭრობის ობიექტად გადააქციეს და დათანხმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღნენ აჭარის გადაცემას ქემალისტებისათვის, თუ კი ისინი მათ დაეხმარებოდნენ მშრომელებისა და წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1921 წლის მარტის შუა რიცხვებში მეწუეეიკების მოწვეეით ბათუმში თურქთა ნაწილები შემოვიდნენ. 17 მარტს ღამით მეწუეეიკური მთავრობა ბათუმიდან საზღვარგარეთ გაიქცა. 18 მარტს ბათუმის სამხედროდან განთავისუფლებულმა კომუნისტებმა რეკვმი ჩამოაყალიბეს და შექმნეს წითელი რაზმი. თურქები იძულებულნი გახდნენ მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დაეტოვებინათ ჯერ ბათუმი და შემდეგ აჭარაც. [38].

1921 წლის 16 ივლისს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რამაც სახელმწიფოებრივი საფუძველი ჩაუყარა იმ დიად ეკონომიურ აღმავლობას, სოციალისტურ გარდაქმნებსა და კულტურის გაფურჩქვნას, რის შედეგადაც აჭარის მოსახლეობა გადაიქცა ქართული სოციალისტური ერის სისხლხორცეულ და განუყოფელ ნაწილად.

К. Д. АНТАДЗЕ

ИСТОРИКО-ГЕОГРАФИЧЕСКИЙ ОЧЕРК АДЖАРИИ
(с древнейших времен до 1921 года)

Резюме

Аджария неотъемлемая часть Грузии, издревне была заселена грузинскими племенами. Аджария, подобно другим юго-западным провинциям Грузии, играла огромную роль в многовековой истории грузинского народа.

Оттоманской Империи к концу Средних Веков удалось воспользоваться ослаблением Грузии и захватить целый ряд южногрузинских земель, в том числе и Аджарию. Несмотря на продолжительное господство жестоких ассимиляторов и насильственное принятие магометанства, население Аджарии сохранило грузинский язык, обычаи и любовь к своей родине.

В результате почти трехсотилетнего господства турецких захватчиков к началу 70-ых годов прошлого века экономика Аджарии характеризовалась чертами застойности. Сельское хозяйство исследуемого края пришло в упадок, и городская жизнь находилась на крайне низком уровне.

Когда после русско-турецкой войны 1877—78 гг. Турция была вынуждена уступить России Аджарию и она была воссоединена с Грузией, создались сравнительно благоприятные условия для экономического развития исследуемого края.

Постройка в 1883 году железнодорожной ветви Самтредиа—Батуми способствовала вовлечению Аджарии в общехозяйственную жизнь Грузии. Завершение же строительства сквозной магистрали Закавказской железной дороги в 1883 году, превратило Батуми в морские ворота, откуда бакинская нефть широким потоком устремилась в заграничные рынки.

ეროვნული ბიბლიოთეკა

С этого времени вывоз бакинской нефти стал основным фактором, определяющим развитие города и его хозяйства. Постройка в середине 80-х годов морского порта со специальным причалом для отгрузки нефтепродуктов, открытие с 1891 года сурамского железнодорожного туннеля, а с 1906 года Баку—Батумского керосинопровода создали еще более благоприятные условия для экспорта бакинской нефти.

К концу XIX века в Батуми создался ряд предприятий связанных с экспортом бакинской нефти. Массовое изготовление бидонов для вывоза нефти способствовало возникновению вспомогательных производств—цинковального, чугунолитейного, химического и механического.

В начале XX века вытеснение заграничными конкурентами бакинской нефти с мировых рынков отразилось самым тяжелым образом на промышленности Батуми. Вызванное этим обстоятельством закрытие заводов и общая безработица придала особенно широкий размах классовой борьбе батумского пролетариата во время первой русской революции.

Окончательная потеря бакинскими нефтепромышленниками заграничных рынков вызвало постепенное изменение профиля промышленности Батуми. Этот процесс, который протекал крайне болезненно, начался после первой русской революции и особенно усилился во время первой мировой войны.

Ко времени установления советской власти в Грузии Батуми оставался единственным городом и промышленным очагом Аджарии.

К началу XX века структура сельского хозяйства исследуемого экономико-географического района дает возможность выделить две зоны сельскохозяйственного производства, в соответствии с почвенно-климатическими и производственно-экономическими особенностями: 1) Приморскую и 2) Внутренне-Аджарскую.

В приморской зоне Аджарии благоприятные природные условия и расширяющиеся потребности внутренних рынков России способствовали зарождению чаеводства. Чаеводство подобно цитрусоводству находилось лишь в зачаточном состоянии и не играло ощутимой роли в экономике исследуемого края. В зерновом хозяйстве этой зоны ведущее место принадлежало кукурузе; кроме кукурузы в незначительном количестве возделывали гоми и рис. В местностях прилегающих к Батуми, овощеводство-плодоводство и животноводство превратились в товарные отрасли сельского хозяйства, в других же деревнях приморской зоны они попрежнему сохраняли лишь потребительский характер.

Во внутриаджарской зоне обилие летних пастбищ благоприятствовало развитию молочно-мясного животноводства. В этом краю, по сравнению с приморской зоной, ежегодные урожаи кукурузы были низки и часто наступали т. н. «зеленые годы», когда зерновые и плодовые не успевали созревать. Из технических культур во внутренней Аджарии разводили табак.

Первая мировая война значительно ослабила хозяйственную жизнь Аджарии; оккупация же этой части Грузии в 1918 году турецкими

ეროვნული ბიბლიოთეკა

войсками, а с конца того же года англичанами, нанесли огромный ущерб экономике и населению исследуемого района. Намерение Турции захватить Аджарию во время установления советской власти в Грузии потерпело неудачу и 16 июня 1921 года в составе Грузии была создана Аджарская Автономная Советская Социалистическая Республика.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნ. 1, თბ., 1957.
2. ც. აბესაძე და სხვ., სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1958
3. ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1958.
4. აბუსერიძე ტბელი, ლ. მუსხელიშვილის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941.
5. ა. ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბ., 1960.
6. აჭარის სსსრ სტატისტიკური კრებული (1913—1923 წწ.), ბ., 1924.
7. ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბ., 1956.
8. ხ. ახვლედიანი, ხიხათის ციხისა და ეკლესიის ისტორიისათვის, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბ., 1955.
9. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1958.
10. ნ. ბერძენიშვილი. მ. ჯავახიშვილი; ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1946.
11. ვ. გორგილაძე, ეკრობა თურქეთისდროინდელ აჭარაში, ლიტერატურული აჭარა, 1959, № 3.
12. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომაურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.
13. ვ. იაშვილი, აჭარა VII—XVI საუკუნეებში (მოკლე მიმოხილვა) აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, 1960, ტ. IV.
14. ვ. იაშვილი, გონიის ციხის ისტორიისათვის, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბ., 1955.
15. ბ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
16. დ. კლდიაშვილი, მემაურები, თბ., 1952.
17. შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბ., 1956.
18. რ. მეფისაშვილი, სხალთის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბ., 1955.
19. დ. ნაცვალაძე, მე-19-ე საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები აჭარის შესახებ, აჭარის მუზეუმის შრომები, 1957, ტ. II.
20. სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, თბ., 1940.
21. თ. ყორდანია, ქრონიკები, წიგნი მეორე, თბ., 1897.
22. შ. რუსიძე, დანდალოს თაღიანი ქვის ხიდი და ციხე კოშკი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, 1960, ტ. IV.
23. შ. რუსიძე, დარჩიძეებისა და შუახევეის ციხე-სიმაგრეები, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, 1957, ტ. II.
24. საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე, თბ., 1959.
25. გ. სიჭინავა, ახალი ცნობები ციხისძირის (პეტრას) ისტორიისათვის, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, 1957, ტ. II.
26. გ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბ., 1958.
27. ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა (აჭარის ასსრ), წიგნი 1, ბ., 1958.
28. ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა (აჭარის ასრ), წიგნი II, ბ., 1959.
29. მ. სულეიმენოვი, პეტრას ციხე. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, 1957, ტ. II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. ა. სურგულაძე, ვ. ი. ლენინი ბათუმის შესახებ, ლიტერატურული აჭარა, 1960, № 2
31. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955.
32. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, თბ., 1942.
33. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბ., 1906.
34. ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, უ. ჩუბინოვის რედაქციით, სანკტპეტერბურღი, 1854.
35. ქ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1935.
36. თ. ჩიქოვანი ჯ. ნიკოლაშვილი, ჯოროხზე ნოსნობის ისტორიიდან, აჭარის მუზეუმის შრომები, 1958, ტ. III.
37. ს. ჩიხლაძე, გ. ჩხაიძე, და ს. ჯოგლიძე, ზოგიერთი მონაცემები მეფუტკრეობის განვითარების საკითხებზე აჭარაში, ბ., 1958.
38. ჯ. ხეციძე, ბათუმი, ისტორიული ნარკვევები, ბ., 1959.
39. ბ. ცქვიტარია, აჭარა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1958, ტ. VI.
40. გ. ჭანტურია, ციხე-ქალაქი გონიას ისტორიისათვის, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1954, ტ. 1
41. ხ. ჭიპინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი, ბ., 1921.
42. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ., II, თბ., 1948.
43. ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, თბ., 1949.
44. ს. ჯანაშია, О времени и условиях возникновения Абхазского царства, შრომები, II, თბ., 1952.
45. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეხევი საქართველოს შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, თბ., 1940.
46. Акты собранные Кавказской археографической комиссией.
47. С. А. Анисимов, Сельское хозяйство и земельный вопрос в Батумской области, Батумское побережье, Русские тропики, Б., 1911.
48. З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI—XII вв.), Сох., 1952.
49. Армянская география, изд. К. П. Патканов, СПб., 1877.
50. Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджарии, СПб., 1878.
51. К. Е. Бахтадзе, История культуры чая в СССР, Тб., 1955.
52. Ю. Н. Воронов, Батумская область, Известия Кавказского отделения русского географического Общества, т. XXI (1911—1912), № 1.
53. Гулишамбаров, Чай (производство, торговля и потребление), Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, т. XXXVIII, 75.
54. Е. Кондратенко, Сборник статистических сведений по Закавказскому краю, т. III, ч. I, 1902.
55. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959.
56. Г. Плиний, Секунд, Naturalis Historia, Вестник древней истории, т. II, 1949.
57. С. А. Покровский, Внешняя торговля и внешняя торговая политика России, М., 1947.
58. С. Н. Тимофеев, Сельско-хозяйственный очерк Батуми и его окрестностей. Батум и его окрестности, Б., 1906.
59. Три месяца в Турецкой Грузии, из дневника путешественника (Г. Казбеки). Т., 1875.
60. Н. В. Церетели, Очерк торгово-промышленного развития города Батума, Батум и его окрестности, Б., 1906.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ. ტ. XIX, 1962
Академия наук Груз. ССР—Труды Института географии им. Вахушти, т. XIX, 1962

ვ. ჯაოშვილი

აჭარის მოსახლეობა

1. მოსახლეობის დინამიკა და ეროვნული შემადგენლობა

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარეა. მის ისტორიაში მეტად მძიმე პერიოდს წარმოადგენს გვიან ფეოდალურ ეპოქაში თურქების მბრძანებლობა.

უცხოელთა ბატონობამ დაღი დასცა აჭარის მოსახლეობის სამეურნეო და კულტურულ განვითარებას. თურქები ყველა ღონეს მიმართავდნენ აჭარის მოსახლეობის ასიმილაციისათვის. დამპყრობლები სასტიკად დევნიდნენ ქართულ ენას, ზნე-ჩვეულებას და ქრისტიანულ სარწმუნეობას. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ყველაზე მძიმე იყო მაჰმადიანური სარწმუნეობის და თურქული ენის ძალით დანერგვა. თურქები იყენებდნენ ეკონომიურ ზემოქმედებას და, სართოდ, იძულების ყველა საშუალებას, არავითარ ღონისძიებას არ ერიდებოდნენ ისლამის გასავრცელებლად. ქართული ქრისტიანული კულტურის დიდი ტრადიციების მქონე აჭარელი მოსახლეობა თავდადებულად იბრძოდა მშობლიური ენისა და თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებისათვის. თუმცა თურქული სახელმწიფო ენად იყო გამოცხადებული და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული იყო სცოდნოდა იგი, ყოველდღიურ სალაპარაკო ენად ხალხი მაინც ქართულს იყენებდა.

აჭარის მშრომელებს არასოდეს არ გაუწყვეტიათ კავშირი მეზობელ ქართველ მოსახლეობასთან, რის წყალობითაც ძირითადად შეინარჩუნეს ძველი კულტურა და ზნე-ჩვეულებანი.

აჭარა თურქთა ბატონობისაგან მხოლოდ გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულში განთავისუფლდა; ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა აჭარის ისტორიაში. საქართველოს ამ ერთ-ერთი უმშვენიერესი მხარის მოსახლეობა ამით გადაურჩა გათურქებას და კვლავ ეზიარა მშობლიურ კულტურას; ამ მოვლენას მეტად მაღალი შეფასება მისცა მაშინდელმა მოწინავე ქართულმა საზოგადოებრიობამ. საკმარისია აღინიშნოს, რომ აჭარის შემოერთებას აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ უდიდესი ქართველი მოღვაწენი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან აჭარის მოსახლეობა თანდათან ჩაება მთელი ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომის საერთო ფერხულში. სამეურნეო და კულტურული აღმავლობა მალე დაეტყო როგორც ზღვისპირა, ისე მთიან აჭარას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბათუმის გამოცოცხლება. თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით იგი მალე გადაიქცა საქართველოს მნიშვნელოვან ნავსადგურად, სამრეწველო ცენტრად და უმსხვილეს ზღვისპირა ქალაქად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქთა მონობიდან განთავისუფლებამ და სამეურნეო ცხოვრების აღმავალობამ ხელი შეუწყო აჭარის მოსახლეობის სწრაფ ზრდას. გარდა იმისა, რომ შეიქმნა უფრო ხელსაყრელი პირობები მოსახლეობის ბუნებრივი მატებისათვის, ფართო ხასიათი მიიღო საქართველოს სხვა კუთხეებიდან, აგრეთვე რუსეთიდან მოსახლეობის დენად აჭარის ზღვისპირა ზოლში, ძირითადად ბათუმში. 90-იანი წლებიდან ჩასახლება ხდებოდა აგრეთვე ქობულეთში, ჩაქვში, მახინჯაურში და რიგ სხვა პუნქტებში, სადაც ჩაისახა სუბტროპიკული მეურნეობა — სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეტად ინტენსიური დარგი. ცხრილი 1 უკანასკნელი 85 წლის მანძილზე აჭარის მოსახლეობის ზრდის სურათს გვიჩვენებს.

ცხრილი 1

აჭარის მოსახლეობის დინამიკა 1874-1959 წლებში

წლები	მოსახლეობის რაოდენობა	აჭარის მოსახლეობის ხვედრითი წონა საქართველოს მოსახლეობაში
1874	48 490[1]	—
1886	56 567[2]	3,3%
1897	78 338[3]	4,1%
1926	131 957[3]	4,9%
1939	200 106[3]	5,6%
1959	245 286[4]	6,0%

სამწუხაროდ ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები თურქეთის ბატონობის პერიოდში აჭარის მოსახლეობის დინამიკის შესახებ. 1874 წლის მონაცემი გამოთვლილია გ. ყაზბეგის მიერ, მას მოჰყავს აჭარის მოსახლეობა იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოქცეული იყო ამ მხარის რუსეთთან შეერთების შემდეგ ბათუმის ოკრუგის შემადგენლობაში. ეს ტერიტორია მთლიანად არ შედის თანამედროვე აჭარის ფარგლებში. ამიტომ ზემოთ მოტანილ ციფრობრივ მონაცემებში 1874, 1886 და 1897 წლებისათვის შევიტანეთ შესაბამისი კორექტივები, და განვსაზღვრეთ მოსახლეობის რაოდენობა აღნიშნული წლებისათვის იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს ეკუთვნის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას.

მოტანილი ციფრები გვიჩვენებენ, რომ 85 წლის მანძილზე (1874—1959 წ. წ.) მოსახლეობა აჭარაში გაიზარდა 5-ჯერ, ხოლო 1897—1959 წლებში 3,1-ჯერ. საყურადღებოა, რომ აჭარის მოსახლეობა 1886—1959 წლებში ბევრად უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მთლიანად საქართველოს მოსახლეობა. იმავე პერიოდში საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 2,1-ჯერ. ამასთან დაკავშირებით იზრდებოდა აჭარის მოსახლეობის ხვედრითი წონა მთლიანად საქართველოს მოსახლეობაში; უკანასკნელი 70 წლის მანძილზე ეს მაჩვენებელი გადიდდა 3,3%-დან 6,0%-მდე.

ეს გარემოება ორი ძირითადი მიზეზითაა გამოწვეული: აჭარის მოსახლეობის უფრო სწრაფი ბუნებრივი მატებით და ზღვისპირა ზოლში მოსახლეობის დიდი მექანიკური ზრდით. საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან მოსახლეობას იზიდავდა, ერთი მხრივ, ბათუმის მრეწველობა და ტრანს-

---

[1] Г. Казбек, Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака, Тифлис. 1876, стр. 86, приложение № 2.

[2] Сборник статистических сведений по Закавказскому краю, под ред. Е. Кондратенко, Тифлис, 1902, стр. 18—19, 275-276.

აღსანიშნავია, რომ 1886 და 1897 წლებისათვის აჭარის მოსახლეობის შესახებ არარეალური ციფრებია მოტანილი წიგნში: ნ. ნიკარაძე, ნ. ჯიბუტი, აჭარის ასსრ, ბათუმი, 1957, გვ. 114.

[3] ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები, საქმე № 1-1

[4] იქვე, საქმე №719 (1960 წელი), ფურცელი 15—26

პორტი, მეორე მხრივ, სანაპირო ზოლის მეტად ინტენსიური სასოფლო-სამეურ-
ნეო წარმოება და საკურორტო მეურნეობა. აჭარის მოსახლეობა სწრაფად იზრ-
დებოდა არა მარტო საბჭოთა პერიოდში, არამედ კაპიტალისტურ ეპოქაშიც —
გასული საუკუნის 80-იან წლებიდან. საქმე ის იყო, რომ ზღვისპირა ზოლი, მი-
უხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, თურქეთის პერობერთის მი-
წურულისთვის მეტად სუსტად დასახლებულ მხარეს წარმოადგენდა. სოცია-
ლური ჩაგვრა და დამპყრობელთა ბატონობა აქ უფრო მძაფრად იყო გამოსა-
ხული, ვიდრე მთიან აჭარაში. ამავე დროს, თურქების ბატონობის პერიოდში
სრულიად არ იყო გამოყენებული ბათუმის სამრეწველო-სატრანსპორტო განვ-
ითარების შესაძლებლობანი. ამიტომ აჭარის განთავისუფლას თან მოჰყვა
მნიშვნელოვანი სოციალური და სამეურნეო მოვლენები; დამკვიდრდა მშვიდო-
ბიანი ცხოვრება და სანაპირო ზოლში დაიწყო მოსახლეობის სწრაფი მომრავ-
ლება, როგორც ბუნებრივი ნამატის, ისე ჩასახლების გზით. ბათუმი რკინიგზით
შეუერთდა თბილისსა და ბაქოს. ნავთის ექსპორტის და მისი მომსახურე მრეწ-
ველობის განვითარების შედეგად სწრაფად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა.
ასეთ ვითარებაში სხვადასხვანაირად წარიმართა მოსახლეობის დინამიკა ზღვის-
პირა და შიდა აჭარაში.

1874—1959 წლებში ზღვისპირა აჭარაში მოსახლეობა გაიზარდა თითქმის
8-ჯერ, ხოლო შიდა აჭარაში 2,5-ჯერ. ამის შედეგად ზღვისპირა აჭარის მოსახ-
ლეობის ხვედრითი წონა მთელი აჭარის მოსახლეობაში გადიდდა 46,8%-დან
73,2%-მდე. საგულისხმოა, რომ აჭარის მთიან ნაწილში 1874 წელს ცხოვრობ-
და მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი, ამჟამად კი, რიცხვობრივად 2,5-ჯერ
გაზრდის მიუხედავად, მისი მოსახლეობის ხვედრითი წონა შემცირდა თითქმის
ერთმეოთხედამდე. აჭარის ფარგლებში მოსახლეობის ასეთ არათანაბარ ზრდა-
ზე გადამწყვეტი გავლენა იქონია ეკონომიურმა და ბუნებრივმა პირობებმა.

მდ. აჭარისწყლისა და მისი მრავალრიცხოვანი შენაკადების ვიწრო ხეო-
ბებით დასერილ შიდა აჭარას დამუშავებისა და დასახლებისათვის ეარგისი მი-
წების მეტად მცირე ფართობები აქვს. არსებული სახნავ-სათესი მიწებიც მეტ
შემთხვევაში მკვეთრად დახრილ ფერდობებს წარმოადგენს, რის გამოც ძნე-
ლად დასამუშავებელი და მცირენაყოფიერია. ბუნებრივი რესურსების ამ არსე-
ბით ნაკლს რამდენადმე ავსებს მთის საძოვრების შედარებითი სიუხვე, მაგრამ
ისინი მხოლოდ ზაფხულის თვეებში გამოიყენებიან და ინტენსიური სასოფლო-
სამეურნეო წარმოებისათვის ნაკლებად სასარგებლო არიან. შეზღუდული ბუ-
ნებრივი რესურსების გამო შიდა აჭარა მცირე ოდენობით იძლევა სოფლის
მეურნეობის სასაქონლო პროდუქციას და მრეწველობაც სუსტადაა განვითა-
ლებული. საკმარისია აღინიშნოს, რომ აჭარის ამ ნაწილში არცერთი ქალაქი და
დაბა არ არსებობს.

სულ სხვა სურათია აჭარის ზღვისპირა ზოლში. ხელსაყრელი ბუნებრივი
პირობებისა და ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო აქ წარმოიშვა
და განვითარდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს უმსხვილესი ქალაქი ბა-
თუმი, როგორც მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი და სავაჭრო ნავსადგური.
შეიქმნენ კურორტები: ქალაქი ქობულეთი, ციხისძირი, ძწვანე კონცხი, დაბა
მახინჯაური. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სუბტროპიკული
პავლია და შესაბამისი ნიადაგების არსებობამ შესაძლებელი გახადა საბჭოთა
პერიოდში მეტად ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვა ბა-
თუმისა და ქობულეთის ადმინისტრაციულ რაიონებში. ისინი განთქმული არიან
მთელ საქართველოში ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებით, აგრეთვე სოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მეურნეობის რიგი სხვა დარგით. ამასთან დაკავშირებით სისტემატურად იზრდება ზღვისპირა აჭარის მოსახლეობა არა მარტო საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან მოსულთა ხარჯზე, არამედ შიდა აჭარიდან გადმოსახლების შედეგადაც. ბათუმში, ქობულეთში და მათ მიმდებარე სოფლებში სისტემატურად წარმოებს მოსახლეობის გადასვლა ქედის, შუახევის და ხულოს რაიონებიდან. მოსახლეობის აბსოლუტურ მატებას ადგილი აქვს შიდა აჭარაშიც, მაგრამ ბევრად უფრო სწრაფად იზრდება მოსახლეობა ზღვისპირა ზოლში, რასაც გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები.[5]

ცხრილი 2

პერიოდი	მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის პროცენტი			
	მთლიანად საქართველოში	მთლიანად აჭარაში	ზღვისპირა ზოლში	შიდა აჭარაში
1897—1926	1,2	1,9	2, 8	0,6
1926—1959	1,1	2,1	2,3	1,1

ასეთი სხვაობა მოსახლეობის რიცხვობრივ ზრდაში გამოწვეულია ზღვისპირა და შიდა აჭარაში მცხოვრებთა მიგრაციის ერთმანეთის საწინააღმდეგო პროცესით; პირველში მოსახლეობა მოდის, მეორედან კი მიდის. ეს პროცესი დამახასიათებელია მთელი საქართველოს ბარისა და მთისათვის, წარმოადგენს რა სავსებით კანონზომიერ და გარკვეულ ფარგლებში პროგრესულ მოვლენას თანამედროვე პირობებში. იგი გამოწვეულია როგორც აჭარაში, ისე მთლიანად საქართველოში, ბუნებრივი რესურსების სხვაობის ბაზაზე წარმოქმნილი ბარის უფრო სწრაფი სამეურნეო განვითარებით, მთასთან შედარებით. ყოველწლიურად შიდა აჭარიდან ქობულეთის და ბათუმის რაიონების სოფლებში გადადის საცხოვრებლად 100—150 ოჯახი. გარდა ამისა, მოსახლეობის ნაწილი მიდის აჭარის ქალაქებში, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ (მესხეთში, გურიაში და სხვ.). თუ ამავე დროს შიდა აჭარის მოსახლეობის ზრდა მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანია და საქართველოს მოსახლეობის ზრდის საშუალო ტემპებს ეთანაბრება (1,1% საშუალო წლიური ზრდა 1926—1959 წ. წ.), ეს იმის შედეგია, რომ მთლიანად აჭარაში და, კერძოდ, შიდა აჭარაში მაღალია მოსახლეობის ბუნებრივი მატება, რაც ჩანს ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან.

ცხრილი 3

აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა[6]

წლები	დაბადებულთა რიცხვი ყოველ ათას მცხოვრებზე	გარდაცვლილთა რიცხვი ყოველ ათას მცხოვრებზე	ბუნებრივი მატება ყოველ ათას მცხოვრებზე
1950	29,3	7,8	21,8
1955	27,2	6,0	21,2
1956	27,7	6,1	21,6
1959	29,8	7,3	22,5

[5] მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი გამოთვლილია საშუალო გეომეტრიულის ფორმულით.

[6] ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები, 1960 წელი, საქმე № 719, ფურცელი 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარას უჭირავს საქართველოს ცალკე მხარეებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი მოსახლეობის ბუნებრივი ნამატით. იმავე 1950—1959 წლებში საქართველოში საშუალოდ აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 16—17-ს ყოველ ათას მცხოვრებზე, აჭარაში კი 21—22-ს. განსაკუთრებით დიდია მოსახლეობის ბუნებრივი მატება აჭარის სოფლებში, მათ შორის შიდა აჭარაშიც. 1956 და 1959 წლებში საშუალოდ აჭარის სოფლებში ეს მონაცემი შეადგენდა შესაბამისად 25,8-ს და 28,2-ს, ქალაქის მოსახლეობაში კი 15,6-ს და 15,7-ს. მეტად მნიშვნელოვანია ამ მხრივ ის ცვლილებები, რასაც ადგილი აქვს კაპიტალიზმის პერიოდთან შედარებით. 1894—1898 წლებში — ხუთი წლის მანძილზე — საშუალოდ ყოველწლიური ბუნებრივი ნამატი ბათუმის მოსახლეობის ყოველ ათას სულზე არ აღემატება 4,1-ს, ხოლო აჭარის სოფლებში 11,8-ს.[7]

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის მიწურულთან შედარებით ამჟამად აჭარის სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა შეადგენს დაახლოებით 2,5-ჯერ მეტს, ხოლო ქალაქის მოსახლეობისა 3,5-ჯერ მეტს. ცხადია, აქ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მოსახლეობის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობის დაცვის მკვეთრმა გაუმჯობესებამ.

მოსახლეობის დინამიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ურთიერთ შეთანწყობა. ამ მხრივ აჭარაში, ისე როგორც საქართველოსა და მთელ საბჭოთა კავშირში, ადგილი აქვს იმ კანონზომიერ მოვლენას, რომელიც გამოისახება ქალაქის მოსახლეობის უფრო სწრაფ ზრდაში, ვიდრე სოფლისა. აჭარის ტერიტორიაზე მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთი უძველესი საზღვაო ქალაქი ბათუმი, რომელიც ამჟამად ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია. გარდა ამისა, საბჭოთა პერიოდში აჭარის ზღვისპირა ზოლში კურორტებისა და სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების შედეგად წარმოიშვნენ ქალაქი ქობულეთი და დაბები: ჩაქვი, ოჩხამური და მახინჯაური. ყველა ამ პუნქტში 1959 წლის 15 იანვრისათვის ცხოვრობდა 110 843 კაცი, ანუ აჭარის მთელი მოსახლეობის 45,2%.

ცხრილი 4

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დინამიკა აჭარაში

წლები	ქალაქის მოსახლეობა		სოფლის მოსახლეობა		საქ. მთელი მოსახლეობა		აჭარის ქალ. მოსახლეობის ხვედ. წონა საქართველოს ქალაქების მოსახლეობაში (პროც).
	აბსოლუტ.	%%	აბსოლ.	%%	ქალაქ %%	სოფლ. %%	
1874	4970[8]	10,2	43520	89,8	—	—	—
1886	14803	26,1	41764	73,9	11,5	88,5	7,5
1897	28512	37,6	49826	62,4	16,0	84,0	9,3
1926	50378	38,2	81579	61,8	22,2	77,8	8,6
1939	76152	38,1	123954	61,9	30,1	69,9	7,1
1959	110843	45,2	134443	54,8	42,4	57,6	6,5

1874 წლიდან 1959 წლამდე აჭარის ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 22,3-ჯერ, სოფლის მოსახლეობა კი 3,1-ჯერ. აქედან ნათლად ჩანს, თუ რამდენად მაღალი იყო ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპები სოფელთან შედარებით. აჭარა წინ უსწრებს მთლიანად საქართველოს ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონით, მაგრამ რამდენადმე ჩამორჩება ამ მონაცემით საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

---

[7] Сборник статистических сведений по Закавказскому краю, под ред. Е. Кондратенко, стр. 27-30.

[8] Батум и его окрестности. Батум, 1906, стр. 24. (ბათუმის მოსახლეობა მოტანილია 1873 წლისათვის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარაში უფრო ძლიერია მთიანი სოფლებიდან ზღვისპირა სოფლებში ჩასახლების პროცესი, ვიდრე სოფლებიდან ქალაქისაკენ ლტოლვა. ბათუმის და ქობულეთის ადმინისტრაციული რაიონების სოფლები მეტ შემთხვევაში თითონ უფრო მეტად იზიდავენ მოსახლეობას სხვა სოფლებიდან, ვიდრე მათ მოსახლეობას იზიდავს ბათუმი, ქობულეთი და ზემოთ მოხსენებული დაბები. ამიტომაა, რომ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე აჭარა წინ უსწრებს მთლიანად საქართველოს სოფლის მოსახლეობის ზრდის ტემპებით, მაგრამ ჩამორჩება ქალაქების ზრდაში. ამ მოვლენას ადგილი აქვს მიუხედავად ორი გარემოებისა: თვით აჭარაში ქალაქების მოსახლეობის უფრო სწრაფად ზრდისა, ვიდრე სოფლისა, და ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონის უფრო მაღალი დონისა, მთლიანად საქართველოსთან შედარებით. ეს უკანასკნელი გარემოება იმითაა გამოწვეული, რომ აჭარაში, ბათუმის სწრაფად განვითარების შედეგად, ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში დაიკავა ქალაქის მოსახლეობამ დიდი ადგილი. 1897 წელს აჭარაში ქალაქის მოსახლეობაზე მოდიოდა 37,6%, მთლიანად საქართველოში კი მხოლოდ 16,3%. მოსახლეობის შიდა მიგრაციის, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა დინამიკის ასეთ თავისებურებას საქართველოს არცერთ მხარეში არ აქვს ადგილი. იგი გამოწვეულია თვით აჭარის ბუნებრივი პირობებითა და მდებარეობით, აგრეთვე მისი ისტორიულ-ეკონომიური განვითარების განსხვავებულობით.

ძველად აჭარა მთლიანად ქართველი ტომებით იყო დასახლებული. მხოლოდ ბათუმსა და რამდენიმე მსხვილ დასახლებულ პუნქტში (ქედა, ხუული, ქობულეთი და სხვ.) ცხოვრობდნენ მცირე რაოდენობით სომხები და ბერძნები, რომლებიც ვაჭრობასა და ხელოსნობაში იყვნენ ჩაბმული. ოსმალეთის ბატონობის პერიოდში გაჩნდნენ აგრეთვე ოლრქები, მაგრამ არც მათ რიცხვს მიუღწევია მნიშვნელოვან ოდენობამდე. გასული საუკუნის 60-იან წლებში ბათუმის მახლობელ სოფლებში ჩასახლდნენ აფხაზები. რუსეთთან შეერთების შემდეგ სწრაფად იზრდებოდა ბათუმში რუსებისა და უკრაინელების რიცხვი, ეს პროცესი გრძელდება აგრეთვე საბჭოთა პერიოდშიც. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონიდან მოსული რუსები, უკრაინელები, სომხები და რიგი სხვა ეროვნების წარმომადგენლები არა მარტო აჭარის ქალაქებში მკვიდრდებიან, არამედ ზღვისპირა ზოლის სოფლებშიაც საკმაო ოდენობით სახლდებიან. განსაკუთრებით დიდია ახლა აროქართველი მოსახლეობის რიცხვი საბჭოთა მეურნეობებთან

ცხრილი 5

აჭარის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

წლები	მთელი მოსახლეობა	ქართველ.		რუსები		უკრაინელები		სომხები		ბერძნები		დანარჩენი	
		აბსოლ	% %	აბსოლ	% %	აბსოლ	% %	აბსოლ	% %	აბსოლ	% %	აბსოლ	% %
1926[9]	131957	90315	68,5	10190	7,7	ცნობები აბ. არის	—	10476	7,9	5566	4,2	15410	11,7
1939[10]	200106	127603	63,8	30616	15,3	6804	3,4	14007	7,0	7804	3,9	13207	6,6
1959[11]	245286	178637	72,8	32794	13,4	5844	2,4	15830	6,4	5737	2,3	6444	2,7

[9] 1926 წლის 17 დეკემბრის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის შედეგები საქართველოს სსრ-ში

[10] ნ. ნიკარაძე, ნ. ჯიბუტი, აჭარის ასსრ, ბათუმი, 1957, გვ. 116

[11] ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები, საქმე № 719, (1960 წ.) ფურცელი 15-26

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩაის ფაბრიკებთან შექმნილ დასახლებებში. მიუხედავად მოსახლეობის ასეთი სიჭრელისა, აშკამად ქართველების ხვედრითი წონა აჭარაში უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ მთელ საქართველოში.

მეტად საგულისხმო მოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აჭარაში სწრაფად იზრდება ქართველი მოსახლეობა. უკანასკნელი 32 წლის მანძილზე[12] ქართველების რაოდენობა აჭარაში თითქმის გაორკეცდა. იმავე პერიოდში მთლიანად რესპუბლიკაში ქართველების რიცხვი გაიზარდა 45,5%-ით. ასეთი სხვაობის წარმომქმნელი ძირითადი მიზეზია აჭარის მოსახლეობის სწრაფი ბუნებრივი ზრდა. საგულისხმოა, რომ საბჭოთა კავშირის შიდა რაიონებიდან რუსი მოსახლეობა საკმაოდ დიდი რაოდენობით მოდიოდა აჭარაში ომის წინა ხუთწლედების მანძილზე, მაგრამ 1939—1959 წლებში ეს პროცესი მინიმუმამდე შემცირდა.

მაშინ, როდესაც ზღვისპირა აჭარა (უმთავრესად ქალაქები) გამოირჩევა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სიჭრელით, შიდა აჭარა თითქმის მხოლოდ ქართველებითაა დასახლებული.

2. მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება

აჭარის ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებამ და მისი ცალკეული ნაწილების განსხვავებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მნიშვნელოვანი არათანაბრობა მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაში. ქალაქებისა და დაბების განლაგებამ ზღვისპირა ზოლში, აქვე წარმოქმნილი მეტად ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან ერთად ხელი შეუწყო აჭარის ამ ნაწილში მოსახლეობის უმრავლესობის თავმოყრას. მეორე მხრივ, მთა-გორიანი რელიეფის მქონე შიდა აჭარა ბევრად უფრო სუსტადაა დასახლებული.

ცხრილი 6

მოსახლეობის სიმჭიდროვე აჭარაში

ადმინისტრაციული ერთეულები	მოსახლეობის რაოდენობა 1959 წ. აღწერით	მთელი ტერიტორია კვ. კმ-ში	მეტოხერხებთა რაოდენობა ერთ კვ. კმ—ზე	სოფლის მოსახლეობის რ-ბა: 1 კვ. კმ. ტერიტორიაზე	1 კვ. კმ. სასოფლო-სამეურნეო მიწებზე	1 კვ. კმ. დამუშავებულ მიწებზე	დამუშ. მიწების ხვედრითი წონა (პროცენტ.)
ქალაქი ბათუმი	82328	14	5880	—	—	—	—
ბათუმის რაიონი	42870	416	103,0	86,0	376	394	20,8
ქობულეთის „	54401	720	75,5	58,5[13]	235[13]	300[13]	19,0
ქედის „	17204	452	38,0	38,0	223	301	11,5
შუახევის „	20324	588	34,6	34,6	122	442	6,9
ხულოს „	28159	710	39,6	39,6	101	494	6,8
სულ აჭარის ასსრ	245286	2900	84,6	50,3	168	342	12,7
სულ საქართველოს სსრ	4044045	70166	57,6	33,7	87	190	17,0

[12] 1926 წელს მოსახლეობის აღწერა ჩატარდა 17 დეკემბერს, ხოლო 1959 წელს — 15 იანვარს.

[13] ამ მონაცემის გაანგარიშების დროს დაბა ჩაქვისა და დაბა ოჩხამურის მოსახლეობა ჩავთვალეთ სოფლის მოსახლეობაში შემდეგი ორი მიზეზის გამო: 1) მათი მოსახლეობის უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო შრომაშია ჩაბმული; 2) მათი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დამუშავებულ მიწას უკავია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი გვიჩვენებს, რომ აჭარა ბევრად უფრო მჭიდროდ დასახლებული მხარეს წარმოადგენს, ვიდრე საშუალოდ მთელი საქართველო. აქ მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე არა მარტო მთელ ტერიტორიაზე, არამედ სასოფლო-სამეურნეო და დამუშავებულ მიწებზე გაანგარიშებითაც. კერძოდ, ამ ორი უკანასკნელი სახის სავარგულზე აჭარაში მოდის თითქმის ორჯერ მეტი სოფლის მოსახლეობა, ვიდრე საშუალოდ საქართველოში. მოსახლეობის სიმჭიდროვით აჭარა წინ უსწრებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, სადაც 1 კვ. კმ ტერიტორიაზე საშუალოდ მოდის 46,7 მცხოვრები. საგულისხმოა, რომ აჭარა უფრო წინ დგას ამ მაჩვენებლით, ვიდრე მის მეზობლად მდებარე, საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული გურია-სამეგრელოს რაიონები. აჭარაზე მოდის საქართველოს ტერიტორიის 4,1%, ხოლო მისი მოსახლეობის ხვედრითი წონა შეადგენს მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის 6%-ს. საქართველოს ცალკეულ მხარეთა შორის მოსახლეობის სიმჭიდროვით აჭარა ჩამორჩება მხოლოდ იმერეთს, სადაც საშუალოდ 1 კვ. კმ-ზე ცხოვრობს 102 კაცი.

ინტერესმოკლებული არ არის აღინიშნოს, რომ მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე აჭარაში შექმნილია მთლიანად ზღვისპირა ნაწილის ხარჯზე, სადაც მდებარეობს ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქები და დაბები, აგრეთვე გაშლილია მეტად ინტენსიური სოფლო-სამეურნეო წარმოება. აჭარის ზღვისპირა ზოლი თავისი მეურნეობის ხასიათით და დასახლების სიმჭიდროვით ძალიან უახლოვდება გურია-სამეგრელოს და აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს (ოჩამჩირისა და გალის რაიონებს), მაგრამ მათგან გამოირჩევა ქალაქის მოსახლეობის ბევრად უფრო მაღალი ხვედრითი წონით, რაც მკვეთრად ადიდებს დასახლების სიმჭიდროვეს აჭარის ამ ნაწილში. არა ნაკლებ საგულისხმოა აგრეთვე შემდეგი გარემოება: აფხაზეთის მსგავსად, აჭარაც ზღვისპირა და მთიან ნაწილად იყოფა, მაგრამ მათ შორის არის დიდი განსხვავებაც. მაშინ, როდესაც აჭარის მთიანი ნაწილის მდინარეთა ხეობები ალაგ-ალაგ რამდენადმე ფართოვდებიან და დასახლებისათვის ხელსაყრელ პირობებს წარმოქმნიან, აფხაზეთის მთიანი ნაწილი იმდენად ვიწრო და ციცაბოკალთებიანი ხეობებითაა დასერილი, რომ თითქმის გამოუყენებელია დასახლებისათვის. ამასთან დაკავშირებით მთიანი აჭარა უძველესი დროიდანაა დასახლებული, ხოლო აფხაზეთის მთიანეთი მცირე გამონაკლისს გარდა (მეტად პატარა ტერიტორიები კოდორისა და ბზიფის ხეობებში) სრულიად დაუსახლებელია. ამ მიზეზების გამო საშუალო სიმჭიდროვით აჭარა წინ უსწრებს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებს და, საერთოდ, მჭიდროდ დასახლებულ მხარეს წარმოადგენს მთელ საქართველოში. სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე აჭარაში თითქმის 50%-ით აღემატება ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს მთელ საქართველოსათვის.

როგორც ცნობილია, სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვის შექმნაში დიდ როლს ასრულებს მიწის სავარგულების შეთანაწყობა; კერძოდ, დამუშავებისათვის ვარგისი მიწებით უზრუნველყოფა ხელს უწყობს უფრო ხშირი დასახლების შექმნას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აჭარაში ამ კატეგორიის მიწები შეადგენენ მთელი მიწების 12,7%-ს, გაცილებით ნაკლებს, ვიდრე საშუალოდ საქართველოში. მიუხედავად ამისა, აჭარაში მაინც მაღალია სიმჭიდროვე, მაგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ დამუშავებისათვის ვარგისი მიწების შეადგენლობა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ აჭარის დამუშავებულ მიწებში მეტად მაღალია მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობები. მათზე მოდის ავტონომიური რესპუბლიკის დამუშავებელი მიწების

57%-ზე მეტი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს არცერთ მხარეში ერთ მრავალწლიანი ნარგავები ასე ფართოდ გავრცელებული. საშუალოდ რესპუბლიკაში მათზე მოდის დამუშავებული მიწების 19,5%. აჭარაში მრავალწლიანი ნარგავები წარმოდგენილია ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული კულტურების პლანტაციებით, აგრეთვე ხეხილის ბაღებით. ეს შრომატევადი კულტურები დიდი რაოდენობით მოიითხოვენ მუშახელს, მაგრამ ამავე დროს ფართობის ერთეულზე დიდ შემოსავალსაც იძლევიან, ამიტომ მათი გავრცელების რაიონები მოსახლეობის მეტი „ტევადობით“ გამოირჩევიან. ე. ი. ასეთ ადგილებში შესაძლებელია მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვის შექმნა. სწორედ ამიტომაა მეტად მაღალი სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე ქობულეთის და ბათუმის ადმინისტრაციულ რაიონებში (მთელ სასოფლო-სამეურნეო ფართობზე გაანგარიშებით). ასევე დადებითად მოქმედებს აქ სოფლის მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვის შექმნაზე, დამუშავებისათვის ვარგისი მიწების ბევრად უფრო მაღალი ხვედრითი წონა, ვიდრე შიდა აჭარაში. მეექვსე ცხრილი გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით მაღალია სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე ბათუმის რაიონში, რაც გაპირობებულია თვით ბათუმის, როგორც მსხვილი სამრეწველო-სატრანსპორტო ქალაქის გავლენით და დამუშავებისათვის გამოსაყენებელი მიწების დიდი ხვედრითი წონით. საყურადღებოა, რომ ზღვისპირა ზოლთან შედარებით უფრო სუსტად დასახლებულ შიდა აჭარაში დიდია სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე დამუშავებულ ფართობებზე გაანგარიშებით. ასეთ სურათს ჩვენ დავინახავთ თითქმის ყველგან, თუ ერთმანეთს შევადარებთ საქართველოს სხვა ნაწილების ერთმანეთის მოსაზღვრე ბარისა და მთის რაიონებს. ეს გარემოება შედეგია მთაში დამუშავებისათვის ვარგისი მიწების დიდი სიმცირისა. სწორედ ეს ძირითადი მიზეზი განაპირობებს მოსახლეობის დენას მთიდან ბარისაკენ.

ისე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება აჭარაშიც სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორებთან ერთად დაკავშირებულია ბუნებრივი პირობების ვერტიკალურ ცვლილებებთან, ამიტომ გარკვეულ ინტერესს შეადგენს მოსახლეობის განლაგება ვერტიკალური ზონების მიხედვით.

ცხრილი 7

აჭარის მოსახლეობის განლაგება მიფსომეტრიული საფეხურების მიხედვით

სიმაღლე ზღვის დონიდან მეტრობით	ფართობი კვ. კილომეტრობით	1926 წელი			1959 წელი		
		მოსახლეობის რაოდენობა		სიმჭიდროვე 1 კვ. კ.-ზე	მოსახლეობის რაოდენობა		სიმჭიდროვე 1 კვ. კ.-ზე
		აბსოლუტური	%%		აბსოლუტური	%%	
0—200	372,31	76782	58,2	206	162324	66,2	436
200—400	184,43	14887	11,3	81	22844	9,3	124
400—600	204,09	6817	5,2	33	7885	3,2	39
600—800	220,01	8704	6,6	40	9603	3,9	44
800—1000	242,17	3428	2,5	14	8161	3,3	34
1000—1200	777,6	9452	7,2	28	16469	6,8	44
1200—1400		8591	6,5		12800	5,2	
1400—1600		3396	2,5		5200	2,1	
ს ულ	2900	131957	100,0	45,5	245286	100,0	84,6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველ ყოვლისა, საყურადღებოა ის ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მოსახლეობის სიმაღლითი ზონების მიხედვით განლაგებაში 1926 წლის შემდეგ. ამ პერიოდში ხდებოდა მცხოვრებთა თანდათანობითი გადაადგილება ველაზე უფრო დაბლა განლაგებულ ზონისაკენ. მოსახლეობის აბსოლუტური ოდენობა გაიზარდა ყველა სიმაღლით ზოლში, მაგრამ სხვადასხვა პროპორციით. ბუნებრივი მატებით მაღლა ზონებში განლაგებული მოსახლეობა სრულიადაც არ ჩამორჩება დანარჩენ მოსახლეობას, მაგრამ მთიანი ნაწილის მცხოვრებთა ხვედრითი რიცხვი საკმაოდ შემცირდა მთელ მოსახლეობაში, მაშინ როდესაც ზღვისპირა ზოლის (200 მ-დე) ხვედრითი წონა ბევრად გაიზარდა (58,2%-დან 66,2%-მდე). თუ 200 მ-დე მდებარე ტერიტორიაზე 32 წლის მანძილზე მოსახლეობა გაიზარდა 111,4%-ით, ამ ზღვარს ზემოთ მცხოვრებთა რიცხვის ზრდა შეადგენს მხოლოდ 50,3%-ს. ზღვისპირა ზოლში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობა მოდიოდა ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარედან, აგრეთვე აჭარის უფრო მაღლა განლაგებულ მთაგორიან ნაწილებიდან, ე. ი. ადგილი ჰქონდა მოსახლეობის როგორც იმიგრაციას, ისე შიდა მიგრაციას.

აჭარის მოსახლეობის ორი მესამედი, ზღვის დონიდან 200 მ სიმაღლემდე მდებარე ზონაშია განლაგებული. ეს ტერიტორია წარმოდგენილია ზღვისპირა ვაკით და მისი უშუალო მოსაზღვრე გორაკ-ბორცვებით. მას უჭირავს აჭარის ტერიტორიის 12,9%, ხოლო მისი მოსახლეობა შეადგენს ავტონომიური რესპუბლიკის საერთო მოსახლეობის 66,2%-ს. აქ მთელი მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 436 კაცს ერთ კვ.კმ-ზე, ხოლო სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე 172 კაცს. ამ ზონაში მდებარეობს აჭარის ყველა ქალაქი და დაბა, აგრეთვე ბათუმის და ქობულეთის რაიონების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. დასახლება აქ წარმოდგენილია ერთიანი ზოლის სახით, მდ. ჩოლოქის მარცხენა ნაპირიდან სოფელ სარფამდე — შავი ზღვის ნაპირის გასწვრივ. მხოლოდ რამდენიმე ადგილის მცირე უბნებზე წყდება იგი იმის გამო, რომ მთის ციცაბო ფერდობები უშუალოდ ეშვებიან ზღვის ნაპირისაკენ. შედარებით მოზრდილი ტერიტორია ქობულეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით (დაახლოებით 20—25 კვ.კმ) დაჭაობების გამო დაუსახლებელია. იგი გამოყოფილია შავი ზღვის ნაპირიდან დასახლების ვიწრო ზოლით, რომელიც სანაპირო დიუნს გასდევს ქობულეთიდან მდ. ჩოლოქის შესართავამდე.

დასახლების ზღვისპირა ზოლის საერთო მიმართულებაა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. მას უშუალოდ ეკვრის 200—400 მ სიმაღლეზე მდებარე ტერიტორია, რომელიც მეტწილად დასახლებულია და ფაქტიურად წინა საფეხურთან ერთად შეადგენს ერთ მთლიან დასახლებულ ზღვისპირა ზოლს. მთელი ამ ზოლის სიგანე ზღვის ნაპირიდან მთის კალთებამდე საკმაოდ დიდ ფარგლებში მერყეობს — დაახლოებით 1-დან 15 კმ-დე. დასახლებული უბნები შეფენილია მთის ციცაბი კალთების ძირამდე, ხოლო ცალკეული ხეობების გასწვრივ საკმაოდ შორსაც იჭრება მთებში — ენების ანუ სოლების სახით.

ზღვისპირა ზოლი წარმოადგენს განსახლების ერთ მთლიან კომპაქტურ ჯგუფს, რომელშიაც სოფლის დასახლებულ პუნქტებს შორის ჩართულია ქალაქები და დაბები. უჭირავს რა ბათუმის და ქობულეთის ადმ. რაიონების ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, იგი გამოირჩევა ბუნებრივი პირობების ერთიანობით, მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით, სოფლის მოსახლეობის საქმიანობაში მსგავსი დარგების გავრცელებით, სოფლების გარეგანი სახის ერთგვაროვნებით, განსაზღვრული ტიპის საცხოვრებელი სახლის გავრცელებით და რიგი სხვა გამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანებელი ნიშნით. ამიტომ გამოიყოფა იგი, როგორც განსახლების ერთიანი ზოლი ანუ კომპაქტური ჯგუფი. რიგი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქები და დაბების მეტი ნაწილი, განლაგებული არიან ვაკეზე, მაგრამ სოფლების უმეტესი ნაწილი გორაკ-ბორცვებზე და მდინარეთა ვიწრო ხეობებშია განნეული. უმეტეს შემთხვევაში სოფლები ერთმანეთზეა წაბმული და მათ შორის მკაფიოდ გამოსახული ბუნებრივი საზღვარი არც არსებობს. ცალკეულ შემთხვევებში კი სოფლები ერთმანეთისაგან გამოყოფილია დაუსახლებელი სივრცით. ეს სივრცე, ჩვეულებრივ, წარმოადგენს დასახლებისათვის უვარგის ტერიტორიას — მდინარის ვიწრო ხეობას ან მკვეთრად დახრილი კალთების მქონე მთას და ა. შ.

განსახლების ზღვისპირა ზოლს გამაერთიანებელ საერთო ნიშნებთან ერთად ახასიათებს აგრეთვე შინაგანი სიჭრელე. ეს უკანასკნელი გამოწვეულია ბუნებრივი პირობების ზოგიერთი თავისებურებით, რაც ვლინდება არა მარტო განსახლების ტიპსა და სოფლების გარეგან სახეში, არამედ ნაწილობრივ მოსახლეობის საქმიანობაშიც, რაზედაც გავლენას ახდენს აგრეთვე სოფლების მიკრო ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობა. თუ ამ ზოლს უფრო დეტალურად განვიხილავთ, შეიძლება განსახლების სამი ქვეტიპი გამოვყოთ: ვაკის, გორაკ-ბორცვების და მდინარეთა ხეობების.

ვაკეზე მდებარე სოფლებს მეტად თუ ნაკლებად სწორი დაგეგმარება აქვთ. სახლები მეტწილად მთავარი გზის გასწვრივ არიან განლაგებული, ზოგიერთი უბნები კი მისგან დაცილებითაც მდებარეობენ; აქ გაბატონებულია განსახლების საკარმიდამო ტიპი. კოლმეურნის კარმიდამოს ეკვრის ციტრუსებით და ხეხილით დაკავებული ნაკვეთი. ვაკე ადგილებში საცხოვრებელი სახლები არც თუ ისე დიდი მანძილით არიან ერთმანეთისაგან დაცილებული. ამ სოფლებისათვის დამახასიათებელია კეთილმოწყობის მაღალი დონე, ორსართულიანი სახლების სიხშირე, შედარებით ფართო და პირდაპირი ქუჩები.

გორაკ-ბორცვებზე განლაგებული სოფლები უფრო ნაკლები შიგა კომპაქტურობით გამოირჩევიან. სახლები აშენებულია შემაღლებულ ადგილებზე — პატარა გორაკებისა და სერების თხემზე და მანძილი მათ შორის ბევრად უფრო დიდია. გარდა ხეხილისა, ციტრუსებისა და ჩაისა, საკარმიდამოზე შედარებით მცირე ფართობები აქვთ დათმობილი ბოსტნეულსა და სიმინდს. ეს სოფლები განნეულია მეტწილად ჩაის პლანტაციებს შორის. გორაკ-ბორცვებზე მდებარე სოფლებს გაბატონებული ადგილი უკავიათ ზღვისპირა ზოლში. ასე რომ, ამ ქვეტიპის საკარმიდამო დასახლება ყველაზე უფრო დამახასიათებელია ზღვისპირა აჭარის სოფლებისათვის. ეს ზოლი მეტისმეტად დასერილია პატარ-პატარა მდინარეებით, რომლებიც ან უშუალოდ ერთვიან ზღვას, ან სხვა, უფრო მოზრდილი მდინარეებს შენაკადებს წარმოადგენენ. ზოლი წარმოადგენს აჭარის სუბტროპიკული მეურნეობის ოქროს ფონდს და სოფლის მოსახლეობის თავმოყრის ძირითად არეალს.

აჭარის ზღვისპირა რაიონს ჰკვეთს რამდენიმე მოზრდილი მდინარე (ენტრიში, ჩაქვისწყალი, მაჭახელისწყალი), რომელთა ვიწრო და ღრმა ხეობები საკმაოდ შორს იჭრებიან დაბალმთიან ზონაში. ალაგ-ალაგ ეს ხეობები ოდნავ ფართოვდებიან, მთის კალთების დაქანება რამდენადმე სუსტდება და შესაძლებელი ხდება მათი დასახლებისათვის გამოყენება. ამ ხეობათა დასახლებანი გორაკ-ბორცვიანი ზონის სოფლების გაგრძელებას წარმოადგენენ ცალკეული სოლების სახით. სოფლები აქ ბევრად უფრო პატარები და განცალკევებული არიან, შედარებით კომპაქტური დასახლებული უბნებისაგან შედგებიან. თავისი გარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანი სახით და ზოგჯერ მეურნეობითაც ისინი მთიანი აჭარის სოფლებს უფრო მოგვაგონებენ. მაგრამ, რადგან უშუალოდ უკავშირდებიან ზღვისპირა ზოლს და არც თუ ისე მაღალი ჰიფსომეტრიული მდებარეობა აქვთ, ზღვისპირა ზოლთან ერთად განიხილებიან. მათი უმრავლესობა მდებარეობს 200—250 მ სიმაღლეზე და მხოლოდ ზოგიერთი მათგანია უფრო მაღლა განლაგებული. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს ქობულეთის რაიონის სოფელი ხინო, რომელიც მდ. კინტრიშის ხეობაში, ზღვის დონიდან 1020 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

ზღვისპირა ზოლში ამჟამად ძირითადად გავრცელებულია აგარეთი, წიდაბეტონით ან შერეული მინერალური საკედლე მასალით ნაგები კაპიტალური საცხოვრებელი სახლები, რომლებიც მეტწილად ორსართულიანია ან დადგმულია რკინა-ბეტონის ბოძებზე. სახლების უდიდესი ნაწილი ახლად გამოიყურება — აგებულია უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე, თითოეულ მათგანში მოწყობილია 2—6 ოთახი დამხმარე სათავსოებით. სახურავ მასალად გამოყენებულია კამიტი, თუნუქი ან შიფერი, უფრო იშვიათად კი ყავარი.

ვაკესა და გორაკ-ბორცვებზე განლაგებული სოფლებისაგან განსხვავებით, მდინარეთა ხეობების სოფლებში უმთავრესად გავრცელებულია ხის სახლები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ყავრით არიან დახურული.

ზღვისპირა აჭარის განსახლებისაგან მკვეთრად განსხვავდება შიდა აჭარის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება. ამ მთაგორიან მხარეს აღმოსავლეთიდან დასავლეთით მთელ სიგრძეზე ჰკვეთს მდ. აჭარისწყალი. მის მიერ წარმოქმნილი ვიწრო და ღრმა ხეობა წარმოადგენს შიდა აჭარის განსახლების მთავარ ღერძს. ამ საკმაოდ მოზრდილ მდინარეს სრულიად არ გააჩნია ჭალები. ამიტომ შედარებით იშვიათად გეხვდება უშუალოდ მდინარის პირას გაშენებული სოფლები. დასახლებული პუნქტები აქ მდებარეობენ მდინარის დონიდან 100—300 მ სიმაღლეზე და ნაპირებიდან დაცილებული არიან ზოგჯერ რამდენიმე ასეული მეტრით, ზოგჯერ კი რამდენიმე კილომეტრით. სოფლების გასაშენებლად ყველგან შეურჩეიათ ის ფერდობები, სადაც რელიეფის დახრილობა იმდენად შესუსტებულია, რომ შესაძლებელი ხდება ადგილის გამოყენება დასახლებისა და დამუშავებისათვის. რელიეფის მეტისმეტად დანაწევრების გამო ასეთი ფერდობები არც ისე ხშირია და ერთმანეთისაგან იზოლირებულ მცირე ფართობებს მოიკავენ. მდინარეთა ხეობებში გაფენტული დასახლებული ფერდობები სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობენ. მათზე განლაგებული სოფლების აბსოლუტური სიმაღლე იცვლება შიდა აჭარაში 160 მ-დან 1520 მ-მდე. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ისინი შეიძლება ოთხ ჯგუფად დაიყოს.

შედარებით მცირერიცხოვანია ის სოფლები, რომლებიც უშუალოდ მდ. აჭარისწყლის-პირა ფერდობებზე არიან შეფენილი.

მეორე ჯგუფის სოფლები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ისინი მდებარეობენ მდ. აჭარისწყლის დონიდან 100—300 მ სიმაღლეზე და, როგორც წესი, მდინარის ნაპირიდან დაცილებული არიან რამდენიმე ასეულ მეტრით, ან 1—2 კმ-ით.

სოფლების ცალკე ჯგუფს შეადგენენ ის დასახლებული პუნქტები, რომლებიც მდებარეობენ აჭარისწყლის შენაკადი ღელეების გასწვრივ. ასეთი სოფლები შედარებით ბევრია ქედის რაიონის ტერიტორიაზე, სადაც მდ. აჭარისწყალს მრავალი პატარა მდინარე და ღელე ერთვის ორივე მხრიდან. მათი ხეობები შესართავიდან 1—2 კმ მანძილზე რამდენადმე ფართოვდებიან და ასეთ ადგილებში გაშენებულია პატარა სოფლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე ჯგუფის სოფლები მდებარეობენ მდ. აჭარისწყლის მოზრდილი შენაკადების ხეობებში და განსახლების მთავარი ღერძიდან საკმაოდ შორს იჭრებიან შავშეთისა და აჭარა-გურიის ქედების განშტოებათა შორის. აჭარისწყლის ქვემო წელში მხოლოდ ერთი ასეთი მდინარეა-აკაურეთა (იგივე აკავრეთა), რომელიც სოფელ ქედასთან ერთვის მარცხნიდან აჭარისწყალს; მის ხეობაში 8 სოფელია განლაგებული. თავის შუა დინებაში აჭარისწყალი იერთებს მარცხნიდან ჭირუხისწყალსა და სხალთას, ხოლო მარჯვნიდან ჭვანისწყალსა და ღორჯომს; ამ მდინარეთა ხეობები საკმაოდ ღრმად იჭრებიან ჩრდილო-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით, აღწევენ რა გურია-აჭარის, არსიანისა და შავშეთის ქედების კალთების ძირამდე, ყველა აღნიშნული ხეობა ალაგ-ალაგ ოდნავ ფართოვდება და ასეთი ადგილები გამოყენებულია დასახლებისათვის. შედარებით ფართოა თავის ზემო წელში ღორჯომისა და სხალთის ხეობები, სადაც სოფლების ხშირი ქსელია წარმოქმნილი. ყველა აღნიშნული ხეობა შედის შუახევის და ხულოს ადმინისტრაციული რაიონების ფარგლებში და იწოდება ზედა აჭარად, განსხვავებით ქედის რაიონისა, რომელიც ქვედა აჭარადაა ცნობილი. მთავარი ხეობის მსგავსად, გვერდით ხეობებშიც სოფლები იშვიათად ეკვრიან უშუალოდ მდინარის ნაპირებს და მეტ შემთხვევაში მათგან მოცილებით ფერდობებზე არიან შეფენილი. ზემო აჭარის გვერდით ხეობებში 109 სოფელი მდებარეობს; მათი უმრავლესობა არ გამოირჩევა თავისი სიდიდით და 100—300 მცხოვრებისაგან შედგება; ცალკეულ სოფლებში მცხოვრებთა რიცხვი აღწევს 400—600 კაცს. მაშინ, როდესაც ქვემო აჭარის (ქედის რაიონის) სოფლები ძირითადად მდ. აჭარისწყლის და მისი შენაკადი პატარა მდინარეებისა და ღელეების ხეობებშია განლაგებული. ზემო აჭარის სოფლების თითქმის ორი მესამედი მდებარეობს გვერდით ხეობებში. შიდა აჭარის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება ერთი გიგანტური ხის მსგავსად წარმოგვიდგება; მისი ტანია აჭარისწყლის ხეობა, რომელსაც მდინარის შესართავიდან, თითქმის 50 კმ-ზე—ჭვანისწყლის შესართავამდე მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი განტოტება აქვს მარცხნივ (აკაურეთის ხეობა), ხოლო შუა დინებაში ორივე მხრივ ორ-ორი დიდი განტოტებანი წარმოექმნება მოზრდილი გვერდითი ხეობების სახით. შიდა აჭარის მოსახლეობის განლაგების ასეთი თავისებურება გამოწვეულია ტერიტორიის მეტისმეტი დანაწევრებით, რის გამოც დასახლებისა და დამუშავებისათვის ვარგისი მიწები მხოლოდ მდინარეთა ღრმა ხეობებშია გაფანტული. დაბალ ქედებსა და წყალგამყოფებს აქ სრულებით არ აქვთ მოვაკებული თხემები, რის გამო დასახლებისათვის ისინი არ გამოიყენებიან. რაც შეეხება გურია-აჭარის, არსიანისა და შავშეთის ქედებს, რომლებიც სამი მხრიდან ერტყმიან შიდა აჭარას, ალაგ-ალაგ მათი თხემები საკმაოდ განიერია, მაგრამ ისინი სუბალპურ და ალპურ ზონაში მდებარეობენ და თავისი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გამო არ ხასიათდებიან დასახლებისათვის საჭირო მონაცემებით. ამიტომ აქ არც არსებობს მუდმივი დასახლებული პუნქტები. ზაფხულის თვეებში კი, აღნიშნულ თხემების საძოვარ-სათიბებად გამოყენებასთან დაკავშირებით, აქ ბევრი დროებითი ტიპის პატარ-პატარა დასახლებანი წარმოიქმნება ხოლმე.

შიდა აჭარაში გავრცელებულია პატარა სოფლები; ერთ სოფელში საშუალოდ ცხოვრობს 292 კაცი. 225 სოფლიდან მხოლოდ 34-ში ითვლება 500-ზე მეტი მცხოვრები, მაგრამ არცერთი სოფელი არ ითვლის ათასზე მეტ მცხოვრებს, სამაგიეროდ 31 სოფელში 100-ზე ნაკლები მცხოვრებია თითოეულში. სოფლების უდიდესი ნაწილი ითვლის 100—500 მცხოვრებს. ეს გარემოება გამოწვეულია დასახლებისათვის ვარგისი ფართობების სიმცირით. როგორც წესი, დამუშა-

ვებული მიწები თვით სოფლის მიდამოებში იმყოფება და წარმოდგენილია ... ra ნაკვეთების სახით. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში აქვთ სოფლებს ყანების ნაწილი საკმაოდ მოცილებით განლაგებული.

შიდა აჭარაშიც გაბატონებულია განსახლების საკარმიდამო ტიპი, მაგრამ მეტ შემთხვევაში, ადგილის სივიწროვის გამო, აქ სოფლები უფრო კომპაქტურადაა დასახლებული, ვიდრე ზღვისპირა აჭარაში. ცალკეულ ხეობებში გვხვდება საკმაოდ გაფანტული დასახლების მქონე სოფლებიც.

ზღვისპირა აჭარის მსგავსად, შიდა აჭარაშიაც გლეხის კარმიდამოს ხშირად ამშვენებს ხეხილი, მაგრამ აქ უკვე თითქმის აღარ გვხვდება სუბტროპიკული მცენარეები (მხოლოდ აჭარისწყლის ქვემო დინების სოფლებში შეხვდებით ასეთ ხეხილს). შიდა აჭარაში გავრცელებულია ხის საცხოვრებელი სახლები, სახურავად კი ყავრია გამოყენებული. სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების შენობებიც აგრეთვე ხისაგანაა ნაგები. შუახევისა და ხულოს რაიონებში იშვიათად შეხვდებით ქვისა და აგურის შენობას. ფერდობებზე დადგმული ხის საცხოვრებელი სახლები ხშირად ორსართულიანია, ზოგჯერ კი სამსართულიანიც. სუფთად დამუშავებული ფიცრებისაგან აშენებული სახლები კოხტად გამოიყურებიან და ლამაზ შეხედულებას აძლევენ სოფელს, ეზოებში დგას ბოსელი და სხვა სამეურნეო ნაგებობანიც. სახლების მეტი ნაწილი უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზეა აგებული და გამოირჩევა თავისი სიდიდით და კეთილმოწყობით.

საქართველოს სხვადასხვა მხარეში ჩატარებული დაკვირვებანი გვიჩვენებს, რომ სოფლების სიდიდე დამოკიდებულია დამუშავებისა და დასახლებისათვის ვარგისი მიწების კონცენტრაციის ხარისხზე. თუ ასეთი მიწები ვრცელი მასივების სახით გვხვდება, ეს ხელს უწყობს მსხვილი დასახლების შექმნას და პირიქით. ზოგიერთ მთიან მხარეშიც შეიძლება ჰქონდეს ადგილი მიწების მოხსენებულ კონცენტრაციას, და მაშინ აქაც წარმოიქმნება საკმაოდ მსხვილი დასახლებული პუნქტები. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სამხრეთ საქართველოს მთიანეთის მთელი რიგი კუთხეები. ამ მხრივ საინტერესო პარალელი შეიძლება გაივლოს ზემო რაჭასა და ზემო აჭარას შორის. ორივე ეს მხარე მთიანია და ტერიტორიის დიდი დანაწევრებით გამოირჩევა, ამიტომ ორივეგან ჭარბობს წვრილი სოფლები. მაგრამ ამ მსგავსებასთან ერთად ადგილი აქვს მნიშვნელოვან სხვაობასაც: ზემო აჭარაში სასარგებლო ფართობების დაქუცმაცების ხარისხი მეტია და სოფლებიც უფრო წვრილია, ზემო რაჭაში კი რამდენიმე ადგილას ვხვდებით მოხსენებული ფართობების მნიშვნელოვან კონცენტრაციას, რის ბაზაზედაც შეიქმნა საკმაოდ მსხვილი სოფლები: ღები, ჭიორა, გლოლა, შქმერი. ეს სოფლები თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით უახლოვდებიან ზემო აჭარის დასახლებულ პუნქტებს, მაგრამ მათი მიკრორელიეფის თავისებურებამ შესაძლებელი გახადა საკმაოდ მსხვილი დასახლებების შექმნა.

ინტერესმოკლებული არ არის აღინიშნოს, რომ სასარგებლო მიწების კონცენტრაციის ხარისხი კიდევ უფრო დაბალია აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა დუშეთის და თიანეთის რაიონების მთიანი ნაწილი, სადაც დასახლებისათვის ვარგისი მიწების მეტად მცირე ფართობებია გაფანტული ცალკეულ ხეობებში და ამიტომ სოფლებიც კიდევ უფრო პატარაა, ვიდრე ზემო აჭარაში. საქართველოს სხვა მხარეებისაგან განსხვავებით, ამ კუთხეებს შორის ის მსგავსებაც არსებობს, რომ ორივეგან სოფლების სახელწოდება ხშირად მცხოვრებთა გვარს ატარებს. ეს გარემოება იმაზე მიგვითითებს, რომ აღნიშნული მხარეების სოფლების უმეტესობას დასაბამი მისცა ერთმა პატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიარქალურმა ოჯახმა. მისი ფუძემდებელი შესაძლოა მთაში გახიზნული რომელიმე დევნილი იყო.

3. მოსახლეობის საქმიანობა

აჭარის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ძირფესვიანი გარდაქმნა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას ამ მხარის ისტორიაში უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობას თან მოჰყვა მშრომელთა ექსპლოატაციის ლიკვიდაცია და ბურჟუაზიული კლასების თანდათანობითი გაქრობა. მიწებს საერთო სახელმწიფოებრივ საკუთრებად გამოცხადებამ და ფაბრიკა-ქარხნების განსაზოგადოებამ მოსპო ის ბაზა, რომელიც სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ექსპლოატაციას ედო საფუძვლად. წარმოების სოციალისტური წესის გამარჯვებამ უზრუნველყო მოსახლეობის ფართო მასების აქტიური ჩაბმა საზოგადოებრივ შრომაში და ბოლო მოუღო პარაზიტული კლასების არსებობას.

ამრიგად, სოციალისტური მშენებლობის ფართოდ გაშლამ აამოძრავა ახალი შემოქმედებითი ძალები, გამოიწვია აჭარის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მთლიანად გადახალისება, სახე უცვალა მის ქალაქებსა და სოფლებს. ამ უდიდესი მნიშვნელობის ძვრებმა ღრმა ცვლილებები გამოიწვია მოსახლეობის საზოგადოებრივ ჯგუფებად დაყოფაში.

ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის გამო, ამჟამად აჭარის მოსახლეობა, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობა, შედგება სამი ძირითადი საზოგადოებრივი ჯგუფისაგან: მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეებისაგან. გარდა ამისა, მცირე რაოდენობით არიან ხელოსნები, რომელთა ძირითადი ნაწილი სხვადასხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებშია გაერთიანებული. სრულიად უმნიშვნელოა სოფლის ერთპიროვნულ მეურნეთა, თავისუფალი პროფესიის მიმდევართა და კულტის მსახურთა რიცხვი.

1959 წლის 15 იანვარს ჩატარებულმა მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერამ აჭარის თანამედროვე მოსახლეობის საზოგადოებრივ ჯგუფებად დაყოფის საინტერესო სურათი გამოავლინა.

ცხრილი 8

აჭარის მოსახლეობის განაწილება საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით[14]
(1959 წლის 15 იანვრისათვის)

მაჩვენებელი ერთეულები	მუშები		მოსამსახურეები		კოლმეურნეები		დანარჩენი		სულ	
	აბსოლ	%%	აბსოლ	%%	აბსოლ	%%	აბსოლ	%%	აბსოლ	%%
ქალაქი ბათუმი	40652	49,4	36596	44,5	2668	3,2	2382	2,9	82328	100
ბათუმის რაიონი	7113	16,6	5550	12,9	30135	70,3	72	0,2	42870	100
ქობულეთის „	15348	28,2	9207	16,9	29578	54,4	268	0,5	54401	100
ქედის „	1155	6,7	1994	11,6	14046	81,7	6	—	17204	100
შუახევი- „	937	4,6	1873	9,1	17544	86,3	10	—	20324	100
ხულოს „	1572	5,6	2859	10,1	23711	84,2	17	0,1	28159	100
სულ აჭარის ასსრ	66810	2 ,2	57089	23,7	117682	48,0	2755	1,1	245236	100
სულ საქ. სსრ	12565596	31,1	963028	23,8	1780069	44,0	44362	1,1	4044045	100

[14] ოჯახის წევრების ჩათვლით. მუშა-მოსამსახურეთა ნაწილი ირიცხება კოლმეურნეობებში მაგრამ მიეკუთვნებულია მათი ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით ფუშებთან ან მოსამსახურეებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია, რომ ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი შედგება მუშებისა და მოსამსახურეებისაგან, სოფლის მოსახლეობისა კი — კოლმეურნეებისაგან. ამავე დროს, ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ აჭარაში უფრო მაღალია ქალაქად მცხოვრებთა ხვედრითი წონა, ვიდრე მთლიანად საქართველოში (შესაბამისად, 45,2 და 42,4%). ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ აჭარის მოსახლეობაში უფრო მაღალი აღმოჩნდებოდა მუშა-მოსამსახურეთა ხვედრითი წონა, ვიდრე საშუალოდ საქართველოში, მერე ცხრილის მონაცემები კი შებრუნებულ სურათს გვიჩვენებს: მაშინ, როდესაც მოსამსახურეთა ხვედრითი წონა თითქმის სამაბარია, მუშების ხვედრითი წონა შესამჩნევად ნაკლებია აჭარის მოსახლეობაში საქართველოსთან შედარებით (შესაბამისად, 27,2 და 31,1%). ასეთი სხვაობა შემდეგი გარემოებითაა გამოწვეული: უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე საქართველოს სხვადასხვა მხარის სოფლებში დიდი რაოდენობით შეიქმნა სამრეწველო ობიექტები, უმთავრესად ჩაის, ღვინისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი გადამუშავების საწარმოები, საშენი მასალების წარმოება და სხვ., საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე სარემონტო-ტექნიკური სადგურები და რიგი სხვა სახის წარმოება-დაწესებულებები. ამას მოჰყვა სოფლად მუშათა რიცხვის შესამჩნევი ზრდა. იმავე 1959 წლის 15 იანვრისათვის მუშები და მათი ოჯახის წევრები შეადგენდნენ საქართველოს სოფლის მოსახლეობის 16,6%-ს. ანალოგიური პროცესი საკმაოდ ინტენსიურად გამოისახა აგრეთვე აჭარის ზღვისპირა ზოლში. რამდენიმე პუნქტში აქ თავი მოიყარა საბჭოთა მეურნეობებმა და ჩაის ფაბრიკებმა (ოჩხამური, ჩაქვი), რის გამო ისინი უკვე გარდაიქმნენ ქალაქის ტიპის დაბებად. ამან გამოიწვია, ერთი მხრივ, აეტონომიური რესპუბლიკის ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონის გადიდება, ხოლო მეორე მხრივ, სოფლის მოსახლეობაში მუშების რიცხვის შემცირება. მაგრამ სრულიად სხვანაირი სურათი გვაქვს შიდა აჭარის სოფლებში. მთელ ამ მხარეში მეტად სუსტადაა განვითარებული მრეწველობა, არ არსებობს აგრეთვე საბჭოთა მეურნეობები და სარემონტო-ტექნიკური სადგურები, რის გამოც მინიმალურია მუშათა რიცხვი სოფლის მოსახლეობაში. მთლიანად აჭარის სოფლის მოსახლეობაში მუშების რიცხვი (ოჯახის წევრების ჩათვლით) არ აღემატება 8,7%-ს. როგორც ვხედავთ, ამ უკანასკნელი მაჩვენებლით აჭარა დაახლოებით ორჯერ ჩამორჩება საშუალოდ მთელ საქართველოს. ამიტომაა, რომ აჭარაში უფრო ნაკლებია მუშების ხვედრითი წონა, ვიდრე მთლიანად საქართველოში, კოლმეურნეთა ხვედრითი წონის მხრივ კი შებრუნებულ მდგომარეობას აქვს ადგილი. აჭარის მოსახლეობაში მუშების უფრო დაბალი ხვედრითი წონა იმითაცაა გამოწვეული, რომ აქ წარმოდგენილია უფრო ნაკლებად შრომატევადი სამრეწველო დარგები, ვიდრე მთლიანად საქართველოში.

მოსახლეობის საზოგადოებრივ ჯგუფებად განაწილებაში მთავარ მოვლენას წარმოადგენს ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია როგორც სოფლად, ისე ქალაქად და მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის მკვეთრად გადიდება. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სოფლად ერთპიროვნული, კერძო მესაკუთრული მეურნეობის ადგილი დაიკავა კოლმეურნე გლეხობამ, რომელიც აქტიურადაა ჩაბმული მეურნეობის სოციალისტურ სისტემაში.

საინტერესოა ზოგიერთი პარალელის გავლება მოსახლეობის სოციალურ დაჯგუფებაში 1926 და 1959 წლებისათვის. მუშები და მათი ოჯახის წევრები 1926 წელს შეადგენდნენ აჭარის მთელი მოსახლეობის 8,5%-ს[15], ნაცვლად

[15] მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის, საქართველოს სსრ, განყოფილება II, მოსაქმეობა, თბილისი, 1930. ცხრილი 1, გვ. 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

1959 წლის 27,2%-სა; მაშინ მოსამსახურეებზე მოდიოდა 10,7%, ანუ მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე მუშებზე; მთელი მოსახლეობის დაახლოებით ოთხი მეხუთედი შედგებოდა წვრილი მეურნეებისაგან (გლეხები, ხელოსნები) და უმნიშვნელო ოდენობით შემორჩენილ ბურჟუაზიული კლასების წარმომადგენელთაგან. 1926 წლის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა, და ამავე დროს შეიცვალა მათ შორის არსებული შეთანაწყობა; ამჟამად მუშების რიცხვი ბევრად ჭარბობს მოსამსახურეების რაოდენობას, რაც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შედეგია. განვლილ პერიოდში მკვეთრად შემცირდა ე. წ. თავისუფალი პროფესიის მიმდეკართა რიცხვი. ქალაქის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი 1926 წელს უმუშევართა რიგებს შეადგენდა, ამჟამად კი ეს სოციალური სენი ლიკვიდირებულია. სოფლის წვრილ მეურნეთა ადგილი ახლა კოლმეურნე გლეხობას უჭირავს.

მოსახლეობის საზოგადოებრივ ჯგუფებად დაყოფაში მომხდარ ცვლილებებს მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლები როდი ასახავენ. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არსებითად შეიცვალა მუშების, მოსამსახურეების, გლეხების მდგომარეობა. ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ალმავლობამ მკვეთრად გააუმჯობესა ცხოვრების მატერიალური პირობები, თვით შრომა ბახალა უფრო კვალიფიციური და მაღალნაყოფიერი. დღეკანდელი აჭარელი მუშა უკვე აღარ გავს იმ დაბეჩავებულ, ცხოვრების სიდუხჭირისგან წელში გატეხილ ბათუმელ მტვირთავს, რომელიც 12—14 საათის განმავლობაში თავაუღებლივ მუშაობდა მაშინდელ კაპიტალისტურ საწარმოებში და გასამრჯელოდ გროშებს იღებდა.

ყველა აღნიშნული ცვლილებანი უშუალოდ დაკავშირებულია მოსახლეობის საქმიანობის არსებით გარდაქმნასთან. სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ, მძლავრი მრეწველობის შექმნამ, ტრანსპორტის ძირეულმა გადახალისებამ და კულტურული რევოლუციის განხორციელებამ უდიდესი ცვლილებები გამოიწვია მოსახლეობის შრომითი დარგების მიხედვით განაწილებაში, რაც ნათლად ჩანს მე-9-ე ცხრილის მონაცემებით.

ცხრილი 9

აჭარის მომუშავე მოსახლეობის განაწილება შრომითი დარგების მიხედვით

შრომითი დარგები	მომუშავეთა რაოდენობა			
	1926 წელს[16]		1959 წელს	
	აბსოლუტ.	%%	აბსოლუტ.	% %
ა. მწარმოებლური დარგები . .	37970	89,0	101172	82,8
1. მრეწველობა	4475	10,5	16140	13,2
2. მშენებლობა	336	0,8	4186	3,4
3. სოფლის და სატყეო მეურნეობა	27046	63,3	69691	56,9
4. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	3063	7,2	5214	4,3
5. ვაჭრობა და მომარაგება	3050	7,2	5941	5,0
ბ. არამწარმოებლური დარგები	3424	8,0	19505	15,8
1. საბინაო და კომუნალური მეურნეობა	ცნობა არ არის	—	2526	2,0
2. ჯანმრთელობა და სოცუზრუნველყოფა . . .	427	1,0	5675	4,6
3. განათლება, მეცნიერება, კულტურა	685	1,6	7985	6,5
4. საბელწ. და საზოგად. აპარატი	2312	5,4	3319	2,7
გ. დანარჩენი დარგები	1314	3,0	1730	1,4
სულ მომუშავე მოსახლეობა	42708	100	122407	100

[16] მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წ. საქართველოს სსრ, განყოფილება II, მოსაკმეობა, თბილისი, 1930, ცხრილი 1 და IV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ყოვლისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მკვეთრად გაიზარდა შრომაში ჩაბმული მოსახლეობის როგორც აბსოლუტური, ისე ხვედრითი რაოდენობა. თუ 1926 წელს მომუშავეთა რიცხვი შეადგენდა 42708-ს ანუ მთელი მოსახლეობის 32,3%-ს, 1959 წლისათვის ეს ციფრი გაიზარდა 122407-მდე, რაც შეადგენს მცხოვრებთა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარს — 49,9%-ს. მოსახლეობა ძირითადი საწარმოო ძალაა და ამიტომ, რაც მეტია შრომაში ჩაბმულთა ხვედრითი წონა, მით უფრო მეტი იქნება საზოგადოების მიერ შექმნილი მატერიალური დოვლათი და კულტურული ფასეულობანი, ე. ი. მით უფრო მძლავრია ეკონომიური და კულტურული წინსვლა. 1926—1959 წლებში აჭარის მთელი მოსახლეობა გაიზარდა 86%-ით, შრომაში ჩაბმულთა რაოდენობა კი თითქმის სამჯერ. ასეთი ცვლილება შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ ახალი შრომითი კონტინგენტები მოითხოვა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ, მრეწველობისა და მშენებლობის გაძლიერებული ტემპებით ზრდამ, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის წინსვლამ.

მეორე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს მრეწველობასა და მშენებლობაში მომუშავეთა ხვედრითი წონის დიდი ზრდა. 32 წლის მანძილზე ამ დარგებში მომუშავეთა ხვედრითი წონა გადიდდა 11,3%-დან 16,6%-მდე. თუ ამავე დროს გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ როგორც მრეწველობაში, ისე მშენებლობაში ფართოდაა დანერგილი შრომითი პროცესების მექანიზაცია, ჩვენთვის ნათელი გახდება მეურნეობის აღნიშნული დარგების ზრდის ზოგადი სურათი.

სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა დიდად გაიზარდა, მაგრამ მისი ხვედრითი წონა მთელ მომუშავე მოსახლეობაში შესამჩნევად შემცირდა. ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, რადგან აჭარაში, ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მრეწველობა ბევრად უფრო სწრაფად იზრდება სოფლის მეურნეობასთან შედარებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ შრომითი კონტინგენტებს ჯერ კიდევ დიდი ხვედრითი წონა უკავია (56,9%), რაც იმის შედეგია, რომ ზღვისპირა ზოლში განვითარებული სუბტროპიკული მეურნეობის დარგები მეტად შრომატევადია, ხოლო მთლიანად აჭარის სოფლის მეურნეობაში სუსტადაა დანერგილი ახალი ტექნიკა.

ყურადღებას იქცევს ტრანსპორტსა და ვაჭრობაში ჩაბმული მოსახლეობის ხვედრითი წონის მნიშვნელოვნად შემცირება, თუმცა მომუშავეთა აბსოლუტური რიცხვი ამ დარგებშიც გაზრდილია. საქმე ისაა, რომ ადრე ტრანსპორტზე ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები თითქმის მთლიანად ხელით სრულდებოდა, ამჟამად კი მრავალრიცხოვანი მტვირთავი მუშების უდიდესი ნაწილი როგორც ბათუმის ნავსადგურში, ისე რკინიგზაზე მანქანებმა შესცვალა.

1926—1959 წლებში მრავალჯერ გაიზარდა ვაჭრობის მოცულობა (საქონელბრუნვა), მაგრამ ამ დარგში ჩაბმულ მუშაკთა რიცხვი ორჯერაც არ გადიდებულა. კერძო ვაჭრობის ლიკვიდაციის ერთ-ერთი შედეგია ამ დარგში შრომითი კონტინგენტების უფრო რაციონალური გამოყენება, რასაც თან მოჰყვა ვაჭრობის დარგის მუშაკთა ხვედრითი ოდენობის შემცირება.

დიდად გაიზარდა კულტურის დარგებში და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში დაკავებული მოსახლეობის აბსოლუტური და ხვედრითი ოდენობა. ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ის ძირეული გარდაქმნები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა განათლების, მეცნიერების და საერთოდ კულტურული ცხოვრების საქმეში, აგრეთვე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში. სახელმწიფო მმართველობის

აპარატის ხვედრითი ოდენობა 32 წლის მანძილზე ორჯერ შემცირდა (5,4%-დან 2,7%-მდე).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მოსახლეობის საქმიანობაში მომხდარი ცვლილებანი თვალნათლივ ასახავენ იმ უდიდეს ძვრებს, რასაც ადგილი ჰქონდა აჭარის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში სოციალისტური მშენებლობის პერიოდში.

В. Ш. ДЖАОШВИЛИ

НАСЕЛЕНИЕ АДЖАРСКОЙ АССР

Резюме

После освбождения Аджарии от турецкого ига, в конце 70-х годов прошлого столетия создались условия для развития хозяйственной жизни и относительно быстрого роста населения этого края. С 1874 года население Аджарии увеличилось в пять раз и составило к 15 января 1959 г. 245,3 тыс. чел. Характерно, что в Аджарии население растет быстрее, чем в целом в Грузии, в виду чего ее удельный вес в населении республики за 32 года увеличился с 4,9% (1926 г.) до 6%-ов (1959 г.). Это обстоятельство вызвано более высоким уровнем рождаемости в целом по Аджарии и имеющимся механическим приростом населения в приморской зоне, благодаря чему население в этой части растет на много быстрее, чем во внутренней Аджарии. За 1926—1959 годы среднегодовой процент роста населения в приморской Аджарии составлял 2,3, а во внутренней Аджарии — 1,1, в среднем по автономной республике — 2,1. Этот показатель в Аджарии за указанный период был почти в два раза выше, чем в среднем по Грузии.

В Аджарии, как и в целом по СССР, городское население растет быстрее, чем сельское. На 15 января 1959 г. в ее городах проживало 110,8 тыс. чел., или 45,2% всего населения. Этим показателем Аджария также опережает в целом Грузию, где городское население равно 42,4% всего населения. В результате быстрого роста г. Батуми с 80-х годов прошлого века, городское население Аджарии занимало сравнительно значительный удельный вес еще в дореволюционное время.

Древняя Аджария была заселена целиком грузинами, но в капиталистическую эпоху произошло частичное заселение Батуми и некоторых селений приморской зоны русскими, украинцами, армянами и греками. По данным 1959 года грузины составляют 72,8% всего населения, русские и украинцы—15,8%, армяне—6,4%, греки—2,3% и остальные национальности—2,7%. Негрузинское население почти целиком сосредоточено в приморской зоне, главным образом в городах и поселках городского типа. Характерно, что в результате быстрого естественного роста, удельный вес грузинского населения с 1926 г. по 1959 год увеличился с 68,5% до 72,8%.

Многообразие природных условий Аджарии и различия в географическом положении ее отдельных частей определили значительную

неравномерность в территориальном размещении хозяйства и населения. Сосредоточение городов и поселков городского типа, а также интенсивных отраслей сельского хозяйства в приморской полосе, способствовало размещению здесь большей части населения автономной республики. С другой стороны, горная внутренняя Аджария с чрезвычайно расчлененным рельефом и весьма слабо развитой промышленностью выделяется гораздо меньшей густотой населения. Однако, в целом Аджария более плотно заселена, чем в среднем Грузинская ССР. На каждый кв. км территории в Аджарии проживает 84,6 чел., а в среднем по Грузии — 57,6 чел. Еще значительнее разница между Аджарией и всей Грузией в плотности сельского населения в расчете на единицу сельскохозяйственных и обрабатываемых земель. На один кв. км сельскохозяйственных земель в авт. республике приходится 168 чел. сельского населения, или почти в два раза больше, чем в среднем по Грузинской ССР.

Среди отдельных частей Грузии Аджария отстает в плотности заселения только от Имеретии, где на каждый кв. км в среднем проживает 102 чел. Подобно Абхазии, Аджария тоже делится на приморскую и горную зоны, но ее горные районы заселены более плотно, чем аналогичные районы Абхазии, что обусловлено особенно большой расчлененностью территории горной Абхазии.

Характерно, что до 200 м над уровнем моря в 1926 г. проживало 58,2% населения Аджарии, а в 1959 г. в этой полосе проживает 66,2% населения, что вызвано переселением части жителей из горной зоны в приморскую и притоком в эту же зону рабочей силы из других частей Грузии и СССР. Соответственно уменьшился удельный вес населения, проживающего в более высоких зонах. Верхняя граница расселения в Аджарии доходит до 1520 м н. ур. м. Соразмерно с повышением высоты местности, резко понижается плотность заселения. В самой нижней зоне — до 200 м н. ур. м. на каждый кв. км территории в среднем проживает 436 чел., а в полосе 1000—1600 м средняя плотность в десять раз меньше (44 чел. на 1 кв. км.).

Расселение в приморской зоне представляет из себя единую полосу между северной и южной границами Аджарии; здесь почти непрерывной цепью тянутся города, поселки городского типа и селения. Она выделяется большой компактностью заселения, интенсивностью отраслей труда, определенным типом жилых строений и рядом других общих признаков. Города и некоторые крупные населенные пункты расположены непосредственно у берега моря — на равнине. Однако, большинство селений разбросано на холмах и в неглубоких ущельях малых рек, стекающих со склонов юго-западных отрогов Аджаро-Гурийского хребта. В селах приморской зоны распространены преимущественно капитальные жилые здания, построенные из минеральных стеновых материалов; часто такие дома имеют два этажа и состоят из нескольких комнат. Большинство из них построено за последние 10 — 15 лет. В речных ущельях, как правило, встречаются деревянные дома.

В отличие от приморской зоны, во внутренней Аджарии населенные

ეროვნული ბიბლიოთეკა

пункты размещены в довольно глубоких ущелиях реки Аджарисцкали и ее притоков. Средняя людность населенных пунктов во внутренней Аджарии не превышает 292 чел. Здесь также распространен усадебный тип расселения, но в отличии от приморской части, встречаются более компактные населенные пункты. Все жилые и хозяйственные постройки, а также общественные здания имеют деревянные стены (из досок), кровельным материалом используется дрань. Возведенные на участках со значительным уклоном, такие дома часто двухэтажные, а иногда и трехэтажные.

Наблюдения, проведенные в различных частях республики показывают, что величина населенных пунктов зависит, главным образом от степени концентрации годных для обработки и заселения земель. Это положение наглядно прослеживается в обоих частях Аджарии. Именно из-за чрезмерной раздробленности годных для заселения земель в горной Аджарии создались небольшие населенные пункты, а в приморской зоне, где рельеф менее расчленен и встречаются более крупные участки удобных земель, селения — многолюдны; в каждом сельском населенном пункте здесь проживает в среднем 674 чел.

В 1959 году рабочие (с членами семьи) составляли 27,2% населения Аджарии, служащие — 23,7%, колхозники — 48%; совершенно незначительной (1,1%) была прослойка единоличных крестьян, лиц свободных профессий, служителей культа и некооперированных кустарей.

Большие изменения произошли за годы советской власти в трудовой деятельности населения Аджарии. Резко выросло количество и удельный вес работающего населения. При росте количества всего населения на 86%-ов, число работающих увеличилось почти в 3 раза.

По данным 1959 года в производственных отраслях занято 82,8% работающего населения, а в непроизводственных отраслях — 15,8%. Почти в 4 раза выросло после 1926 г. количество занятого в промышленности персонала, составившего в 1959 году 16140 чел., или 13,2% работающего населения. Ведущей отраслью в структуре трудовой деятельности является сельское хозяйство, в котором занято 56,9% работающих. Во много раз увеличилось количество лиц занятых в отраслях культуры и здравоохранения, составивших в 1959 году 13660 чел., или 11%-ов всех трудовых контингентов.

В годы социалистического строительства произошли большие перемены в культурной жизни населения. В 1959 году на каждые 1000 жителей приходилось 30 чел. с высшим образованием, 42 чел. со средним специальным образованием и 80 чел. со средним общим образованием.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის სფონდო მასალები, საქმე № 719 (1960 წ.).
2. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის, საქართველოს სსრ, განყოფილება I, II, III, თბილისი, 1930.
3. ნიკარაძე ნ., ჯიბუტი ნ., აჭარის ასსრ, ბათუმი, 1957.
4. ფერტია, ა., ნარკვევი აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის ისტორიიდან, ბათუმი, 1959.
5. შაშიკაშვილი ნ., დიასამიძე ი., ქუჩიაშვილი ი., ნარკვევები სამედიცინო საქმის განვითარების შესახებ აჭარაში, თბილისი, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. Бакрадзе Д., Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, Санктпетербург, 1878.
7. Батум и его окрестности, Батум, 1906.
8. Казбек Г., Военно-статистический и стратегические очерки Лазистанского санджака, Тифлис, 1876.
9. Ковалев С. А., Некоторые принципиальные вопросы типологии расселения. Вопросы географии, сб. 45, стр. 8—22.
10. Покшишевский В. В., Внутренние миграции населения как объект географического изучения. В книге «Вопросы географии. Сб. статей для XVIII. Международного геогр. конгресса». М.—Л., АН СССР, 1956, стр. 249—260.
11. Сборник статистических сведений по Закавказскому краю, под редакцией Е. Кондратенко, Тифлис, 1902.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ., შრ. ტ. XIX, 1962
Академия наук Груз. ССР—Труды Института географии им. Вахушти, т. XIX, 1962

З. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲐ

ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲐ

თურქ დამპყრობთა მძიმე უღლისაგან განთავისუფლებამდე 1878 წ. აჭარის მრეწველობა წარმოდგენილი იყო შინა მრეწველობითა და წვრილი ხელოსნობით. ჭოროხის ხეობაში მრავალ ადგილას არის ნაპოვნი მაღაროები, რკინის წიდები, აგრეთვე, ძველი პრიმიტიული მადნისადნობი ღუმელები, რაც იმას მოწმობს, რომ ძველად ჭოროხის ხეობის თვალ რიგ ადგილებში ფერადი ლითონებისა და რკინის მადნის მოპოვება და გამოდნობა ხდებოდა. ამის ბაზაზე აჭარაში განვითარებული იყო ლითონგადამამუშავებელი წარმოება-მჭედლობა. აქ ამზადებდნენ თოფებს და ცივ საბრძოლო იარაღს. აღნიშნული საბრძოლო იარაღის კეთება წარმოებდა სოფელ მაჭახელაში, ცხმორისში, საღორეთსა და ახოში.

სოფელი მაჭახელა ცნობილი იყო თოფების (ე. წ. „მაჭახელა“), დამბაჩების, ხმლის, ხანჯლის და სხვა საბრძოლო იარაღის კეთებით, რაც ცნობილი იყო აჭარის ფარგლებს გარეთაც.

განვითარებული იყო, აგრეთვე, კერამიკული ჭურჭლის (დოქი, კოკა, ქოთანი, ქვევრი და სხვ.), საშენი მასალისა და სხვათა წარმოება.

აჭარის რაიონში უძველესი დროიდან წარმოებდა შალისა და აბრეშუმის ქსოვილების დამზადება. ძველად მოსახლეობა სახლში დამზადებული ქსოვილისაგან შეკერილ ტანსაცმელს ატარებდა. წარმოებდა აგრეთვე, ტყავის დამუშავება, ფეხსაცმლისა და სასარაჯო მოკაზმულობის დამზადება.

თურქ დამპყრობთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოსა და, კერძოდ, აჭარაში კაპიტალისტური საფაბრიკო-საქარხნო წარმოებები ჩნდება, რასაც მოჰყვა აჭარის, განსაკუთრებით, ქალაქ ბათუმისა და მისი ნავსადგურის განვითარება. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1883 წლიდან ბათუმის დაკავშირებას რკინიგზით თბილისსა და ბაქოსთან. 1890 წელს სურამის გვირაბის გაყვანის შემდეგ ბათუმი გადაიქცა მთელი ამერიკავკასიისათვის საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვან ნავსადგურად. აღნიშნულმა გარემოებამ ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობა არაჩვეულებრივად გაზარდა. ბაქოს ნავთობის თითქმის მთელი ექსპორტი მხოლოდ ბათუმის ნავსადგურით წარმოებდა. გარდა ამისა, ბათუმიდან გაქონდათ ამიერკავკასიის, კასპიისპირეთისა და, ნაწილობრივ, ირანის ისეთი საექსპორტო საქონელი, როგორიც იყო ხე-ტყე, ხორბალი, სიმინდი, გამხმარი ხილი, ბრინჯი, ლობიო, თამბაქო, მატყლი, ბამბა, ტყავი, აბრეშუმი, აბრეშუმის პარკი, ხალიჩები, ღვინო და სხვ.

იმპორტის მხრივაც ბათუმს პირველი ადგილი ეკავა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, და ბაქოსთან ერთად მთელი ამერიკავკასიის ეკონომიური ცხოვრების მთავარი ძარღვი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებით ბათუმში გაჩნდა მსხვილი დამამზადებელი საწარმოები — ხის ყუთების, თუნუქის ბიდონების დამამზადებელი ქარხნები და სხვ. 1902 წელს ბათუმში უკვე ათზე მეტი სამრეწველო საწარმო იყო, რომელნიც ემსახურებოდნენ უმთავრესად ნავთობის საგარეო სავაჭრო ოპერაციებს.

გარდა ამისა, ბათუმში შეიქმნა: თამბაქოს ფაბრიკა, თოჯის ჩამომსხმელი, ლუსსმნის, მინერალური წყლების და სხვა ქარხნები. ამ პერიოდში ბათუმში ითვლებოდა რამდენიმე ათეული სხვადასხვა სახის წვრილი სახელოსნო და წამოწყება. ყველა სახის წარმოებაში დასაქმებული იყო 11 ათასამდე მუშა. მაგრამ ზემოდასახელებულ საწარმოებიდან ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა ნავთობის ექსპორტის მომსახურე მრეწველობას. მრეწველობის ჩასახვა-განვითარებას თან მოსდევდა ბათუმის მოსახლეობის სწრაფი ზრდა. თუ 1878 წ. მცხოვრებთა რიცხვი ბათუმში 3 ათასს არ აღემატებოდა, 1897 წელს აქ უკვე 28,5 ათასი მცხოვრები ითვლებოდა, ხოლო 1900 წელს მოსახლეობამ 35,0 ათას მცხოვრებს გადააჭარბა.

ქალაქ ბათუმში სამრეწველო საწარმოების თავმოყრამ განაპირობა XIX საკუნის ბოლოს მისი გადაქცევა მსოფლიო მნიშვნელობის ნავსადგურად შავ ზღვაზე.

თურქეთის ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების შემდეგ ერთგვარად გამოცოცხლდა სოფლის მეურნეობაც. სოფლად საფუძველი ჩაეყარა ისეთი ძვირფასი კულტურების განვითარებას, როგორიცაა: ჩაი, ციტრუსები, ხეხილი და სხვ.

პირველი მსოფლიო ომის, ხოლო შემდეგ თურქი და ინგლისელი ინტერვენტებისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდს მოჰყვა აჭარის მრეწველობის მნიშვნელოვანი დაქვეითება. 1921 წელს ბათუმში მხოლოდ რამდენიმე შედარებით წვრილი საწარმოღა მუშაობდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში არ ექცეოდა ყურადღება ბუნებრივი საწარმოო რესურსების შესწავლას და მათ გამოვლინებას, რაც სამრეწველო საწარმოთა შექმნა-განვითარების შესაძლებლობას შექმნიდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მკვეთრად შეიცვალა აჭარის სამრეწველო სახე. სოციალისტური მშენებლობის ფართოდ გაშლის შედეგად აქ შეიქმნა მსხვილი მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული მრეწველობა. ხუთწლედების მანძილზე აშენდა მძლავრი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ჰიდროსადგურები და მანქანათმშენებელი ქარხნები, ჩაისა და კვების სხვა სახის საწარმოები. სამრეწველო პროდუქციის სისტემატურად ზრდის შედეგად აჭარის მრეწველობამ 1959 წ. გამოიმუშავა ათეულჯერ მეტი საერთო პროდუქცია, ვიდრე რევოლუციამდელ 1913 წ.

ბათუმსა და მთელ აჭარაში წვრილი სამრეწველო საწარმოების რეკონსტრუქცია-გაფართოებისა და ახლის აშენების შედეგად ომისშემდგომპერიოდში სისტემატურად იზრდებოდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა.

აჭარის მრეწველობა სამამულო ომის პერიოდში ძალზე დაქვეითდა, იგი 1940 წელთან შედარებით შემცირდა 52%. ეს შემცირება, ძირითადად, გამოწვეული იყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროდუქციის შემცირებით და ნავთობის პროდუქტების ექსპორტის შეწყვეტით. ომის შემდგომ პერიოდში კი აჭარის მრეწველობა კვლავ სწრაფი ტემპით ვითარდებოდა.

1959 წელს აჭარის ასსრ-ში იყო რამდენიმე ათეული მსხვილი და წვრილი სამრეწველო საწარმო, რომელთაც 1959 წელს გამოუშვეს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის მრეწველობაში მომუშავე მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსებიდან კვების მრეწველობაში მუშაობს 27,1%, მსუბუქ მრეწველობაში — 19,3%, მანქანათმშენებლობაში — 11,9%, სათბობის მრეწველობაში — 9,2%, სატყეო მრეწველობაში — 4,9%, ქიმიურში — 2,8%, ადგილობრივ მრეწველობაში — 17,3%, მრეწველობის სხვა დანარჩენ დარგებში კი — 7,5%.

აჭარის მრეწველობაში სისტემატურად იზრდება შრომის მწარმოებლურობა, უმჯობესდება მუშა-მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები და კულტურული მომსახურება.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის მრეწველობის რიგ დარგებს რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობა აქვს. ასე მაგალითად, აჭარიდან საქართველოში, მოკავშირე რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთულ ქვეყნებში იგზავნება ნავთობის პროდუქტები, ჩაი, კონსერვები და თამბაქო. გარდა ჩამოთვლილ პროდუქციისა, სსრ კავშირის სხვადასხვა მხარეში გაიქვთ ჩაის მრეწველობისათვის საჭირო მანქანები, მოტორიანი კატერები, ელექტროტექნიკური მანქანა-მოწყობილობა, ტუნგის ზეთი, კოფეინი, ტყავი და ფეხსაცმელი, ფანერა, ბამბუკის ნაწარმი და სხვ.

აჭარის დღეანდელ სახელმწიფო მრეწველობაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი დარგები: ელექტროენერგეტიკული, ნავთობგადასამუშავებელი, მანქანათსამშენებლო, ქიმიური, სატყეო და ხის გადამამუშავებელი, კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, საშენ მასალათა მრეწველობა და სხვა. გარდა სახელმწიფო მრეწველობისა, აჭარაში განვითარებულია აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციული, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების დამხმარე სამრეწველო საწარმოები. აჭარის ასსრ მრეწველობის ცალკეული დარგებიდან გამომუშავებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მიხედვით აღსანიშნავია კვების მრეწველობა, რომელმაც 1959 წელს გამოუშვა აჭარის მთელი სამრეწველო პროდუქციის 41,3%, ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა, რომლის წილად მოდის აჭარის საერთო სამრეწველო პროდუქციის 29,6%, მას თანმიმდევრობით მიყვება მსუბუქი (5,8%), მანქანათსაშენებელი (1,7%) და ა. შ.

აჭარის მთელ მრეწველობაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს ადგილობრივი სამრეწველო კომბინატებისა (აჭარის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის 4,1%) და კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების მრეწველობას. აჭარის ადმინისტრაციული რაიონებისა და ქ. ბათუმის ხვედრითი წონა აჭარის მრეწველობაში შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობით პირველი ადგილი უკავია ქალაქ ბათუმს, იგი იძლევა აჭარის მთელი სამრეწველო პროდუქციის 69,0%. 1959 წელს ქ. ბათუმის მრეწველობის მიერ გამომუშავებული საერთო პროდუქციის ღირებულებიდან 42,9% ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა იძლევა. კვების მრეწველობა იძლევა ქ. ბათუმის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის 31,3%. აქ აღსანიშნავია ბათუმის ციტრუსკომბინატი, თამბაქოს ფაბრიკა, ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა, ბათუმის ჩაის ფაბრიკა, პურკომბინატი, ხორცკომბინატი, თევზკომბინატი, საკონდიტრო ფაბრიკა, რძის ქარხანა, ლუდისა და ღვინის ქარხნები და სხვ. ქალაქის მრეწველობის დანარჩენი დარგებიდან აღსანიშნავია მანქანათსაშენებელი, მათ შორის ახლადგებული ელექტროტექნიკური ქარხნები (3 ქარხანა), ქიმიური (კოფეინის ქარხანა), სატყეო და ხის გადამამუშავებელი, მსუბუქი მრეწველობისა და სხვა დარგები. გარდა აღნიშნულისა, ქ. ბათუმში საკმაოდ განვითარებულია, აგრეთვე, ადგი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლობრივი კოოპერაციული. საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების წვლილი მრეწველობა. ქალაქის სამრეწველო კომბინატის საწარმოები იძლევიან აჭარის ადგილობრივი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ნახევარზე მეტს (51,9%).

ქალაქ ბათუმის შემდეგ აჭარაში სამრეწველო პროდუქციის მოცულობით აღსანიშნავია ქობულეთის რაიონი. იგი იძლევა აჭარის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 23,2%, აქ მრეწველობის წამყვანი დარგია კვების მრეწველობა, რომელმაც 1959 წელს გამოუშვა ქობულეთის რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის 75,4%, მისი ძირითადი დარგია ჩაის წარმოება. რაიონს აქვს ჩაის რვა ფაბრიკა, რომელნიც აჭარის ჩაის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის სამ მეოთხედზე მეტს (78,6%) იძლევიან.

რაც შეეხება აჭარის ასსრ დანარჩენ ადმინისტრაციულ რაიონებს (ბათუმის, ქედის, შუახევის, ხულოს) მათი ხვედრითი წონა აჭარის მთელ მრეწველობაში შედარებით უმნიშვნელოა და შეადგენს აჭარის მთელი სამრეწველო პროდუქციის 7,8%. აქ აღსანიშნავია მხოლოდ რაიმრეწკომბინატების ადგილობრივი მნიშვნელობის კუსტარულად მოწყობილი სამრეწველო საწარმოები.

როგორც დავინახეთ, აჭარის ასსრ მრეწველობაში წამყვანი ადგილი სახელმწიფო მრეწველობას უკავია და იძლევა აჭარის მთელი სამრეწველო პროდუქციის 90%.

განვიხილოთ აჭარის ასსრ მრეწველობის ცალკეული დარგები:

2. ელექტროენერგეტიკული მრეწველობა

აჭარის ასსრ ელექტროენერგიის მთავარ წყაროს „თეთრი ნახშირი“ ანუ მდინარეთა წყლის ენერგია წარმოადგენს. აჭარის უმნიშვნელოვანესი მდინარეებია: ჭოროხი, აჭარისწყალი, ყორლისწყალი, ჩოლაური, ჩაქვისწყალი, კინტრიში და სხვ., რომელთათვისაც დამახასიათებელია სწრაფი ვარდნა და ჭორომიანი კალაპოტი. ისინი, განსაკუთრებით ჭოროხი და აჭარისწყალი ჰიდროენერგიის მნიშვნელოვან მარაგს შეიცავენ, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თითქმის არ იყო ათვისებული და გამოყენებული. აჭარის მდინარეების გამოყენება ენერგეტიკული მიზნებით დაიწყო ხუთწლედების პერიოდში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ჯერ კიდევ სუსტად არიან ათვისებულნი.

აჭარის ელექტროენერგეტიკული მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ძალზე სუსტად იყო განვითარებული და იგი, შეიძლება ითქვას, თითქმის არ არსებობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აჭარაში ელექტროფიკაციის განვითარებას. ხუთწლედების პერიოდში აშენედა მთელი რიგი საკოლმეურნეო, კომუნალური, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო საწარმოებისა და სარაიონო ელსადგურები, რის შედეგადაც სისტემატურად იზრდებოდა გამომუშავებული ელექტროენერგიის ოდენობა. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილი.

წლები	გამომუშავებული ელექტროენერგია მლნ. კ ტ. საათობით
1932	9
1937	35
1940	44
1945	90
1950	103
1959	109

1959 წელს აჭარაში მუშაობდა სულ 23 ელსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 18758 კვტ. უდრიდა, მათ შორის რაიონული ელსადგურის „აწჰესის“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმძლავრე 16,0 ათასი კვტ. იყო, ხოლო საკოლმეურნეო და ცალკე საუწყებო ელ-სადგურებისა 2758 კვტ. 1959 წელს ელსადგურების მიერ გამომუშავებული 109,0 მლნ ´კვტ. საათიდან რაიონული ელსადგურის მიერ გამომუშავებულია 95,0 მილიონი კილოვატსაათი, ხოლო 14,0 მილიონი კილოვატსაათი—საკოლმეურნეო და საუწყებო ელსადგურების მიერ.

აწმესი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზით გაერთიანებულია საქართველოს ენერგოსისტემის ერთიან ჯაგში („საქენერგო"), რომელშიც შედის საქართველოს ელსადგურთა უდიდესი ნაწილი; ამით უზრუნველყოფილია ამ ელექტროსადგურების მიერ ´გამომუშავებული ელექტროენერგიის ცენტრალიზებული განაწილება რესპუბლიკის მომხმარებელთა შორის.

ზემოაღნიშნული სასოფლო ელსადგურები ემსახურებიან საკოლმეურნეო სოფლებისა და საბჭოთა მეურნეობების განათებას, სატრაქტორო-სარემონტო სახელოსნოებს, მესაქონლეობის ფერმებს, კოლმეურნეობების დამხმარე საწარმოებს და სხვ.

გარდა ამისა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას ემსახურება საკუთარი თბოელექტროსადგური.

ამრიგად, აჭარის ასსრ შედარებით საკმარისი რაოდენობით აწარმოებს ელექტროენერგიას და იგი აკმაყოფილებს ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას.

3. ნავთოგბგადამამუშავებელი მრეწველობა

რუსეთ-თურქეთის 1877 — 1878 წლების ომის შემდეგ თურქთა ბატონობის მძიმე უღლისაგან აჭარის განთავისუფლებამ, 1883 წელს ბათუმის რკინიგზის აგებამ, 1890 წელს სურამის გვირაბისა და 1906 წელს ბაქო-ბათუმს შორის 895 კილომეტრის სიგრძის ნავთობსადენი მილის გაყვანის შემდეგ ბათუმი მჭიდროდ დაუკავშირდა ბაქოსა და მისი ნავთობის საბადოებს. ამის შემდეგ ბათუმი გადაიქცა სავარეო ვაჭრობისა და, კერძოდ, ნავთობის ექსპორტის ძირითად ცენტრად. ამ პერიოდში ბათუმიდან საექსპორტო ნავთობის ვაჭრობას ეწეოდა ნავთობის თვრამეტამდე მრეწველი, მათ შორის ყველაზე მსხვილი იყო სამი: როტშილდი, ძმები ნობელები და მანთაშევი, რომელთა ფირმაზე მოდიოდა ბათუმიდან ნავთობის მთელი ექსპორტის ორმესამედზე მეტი. ასე რომ, ამ პერიოდში ბაქოს ნავთობის თითქმის მთელი ექსპორტი მხოლოდ ბათუმის ნავსადგურით წარმოებდა.

საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყოველწლიურად იზრდებოდა ბაქოს ნავთობის მოპოვება, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით 1927 წელს დაიწყო და 1929 წელს ნაწილობრივ ამუშავდა, ხოლო 1935 წელს მთლიანად დამთავრდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი დიდი ქარხნის მშენებლობა, რომელსაც ამჟამად აქვს ორი ძირითადი (ნავთობპროდუქტების გამოსახდელი და ნავთობის საწმენდი) და ოთხხმეტი დამხმარე სამმერო; თავის ტექნიკურ შეიარაღებით იგი წარმოადგენს ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოს. უკანასკნელი წლების მანძილზე ქარხანა აწარმოებს აზერბაიჯანისა და კრასნოდარის ნავთობის გადამუშავებას. აზერბაიჯანიდან ნავთობს ქარხანა იღებს ნავთობსადენი მილით, კრასნოდარის ნავთობს კი ნოვოროსიისკიდან შავი ზღვით გემების საშუალებით.

გარდა ამისა, ქარხანა რკინიგზით ღებულობს ნახევარ ფაბრიკატებს; მაგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითად ტრანსფორმატორის ზეთს ბაქოდან. პირობენზოლს გორკიდან და ალკინენზინს კუიბიშევიდან.

ქარხანა ამჟამად უშვებს 24 სახის ნავთობპროდუქტებს, მათ შორის ძირითადია სხვადასხვა სახის ბენზინი და ნავთი დიზელის საწვავი, მაზუთი, საცხები ზეთი. ქარხანა უშვებს აგრეთვე დიდი რაოდენობით გუდრონს და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის თხევად გაზს.

აჭარის ასსრ-ში ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ყველაზე მსხვილი სამრეწველო საწარმოა. ამ ქარხნის მიერ გამოშვებული ნავთობპროდუქტების უდიდესი ნაწილი შავი ზღვით სსრ კავშირის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში და საზღვარგარეთ მიდის.

ომისშემდგომ პერიოდში ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში განხორციელდა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა პროდუქციის გამოშვება.

ქარხნის მიერ გამოშვებული მთელი პროდუქცია ბარდება ნავთობგასაღების ბათუმის ბაზას. მომდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია ამ ბაზის გაფართოება-რეკონსტრუქცია და შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია.

4. მანქანათმშენებლობა

მანქანათმშენებლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის მეტად მნიშვნელოვანი დარგია, რომლითაც აჭარას მესამე ადგილი უკავია საქართველოში ქვემო ქართლისა და ქვემო იმერეთის შემდეგ (ქერძოდ ქალაქი თბილისისა და ქუთაისის შემდეგ). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მანქანათმშენებლობა თითქმის მთლიანად თავმოყრილია ქალაქ ბათუმში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში არ არსებობდა არცერთი მანქანათმშენებელი საწარმო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა ხუთი მნიშვნელოვანი საწარმო, როგორიცაა ბათუმის მანქანათსაშენებელი, გემმშენებელი და ელექტროტექნიკური სამი ქარხანა.

1959 წელს ბათუმის აღნიშნული მანქანათსაშენებელი ქარხნების მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება აჭარის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 4.1% უდრიდა. ქარხნების მიერ გამოშვებული პროდუქციიდან აღსანიშნავია კვების მრეწველობის, ძირითადად ჩაის მრეწველობის მანქანები და მოწყობილობა, მცირეყალწყვის კომფორტული სამგზავრო თბომავლები, კატერები, სწრაფმავალი გლისერები, ელექტროტექნიკური მანქანები და მოწყობილობა — ელექტროკარები, სარეცხი და სხვათა წარმოება.

ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნების პროდუქციის დიდი ნაწილი იგზავნება მოკავშირე და დემოკრატიულ რესპუბლიკებში.

აჭარის ასსრ მანქანათმშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი საწარმოა ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხანა. მისი მშენებლობა, (პატარა მოცულობის თუჯის ჩამომსხმელი საამქროს ბაზაზე) დაიწყო 1931 წელს და დამთავრდა 1936 წლის თებერვალში. ამის შემდეგ რამდენჯერმე ჩატარდა ქარხნის რეკონსტრუქცია. 1936 წლიდან ქარხნის ექსპლოატაციაში გაშვების დღიდან, იგი უშვებდა ჩაის მრეწველობისათვის საჭირო მანქანებსა და მოწყობილობას, როგორიცაა: ჩაის მწვანე ფოთლის საშრობი, მარდალეიშვილის სისტემის საშრობი ღუმელები, ჩაის მწვანე ფოთლისა და ხმელი ჩაის დამხარისხებელი მანქანები, საჭრელი მანქანები, საგრეხი როლერები, ჩაის გადამწონი ფაბრიკებისათვის ჩაის შემრევი დოლები (კუპაჟისთვის) და სხვა. 1937 წლიდან ქარხანამ დაიწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინის მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარის: ღვინის გადასატანი ტანკების შემნახავი ბუჩქლის, ბოთლების და საცობი, მავთულიდამნასკვავი და სხვა სახის მანქანა-მოწყობილობის გამოშვება. შემდგომ წლებში ქარხანამ დაიწყო საკონსერვო მრეწველობისათვის საჭირო მანქანების გამოშვება, სახელდობრ, ბოსტნეულის სახეხი და წვენის გამოსახდელი მანქანების, სტერილიზატორების, საკონსერვო ქარხნებისათვის ავტომატური უწყვეტი ხაზების წარმოება და სხვ.

უკანასკნელ ხანებში საწარმომ აითვისა ბევრი ახალი სახის მანქანა, რომელთა შორის აღსანიშნავია პურის ცომის საჭიერი ავტომატები, რძის ბიდონების სარეცხი მანქანა და სხვ.

ჩაის მრეწველობისათვის საპირო მანქანებისა და მოწყობილობის ძირითადი მომხმარებელია საქართველო, აგრეთვე, აზერბაიჯანი და კრასნოდარის მხარის ჩაის ფაბრიკები.

მეღვინეობისათვის საჭირო მანქანებისა და მოწყობილობის ძირითადი მომხმარებელია საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, რსფსრ, სომხეთი, თურქმენეთი და სხვა, ხოლო საკონსერვო მრეწველობისათვის საჭირო მანქანებისა — თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკა.

ამას გარდა, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის პროდუქცია იგზავნება საზღვარგარეთაც: ასე მაგალითად: ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩაის 2 ფაბრიკა დაკომპლექტებულია ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამზადებულ მანქანებით. ასეთი მანქანები იგზავნება აგრეთვე ჩინეთშიც.

უკანასკნელ ათეულ წლებში ქარხნის მთელი წარმოება მნიშვნელოვნად გარდაქმნა, მოეწყო სამი ნაკადური ხაზი, შეიქმნა ქიმიური, მექანიკური, ექსპერიმენტული, ლითონის მოსევადების საამქროები და სხვა. საამქროებში სისტემატურად იზრდება ლითონგადამმუშავებელი და სხვა სახის მანქანები და მოწყობილობა. ამის შედეგად ლითონის სხმულის საამქროს წარმადობა გაიზარდა 5-ჯერ, მექანიკურისა — თითქმის 2-ჯერ, საამწყობო საამქროსი — 16-ჯერ და ა. შ.

1959 წელს ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება აჭარის ასსრ და მთელი მანქანათმშენებელი პროდუქციის 42,6% შეადგენდა. ქარხნის ახალგაზრდა კადრების მომზადებას აწარმოებს ბათუმის სპეციალური სახელოსნო სასწავლებელი. აქვე არსებობს, აგრეთვე, ტექმინიმუმის სკოლა, სადაც ყოველწლიურად 140 მუშა იმაღლებს კვალიფიკაციას. ამის გარდა, წარმოებიდან მოუწყვეტლივ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობს 15 კაცი.

მომდინარე შვიდწლედში ქარხნის რეკონსტრუქციაზე უნდა დაიხარჯოს რამდენიმე მილიონი მანეთი; კაპიტალური დაბანდება გათვალისწინებულია საბინაოსაყოფაცხოვრებო მშენებლობაზე, ძველი მოწყობილობის ახლით შეცვლა, საამქროების მშენებლობასა და ახალი მანქანა დანადგარების შეძენაზე.

მომდინარე შვიდწლედის ბოლოს ქარხნის საერთო პროდუქცია უნდა გაიზარდოს 3-ჯერ, შრომის ნაყოფიერება 50% და პროდუქციის თვითღირებულება შემცირდეს 25%.

აჭარის მანქანათმშენებელი მრეწველობის მეორე მნიშვნელოვან საწარმოს ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა წარმოადგენს. 1921 წლიდან 1943 წლამდე იგი იყო ბათუმის ნავსადგურის სახელოსნო, 1943 წლიდან გადაკეთდა გემთშემკეთებელ ქარხნად, 1953 წლიდან 1957 წლამდე გემთშემკეთებელ-გემთმშენებელი ქარხანა, ხოლო 1957 წლიდან იგი მხოლოდ გემთმშენებელი ქარხანაა. ამჟამად გემთშეკეთებას უკავია უმნიშვნელო ადგილი (დაახლოებით ქარხნის პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუქციის 9,5%). ქარხანა უშვებს სამგზავრო გემებს „ყემჩუენის“ ტიპისა, ტანკერებს, სასეირნო სავალ კატერებს, სასეირნო ნავებს, მუშა ნავებს გემებზე მომსახურეობისათვის,; მომავალში ათვისებული უნდა იქნას პლასტმასის კატერისა და ბოცმანის კატერების წარმოება.

ქარხანა ძირითად ნედლეულსა და გემების ზოგიერთ ნაწილებს იღებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნებიდან — ლენინგრადიდან, ბაქოდან, ბარნაულიდან, ოდესიდან, ყდანოვის სახელობის ქარხნიდან (აზოვსტალის), მოსკოვიდან, გორკიდან და სხვა ქალაქებიდან. ქარხნის პროდუქციას კი მოიხმარის საბჭოთა კავშირის მრავალი რაიონი.

1959 წელს ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება აჭარის მთელი მანქანათმშენებლობის პროდუქციის ღირებულების 33,2% შეადგენდა. მომდინარე შვიდწლეულში ქარხნის პროდუქცია უნდა გაიზარდოს 2,5 ჯერ.

1958 წელს საკავშირო მთავრობის დადგენილებით დაიწყო საქართველოში და, კერძოდ, აჭარაში ელექტროტექნიკური ქარხნების შშენებლობა. 1958 წელს აჭარაში — ქ. ბათუმში მოეწყო სამი ელექტროტექნიკური ქარხანა, როგორიცაა: ბათუმის ელექტროკარის, ელექტროტექნიკური და ელექტროხელსაწყოების ქარხნები.

ამ საწარმოებიდან აღსანიშნავია ბათუმის ელექტროკარის ქარხანა, რომელიც 1958 წელს დაარსდა და ამავე წელს ნოემბრისათვის გამოუშვა პირველი პროდუქცია. ელექტროკარს საკავშირო მასშტაბით უდიდესი გამოყენება აქვს რკინიგზის სადგურებსა და ფაბრიკა-ქარხნების შინაგან ტრანსპორტში.

ქარხნის ამუშავების პირველ წელს ელექტროკარის ცალკეულ ნაწილს იგი იღებდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნებიდან, მაგრამ 1959 წლიდან მან თვითონ დაიწყო ზოგიერთი დეტალების დამზადება და აწყობა. ქარხნის მთელი პროდუქციის ღირებულება აჭარის მანქანათმშენებლობის პროდუქციის მთელი ღირებულების 18,9% შეადგენდა. ქარხანაში მომუშავე პერსონალის 90% ახალგაზრდობაა, მათ შორის 85%-ზე მეტი საშუალო განათლებით.

ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა დაარსდა 1958 წლის ივნისში ბათუმის გრეხილ ავეჯის ფაბრიკის ბაზაზე, რომელიც ადგილობრივ მრეწველობას ეკუთვნოდა. პირველი პროდუქცია გამოუშვეს 1959 წლის აგვისტოში. ჯერჯერობით იგი უშვებს მხოლოდ სარეცხ მანქანებს, მომავალში კი გამოუშვებს სხვა ელექტროტექნიკურ-საყოფაცხოვრებო საგნებსაც. ამჟამად მიმდინარეობს ქარხნის ახალი საამქროების შშენებლობა.

1959 წელს ქარხანამ გამოუშვა 761 ცალი სარეცხი მანქანა, 1960 წელს კი გეგმით უნდა გამოუშვას 12 ათასი ცალი სარეცხი მანქანა. წნევის ქვეშ ფერადი ლითონების სხმულის და ელექტროღუმელის საამქროების დამთავრების შემდეგ სწრაფად გაიზრდება სარეცხი მანქანების გამოშვება, რადგან ამ საამქროებში იწარმოებს ალუმინისა და ლატუნისაგან ოთხი სახის რთული დეტალის ჩამოსხმა. ქარხანა ძირითად ნედლეულს იღებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნებიდან.

მთლიანად დამთავრების შემდეგ ქარხანა გამოუშვებს 60 ათას ცალ სარეცხ მანქანას და სხვა საყოფაცხოვრებო საგნებს, რის შემდეგაც ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა ანალოგიურ ქარხნებს შორის მეორე ადგილს დაიკავებს საბჭოთა კავშირში რიგის ელექტროტექნიკური ქარხნის შემდეგ.

მეტად მნიშვნელოვანი საწარმოა ბათუმის ელექტროხელსაწყოების ქარხანა, რომელმაც პირველი პროდუქცია გამოუშვა 1959 წლის ოქტომბერში. მისი ძირითადი პროდუქცია ასეთია: ლაბორატორიული ავტოტრანსფორმატორები, ვენტილატორები საყოფაცხოვრებო მომსახურეობისათვის, ძაბვა ავტორეგულა-

ტორები ტელევიზორებისა და მაცივრებისათვის. მტვერსასრუტები და სხვა მომავალში გათვალისწინებულია დენის ძაბვის ავტომატური სტაბილიზატორების გამოშვება. მზა პროდუქცია იგზავნება თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში და აგრეთვე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ქარხანა ამჟამად მშენებლობის პროცესშია, შენდება ქარხნის ახალი კორპუსები, მწყობრში შედის ახალი საამქროები. ქარხნის მთელი მშენებლობა უნდა დამთავრდეს 1964 წლისათვის. ქარხნის სრული სიმძლავრით აშუშავების შემდეგ იგი ყოველწლიურად გამოუშვებს 7,2 მილიონ მანეთის პროდუქციას, ხოლო ქარხანაში იმუშავებს 2 ათასამდე კაცი.

როგორც ვხედავთ, ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნები ამჟამად მშენებლობისა და მოწყობის პროცესში იმყოფება. მომდინარე შვიდწლეულში მათი მშენებლობის სრული დამთავრების შემდეგ თითოეული მათგანი აჭარის მძლავრ სამრეწველო საწარმოდ გადაიქცევა.

5. ქიმიური მრეწველობა

ქიმიური მრეწველობა საქართველოში და, კერძოდ, აჭარის ასსრ-ში მრეწველობის სრულიად ახალი დარგია. ქიმიური ნედლეული, რომელიც საქართველოში მოიპოვებოდა, რევოლუციამდე შეუსწავლელი და თითქმის მთლიანად ხელუხლებელი იყო.

ხუთწლედების პერიოდში საქართველოში არსებული ბუნებრივი და ხელოვნური ქიმიური ნედლეულის ბაზაზე ამშენდა რამდენიმე ქიმიური მრეწველობის საწარმო. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასეთ საწარმოებიდან აღსანიშნავია ბათუმის კოფეინის ქარხანა, ოჩხამურის (ქობულეთის რაიონი) ტუნგის ზეთის სახდელი ქარხანა, და აგრეთვე ბათუმის ადგილობრივი მრეწველობის საღებავების საწარმო.

საქართველოში ჩაის მეურნეობისა და ჩაის მრეწველობის განვითარების შედეგად ყოველწლიურად გროვდება დიდძალი ქიმიური ნედლეული ჩაის უხეში ფოთლებისა და ფაბრიკებში მწვანე ფოთლის გადამუშავების შედეგად დაგროვილი ჩაის მტვერი, რომელიც ძვირფასი ნედლეულია ბუნებრივი კოფეინის მისაღებად.

ზემოაღნიშნული ნედლეულის ბაზაზე ქართველ მეცნიერთა მიერ შემუშავებული ტექნოლოგიური სქემით ქ. ბათუმში 1936 წელს აშენდა კოფეინის ქარხანა, რომელიც ამ სახის ერთადერთი ქარხანაა საბჭოთა კავშირში. 1953 წლამდე ქარხანა უშვებდა მხოლოდ კოფეინსა და თეელბინს, რასაც მედიცინაში მეტად დიდი გამოყენება აქვს.

1953 წელს მოხდა ქარხნის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, გადიდდა ქარხნის საწარმოო კორპუსი, მოეწყო ახალი საამქროები, რის შემდეგ დაიწყო დამატებით დიდი სამკურნალო მნიშვნელობის ახალი პრეპარატების სერიული გამოშვება.

ქარხნის მიერ დამუშავებული პროდუქცია იგზავნება მთელ საბჭოთა კავშირში და მრავალ საზღვარგარეთულ ქვეყანაში. მომდინარე შვიდწლეულში გათვალისწინებულია ქარხნის შემდგომი მნიშვნელოვანი გაფართოება.

აჭარის ქიმიური მრეწველობის მეორე მნიშვნელოვან საწარმოს წარმოადგენს ოჩხამურის (ქობულეთის რაიონი) ტუნგის ზეთის სახდელი ქარხანა. ტუნგის ნაყოფი იძლევა მაღალი ტექნიკური თვისების ცხიმოვან ზეთს, რომელსაც იყენებენ უმაღლესი ხარისხის ლაქ-საღებავების დასამზადებლად; მასზე დიდ მოთხოვნილებას აყენებს სახალხო მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავიაციო მრეწველობა და გემთმშენებლობა, რეზინის მრეწველობა, საინ-ციო ქსოვილების წარმოება და სხვა.

1939 წლამდე ტუნგის ეს ძვირფასი ტექნიკური ზეთი საბჭოთა კავშირში შემოქონდათ საზღვარგარეთიდან, რაც მეტად ძვირი ჯდებოდა.

ტუნგის ნარგავთა ფართობის ზრდისა და ტუნგის ნაყოფის გადამუშავებისა უზრუნველსაყოფად 1938 წელს ოჩხამურში აშენდა ტუნგის ზეთსახდელი ქარ-ხანა, რომელიც ამჟამად ერთადერთია საბჭოთა კავშირში. მას შეუძლია წელი-წადში გადამუშავოს 25 ათასი ტონა ტუნგის ნაყოფი, რასაც ნედლეულის სახით იღებს დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან.

1959 წელს ქარხანამ გამოუშვა 556,5 ტონა ტუნგოს ზეთი, გამომუშავებულ პროდუქციის ღირებულება 4,8 მილიონ მანეთს უდრიდა. მზა ზეთი იგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში, ოდესაში, იაროსლავსა და სხვა ქალაქებში.

აჭარის ქიმიური მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ბათუ-მის ქალაქის სამრეწველო კომბინატის ქიმიური ქარხანა.

ბათუმის ქალაქმრეწვკომბინატის ქიმიური საწარმო უშვებს საღებავებს, კი-რისა და გოგირდის ხსნარს ციტრუსების შესაწამლად და საყოფაცხოვრებო ქი-მიურ პროდუქტებს—მასტიკა, ლაქი, ნედე და სხვ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მომდინარე შვიდწლედში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს აჭარის ქიმიური მრეწველობის პროდუქცია, რაც უნდა მოხდეს, ძირითადად, არსებული ქიმიური საწარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოების ხარჯზე.

6. სატყეო და ხის დამუშავების მრეწველობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შედარებით მდიდარია ტყის რესურსე-ბით; ტყეებს აქ მთელი ტერიტორიის 54,3% უკავია. მაგრამ რადგანაც მის უმე-ტეს ნაწილს ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი და საკურორტო მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საექსპლოატაციოდ გამოსადეგი ტყე მცირეა. აჭარის ტყეები ძირი-თადად განლაგებულია მთიან აჭარაში—ხულოს, შუახევისა და ქედის ადმინისტ-რაციული რაიონის ფარგლებში. ტყის ფართობები ცალკეული კოლმეურნეობების სახით არის აგრეთვე ქობულეთსა და ბათუმის ადმინისტრაციულ რაიონებშიც.

აჭარის ასორ ტყეები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პირველი კატეგო-რიის ტყეებს მიეკუთვნება. ამიტომ ამ ტყეების ფართო სამრეწველო ექსპლუა-ტაცია საერთოდ არ წარმოებს. შეშისა და საქმიანი მერქნის დამზადება აქ მიმ-დინარეობს ტყის გაუმჯობესების წესით (სანიტარული და მოვლითი ჭრა). ხე-ტყის დამზადება წარმოებს უფრო მეტად ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებ-ში. აჭარის მრეწველობის დარგები და ახალი მშენებლობები კი დიდ მოთხოვ-ნილებას აყენებს ხე-ტყის მასალაზე. ნაწილი ხე-ტყის მასალისა აჭარაში შემო-აქვთ აფხაზეთიდან და საქართველოს სხვა რაიონებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში აშენდა ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტები, ხე-ტყის სახერხი ქარხნები და ხის დასამუ-შავებელი საწარმოები, აჭარაში მრეწველობის ეს დარგი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული. 1959 წელს აქ იყო ხე-ტყის მრეწველობის ათამდე საწარმო. აჭარის სატყეო მრეწველობის ყველაზე უფრო მსხვილ საწარმოს ბათუმის ხის დასამუშავებელი კომბინატი წარმოადგენს.

კომბინატს აქვს სამი ძირითადი სამაქრო, ხე-ტყის სახერხი, ფანერისა და ავეჯის სამაქრობი. 1959 წელს კომბინატმა მიიღო და გადამუშავა 18,5 ათას მ³ ხე-ტყე. დამზადა წებიანი ფანერი 4700 მ², ნათალი ფანერი 514000 მ², დახერ-ხილი ხის მასალა 4800 მ³ და 6,5 მილიონი მანეთის სხვადასხვა სახის ავეჯი. გა-მოშვებული პროდუქციის მთელი ღირებულება 12,1 მილიონ მანეთს უდრიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული კომბინატი ხის მასალის ნაწილს (არყის ხის მორებს ფანერისთვის) იღებს რუსეთიდან, წიფლისა და სოჭის მორებს აფხაზეთიდან და საქართველოს სხვა რაიონებიდან.

კომბინატის მიერ გამოშვებული მზა პროდუქცია იგზავნება საქართველოს რაიონებში, ხოლო ანათალი ფანერის ნაწილი მოკავშირე რესპუბლიკებში. მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია კომბინატის საფუძვლიანი გაფართოება, ხის ნარჩენების ბაზაზე შეიქმნება ფილების დამამზადებელი საამქრო, მოეწყობა ხელოვნური საშრობი საამქრო, რომელიც 10000 m^3 მასალას გაშრობს წელიწადში. გათვალისწინებულია აგრეთვე ავეჯის საამქროს რეკონსტრუქცია, იმ ვარაუდით, რომ მისი პროდუქცია გაიზარდოს სამჯერ.

გარდა აღნიშნული ხის დასამუშავებელი საწარმოსი, ქალაქ ბათუმისა და ადმინისტრაციული რაიონების სამრეწველო კომბინატების ხაზით მოწყობილია ხეტყის სახერხი ქარხნები და მცირე წარმადობის ავეჯის საწარმოები.

7. კვების მრეწველობა

კვების მრეწველობა აჭარის მრეწველობის მეტად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი დარგია. იგი ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა. ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო და ნაწილობრივ შემოზიდული ნედლეულის ბაზაზე ისე როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, აჭარაშიც ხუთწლედების მანძილზე კვების ძველი საწარმოები რეკონსტრუირებული და გაფართოებული იქნა და ამასთან ერთად ფართოდ გაიშალა კვების მრეწველობის ახალი მექანიზებული საწარმოების მშენებლობა.

აჭარის კვების მრეწველობის განვითარება ძირითადად ემყარებოდა სასოფლო-სამეურნეო სანედლეულო ბაზის გაფართოებას, რაც დაკავშირებული იყო სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ფართო დანერგვასთან. კვების მრეწველობის გაფართოებას აქ წინ უსწრებდა სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების განვითარება, როგორიცაა მეჩაიეობა, ციტრუსოვანთა მოყვანა, ტუნგის პლანტაციების შექმნა, მეთამბაქოეობა, მევენახეობა-მეხილეობა, მებოსტნეობა-მებაღჩეობა, მეცხოველეობის განვითარება და სხვა. როგორც ცნობილია, ხუთწლედების მანძილზე აჭარა მოწინავე სასოფლო-სამეურნეო რაიონად გადაიქცა; იგი დღეს ძვირფასი ტექნიკური კულტურების მნიშვნელოვან რაიონს წარმადგენს საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირშიაც. აჭარის სოფლის მეურნეობა დღეს დიდი როდენობით აძლევს კვების მრეწველობის საწარმოებს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს (ჩაის მწვანე ფოთოლს, თამბაქოს, ხილს, ყურძენს, ბოსტნეულ-ბაღჩეულს, ხორცს, ცხიმს, რძესა და სხვა).

აჭარის კვების მრეწველობაში აღსანიშნავია ჩაის, თამბაქოს, საკონსერვო, ხორცის, თევზის, ყველ-კარაქის, პურისა და საკონდიტრო, ლუდ-ლიმონათის და სხვათა წარმოება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში აშენდა კვების მრეწველობის ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიცაა: ბათუმის, ხელვაჩაურის, ჩაქვის, აჭყვის, ხუცუბნის, მუხაესტატეს, ბობოყვათის, ქობულეთის და ოჩხამურის ჩაის ფაბრიკები და რეკონსტრუირებული იქნა სალიბაურისა და ჩაქვის № 2 ფაბრიკა, რომელნიც ჯერ კიდევ 1898 წელს იქნენ აგებული. შეიქმნა ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა და თამბაქოს ფაბრიკა; ბათუმის ციტრუსკომბინატი, ბათუმის თევზის კომბინატი, ხორცკომბინატი, ოჩხამურის ტუნგის ზეთსახდელი ქარხანა, ბათუმისა და ქობულეთის პურკომბინატი, ბათუმის ლუდის ქარხანა, რძის ქარხანა, საკონდიტრო ფაბრიკა, ღვინის ქარხანა და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის კვების მრეწველობა მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად: ძირითადი, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე დარგებად.

საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის დარგებიდან აღსანიშნავია ჩაის, თამბაქოს, საკონსერვო წარმოება, ხოლო რესპუბლიკურ და ადგილობრივ მოხმარების დარგებს მიეკუთვნება, ხორცის, თევზის, ყველ-კარაქის, რძის, ღვინის, ლუდ-ლიმონათის, პურისა და საკონდიტრო პროდუქციის წარმოება.

დიდია აჭარის კვების მრეწველობის საერთო პროდუქციის ხვედრითი წონა აჭარის მთელ მრეწველობაში, იგი იძლევა აჭარის მრეწველობის პროდუქციის 41,3%. 1959 წელს აჭარის კვების მრეწველობაში მუშაობდა 3250 მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე კვების მრეწველობა არა თანაბრადაა განლაგებული და იგი ძირითადად ქ. ბათუმში და ქობულეთის რაიონში თავმოყრილი, ასე, მაგალითად, ქალაქი ბათუმი და ქობულეთის რაიონი იძლევა აჭარის მთელი კვების მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 94,4%, აჭარაში შემავალ დანარჩენ რაიონებზე მოდის სულ 5,6%. ეს მდგომარეობა იიხსნება იმით, რომ ის ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებიც კვების მრეწველობას აძლევს ძვირფას ნედლეულს ჩაისა და ციტრუსების სახით, სწორედ აჭარის შავიზღვის სანაპიროს დაბლობსა და გორაკბორციან ზონაშია განლაგებული. ამავე დროს, სწორედ შავიზღვის სანაპირო დაბლობზე მდებარეობს აჭარის ყველაზე დიდი ქალაქი (ბათუმი) და რიგი საზღვაო მნიშვნელობის კურორტები, რომლებიც დიდ მოთხოვნილებას აყენებენ კვების პროდუქტებზე.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტური მშენებლობის ხუთწლედების მანძილზე აჭარის ასსრ კვების მრეწველობის პროდუქცია განუხრელად იზრდებოდა, მისი ხვედრითი წონა ავტონომიურ რესპუბლიკის მთელი მრეწველობის მთლიან პროდუქციაში 60%-დან 1932 წ. შემცირდა 41,3%-მდე. 1959 წ. ეს შემცირება. უმთავრესად გამოწვეული იყო აჭარის მრეწველობის ისეთი დარგების სწრაფი ზრდით, როგორიცაა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნებისა (განსაკუთრებით ელექტროტექნიკური საწარმოებისა) და მრეწველობის სხვა დარგების განვითარებით.

აჭარის კვების მრეწველობაში ყველაზე მნიშვნელოვანია ჩაის მრეწველობა, რომელიც იძლევა აჭარის კვების მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ნახევარზე გაცილებით მეტს.

1959 წელს აჭარაში მოქმედებდა ჩაის 11 ფაბრიკა, აღნიშნულ. ფაბრიკაში მუშაობდა სულ 1498 მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი. აღნიშნულმა ფაბრიკებმა 1959 წელს გამოუშვეს მწვანე ბაიხოს ჩაი 5768,5 ტონა, ხოლო 2011,0 ტონა აგურა ჩაი, ამგვარად სულ გამოშვებული იქნა 7779,5 ტონა მზა ჩაის პროდუქცია.

ამავე წელს აჭარის ჩაის ფაბრიკების მიერ გამოშვებული მთლიანი პროდუქციის ღირებულება აჭარის კვების მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 60,5% შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ჩაის კულტურის მეურნეობა და ჩაის მრეწველობა საქართველოში პირველად სწორედ აჭარაში დაიწყო და აქედან შემდეგ იგი დასავლეთ საქართველოს შავიზღვის სანაპირო რაიონებში გავრცელდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დაიწყო ჩაის კულტურისა და ჩაის მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარება. ამკამად საქართველოში ჩაის ფაბრიკების რიცხვმა 70 მიაღწია. აჭარაში აშენდა ჩაის 9 ახალი მძლავრი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ფაბრიკა, ამავე დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდა ჩაქვისა და სალიბაურის ფაბრიკების რეკონსტრუქცია. ამჟამად აჭარაში მუშაობს ჩაის 11 ფაბრიკა, რომელთაც შეუძლია გადაამუშაოს 27500 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი წელიწადში.

აჭარაში არსებულ 11 ფაბრიკიდან 8 ქობულეთის რაიონშია, 2 ბათუმის რაიონში და ერთი ქალაქ ბათუმში.

როგორც დავინახეთ აჭარაში, ჩაის საპლანტაციო მეურნეობითა და ჩაის მრეწველობით, პირველი ადგილი უკავია ქობულეთის რაიონს. ქობულეთის რაიონს მეჩაიეობით საპატიო ადგილი უჭირავს აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკაშიაც.

1959 წელს ქობულეთის რაიონის ჩაის ფაბრიკებმა გამოუშვეს 4449,7 ტონა მწვანე ბაიხაოს და 2011 ტონა აგურა-ჩაი, სულ 6460,7 ტონა, რაც აჭარის ჩაის ფაბრიკის მიერ გამოშვებულ მზა ჩაის პროდუქციის 80,0% უდრის.

ქობულეთის რაიონის ჩაის ფაბრიკების ნედლეულით თანაბრად უზრუნველყოფის მიზნით, ყველა მეჩაიე სასოფლო საბჭოები და ჩაის საბჭოთა მეურნეობები დანაწილებულია ზონებად რომლებზედაც მიმაგრებულია მახლობლად მდებარე ჩაის ფაბრიკები. გამონაკლისს შეადგენს, მხოლოდ ჩაქვის პირველი ფაბრიკა, რომელიც აგურა ჩაის უშვებს, იგი მისთვის საჭირო ნედლეულს — ჩაის უხეშ ფოთოლს, იღებს აჭარის ყველა მაჩაიე სასოფლო საბჭოებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ქობულეთის რაიონის ჩაის ფაბრიკები თითქმის მთლიანად დატვირთულნი არიან ნედლეულით. მომდინარე შვიდწლედში ქობულეთის რაიონში გათვალისწინებულია ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება, ამავე დროს, არსებულ პლანტაციებში ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობაც მნიშვნელოვნად გადიდდება. თუ მივიღებთ მხედველობაში ამ გარემოებას და აგრეთვე ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის სეზონურობას, განსაკუთრებით მაის-ივნისის თვეებში, როდესაც არსებული ჩაის ფაბრიკები ძალზე გადატვირთულობის გამო ვერ ასწრებენ ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავებას, ყოველივე ეს აყენებს საკითხს მომდინარე შვიდწლედში ქობულეთის რაიონში ჩაის ახალი ფაბრიკების მშენებლობის აუცილებლობის შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქობულეთის რაიონის მრეწველობაში ჩაის წარმოებას უდიდესი ხვედრითი წონა აქვს და იგი რაიონის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს თამაშობს, 1959 წელს რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 81,1% ჩაის მრეწველობა იძლეოდა.

ქობულეთის რაიონის შემდეგ ჩაის მრეწველობით საყურადღებოა ბათუმის რაიონი, რომელიც ამუშავებს ნაწილობრივ ბათუმის რაიონის მახლობელი კოლმეურნეობისა და ქედის რაიონის ჩაის მთელ მწვანე ფოთოლს. 1959 წელს ბათუმის რაიონის ჩაის ფაბრიკებმა გამოუშვეს 1317,8 ტონა ჩაის მზა პროდუქცია. გამოშვებული პროდუქციის სახეებიდან ყველაზე მეტი ხვედრითი წონა მოდის პირველ და მეორე ხარისხის პირველ კატეგორიაზე.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ აჭარის ჩაის ფაბრიკები აწარმოებენ შავ და მწვანე ბაიქაოს ჩაის. გამოშვებულ პროდუქციაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს „საქართველოს თაიგულს“, „ექსტრას“, უმაღლეს და პირველი ხარისხის ჩაის. ამას გარდა, ჩაქვის პირველი ფაბრიკა ამზადებს აგრეთვე აგურა ჩაის, რომელიც იგზავნება ყირგიზეთში, ალტაის მხარეში, და შორეულ აღმოსავლეთის სხვა მხარეებში.

თ ა მ ბ ა ქ ო ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა. მეთამბაქოეობას აჭარაში ძველი ისტორია აქვს. აჭარის კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები ძალზე ხელშემწყობია თამბაქოს კულტურის განვითარებისათვის, ამიტომ აქ მეთამბაქოეობას შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარებით ძველთაგანვე მისდევდნენ. აჭარა საქართველოში ითვლება ხარისხიანი მეთამბაქოების მნიშვნელოვან რაიონად. აჭარის თამბაქო მაღალ ორომატულობით და ელასტიურობით ხასიათდება, ამიტომ მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, კიევის, რიგისა და ოდესის თამბაქოს ფაბრიკები იყენებენ მას კუპაჟისათვის, სხვა რაიონებში მოყვანილ ჩვეულებრივ თამბაქოს გაკეთილშობილების მიზნით.

აჭარაში მეთამბაქოეობა ძირითადად შიდამთიან მხარეშია გავრცელებული, განსაკუთრებით ხულოს, ქედისა და შუახევის რაიონებში. აჭარაში სამრეწველო თამბაქოს ორი ძირითადი ჯიშია გავრცელებული „სამსუნი“ და „ტრაპიზონი“, ფართობის ორმესამედზე მეტი „ტრაპიზონის“ ჯიშს უჭირავს, ხოლო 1/3-ზე ნაკლები „სამსუნზე“ — მოდის. სამსუნის ჯიშის თამბაქო ძირითადად ქედისა და შუახევის რაიონებში გვხვდება, ხოლო ტრაპიზონის, — როგორც სიცივის მეტი ამტანი, მაღალ ადგილებშია გავრცელებული და მისი ფართობები ძირითადად ხულოს რაიონში გვხვდება. აჭარის თამბაქოს მრეწველობა წარმოდგენილია ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნით და თამბაქოს ფაბრიკით. საფერმენტაციო ქარხანა აწარმოებს აჭარის რაიონებიდან მიღებული თამბაქოს ნედლეულის დახარისხებას, სტანდარტულ სინესტემდე დაყვანას, წნეხვას, შეფუთვას და სათანადო განრიგის მიხედვით საბჭოთა კავშირის თამბაქოს ფაბრიკებში გაგზავნას. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის საფერმენტაციო ქარხნის სიმძლავრე არ იძლევა საშუალებას აჭარის მეთამბაქოეობის რაიონებიდან თამბაქოს ნედლეულის დაფერმენტებას და აჭარიდან თამბაქოს ნედლეულის ნაწილი იგზავნება აფხაზეთის საფერმენტაციო ქარხნებში, რაც არანორმალურად უნდა ჩაითვალოს. ამ მიზნით მიმდინარე შვიდწლედში ჩატარდება ბათუმის საფერმენტაციო ქარხნის რეკონსტრუქცია, იმ ვარაუდით, რომ იგი გადაამუშავებს აჭარის თამბაქოს ნედლეულის თთელ რაოდენობას.

აჭარის თამბაქოს მრეწველობის მეტად მნიშვნელოვანი საწარმოა ბათუმის თამბაქოს ფაბრიკა, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე აშენდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი სავსებით რეკონსტრუირებული და გაფართოებული იქნა. ბათუმის თამბაქოს ფაბრიკა თავისი სიმძლავრით საქართველოს თამბაქოს მრეწველობაში ერთერთი მნიშვნელოვანი საწარმოა. ფაბრიკა საჭირო ნედლეულის 40%-მდე ადგილობრივ ბათუმის საფერმეტაციო ქარხნიდან იღებს, დანარჩენს კი საქართველოს და საბჭოთა კავშირის საფერმეტაციო ქარხნებიდან.

1959 წელს ფაბრიკამ გამოუშვა ორნახევარ მილიარდზე მეტი ცალი პაპიროსი (2575,8 მილიონი ცალი პაპიროსი). გამოშვებული პროდუქციის მეტი ნაწილი იგზავნება აჭარისა და საქართველოს რაიონებში, ნაწილი კი მოკავშირე რესპუბლიკების სხვადასხვა რაიონებში. მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია ფაბრიკის რეკონსტრუქცია.

თ ე ვ ზ ი ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა აჭარის კვების მრეწველობის ერთ-ერთი სპეციალური დარგია. აჭარაში მეთევზეობის განვითარებას ხელს უწყობს შავი ზღვის სანაპირო მდებარეობა. ცნობილია, რომ საქართველოს ზღვისპირა ნაწილში თევზი შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. მიუხედავად ამისა, საქართველოს შავიზღვის სანაპიროზე მოწყობილია თევზის საჭერი სარეწაოები და თევზის გადამამუშავებელი საწარმოები. საქართველოში არსებულ თევზის საჭერ სარეწებსა და თევზის პროდუქტების საწარმოებს შორის აჭარას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აჭარის თევზის მრეწველობის მნიშვნელოვანი საწარმოა ბათუმის თევზკომბინატი, რომელიც 1958 წელს თევზჭერის ბაზის, თევზჭერის ფლოტის და ბათუმის თევზის ქარხნის ბაზაზე დაარსდა. კომბინატს აქვს საშუა-

ლო სიდიდის 8 სეინერი, ორი რეფრიჟერატორი, რომელიც სეინერებიდან ზღვაში იღება თევზს და მოაქვს იგი ნაპირზე თევზის ქარხანაში; ყავს აგრეთვე სეინერებთან კავშირის დასამყარებლად სამგზავრო გლისერი და ერთი ტანკერი, რომელიც სეინერებს ზღვაში აწოდებს საწვავს. ბათუმში ზღვის სანაპიროზე მოწყობილია თევზის ქარხანა, და მაცივარი (საკუთარი რადიო სადგური) და სხვა. კომბინატი თევზეფერას აწარმოებს საქართველოს, ქერჩის, ოდესის და თურქეთის წყლებში. ბათუმის თევზის ქარხანა, გარდა თევზსაჭერი ფლოტისა, თევზს იღებს აგრეთვე ქობულეთისა და ბათუმის მეთევზეობის კოლმეურნეობებიდან, ასე მაგალითად, 1959 წელს ბათუმის თევზის ქარხანამ ქობულეთისა და ბათუმის მეთევზეობის კოლმეურნეობებიდან მიიღო 860 ტონა თევზი, ხოლო თევზსაჭერი ფლოტიდან 2250 ტონა. გამოშვებული პროდუქციის მთავარი სახეებია: გაყინული, დამარილებული, შებოლილი და მარინადი თევზი. კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქციის 80% მიდის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში (მოსკოვი, მინსკი, მოგილიოვი, გომელი, ვორონეჟი, დონეცკი, შახტი და სხვა), ხოლო 20% საქართველოში. მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია აშენდეს სათევზო პორტი და სპეციალური საწარმო, რომელიც დაბალ ხარისხის თევზიდან და თევზის ნარჩენებიდან დამამზადებს თევზის ფხვნილს.

საკონსერვო მრეწველობა წარმოდგენილია ბათუმის ციტრუსკომბინატით. აჭარაში და მის მეზობელ რაიონებში ციტრუსებისა და სხვა ხილეულის ბაზაზე 1939 წელს ბათუმში აშენდა საბჭოთა კავშირში პირველი ციტრუსკომბინატი. იგი უშვებს ხილის კონსერვებსა და მურაბებს, მარინადებს, მანდარინის წვენს, მანდარინის სიროფს, პოვიდლოსა და ჯემს.

ბათუმის ციტრუსკომბინატი მისთვის საჭირო ნედლეულს ციტრუსოვან ხილს იღებს ქობულეთის, ბათუმის, მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებიდან.

1959 წელს ქარხანამ გადაამუშავა სულ 6000 ტონა ხილი, აქედან 2500 ტონა ციტრუსოვანი, ხოლო 3500 ტონა კურკოვანი ხილი. აღნიშნულ ნედლეულის გადამუშავების შედეგად გამოუშვა 10,8 მილიონი პირობითი ქილა ყველა სახის კონსერვი. გარდა აღნიშნულისა, კომბინატი აწარმოებს სუბტროპიკულ ხურმის გაყინვას. 1960 წელს გეგმით ქარხანამ უნდა გამოუშვას 500 ტონა გაყინული ხურმა. კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქცია იგზავნება საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში.

პურის ცხობისა და საკონდიტრო მრეწველობას აჭარის კვების მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის ღირებულებით მეორე ადგილი უკავია ჩაის მრეწველობის შემდეგ. იგი აჭარის კვების მრეწველობის მოლიანი პროდუქციის 15%-ზე მეტს იძლევა. აჭარის ქალაქებში, რაიცენტრებში, საბჭოთა მეურნეობებში და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში მოწყობილია ათეული პურის საცხობები, ხოლო ქალაქ ბათუმში მექანიზებული პურკომბინატი და საკონდიტრო ფაბრიკა. 1959 წელს აჭარის პურისა და საკონდიტრო წარმოებამ გამოუშვა სულ 38548 ტონა სხვადასხვა ხარისხის პური და 2041 ტონა საკონდიტრო ნაწარმი.

აჭარის პურის ცხობის საწარმოებიდან აღსანიშნავია ქ. ბათუმის პურკომბინატი, რომელმაც 1959 წელს გამოუშვა 24348 ტონა პურ-ფუნთუშეული. ბათუმის პურკომბინატი ემსახურება ქ. ბათუმის მოსახლეობას, ბათუმის რაიონში შემავალ შავიზღვის სანაპირო კურორტებს და მახლობელ სოფლებს. ბათუმის პურკომბინატი აჭარის კვების მრეწველობის მეტად მნიშვნელოვანი საწარმოა. აღსანიშნავია აგრეთვე ქობულეთის პურის ქარხანა, რომელიც მომსახურეობას უწევს

ქ. ქობულეთის მოსახლეობას და ქობულეთის სანატორიუმებს და დასასვენებელ სახლებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია ქედის, შუახევისა და ხულოს პორის საკურორტო ბები, რომლებიც მომსახურეობას უწევენ აღნიშნული რაიონული ცენტრების მოსახლეობას.

საკონდიტრო მრეწველობის მნიშვნელოვანი საწარმოა ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკა, რომელიც მრავალფეროვან პროდუქციას უშვებს. იგი უმთავრესად ამზადებს კარამელის ნაწარმს და სხვადასხვა სახის ნამცხვარს. 1959 წელს ფაბრიკამ 2041 ტონა საკონდიტრო ნაწარმი გამოუშვა. იგი საკონდიტრო ნაწარმით მომსახურეობას უწევს ქ. ბათუმსა და ქობულეთს, აგრეთვე აჭარის შავიზღვისპირა კურორტებს და ნაწილი იგზავნება აჭარის ფარგლებს გარეთაც. ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკა აჭარის კვების მრეწველობის ერთ-ერთ მძლავრ და მექანიზებულ საწარმოდ ითვლება.

თუმცა აჭარა განვითარებული მეღვინეობის რაიონი არაა, მაგრამ მისი კვების მრეწველობაში გარკვეულ როლს მეღვინეობაც თამაშობს; აჭარის კვების მრეწველობის საერთო პროდუქციის 3%-ზე მეტი ამ დარგზე მოდის. აჭარის მეღვინეობა ემყარება რესპუბლიკაში არსებულ მევენახეობას, რომლის განვითარებისათვის რიგ მიკრო რაიონში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობს. ამ მხრივ აჭარაში გამოირჩევა საშუალო სიმაღლის მთიანი ზოლის ხეობები, რომელიც მთთავსებულია ქედის, შუახევისა და, ნაწილობრივ, ხულოს რაიონის ფარგლებში.

უკანასკნელ დროს აჭარაში დაბლარი ვენახების გაშენებას მოყვა ღვინის მრეწველობის შექმნა. ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მუშაობს ბათუმის და ქედის ღვინის ქარხნები.

1959 წელს ბათუმის ღვინის ქარხანამ გამოუშვა 164,8 ათასი დ/ლიტრი ყურძნის ღვინო და 10,8 ათასი დ/ლიტრი არაყი. მომდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია აჭარის ვენახების ფართობის გადიდება და ამასთან დაკავშირებით ბათუმის ღვინის ქარხნის გაფართოება.

აჭარის კვების მრეწველობის ადგილობრივ მოხმარების დარგებიდან აღსანიშნავია ლუდ-ლიმონათის წარმოება. ბათუმში მოწყობილია ლუდის ქარხანა; ქალაქებში, დაბებში, რაიცენტრებსა და სასოფლო დასახლების მსხვილ პუნქტებში მოქმედებს ლიმონათის საწარმოები.

ბათუმის ლუდის ქარხანა რომელიც 1951 წელს აშენდა, აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით; ქარხნის დღეღამური წარმადობა 25 ტონა ლუდს უდრის, მაგრამ ზაფხულის პერიოდში დღეღამური წარმოება 30 ტონამდე ადის. ქარხანა უშვებს სამი სახის ლუდს — ჟიგულევის, უკრაინულსა და მოსკოვურს. გამოშვებული პროდუქციის 60% აკმაყოფილებს ქ. ბათუმისა და აჭარაში შემავალ რაიონების მოსახლეობის მოთხოვნილებას, 40% კი იგზავნება სამტრედიისა და სამეგრელოს რიგ რაიონებში.

მომდინარე შვიდწლედში ქარხანაში დამატებით შენდება მაცივარი, ქარხნის ტერიტორიაზე შემოყვანილი უნდა იქნას რკინიგზის ხაზი და ამავე დროს განხორციელდება დატვირთვისა და გადმოტვირთვის მექანიზაცია. ყოველივე ამის შედეგად ქარხნის წარმადობა გაიზრდება 75 ტონამდე დღეღამეში.

აჭარის კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგია ხორცის მრეწველობა. აჭარის ხორცის საწარმოებიდან აღსანიშნავია ბათუმის ხორცკომბინატი. აღნიშნული ხორცკომბინატის დანიშნულებაა მიიღოს აჭარის რაიონებიდან დამზადებული პირუტყვი და გადაამუშავოს იგი ხორცად და ხორცის პროდუქტებად (უმთავრესად ძეხვეული). 1959 წელს ბათუმის ხორცკომბინატმა გამოუშვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1746,3 ტონა ხორცი და 652,8 ტონა ძეხვეული. ბათუმის ხორცკომბინატი ქოქსა-ხურეობას უწევს ქ. ბათუმის მოსახლეობას და აჭარაში შავი ზღვის სანაპირო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს. მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია ხორცის მრეწველობის მკვეთრი გადიდება, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდასთან და, რაც მთავარია, საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის გაფართოებასთან.

აჭარის კვების მრეწველობის აგრეთვე მნიშვნელოვანი დარგია რძის გადამამუშავებელი წარმოება, რომელიც წარმოდგენილია ბათუმის რძის ქარხნით. იგი აშენდა 1954 წელს, ქარხანა ტექნიკურად კარგად შეიარაღებულია. მისი წარმადობა უდრის 1500 ტონა გადამუშავებულ რძეს წელიწადში. აღნიშნულ საწარმოს აჭარის ადმინისტრაციულ რაიონებში სასოფლო საბჭოების მიხედვით მოწყობილი აქვთ დამამზადებელი პუნქტები, რომლებიც კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლწეურებთა შორის დამზადებულ რძეს აწვდიან ბათუმის რძის გადამმუშავებელ ქარხანას. ბათუმის რძის ქარხანა უშვებს ერობის, ყველს, პასტერიზებულ რძეს, ხაჭოს, მაწონს, კეფირს და სხვა. პროდუქცია ძირითადად ხმარდება ადგილობრივ ქ. ბათუმის მოსახლეობას და აჭარის კურორტებს. მიმდინარე შვიდწლედში საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის შესაბამისად, საგრძნობლად გაიზარდა რძისა და რძის პროდუქტების წარმოება.

გარდა აღნიშნულისა, აჭარაში კვების ზოგიერთ პროდუქტებს აწარმოებენ აგრეთვე სამრეწველო კომბინატები და სამომხმარებლო კოოპერაციული ორგანიზაციები, რომელთა მუშაობა ცალკე იქნება განხილული.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ კვების მრეწველობის ძირითადი დარგები უშუალოდაა დაკავშირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგების განვითარებასთან; ამ დარგების წარმოება-განვითარება, საბჭოთა ხელისუფლების წლებში, სოციალურ-ეკონომიურ წინამძღვართა გვერდით განაპირობა იმ სპეციფიკურმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა გარემომ, რომელიც განასხვავებს საკვლევ რაიონს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვა ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონებისაგან. ამგვარად კვების მრეწველობა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის „ზედაშენს“ და ისინი ორივე ერთად განსაზღვრავენ აჭარის საწარმოო სპეციალიზაციის პროფილს, მის ადგილს საქართველოს შრომის ტერიტორიულ განაწილებაში.

აჭარის კვების მრეწველობის უმთავრეს სპეციალიზებულ დარგებს (ჩაის, თამბაქოს, ეთერზეთებს) აქვთ საერთო საკავშირო მნიშვნელობა და მათი საშუალებით აჭარა დაკავშირებულია საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებთან მჭიდრო საწარმოო-ეკონომიური კავშირურთიერთობით. იგივე დარგები ჰქმნიან აჭარაში ძირითად შიდაეკონომიურ კავშირებს, რის შედეგადაც ის გარკვეულ სამეურნეო კომპლექსად გვევლინება. კვების მრეწველობის განვითარების მეორე მიმართულება განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მოხმარების საგნებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამოცანებით. აქ უნდა დავასახელოთ პურისა და საკონდიტრო, ხორცის, რძისა და ყველ-კარაქის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მრეწველობა, რომელთა წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული აჭარის საკურორტო მეურნეობის განვითარებასთანაც. აჭარის კვების მრეწველობის აღნიშნული ორი მიმართულება პერსპექტიულ პერიოდშიაც ინარჩუნებს თავის ძალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მსუბუქი მრეწველობა

აჭარის მრეწველობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს მსუბუქი მრეწველობა, რომელიც ძირითადად შემოზიდულ და ნაწილობრივად ადგილობრივ ნედლეულის ბაზაზე ფართო მოხმარების საგნებს ამზადებს. მრეწველობა ამჟამად წარმოდგენილია ბათუმის ტყავის ქარხნის, ფეხსაცმლების ფაბრიკის, ბათუმის სამკერვალო და სატრიკოტაჟო ფაბრიკისა და ქალაქის, რაისამრეწველო კომბინატების სატრიკოტაჟო, ბამბეულის საქსოვი, ფეხსაცმელის, ტანსაცმელის სამკერვალო და შემკეთებელი სახელოსნოებისა და სხვათა სახით. აღნიშნული საწარმოების პროდუქციას გარკვეული მნიშვნელობა აქვს აჭარის მოსახლეობის ფართო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფისათვის. ამას გარდა, ავტონომიური რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მთელი რიგი ნაწარმი ტყავის, ფეხსაცმელისა და შეკერილი ტანსაცმელის სახით, იგზავნება საქართველოს რაიონებში და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებშიაც. რაიონის მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია განსაკუთრებით გაიზარდა ომის შემდგომ ხუთწლედების მანძილზე. ამ პერიოდში, ერთი მხრივ, გაფართოვდა და გარდაიქმნა ომისწინადრინდელი მსუბუქი მრეწველობის საწარმოები, რომელნიც შეივსო ახალი მანქანა-დანადგარებით და, მეორე მხრივ, აჭარაში შეიქმნა მსუბუქი მრეწველობის რიგი ახალი საწარმო.

1959 წელს აჭარის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გამოუშვეს და მომხმარებელს მიაწოდეს 577,5 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 41127,0 ათასი დეციმეტრი საპირე და სასარჩულე ტყავი, 217,6 ათასი ცალი ტრიკოტაჟის თეთრეული, 26,3 ათასი ცალი ზედა ტრიკოტაჟი და 1,2 მილიონი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი.

1959 წელს აჭარის მსუბუქი მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქცია აჭარის მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 5,8% შეადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის მსუბუქი მრეწველობა ძირითადად ქ. ბათუმშია თავმოყრილი. ქ. ბათუმი იმავე დროს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მნიშვნელოვანი ცენტრიცაა.

აჭარის მსუბუქი მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვანი საწარმოა ბათუმის ტყავის ქარხანა. იგი რევოლუციამდე არსებულ ტყავის პატარა კუსტარული საწარმოს (დაბახანა) ბაზაზე შეიქმნა. 1930 წელს დაბახანის ადგილას აშენდა კიროვის სახელობის ტყავის ქარხანა, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა სახის საპირე და სასარჩულე ტყავს — „ქრომს“, „ვეროს“, „ვეგრეტს“, „ლაკს“, „ველურს“ და სხვა. უკანასკნელი პერიოდში ქარხანამ აითვისა აგრეთვე კატრანის ტყავის დამზადება, რომელსაც იყენებენ ხელთათმანებისა და მამაკაცის ქუდების დასამზადებლად. ქარხანაში დამზადებული პროდუქციიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლაკის ტყავი, რომელზედაც ფეხსაცმელის მრეწველობა დიდ მოთხოვნილებას აყენებს.

ბათუმის ტყავის ქარხნის ძირითად ნედლეულს ცხვრისა და თხის ტყავი წარმოადგენს; ამ ნედლეულს იგი იღებს საქართველოს რაიონებიდან და აგრეთვე საზღვარგარეთიდან (ჩინეთი, ინდოეთი, ირანი). გამოშვებული საპირე და სასარჩულე ტყავის პროდუქცია იგზავნება საქართველოს ფეხსაცმელების თითქმის ყველა ფაბრიკაში.

1959 წელს ქარხანამ გამოუშვა ყველა სახის 41127,0 ათასი დეციმეტრი ტყავი. მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია ქარხნის სრული რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც შვიდწლედის ბოლოს 1965 წლისათვის ქარხანა გამოუშვებს თითქმის ორჯერ მეტ პროდუქციას ვიდრე 1959 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის ასსრ მსუბუქი მრეწველობის დარგთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფეხსაცმელის წარმოებას. იგი წარმოდგენილია ბათუმის ფეხსაცმელების ფაბრიკითა და აგრეთვე აჭარის რაიმრეწკომბინატების ფეხსაცმელების პატარა-პატარა სახელოსნოებით, რომელთა პროდუქცია ძირითადად ადგილობრივ მოთხოვნილებას ემსახურება. ზემოაღნიშნულ ფეხსაცმელის საწარმოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ბათუმის ფეხსაცმელების ფაბრიკა. იგი 1935 წელს აშენდა. 1959 წელს ბათუმის ფეხსაცმელის ფაბრიკამ გამოუშვა 574,5 ათასი წყვილი ბავშვის, ქალისა და მამაკაცის სხვადასხვა სახის ფეხსაცმელი. ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქცია ძირითადად ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ნაწილი კი იგზავნება მოკავშირე რესპუბლიკებში.

მიმდინარე შვიდწლედში ბათუმის ფეხსაცმელების ფაბრიკაში განხორციელდება მთელი რიგი შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, დაინერგება ფეხსაცმელის წარმოების პროგრესული მეთოდები, გაფართოვდება პროდუქციის ასორტიმენტი, გაუმჯობესდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და, რაც მთავარია, შვიდწლედის ბოლოს 1965 წლისათვის გამოშვებული პროდუქციის ოდენობა თითქმის ორნახევარჯერ გაიზრდება.

აჭარის ასსრ მსუბუქი მრეწველობის დარგთაგან აღსანიშნავია სამკერვალო საწარმოები. აღნიშნულ საწარმოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ბათუმის მექანიზებული სამკერვალო ფაბრიკა, რომელიც 1931 წელს დაარსდა. ხუთწლედების პერიოდში ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრე და გამოშვებული პროდუქციის მოცულობა თანდათან იზრდებოდა. აქეამად ფაბრიკა მთლიანად მექანიზებულია და შეიარაღებული თანამედროვე მოწინავე ტექნიკით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საწარმოში მაქსიმალურადაა გამოყენებული ქალების შრომა; 1959 წ. ქარხანაში მომუშავე პერსონალიდან 95% ქალებია. ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა, ქუთაისის სამკერველო ფაბრიკასთან ერთად ყველაზე დიდი სამკერვალო საწარმოა საქართველოში.

გამოშვებული პროდუქციის ნაწილის რეალიზაცია ხდება აჭარისა და საქართველოს რაიონების სავაჭრო ორგანიზაციების მიერ, ნაწილი კი, საქართველოს ფარგლებს გარეადაც გადის. შვიდწლედის ბოლოს ფაბრიკა თვალსაჩინოდ გაადიდებს მზატნსაცმელის გამოშვებას და აითვისებს ახალი მოდელის ტანსაცმელს, კერძოდ, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კოსტუმების მასობრივ წარმოებას.

აჭარის მსუბუქი მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგია სატრიკოტაჟო წარმოება. ეს დარგი აჭარაში წარმოდგენილია ბათუმისა და ქობულეთის სატრიკოტაჟო ფაბრიკებით და რაისამრეწველო კომბინატების სატრიკოტაჟო საამქროებით. დასახელებულ საწარმოებიდან აღსანიშნავია ბათუმის სატრიკოტაჟო ფაბრიკა, რომელმაც 1959 წელს გამოუშვა 217,6 ათასი ცალი ტრიკოტაჟის საცვალი და 26,3 ათასი ცალი ზედა ტრიკოტაჟი, აჭარის სატრიკოტაჟო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია ძირითადად ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ნაწილი კი მეზობელ რაიონებში იგზავნება.

აჭარის ასსრ მსუბუქი მრეწველობის დანარჩენ დარგებიდან შეგვიძლია აღვნიშნოთ საოჯახო საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოება, რომელსაც ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ბათუმისა და ადმინისტრაციული რაიონების სამრეწველო კომბინატების მრეწველობა

მოსახლეობის ფართო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის საქმეში, გარკვეული როლი მიეკუთვნება ადგილობრივი სამრეწველო კომბინატების მრეწველობას. პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი მრეწველობის განვითარების საკითხებს. ამ დარგში ხუთწლედების პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა: საგრძნობლად გაიზარდა ადგილობრივი სამრეწველო კომბინატების მრეწველობის მიერ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება, გაფართოვდა მისი ასორტიმენტი, გაუჯობესდა ხარისხი.

ომის შემდგომ ხუთწლედებში ჩვენი ქვეყნის მრეწველობის მძლავრი განვითარების, საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების მთელი რიგი მსხვილი საწარმოების ამოშავების მიუხედავად სამრეწველოს კომბინატების მნიშვნელობა მაინც საკმაოდ დიდია. 1960 წელს მთავრობის დადგენილების საფუძველზე სარეწაო კოოპერაციის არტელების გაუქმება და მათი საწარმოების 1961 წლის პირველ იანვრიდან ადგილობრივ სამრეწველო კომბინატებზე გადაცემა, კიდევ უფრო აძლიერებს სამრეწველო კომბინატების მნიშვნელობას.

როგორც ცნობილია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემავალ ქალაქებსა და ადმინისტრაციულ რაიონებში მოწყობილია საქალაქო და რაისამრეწველო კომბინატები, რომლებიც აწარმოებენ პირველ მოხმარების საგნებს, სშნენ მასალებს, კვების პროდუქტებსა და სხვა. ა. შ. 1959 წელს აჭარის საქალაქო და რაიმრეწკომბინატების საწარმოებში მუშაობდა ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე; მათ მიერ გამოშვებული მთლიანი პროდუქცია აჭარის ასსრ მთელი სამრეწველო პროდუქციის 4.1% უდრიდა.

აჭარის სამრეწველო კომბინატებიდან აღსანიშნავია ბათუმის ქალაქის სამრეწველო კომბინატი, რომელმაც 1959 წ. აჭარის ყველა სამრეწველო კომბინატების მიერ გამოშვებული პროდუქციის ნახევარზე მეტი გამოუშვა. ბათუმის ქალაქმრეწკომბინატის საწარმოებიდან აღსანიშნავია: 1. ლითონის ნაკეთობათა ქარხანა, რომელიც ამზადებს ალუმინის ჭურჭელს და კვეიულს (აქვე წარმოებს, ლითონის ნაკეთობათა შეკეთება). 1959 წელს აღნიშნულმა საწარმომ გამოუშვა 6,6 მილიონ მანეთის პროდუქცია. გამოშვებული პროდუქცია დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში იგზავნება.

2. ბათუმის თუჯის ჩამოსასხმელი ქარხანა აწარმოებს საკერავი მანქანების დაზგებისა და ცალკეულ საწარმოოის და ორგანიზაციების დაკვეთით სხვადასხვა ნაწილებისა და დეტალების ჩამოსხმას. 1959 წელს ამ საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ 0,4 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

3. ბათუმის სარემონტო მექანიკური ქარხანა აწარმოებს ეკლიან მავთულს, ლურსმანს, რკინის საწოლებს, ლითონის წვრილ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს და სხვა. 1959 წელს ამ საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 0,4 მილიონ მანეთს უდრიდა.

4. ფართო მოხმარების ნაწარმთა ქარხანა, რომელიც ამზადებს ლამფის შუშებს, ხის წებოს, ლაქ-საღებავებს, მასტიკას, ნედეს, კირისა და გოგირდის ხსნარს ციტრუსების შესაწამლად, ნავთობის ნარჩენების — ნალექისა და ნახერხის შერევით საწვავი მასალის დამზადებას და სხვა. 1959 წელს აღნიშნულ საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 0,7 მილიონ მანეთს უდრიდა.

5. ხილეული წყლების ქარხანა უშვებს უალკოჰოლო სასმელებს (ლიმონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი, სიროფი, ბურახი). აღნიშნულ ქარხნის მიერ 1959 წელს გამოშვებული [illegible] მილიონი მანეთის პროდუქცია.

6. ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის სამკერვალო და შემკეთებელი საამქროები და სხვა.

გარდა აღნიშნულისა, ბათუმის ქალაქმრეწველკომბინატს 1961 წლის პირველი იანვრიდან გადაეცა ბათუმის სარეწაო კოოპერაციის სხვადასხვა სახის 10 არტელის საამქროები.

ბათუმის ქალაქმრეწკომბინატის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია საღდება როგორც ქ. ბათუმსა და აჭარაში შემავალ რაიონებში, ასევე იგზავნება საქართველოს მთელ რიგ რაიონებშიც. შვიდწლედის ბოლოს 1965 წლისათვის ბათუმის სამრეწველო კომბინატის პროდუქცია თითქმის ორჯერ გაიზრდება.

ბათუმის სამრეწველო კომბინატის შემდეგ პროდუქციის მოცულობით აღსანიშნავია ქობულეთის რაიმრეწკომბინატი. 1959 წ. ქობულეთის რაიმრეწკომბინატის საწარმოებში მუშაობდა სამასამდე მუშა-მოსამსახურე; ამ საწარმოებმა დასახელებულ წელს გამოუშვეს 1,6 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

ქობულეთის რაიმრეწკომბინატის საწარმოებიდან აღსანიშნავია ბუკნარის ხილის გადამმუშავებელი ქარხანა, რომელიც აწარმოებს ხილის წვენს, ციტრუსოვანი ხილის (ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი) ნაყენს და აგრეთვე ეთეროვან ზეთებს. აღნიშნული საწარმოს პროდუქცია, განსაკუთრებით ხ ი ლ ი ს წ ვ ე ნ ე ბ ი და ც ი ტ რ უ ს ო ვ ა ნ თ ა ნ ა ყ ე ნ ი იგზავნება საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქალაქებში.

ქობულეთის უალკოჰოლო სასმელების ქარხანა აწარმოებს ლიმონათს და სიროფებს, რომლითაც მარაგდება ქობულეთის რაიონი.

ქობულეთის სპირტის საამქრო ბუკნარის ეთერზეთების ნარჩენების გამოყენების ბაზაზე აწარმოებს სპეციალურ სპირტს.

ოჩხამურის აგურ-კრამიტის ქარხანა ადგილობრივ ნედლეულის ბაზაზე აწარმოებს საშენ აგურსა და მარსელის კრამიტს. 1959 წელს ქარხანამ გამოუშვა 1950,0 ათასი ცალი აგური და 165,0 ათასი ცალი კრამიტი. იგი მთლიანად გამოყენებულია ქობულეთის რაიონის მოსახლეობისა და სახელმწიფო მშენებლობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ქობულეთის ავტოსარემონტო სახელოსნო, აწარმოებს ავტომანქანების მიმდინარე და საშუალო შეკეთებას, ამავე დროს ამზადებს ავტომანქანის ზოგიერთ არა რთულ ნაწილებს. გარდა აღნიშნულისა, ქობულეთის რაიმრეწკომბინატს აქვს მთელი რიგი საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საამქროები, როგორიცაა ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის სამკერვალო სახელოსნოები, საათების შემკეთებელი, ბამბის საწმენდი, ხელოვნური ყინულის დამამზადებელი საამქროები, საფქვავი წისქვილი, შეშის დამამზადებელი პუნქტი და სხვა. მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია ხილის სიროფებისა და ციტრუსების ნაყენის საწარმოს, ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის სამკერვალო სახელოსნოებისა და სატყეო მრეწველობის საამქროების გაფართოება და სხვა.

ბათუმის რაიმრეწკომბინატს რაიონის ტერიტორიაზე და ქ. ბათუმში მოწყობილი აქვს თოლი რიგი საწარმოები: ურეხისა და ხეკრუს აგურ-კრამიტის ქარხნები; კახაბერის რკინა-ბეტონის ბლოკების საწარმო, რომელმაც 1959 წელს გამოუშვა 865,5 ათასი პირობითი აგურის ექვივალენტი ბეტონის ბლოკი; საშენი ქვის კარიერი, რომელმაც 1959 წელს გამოუშვა 1,3 ათასი m^3 საშენი ქვა; ხე-

ტყის დამამზადებელი პუნქტი, რომელმაც 1959 წელს გამოუშვა 306 მ³ საქმიანი მერქანი, 891 მ³ შეშა და 770 მ³ დახერხილი ხის მასალა; ხე-ტყის გადამმუშავებელი საწარმო — ამზადებს სასკოლო ინვენტარს, სამშენებლო დეტალებს — კარებს, ფანჯრებს და ჩაის მზა პროდუქციისათვის ხისყუთებს, სკამებს, კარადებს, მაგიდებს და სხვა სახის ავეჯს; საყოფაცხოვრებო მომსახურების საამქროები, როგორიცაა: ტანსაცმლის სამკერვალო, ფეხსაცმლის შემკეთებელი, ავეჯისა და კულტინვენტარის შემკეთებელი საამქროები.

მომდინარე შვიდწლედში ბათუმის რაიმრეწკომბინატის მიერ უნდა აშენდეს კერამიკული ჭურჭლის საწარმო და უნდა გაფართოვდეს ხის გადამმუშავებელი საამქრო.

ფართო მოხმარების საგნების წარმოება ორგანიზებულია ქედის რაიმრეწკომბინატის საწარმოებშიც; მას რაიონის ტერიტორიაზე მთელი რიგი საწარმოები აქვს მოწყობილი: სოფ. პირველი მაისის აგურკრამიტის ქარხანა, ქედის ავეჯის საამქრო, რომელიც აწარმოებს საოჯახო ავეჯს და სასკოლო ინვენტარს, ქედისა და სოფ. უკანტეხილის ხე-ტყის სახერხი ქარხნები, რომლებიც ემსახურებიან რაიონის წარმოება-დაწესებულებებსა და მოსახლეობას; ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტი, რომელიც რაიონის მოსახლეობას და ქ. ბათუმს აწვდის მაქნის მერქანს და შეშას; ქედასა და სოფ. მახუნცეტის ფეხსაცმელების შემკეთებელი და ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნოები; ლიმონათის ქარხანა; ყურძნის დამამზადებელი და ღვინის პირველადი გადამმუშავებელი ქარხანა; საყოფაცხოვრებო მომსახურეობის მთელი რიგი საამქროები.

ახლო მომავალში ქედაში აშენდა ავეჯის ფაბრიკა და მოხდება საყოფაცხოვრებო მომსახურების საამქროების რეკონსტრუქცია.

შუახევის რაიმრეწკომბინატის საწარმოებიდან აღსანიშნავია წელეთის ხე-ტყის სახერხი დიდი ქარხანა, რომელიც შუახევის რაიონში აწარმოებს ხე-ტყის დამზადებას და ხერხვას. 1959 წელს ამ საწარმომ დაამზადა 7500 მ³ საქმიანი მერქანი და 3800 მ³ დახერხილი ხის მასალა. წელათის ქარხნის პროდუქცია, ხის მორები და დახერხილი ხის მასალა იგზავნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა რაიონში და განსაკუთრებით ქ. ბათუმში.

შუახევის აგურ-კრამიტის ქარხნის მიერ გამოშვებულ პროდუქციას ძირითადად მოიხმარს ადგილობრივი მოსახლეობა და ნაწილი კი მეზობელ რაიონებშიც იგზავნება. შუახევის რაიმრეწკომბინატის დანარჩენ საწარმოებიდან აღსანიშნავია ავეჯის საამქრო, ლიმონათის ქარხანა, ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის სამკერვალო სახელოსნოები და საყოფაცხოვრებო მომსახურების რიგი დარგები. მომდინარე შვიდწლედში რაიმრეწკომბინატს განზრახული აქვს მექანიკური სახელოსნო, ხე-ტყის სახერხი ახალი ქარხნის აგება და ამავე დროს არსებული რიგი საწარმოების რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც შვიდწლედის ბოლოს 1965 წელს შუახევის რაიმრეწკომბინატის სამრეწველო პროდუქცია ორჯერ და კიდევ უფრო გაიზრდება.

ხულოს რაიმრეწკომბინატი, აერთიანებს სატყეო მრეწველობის საწარმოებს და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის რიგ საამქროს. ხულოს რაიმრეწკომბინატის სამრეწველო საწარმოებიდან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია ტაბახმელისა და ბაჭოს ხე-ტყის დამამზადებელი და სახერხი ქარხნები.

1959 წელს აღნიშნულმა საწარმოებმა დაამზადეს 7880 მ³ ხე-ტყე და გამოუშვეს 5920 მ³ დახერხილი ხის მასალა. ამ საწარმოების მიერ დამზადებული ხის მორები და დახერხილი ხის მასალა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განრიგით ეგზავნება აჭარის თითქმის ყველა რაიონებს მშენებლობას. ხულოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავეჯის საამქრო, რომელიც ამზადებს თითქმის ყველა სახის ავეჯს. გარდა ამისა, კომბინატს აქვს ფეხსაცმელისა და ტანსაცმელის სარემონტო სახელოსნოები და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საამქროები. მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია აშენდეს დიოკნის სას. საბჭოში აგურ-კრამიტის ახალი ქარხანა, ხილის დამამზადებელი და გადამამუშავებელი ქარხანა; განზრახულია აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საწარმოების კეთილმოწყობა და გაფართოება. გარდა აღნიშნულისა, აჭარის ასსრ აღსანიშნავია აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციისა, სოცზრუნველყოფის სამინისტროს ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საზოგადოებისა და ზოგიერთი სხვა საუწყებო ორგანიზაციების სამრეწველო საწარმოები და სახელოსნები.

დასახელებულ ორგანიზაციებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოწყობილი აქვს პურის საცხობები, ლიმონათის საწარმოები, ტყის ბრეწველობის საწარმოები და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საამქროები.

აჭარის ასსრ წვრილი მრეწველობა წარმოდგენილია კოლმეურნეობათა დაბმარე საწარმოებითაც, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და რაიონში არსებული ბუნებრივი ნედლეულის ბაზაზე მუშაობენ. აჭარის კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოებიდან აღსანიშნავია აგურ-კრამიტის, ხე-ტყის სახერხი, საკოლმეურნეო ელსადგურები, მარცვლეულის საფქვავი წისქვილები, სადურგლო და სამჭედლო სახელოსნოები და სხვა. ეს საწარმოები ზრდიან კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალს და ამავე დროს აკმაყოფილებენ მათ მო-


აჭარის ასსრ
მრეწველობის რუკა
ქობულეთი
ჩიჩხამური
მუხურჯანი
ბუჯანარი
ბალმაყვათი
ბაზისი
ბათუმი
ბალოთაური
ზოლოთაური
ბაკქელა
ფაცანფოლა
ოზურგეთი
ზეკარი
ზეკარ
ზეკარ
ზეკარ

ნებრივ-გეოგრაფიული და ეკონომიური პირობები მკვიდრ საფუძველს ქმნიან არსებულ სამრეწველო საწარმოთა გაფართოებისა და ახალ-ახალ საწარმოთა შექმნისათვის. ამასთან დაკავშირებით უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საქმეში აჭარის ასსრ როლი უახლოეს პერსპექტიულ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

В. С. КАКАБАДЗЕ

РАЗВИТИЕ И РАЗМЕЩЕНИЕ ПРОМЫШЛЕННОСТИ АДЖАРСКОЙ АССР

Резюме

До 1878 г., т. е. до освобождения Аджарии от тяжкого ига турецких завоевателей, промышленность Аджарии была представлена лишь кустарным производством мелких ремесленных предприятий.

Ряд исторических данных свидетельствуют о развитии в этом районе еще в древние времена добычи железной руды и плавки металлов. Жители изготовляли ружья и холодное оружие для ведения войн. Особенно выделялось в этом отношении село Мачахела; изготовленные здесь ружья, кинжалы и другие виды военного вооружения отличались высоким качеством и были известны далеко за пределами Аджарии.

В Аджарии было развито также изготовление керамической посуды, строительных материалов и другие производства. Значительное распространение получила обработка лесоматериалов, выделка бытовой мебели и сельскохозяйственных орудий. Издревле в районах Аджарии изготовлялись шерстяные и шелковые ткани. Население носило одежду, сшитую из изготовленных домашним способом тканей.

К концу XIX и начала XX веков в Грузии и, в частности, в Аджарии, стала появляться фабрично-заводская промышленность, обусловившая некоторый подъем хозяйственного и культурного развития Аджарии и ее главного города — Батуми.

Большое значение в этом отношении имело железнодорожное строительство и соединение в 1883 г. Батуми с г. Баку Закавказской железнодорожной магистралью, после полного завершения которой Батум превратился в значительный порт внешней торговли для всего Закавказья. Начиная с этого времени почти весь экспорт бакинской нефти производился через Батумский порт. Кроме того, через Батуми вывозились и другие товары Закавказья, с Средней Азии и частично из Ирана. Батуми занимал первое место и в отношении импорта товаров, шедших с Запада в районы, расположенные к востоку от Кавказского берега Черного моря.

В связи с осуществлением широких операций по экспорту нефти в Батуми возникли крупные подсобные предприятия (производство тары для нефти и т. д.). В 1902 году в Батуми уже было более десяти промышленных предприятий, обслуживающих торговлю нефтью.

Кроме того, в Батуми были созданы ряд небольших фабрик, заводов и мастерских по производству папирос, гвоздей, жести, чугуно-литейных изделий, по разливу минеральных вод и др. В этот период в Ба-

ეროვნული ბიბლიოთეკა

туми было несколько десяток разных мелких мастерских и промышленных предприятий, в которых работало более 11 тысяч рабочих.

Во время первой мировой войны (в связи с прекращением экспортно-импортных операций через Батуми), а затем в период господства турецких и английских интервентов и меньшевиков, промышленность Аджарии замерла, значительное количество фабрик и заводов закрылось.

За годы Советской власти произошли коренные изменения в промышленном равзитии Аджарии. В период пятилеток был построен целый ряд новых крупных промышленных предприятий и в корне реконструированы старые предприятия. Наряду с развитием пищевой и легкой промышленности были созданы и отрасли тяжелой индустрии — электроэнергетика, нефтепереработка, машиностроение и др.

Необходимо отметить, что в результате пройденного пути развитие ряда отраслей промышленности Аджарии имеет не только местное и республиканское, но и общесоюзное значение.

В данное время в государственной промышленности Аджарии можно выделить следующие основные отрасли: электроэнергетика, нефтепереработка, машиностроение, химическая, лесная и деревообрабатывающая, пищевая и легкая.

Из отдельных отраслей промышленности по объему вырабатываемой продукции следует отметить пищевую промышленность, которая в 1959 году выпустила 41,3% всей валовой промышленной продукции Аджарии; на долю нефтепереработки приходилось 29,6%; за ними следуют: легкая промышленность (5,8%), машиностроение (4,1%), химическая (1,9%), легкая и деревообрабатывающая (1,7%).

Значительную роль в выпуске промышленности продукции Аджарии играют также местные промышленные комбинаты и другие организации.

Среди городов и административных районов, входящих в состав Аджарии, выделяются г. Батуми, дающий 69,0% всей промышленной продукции; затем идет Кобулетский район (23,2%). Что же касается остальных административных районов Аджарии (Батумского, Кедского, Шуахевского и Хулойского), то их удельный вес по всей промышленности Аджарии незначителен (7,8%).

Таким образом, за годы Советской власти в Аджарии развилась мощная, многоотраслевая промышленность, дающая нашей стране все большее количество различных видов продукции. Природно-географические и экономические условия Аджарии создают твердую основу для развития существующих и создания новых промышленных предприятий. В связи с этим, надо полагать, что в деле индустриализации Грузии, роль автономной Аджарской республики, в ближайших перспективный период значительно возрастет.

ლიტერატურა

1. აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა (სტატისტიკური კრებული), ბათუმი, 1958.
2. ახვლედიანი (ყოროსელოლი) ხ. ა., ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16—19 საუკუნეები), ბათუმი, 1944.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ბაგრატიონი ვახუშტი, — აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია), თბილისი, 1941.
4. გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები, შეკრებილი აჭარაში 1960 წელს ჩატარებული ეკონომიურ-გეოგრაფიული ექსპედიციის მიერ, საქმე № 716.
5. გუგუშვილი პაატა, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX, XX ს. ტ. I, თბილისი, 1949.
6. პ. ბ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. II, თბილისი, 1956.
7. ნ. ნიკარაძე, ნ. ჯიბუტი, აჭარის ასსრ ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება, ბათუმი, 1957.
8. ი. რცხილაძე, საქართველოს მეეენახეობა და მეღვინეობა, თბილისი, 1956.
9. ა. ნ. ჯავახიშვილი და სხვ. საქართველოს სსრ გეოგრაფია, თბ. 1957.
10. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1930.
11. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1934.
12. БСЭ, том 1.
13. Грузинская ССР. Экономико-географическая характеристика, Москва, 1958.
14. Закавказье, Статистико-экономический сборник, 1925. Издание высшего экономического совета ЗСФСР.
15. И. П. Лопухов, Цветущая Аджария, Батуми, 1957.
16. Д. Х. Комахидзе, Батуми, 1956.
17. В. М. Январашвили, Машиностроение в Советской Грузии, Тбилиси, 1960.

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ., შრ. ტ. XIX, 1962
Академия наук Груз. ССР—Труды Института географии им. Вахушти, т. XIX, 1962

ნ. დევიძე

აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება

სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება

აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს სსრ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. აჭარა განვითარებული სუბტროპიკული მიწათმოქმედების ერთ-ერთი მკაფიოდ გამოსახული რაიონია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ დაინერგა საკავშირო მნიშვნელობის კულტურები — ჩაის ბუჩქი, ციტრუსოვანნი, ტუნგი, ბამბუკი და სხვ., რომლებმაც მიწათმოქმედებაში წამყვანი ადგილი დაიკავეს.

სუბტროპიკული კულტურების გაშენება აჭარაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს დაიწყო. სუბტროპიკული მეურნეობა წარმოდგენილი იყო რამდენიმე ჩაის პლანტაციით ქ. ბათუმის და ჩაქვის მიდამოებში. გარდა ამისა, კერძო მფლობელთა საგარაკო მამულებში გაშენებული იყო მცირე ფართობებზე ციტრუსოვანები. მაშინდელი ექსტენსიური სოფლის მეურნეობა ფაქტიურად სიმინდის კულტურას ეფყარებოდა და მემარცვლეობა წარმოადგენდა მემინდერეობის ძირითად დარგს. სუსტად იყო განვითარებული მეთამბაქოეობა, მეხილეობა, მევენახეობა და მეცხოველეობა.

პირველი მსოფლიო ომის დასწყისიდან სოფლის მეურნეობა სწრაფად დაეცა. კიდევ უფრო გაუარესდა მისი მდგომარეობა ინტერვენტებისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში, მისი ადგილი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. მრავალი ღონისძიების გატარების შედეგად აჭარის სოფლის მეურნეობამ მოკლე ვადაში ძირეული რეკონსტრუქცია განიცადა. აჭარა გახდა ინტენსიური სოფლის მეურნეობის რაიონი, რომელიც სპეციალიზებულია საერთო საკავშირო მნიშვნელობის მქონე სუბტროპიკულ კულტურებზე. ხუთწლედების მანძილზე გაშენდა ათასობით ჰექტარი ახალი პლანტაციები — ჩაის ბუჩქის, ციტრუსების, ტუნგის, ბამბუკის, სუბტროპიკული ხურმის, კეთილშობილი დაფნისა და სხვ. განვითარდა აგრეთვე მეთამბაქოეობა, მეხილეობა და მევენახეობა. მეცხოველეობაში წამყვანი ადგილი მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენებამ დაიკავა. გაფართოვდა მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.

მსხვილ კოლექტიურ მეურნეობების შექმნისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შედეგად, გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა. გადიდდა ნათესი და მრავალწლოვანი კულტურების ფართობები, გაუმჯობესდა ნიადაგის დამუშავება და საერთოდ მიწათმოქმედების აგროტექნიკა, მკვეთრად გაიზარდა მშრომელი გლეხობის შემოსავლიანობა. სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით აჭარაში დაარსდა მთელი რიგი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები. აჭარის ასს რესპუბლიკა გახდა განვითარებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე ჩვენს ქვეყანაში.

ჩაის, ციტრუსებისა და სხვ. სუბტროპიკული კულტურებისათვის ძირითადად გამოყენებულია აჭარის ზღვისპირა ზოლი და უფრო დაცული ადგილები მდინარეების ხეობებში, დანარჩენი ტერიტორია კი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებით არის დაკავებული (თამბაქო, სიმინდი და სხვ.).

სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის შეცვლამ გავლენა იქონია მიწის ფონდის გამოყენებაზე და სავარგულთა სტრუქტურაზე. აჭარის მიწის მთლიანი ფონდი 290 ათას ჰექტარს უდრის (ცხრილი 1), რაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის 4%-ს შეადგენს. დამუშავებაში მყოფი ფართობი 36.8 ათას ჰექტარს არ აღემატება, რაც მთელი მიწის ფონდის 12,7%-ს უდრის. დამუშავებული ფართობის მიხედვით პირველ ადგილზე ბათუმის რაიონია (20,8%), ხოლო მეორეზე ქობულეთის რაიონი (19%). განსაკუთრებით დაბალია დამუშავებული მიწების ხვედრითი წონა ზემო აჭარაში (ხულოს რაიონში 6,8%, შუახევის — 6,9%). მთლიანად საქართველოში ეს მაჩვენებელი 17%-ს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო მიწებს 79,9 ათასი ჰექტარი უკავია; კულტურები განლაგებულია უმთავრესად ვაკე ადგილებში და გორაკ-ბორცვებზე. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვედრითი წონა აჭარის მთელი მიწის ფონდში 27,5%-ს უდრის, მთელ საქართველოში კი 38%-ს. ამ მაჩვენებლით აჭარა ჩამორჩება ნედარებით ისეთ მცირემიწიან რაიონებსაც. როგორიც არის ქვემო იმერეთი (37%), ზემო იმერეთი (33%), ხოლო წინ უსწრებს აფხაზეთის ასს რესპუბლიკას (24,3%) და რაჭა-ლეჩხუმს (23,9%). მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი ფართობის შეზღუდულობა აჭარაში დაკავშირებულია ძირითადად მის ბუნებრივ პირობებთან (მთიანი რელიეფი და სხვ.); აჭარის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მაღალ ზონაშია მოთავსებული. მისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი (58%) ზღვის დონიდან 1000 მეტრზე უფრო მაღალ მდებარეობს.

ცხრილი 1

აჭარის მიწის ფონდის სტრუქტურა 1959 წ. 1 ნოემბრის მდგომარეობით

მიწის ფონდის შედგენილობა	ქობულეთის რაიონი	ბათუმის რაიონი	ქედის რაიონი	შუახევის რაიონი	ხულოს რაიონი	აჭარის სსრ-ში	სულ საქართველოს სსრ-ში
	ჰექტრობით						
სახნავი ათს.	2701	2608	4138	3801	5042	18290	990409
%	3,8	6,1	9,2	6,5	7,1	6,3	14,1
სათიბი ათს.	138	32	277	2718	6256	9421	137383
%	0,2	0,1	0,6	4,6	8,8	3·3	1,9
საძოვრები ათს.	3740	415	1707	9347	15937	31146	1298468
%	5,2	1,0	3,8	15,9	22,5	10,7	18,5
მრავალწლოვანი ნარგაობა ათს.	11245	6766	1583	795	662	21051	230706
%	15,6	15,7	3,5	1,4	0,9	7,2	3,3
ტყე და ბუჩქნ. ათს.	44509	25596	33218	34741	35700	173764	3052778
%	61,8	59,5	73,4	59,0	50,3	60,0	43,5
დანარჩენი ათს.	9667	7583	4277	7398	7403	36328	1306872
%	13,4	17,6	9,5	12,6	10,4	12,5	18,7
სულ ტერიტორია ათს.	72000	43000	45200	58800	71000	290000	7016622
%	100	100	100	100	100	100	100
რაიონების ხვედრითი წონა მთ. მიწის ფონდში	24,8	14,8	15,6	20,3	24,5	100	

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჭარის ასს რესპუბლიკა განვითარებული სუბტროპიკული კულტურების რაიონია და, ბუნებრივია, რომ აქ მეტად მცირე ფართობი უკავია სახნავ მიწებს — 18,3 ათასი ჰექტარი, ანუ მთელი ტერიტორიის 6,3%. სახნავი მიწების ასეთი დაბალი ხვედრითი წონა არსად საქართველოში სხვა ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებსა და ქვერაიონებში არ ვვხვდება. მაგალითად, ქვემო ქართლში იგი 27,9%-ს უდრის, ქვემო იმერეთში — 21,4%-ს, ზემო იმერეთში — 18%-ს, რაჭა-ლეჩხუმში — 7,2%, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 7%-ს, მთლიანად საქართველოში — 14,1%-ს. ცალკეულ ადმინისტრაციულ რაიონებს შორის ამ მხრივ განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელი ქობულეთის რაიონს აქვს (3,8%), რადგანაც იგი აჭარის სუბტროპიკული მეურნეობის ძირითად ბაზად შეიქმნა და მისი ვარგისი მიწები თითქმის მთლიანად ჩაის ბუჩქის, ციტრუსოვანთა, ტუნგისა და ხეხილის კულტურებით არის დაკავებული.

ბუნებრივი საკვები სავარგულებით უზრუნველყოფის მხრივ, აჭარის ადმინისტრაციულ რაიონებს შორის დიდ სხვაობას აქვს ადგილი. ხულოსა და შუახევის რაიონები შედარებით უზრუნველყოფილნი არიან სათიბ-საძოვრებით და, ამასთან დაკავშირებით, ამ რაიონებში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. დანარჩენ რაიონებში კი ამ სახის სავარგულებს მეტად მცირე ფართობი უკავია.

ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესაბამისად აჭარის ასს რესპუბლიკაში ფართო გასაქანი მიიღო სუბტროპიკულმა მეურნეობამ. ხუთწლედების მანძილზე მკვეთრად გაიზარდა კაპიტალური დაბანდება ჩაის ბუჩქის, ციტრუსოვანთა, ტუნგისა და სხვ. სუბტროპიკული კულტურების პლანტაციების გაშენებისათვის, რის შედეგად სოფლის მეურნეობამ სავსებით შეიცვალა სახე და განვითარების ახალი მიმართულება მიიღო. ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში ჩაისა და ციტრუსოვანთა მრავალი საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა. ფართოდ გავრცელდა ტუნგის, ბამბუკისა და კეთილშობილი დაფნის კულტურები. როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე ზემო აჭარაში გაიზარდა ხეხილის ბაღებისა და ვენახების ფართობები. სოფლის მეურნეობის გარდაქმნის შედეგად აჭარის მიწის ფონდის სტრუქტურისათვის დამახასიათებელია მრავალწლოვანი ნარგაობის მეტად მაღალი ხვედრითი წონა, იგი დამუშავებაში მყოფ მიწების 57,2% უდრის. ამ მაჩვენებლით განსაკუთრებით გამოირჩევა ქობულეთისა (82%), და ბათუმის (75,4%) რაიონები. მიწის ფონდის სტრუქტურის ასეთ თავისებურებას საქართველოს სუბტროპიკების სხვა რაიონებშიაც აქვს ადგილი, მაგრამ უფრო ნაკლებად გამოხატულ სახით. მაგალითად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი 38,4%-ს უდრის, საქართველოში მთლიანად კი 19,5% არ აღემატება.

აჭარის ასს რესპუბლიკა — ტყიანი მხარეა, რაც დაკავშირებულია მის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებთან. ტყეს და ბუჩქნარს მთელი ტერიტორიის $^3/_5$ უკავია (60%). აჭარაში ტყეებს საკურორტო, ნიადაგდაცვისა და წყალშემნახი მნიშვნელობა აქვს, თუმცა აქ მცირე მოცულობით მაქნისი მერქნისა და შეშის დამზადებაც წარმოებს.

მიწათსარგებლობაში წამყვანი როლი როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე აჭარაში, კოლმეურნეობებს უჭირავს; მათ მფლობელობაშია მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწების $^4/_5$-ზე მეტი (82,5%). აჭარის მიწათსარგებლობის სტრუქტურისათვის დამახასიათებელია საბჭოთა მეურნეობების მაღალი ხვედრითი წონა ზღვისპირა ზოლში (16,3%), სადაც იგი ორჯერ აღემატება საქართველოს რესპუბლიკის შესატყვის მაჩვენებელს.

1959 წელს აჭარაში ნათესების ქვეშ 15 ათასი ჰექტარი მიწა იყო გამოყენებული. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნათესი ფართობი ყოველწლიურად იზრდებოდა. 1923 წელს იგი 10,9 ათას ჰექტარს უდრიდა და 1950 წლისათვის 20,9 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. ე. ი. 27 წლის მანძილზე თითქმის გაორკეცდა. 1950 წლის შემდეგ ნათესი ფართობი აჭარაში თანდათანობით შემცირდა და 1959 წელს 28%-ით ნაკლები იყო, ვიდრე 1950 წელს. ეს შემცირება გამოწვეული იყო ძირითადად იმით, რომ სახნავი ფართობის ანგარიშზე გაიზარდა მრავალწლოვანი ნარგავების პლანტაციები. გარდა ამისა გავლენა იქონია აგრეთვე ეროზიის პროცესებმა. აჭარის ბუნებრივი პირობები მეტად ხელშემწყობია მრავალწლოვანი კულტურების დანერგვისათვის. ხუთწლედების მანძილზე მკვეთრად განვითარდა მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა, მევენახეობა. სოფლის მეურნეობაში დაინერგა ახალი აგროტექნიკა. ყოველივე ამის შედეგად მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია. ახლად ათვისებული კულტურები უფრო შრომატევადია და ფართობის ერთეულიდან უფრო მაღალი ღირებულების პროდუქციას იძლევიან, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

საკვები ბაზის გაფართოებამ აჭარაში შესაძლებელი გახადა მეცხოველეობის განვითარება. პირუტყვის სულადობის ზრდასთან ერთად საბჭოთა პერიოდში მკვეთრად გაუმჯობესდა მისი ჯიშობრივი შემადგენლობა, რამაც გავლენა იქონია პროდუქტიულობის ზრდაზე. აღსანიშნავია, რომ აჭარის სოფლის მეურნეობა სუსტად არის აღჭურვილი ტექნიკით. დამუშავებაში მყოფი ფართობის მეტი ნაწილი, რელიეფის დაქანებისა და დასამუშავებელ ფართობთა დანაწევრების გამო, ტრაქტორისათვის მოუმარჯვებელ მიწებს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით მექანიზაციის დონე აჭარის სოფლის მეურნეობაში დაბალია, განსაკუთრებით დაბალია იგი ზემო აჭარაში.

ცნობილია, რომ აჭარის ასს რესპუბლიკა უხვი ატმოსფერული ნალექით ხასიათდება, განსაკუთრებით მისი ზღვისპირა ზოლი. ზემო აჭარა მთების მაღალი ბარიერითაა დაცული შავი ზღვის პირდაპირი გავლენისაგან და იქ ნალექები, სანაპირო ზოლთან შედარებით, უფრო მცირეა. წლის მანძილზე ნალექების არათანაბარი განაწილების გამო, ხშირად მაისი და ზაფხულის თვეები გვალვიანია. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო კულტურები ხელოვნურ მორწყვას საჭიროებენ. სარწყავი სისტემები აჭარაში ძირითადად მთიან რაიონებშია განლაგებული. სულ 6 არასინქრონო სისტემის სარწყავი არხია აგებული. 1959 წელს სარწყავი ფართობი 6 ათას ჰექტარს უდრიდა, აქედან ხულოს რაიონში 2,6 ათას, შუახევის — 2,2 ათას, ქედის 1,1 ათას და ქობულეთის 0,1 ათას ჰექტარს. ხელოვნურად ირწყვება თამბაქო, მარცვლეული, სათიბები, ბაღები, მორწყვა კარგ ეფექტს იძლევა, საგრძნობლად ზრდის მოსავლიანობას. საქართველოს კპ XX ყრილობამ ჩაის პლანტაციებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობების მორწყვის ორგანიზაციის გაუმჯობესება უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია.

აჭარის ასს რესპუბლიკაში მოიპოვება მიწის ჭარბად დატენიანებული მასივები, რომელთა გამოყენება სოფლის მეურნეობაში მხოლოდ დასაშრობი სამუშაოების ჩატარების შემდეგაა შესაძლებელი. დაჭაობებული მიწების ფონდი ქობულეთისა და ბათუმის რაიონებშია მოთავსებული. დასაშრობი სამუშაოები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩატარდა. აიგო კახაბრისა და ქობულეთის დამშრობი ქსელი. დასაშრობი არხების სიგრძე 76 კილომეტრია. არხების გაყვანის შედეგად ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის 5 ათასზე მეტი ჰექტარი მიწა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებისა და კულტურების გეოგრაფია

მრავალწლოვანი კულტურები

მრავალწლოვან კულტურებიდან აჭარის ასს რესპუბლიკაში გავრცელებულია: ჩაის ბუჩქი, ციტრუსოვანნი, ხეხილი, ვაზი, ტუნგი, კვეილშობილი დაფნა, ბამბუკი. ამ კულტურებს აჭარის სოფლის მეურნეობაში წამყვანი როლი ეკუთვნის. კოლმეურნეობების მემცენარეობის საერთო პროდუქციის ღირებულებაში მრავალწლოვან კულტურების საერთო პროდუქციის ღირებულების ხვედრითი წონა 1959 წელს 79%-ს უდრიდა, მთლიანად საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 53%-ს არ აღემატება. მრავალწლოვანი კულტურების სახეობათა თანაფარდობა (ფართობის მხრივ) შემდეგ სურათს გვაძლევს (პროცენტობით):

ჩაის ბუჩქი	ციტრუსოვანნი	ხეხილი	სუბტროპიკული ხეხილი	ვაზი	ტუნგი	ყვეილშობილი დაფნა	ბამბუკი	სულ
29,2	24,2	28,9	3,1	3,1	9,3	0,8	1,4	100

წამყვანი ადგილი მეურნეობაში ფართობის მიხედვით ჩაის, ციტრუსოვანთა პლანტაციებს და ხეხილის ბაღებს უკავია, დანარჩენი კულტურები მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ. ფულადი შემოსავლის მიხედვით პირველ ადგილზე მეჩაიეობაა. ქობულეთისა და ბათუმის რაიონების კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის 75%-მდე მეჩაიეობაზე მოდის.

მ ე ჩ ა ი ე ო ბ ა. ჩაის ბუჩქის კულტურა აჭარაში XIX საუკუნის 80-იან წლებში იქნა შემოტანილი. ჩაის პირველი პლანტაციები გაშენდა სოფ. ჩაქვსა და სალიბაურში, სადაც საუკეთესო კლიმატურ-ნიადაგური პირობებია ამ კულტურისათვის — უხვი ნალექები, ჰაერის მაღალი ანსოლუტური ტენიანობა (80%-მდე), წითელმიწა ნიადაგები და სხვ. 1913 წლისათვის ჩაის ბუჩქის პლანტაციებს უკვე 862 ჰექტარი ეკავა. ჩაის პლანტაციების სისტემატური და სწრაფი გაშენება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო, განსაკუთრებით კი 1931 წლიდან — საკავშირო კპ ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ჩაის მეურნეობის განვითარების შესახებ მიღებული დადგენილების შემდეგ. 1931 წელს ჩაის პლანტაციების ფართობმა 3,3 ათას ჰექტარს მიაღწია, 1932 წელს—4,3 ათას, 1934 წელს 4,5 ათას, 1937 წელს—5 ათას, 1940 წელს—5,4 ათას, 1950 წელს 5,1 ათას, 1955 წელს—5,8 ათას, 1959 წელს—6,4 ათას ჰექტარს. ჩაის მეურნეობა აჭარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ განვითარებულ და მაღალშემოსავლიან დარგად გადაიქცა. ამჟამად ჩაის ბუჩქის კულტურა გავრცელებულია ქობულეთის, ბათუმისა და ნაწილობრივ ქედის რაიონებში ძირითადად წითელმიწა, ზოგან კი ყვითელმიწა და მწირ ეწერ ნიადაგებზე. ჩაის ბუჩქისათვის საუკეთესო ნიადაგები ქობულეთის რაიონშია. 1959 წელს აჭარის ხვედრითი წონა საქართველოს ჩაის პლანტაციების მთელ ფართობში 12% უდრიდა (ფართობის მიხედვით). ამ მაჩვენებლით აჭარა ჩამორჩება აფხაზეთს, რომლის ხვედრითი წონა 18%-ს აღემატება; მაგრამ ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების მოცულობით — აჭარა წინ უსწრებს აფხაზეთს, რადგანაც აქ ჩაის კულტურა ბევრად უფრო მოსავლიანია. აჭარის მეჩაიეობის ძირითად ბაზას ქობულეთის რაიონი წარმოადგენს. აქ განლაგებულია ჩაის კულტურის მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართობის ²/₃-ზე მეტი (68%). ბათუმის რაიონიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეჩაიეობაში. ქედის რაიონში ჩაის კულტურის გაშენება მხოლოდ 1952 წელს დაიწყო.

მეჩაიეობის მიკროზონებიდან აღსანიშნავია: ქობულეთის რაიონში — სახალვაში, ქვედა და ზედა ულანოვკა, ციხისძირი, ჩაისუბანი, დაგვა, ბობოყვათი, გვარა, ხუცუბანი, ოჩხამური, მუხაესტატე, ცეცხლაური, წყავროკა, ახალსოფელი, ბათუმის რაიონში — ახალშენი, ჩაისუბანი, მახინჯაური, ანგისა, მეჯინისწყალი, გონიო, სარფი, ურეხი, ფერია, მახვილაური, სალიბაური, ახალსოფელი, ჭარხალი და სხვ.[1]

ჩაის პლანტაციების განლაგება აჭარის ასსრ-ში

1959 წ.



აჭარის ასს რესპუბლიკაში ძირითადად ჩინური და ინდურ-ჩინური ჩაის ნარსახეობაა გავრცელებული. უკანასკნელ წლებში დაიწყეს აგრეთვე აკადემიკოს ქ. ბახტაძის მიერ გამოყვანილი ჰიბრიდული წარმოშობის სასელექციო ჯიშების გაშენება: ქართული პირველი, ქართული მეორე, მოსავლიანი, მსხვილფოთლიანი ჩინური და სხვ. ეს ჯიშები მსხვილფოთლიანია, მათი მოსავლიანობა 30—50% უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი ჯიშებისა, მათ ჩაის მაღალი ხარისხის უფრო დიდი გამოსავალი აქვთ. რიგი მიზეზების გამო სელექციური ჯიშების ფართობი ჯერჯერობით ძალიან მცირეა. მომავალში სელექციური ჯიშების მეთესლეობას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და ამ მიზნით გაშენდეს მეთესლეობის სპეციალური პლანტაციები. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობით აჭარას პირველი ადგილი უკავია საქართველოში. 1959 წელს იქ ჰექტარზე საშუალოდ 4308 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს, მთლიანად საქართველოში კი 3000 კილოგრამი. ადმინისტრაციულ რაიონებს შორის ყველაზე მაღალი მოსავლიანობა ქობულეთის რაიონშია—4484 კგ. აჭარა უხვმოსავლიან ჩაის რაიონს წარმოადგენს, აქ ზოგ მეურნეობაში სარეკორდო მოსავლიანობას მიაღწიეს: კვირიკეს საბჭოთა მეურნეობაში — 6060 კგ ჰექტარზე, ოჩხამურის — 5670 კგ, სარფის კოლმეურნეობაში — 6096 კგ. დაგვის — 6010 კგ, ურეხის — 5600 კგ და სხვ.

[1] კარტოგრამების ავტორებია ნ. დევიძე და ო. ღვინიანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის ასს რესპუბლიკას მეჩაიეობის შემდგომი განვითარების ფრიად ხელსაყრელი პირობები გაეჩინა, მაგრამ შესაფერი თავისუფალი მიწის ნაკვეთების უქონლობის გამო პლანტაციების ფართობის მნიშვნელოვანი ზრდა შეუძლებელი ხდება და უმთავრესი ყურადღება ჩაის ფოთლის მოსავლიანობას და ხარისხის გაუმჯობესებას უნდა მიექცეს.

აჭარაში მეჩაიეობასთან ერთად ვითარდება ისეთი შრომატევადი დარგები, როგორიცაა მეციტრუსეობა, მეთამბაქოეობა, მევენახეობა და სხვ. ამასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობა მუშახელის დიდ დეფიციტს განიცდის, რის შედეგად მეურნეობებში ვერ უზრუნველყოფენ ჩაის ნარგავების მოვლის ძირითადი ღონისძიებების გატარებას. ეს გარემოება აჭარაში განსაკუთრებით მწვავედ აყენებს სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში მექანიზაციის დანერგვის საკითხს.

მ ე ც ი ტ რ უ ს ე ო ბ ა. აჭარის კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები დიდად უწყობს ხელს შავი ზღვის სანაპირო ტენიან ზოლში ციტრუსოვანთა მეურნეობის წარმატებით განვითარებას. ოთხმოცდაექვსი მანძილზე აქ მეციტრუსეობამ სამრეწველო ხასიათი მიიღო — შეიქმნა ციტრუსების მძლავრი საბჭოთა მეურნეობები, რიგი კოლმეურნეობა სპეციალიზებული იქნა მეციტრუსეობაზე. ჩაის ბუჩქთან ერთად ციტრუსოვანნიც აჭარის სუბტროპიკული მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად კულტურას წარმოადგენს და კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალში საკმაო ადგილი უკავია. ციტრუსოვანი კულტურები აჭარაში ძველთა-განვე ყოფილა ცნობილი, მაგრამ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მეციტრუსეობა შემთხვევით ხასიათს ატარებდა — ციტრუსები (ძირითადად მანდარინი) გაშენებული იყო ცალკე ნარგავების სახით კერძო მფლობელთა სააგარაკო მამულებში. 1913 წლისათვის ციტრუსების საერთო ფართობი აჭარაში 262 ჰექტარს უდრიდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ციტრუსოვანთა პლანტაციების გაშენება უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა. 1923 წელს აჭარაში ციტრუსოვანთა უკვე 451 ჰექტარი პლანტაცია იყო, 1928 წელს — 629 ჰექტარი, 1937 წელს — 2251 ჰექტარი, 1940 წელს — 7768 ჰექტარი, ხოლო 1945 წელს ფართობი 8118 ჰექტარამდე გაიზარდა. მაგრამ 1949—1950 წლის არაჩვეულებრივად მკაცრმა ზამთარმა დიდი ზარალი მიაყენა ციტრუსოვან მეურნეობას — ყინვისაგან დაიღუპა რამდენიმე ათასი ჰექტარი ნარგაობა, განსაკუთრებით დაზარალდა ლიმონისა და ფორთოხლის კულტურა. ამის შედეგად 1950 წ. ციტრუსოვანთა ფართობი 3150 ჰექტარამდე შემცირდა. 1953/54 წლის ზამთარში განმეორდა კატასტროფული ხასიათის ყინვები, რამაც ხელმეორედ საგრძნობლად დაზარალა ციტრუსოვანთა პლანტაციები. შემდეგ წლებში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების შედეგად 1959 წ. ციტრუსოვანთა საერთო ფართობმა 5244 ჰექტარს მიაღწია. საქართველოს ციტრუსოვანთა მთელი ფართობის ნახევარზე მეტი (54%) აჭარის ასს რესპუბლიკაშია განლაგებული.

ადმინისტრაციულ რაიონებიდან ციტრუსოვანი კულტურები გავრცელებულია მარტო ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში, რადგანაც ზემო აჭარის კლიმატური პირობები შეუფერებელია ამ კულტურებისათვის. ციტრუსოვანთა ფართობის თითქმის $^2/_3$ (63%) მანდარინის ნარგავს უკავია, ლიმონი გაშენებულია 1178-ს, ხოლო ფორთოხალი 776 ჰექტარზე. ციტრუსოვანთა პლანტაციების თითქმის ნახევარი (46%) საკოლმეურნეო მიწებზეა განლაგებული, საბჭოთა მეურნეობებს 1309 ჰექტარზე აქვთ პლანტაციები, დანარჩენი ფართობი კოლმეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზეა. აჭარაში 15 საბჭოთა მეურნეობა ეწევა მეციტრუსეობას, აქედან 7 მეურნეობა ქობულეთის რაიონშია და 8 ბათუმის. აღსანიშნავია გონიოს, ახალშენის, მახინჯაურის, ჩაქვის, ციხისძირის, მუხაესტატეს მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობები, სადაც მნიშვნელოვნად გაზარდეს ციტრუსების მოსავალი და შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება. ციტრუსოვანთა ნარგაობა განლაგებულია ძირითადად გორაკ-ბორცვებზე, ნაწილობრივ დაბლობებში, უფრო დაცული მყუდრო ადგილები დათმობილი აქვს ფორთოხალსა და ლიმონს. პლანტაციები განლაგებულია ძირითადად წეთელმიწა და ალუვიურ ნიადაგებზე 350—400 მეტრის სიმაღლემდე ზღვის დონიდან. ციტრუსოვანი კულტურების მოყვანის უფრო ხელსაყრელი პირობები შემდეგ მიკროზონებშია: ქობულეთის რაიონში — ქობულეთში, ხუცუბანში, დაგვაში, ბობოყვათში, ხალაში, ჩაისუბანში, აჭყვაში, ციხისძირში, კვირიკეში; ბათუმის რაიონში — ხელვაჩაურში, გონიოში, სარფში, მახინჯაურში, ჩაისუბანში, ახალშენში, ურეხში და სხვ., სადაც განსაკუთრებით ხარისხოვანი ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ნაყოფი მოყავთ.

ციტრუსოვანთა პლანტაციების განლაგება აჭარის ასსრ-ში

1959 წ



მეციტრუსეობაში ერთ-ერთი სახის მძიმე შრომატევადი პროცესია სასუქების მიტანა პლანტაციებში, აგრეთვე მოსავლის გამოტანა. 1959 წელს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ჩაატარა მუხაესტატეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში ამ სამუშაოების მექანიზაციის ცდა. პლანტაციაში აგებული იყო ჰაერ-ბაგირის გზა, მოწყობილი ტრაქტორზე ხტზ-7. ეს მოწყობილობა საკმაოდ მარტივია და არ მოითხოვს დიდ დანახარჯს. ასეთი გზის მეშვეობით შეიძლება ერთი დღის განმავლობაში იქნას ატანილი ბორცვის მწვერვალზე იმდენი სასუქი, რამდენსაც 50 მუშა ვერ აიტანს ერთ თვეში. ერთ უბანზე მუშაობის დამთავრებისას, სბაგი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რო გზა შეიძლება გადატანილ იქნას მეორე უბანზე. ჩატარებულმა ცდებმა კარგი შედეგი გამოიღო — გზის გამოყენება ადიდებს შრომის მწარმოებლურობას სასუქების შეტანაზე 5-ჯერ, ნაყოფის გამოტანაზე 5.5-ჯერ და ამცირებს თვით ღირებულებას 9—10%-ით. ასეთი მექანიზაციის დანერგვა მეტად პრაქტიკულია და მუშახელის დიდ ეკონომიას იძლევა. მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობაში უკვე მუშაობს 7 ჰაერ-ბაგირის გზა. საჭიროა მექანიზაციის ეს ეფექტური ღონისძიება ფართოდ დაინერგოს სხვა მეურნეობებშიაც.

ცნობილია, რომ ორგანული სასუქების გამოყენების გარეშე შეუძლებელია ციტრუსოვანთა კულტურის გაშენება. ამიტომ აჭარაში ორგანული სასუქების თითქმის მთელი მარაგი ციტრუსების პლანტაციებისათვის გამოიყენება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ვერ აკმაყოფილებს მთელ მოთხოვნილებას.

ციტრუსოვანთა მოსავლიანობას მნიშვნელოვნად ადიდებს დაავადებათა და მავნებელთა საწინააღმდეგო ღონისძიებათა დროულად და ხარისხოვნად ჩატარება. აჭარაში ციტრუსოვანთა ძირითადი დაავადებაა მალსეკო (ციტრუსოვანთა ხმობა), რომელიც უმთავრესად ლიმონის ნარგავებს უჩნდება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ციტრუსოვანთა ნარგავების ყინვებისაგან დაცვის ღონისძიებებს — შტამბის შეთეთრებას, ძირებზე მიწის მიყრას, შეფუთვასა და სხვ.

ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადებაში აჭარის ასს რესპუბლიკას პირველი ადგილი უკავია საქართველოში. ომისშემდგომ პერიოდში აჭარაში ყველაზე დიდი მოსავალი 1948 წელს იქნა მიღებული და ნახევარ მილიარდზე მეტი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი იქნა დამზადებული.

ახალი პლანტაციების გაშენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სანერგე მეურნეობას. კოლმეურნეობათა უმეტესობას საკუთარი სანერგე აქვთ და ყოველწლიურად გამოჰყავთ ციტრუსების გაუპრობესებული ჯიშის ნერგები — ახალი ჯიშების გამოყენაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აჭარის სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს — ჩაქვის სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთს და ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალს, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განსაზღვრაში და საერთოდ ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარების პრობლემების სწორ გადაჭრაში. კერძოდ, ჩაქვის სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთში გამოყვანილია მანდარინის ახალი ადრეული ჯიში „ქართული საადრეო“, რომელიც ჩვეულებრივზე ერთი თვით უფრო ადრე მწიფდება.

შვიდწლიანი გეგმის მიხედვით აჭარაში ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციები უნდა გაშენდეს 910 ჰექტარზე, აქედან ქობულეთის რაიონში 555 ჰექტარზე და ბათუმის რაიონში 355 ჰექტარზე. შესაბამისად გაიზრდება ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება. 1965 წლისათვის ლიმონის დამზადება 12 მილიონ ცალამდე გაიზრდება, ფორთოხლის დამზადება 2340 ტონამდე, ხოლო მანდარინის 30040 ტონამდე.

მ ე ხ ი ლ ე ო ბ ა. მეხილეობა აჭარის სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ხეხილის ბაღების ფართობი საგრძნობლად გაიზარდა. 1932 წელს ხეხილის ბაღებით 2309 ჰექტარი იყო დაკავებული, 1937 წელს — 3405 ჰექტარი, 1940 წელს — 4113 ჰექტარი, 1945 წელს — 3776

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰექტარი, 1952 წელს — 4373 ჰექტარი, 1959 წელს — 6332 ჰექტარი. 27 წლის მანძილზე ხეხილის ბაღების ფართობი აჭარაში 174%-ით გაიზარდა.

მეხილეობა გავრცელებულია აჭარის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში. ხეხილის ბაღები ყველაზე დიდ ფართობზე ქობულეთისა და ბათუმის რაიონებშია გაშენებული, მათი ხვედრითი წონა ბაღების მთელ ფართობში 34,8% და 29,9% უდრის. ბაღების საერთო ფართობის თითქმის ნახევარი (45%) კოლმეურნეობების მფლობელობაშია.

აჭარის ასს რესპუბლიკაში გამოიყოფა ორი ერთი მეორისაგან განსხვავებული მეხილეობის ქვერაიონი: ბათუმი — ქობულეთისა და ქედა — შუახევი — ხულოს ქვერაიონი. ორივე ქვერაიონში ყველა სახის ხეხილია გავრცელებული— თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და სუბტროპიკული, მაგრამ პირველ ქვერაიონში სამრეწველო მნიშვნელობა თხილის კულტურას აქვს, ხოლო მეორეში — თესლოვან კულტურებს, განსაკუთრებით ვაშლის სახეობრივ ჯიშების წარმოებას. თხილი და ტრანსპორტის ამტანი ვაშლის ჯიშები გაიზიდება აჭარიდან სხვა რაიონებში, დანარჩენი ხილი კი განკუთვნილია ქალაქების მოსახლეობისა და ადგილობრივი კურორტების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ნაწილი კი გარდება საკონსერვო მრეწველობას. ხილის გადამუშავებას ბათუმის ციტრუსკომბინატი აწარმოებს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა ადგილზე ხდებოდეს ხილის გადამუშავება, მსხვილ კოლმეურნეობებში მოეწყოს სამრობი ფარდულები ან მოძრავი ღუმელები, განსაკუთრებით ზემო აჭარაში, საიდანაც ძნელია ხილის გამოზიდვა ნაყოფის მცირე ტრანსპორტაბელურობისა და უგზოობის გამო.

მეხილეობა აჭარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი განვითარებული დარგია. ხეხილის ბაღების ფართობის ხვედრითი წონა დამუშავებული მიწების საერთო ფართობში 17,3%-ს უდრის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი 12,7%, ხოლო საქართველოში მთლიანად — 8,6%-ს არ აღემატება.

მეხილეობის მიკროზონებიდან აღსანიშნავია: ქობულეთის რაიონში — ქობულეთი, ჭახათი, ხალა, ქაქუთი, ლედვა, ალამბარი; ბათუმის რაიონში—აჭარისწყალი, აჭარისაღმართი, ზედა ჩხუტუნეთი, მახო, ქერქედი, ჩაისუბანი; ქედის რაიონში — წონიარისი, ორცკა, მეძიბნა, ოქტომბერი, დოლოგანი, ცხმორისი, ქედა, გუნდაური; შუახევის რაიონში — სამოლეთი, გოგინაური, ჯაბნიძეები; ხულოს რაიონში — დიოკნისი, ოქტომბერი, დიდჭარა, ღურტა, ყინჩაური, ბუღლეთი და სხვ.

აჭარაში ხეხილის ბაღების მოვლის აგროტექნიკა დაბალია, პლანტაციები გამეჩხერებულია, მექანიზაცია არ არის დანერგილი. ცუდად არის დაყენებული ხეხილის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა. ამის შედეგად ხილის მოსავლიანობა დაბალია.

შვიდწლედის მანძილზე ხეხილის ბაღების საერთო ფართობი უნდა გაიზარდოს 1737 ჰექტარით. მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს ბაღების მოვლა-პატრონობა, ხეხილის მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა. თესლოვანნი და კურკოვანი ხილის დამზადების მოცულობა ერთიორად უნდა გაიზარდოს და 1965 წლისათვის 6 ათას ტონამდე მიაღწიოს.

აჭარის ასს რესპუბლიკაში სუბტროპიკული მეხილეობაც არის განვითარებული. სუბტროპიკული ხეხილის ბაღებს 669 ჰექტარი ფართობი უკავია, აქედან ბათუმის რაიონში 322 ჰექტარია, ქობულეთის — 270 ჰექტარი და ქედის რაიონში 77 ჰექტარი; სუბტროპიკული ხეხილიდან გვხვდება: სუბტროპიკული ხურმა, ლედვი, ბროწეული, ფეიხოა, ზღმარტლი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუბტროპიკული ხურმა ბათუმისა და ქობულეთის რაიონებშია გავრცელებული. ხურმის ხვედრითი წონა სუბტროპიკული ხეხილის მთელ ფართობში უაღრესად მაღალია. ამ კულტურის გაშენებას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს.

ხეხილის ბაღების განლაგება აჭარის ასსრ-ში
1959 წ.



შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სუბტროპიკული ხურმის ახალი პლანტაციების გაშენება. სუბტროპიკული ხეხილის სხვა კულტურებს უფრო მცირე ფართობი უკავია და მათ ნაკლები მნიშვნელობა აქვთ კოლმეურნეობათა ეკონომიაში.

მ ე ვ ე ნ ახ ე ო ბ ა. აჭარის მოსახლეობა მევენახეობას უხსოვარ დროიდან მისდევდა. აქ ვაზის მრავალი ადგილობრივი ძვირფასი ჯიში იყო გავრცელებული, მევენახეობას ძირითადად ღვინის წარმოების მიმართულება ჰქონდა. მაგრამ XVII საუკუნის დამლევისათვის ამ მხარეში ისლამის გავრცელებასთან დაკავშირებით ეს დარგი დაეცა და თითქმის განადგურდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში თავი იჩინა ვაზის სოკოვანმა დაავადებამ (ნაცარმა, ჭრაქმა); მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები ცნობილი არ იყო, ამიტომ ეს დაავადებანი თავისუფლად ვითარდებოდა. ამის შემდეგ ფილოქსერაც გავრცელდა. ყოველივე ამის შედეგად მრავალი ადგილობრივი ვაზის ჯიში სრულიად დაიღუპა.

ვენახების აღდგენა აჭარაში 1934 წლიდან დაიწყო. 1935 წელს ქედაში მოეწყო მევენახეობის საცდელი ნაკვეთი და სანერგე, დაიწყო დაბლარი ვენახის გაშენება. დაბლარი ვენახების ფართობი 1937 წლისათვის 6 ჰექტარს უდრიდა. შემდეგ წლებში სწრაფი ტემპით იზრდებოდა და 1959 წლისათვის 575 ჰექტარს მიაღწია. მევენახეობა უმთავრესად ზემო აჭარაში ვითარდება. მევენახეობა გავრცელებულია ძირითადად ქედის რაიონში, სადაც აჭარის ვენახების მთელი ფართობის 1/2-ზე მეტია მოთავსებული. ვენახები განლაგებულია უმთავრესად სამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხრეთ და სამხერთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე 1000—1100 მეტრის სიმაღლემდე ზღვის დონიდან.

ვაზის ჯიშებიდან გავრცელებულია ცოლიკოური, ალიგოტე, ჩხავერი, ჩინური და სხვ. მთავარი ჯიშია ცოლიკოური, მას 353 ჰექტარი უკავია, ალიგოტეს 82 ჰექტარი და ა. შ. სერიოზული ყურადღება ექცევა ძველი ჯიშების აღდგენას. მცირე ფართობებზე გავრცელებულია ადგილობრივი ჯიშები: ხლფოთური, კლარჯული, ბროლა და სხვ. ხარისხოვანი ღვინოების მომცემი მიკროზონებიდან აღსანიშნავია ქედა, ბზუბზუ, ახო, ამუქეთა, ზვარე და სხვ.



ვაზი აჭარაში შედარებით მაღალმოსავლიანია, ყურძნის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა წლების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს: 1953 წელს 50.6 ც, 1954—48,7 ც, 1955 წელს—70 ც, 1956 წ.—36,1 ც. 1957 წ.—48,7 ც, 1958 წ. — 79 ც, 1959 წ. — 47,8 ც.

1965 წლისათვის დაგეგმილია ვენახების ფართობის ზრდა 1060 ჰექტარამდე, საშუალო-საჰექტრო მოსავლიანობის — 70 ცენტნერამდე; საგრძნობლად გაიზრდება აგრეთვე ყურძნის დამზადების მოცულობა.

მაღლარი ტიპის ვენახებსაც საკმაო ფართობი უკავია აჭარაში. 1959 წლისათვის მაღლარის მარტო საკოლმეურნეო ფართობი 107 ჰექტარით განისაზღვრებოდა.

აჭარის ასს რესპუბლიკის მევენახეობის სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულებაა თეთრი და წითელი სუფრის ღვინოებისა და სუფრის ყურძნის წარმოება.

ციტრუსოვანთა და სუბტროპიკული ხეხილის გარდა აჭარის ასსრ რესპუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკაში აშენებენ აგრეთვე ისეთ მრავალწლოვან სუბტროპიკულ კულტურებს, როგორიცაა ტუნგი, კეთილშობილი დაფნა, ბამბუკი.

ტ უ ნ გ ი. ტუნგი გაშენებულია უმთავრესად გორაკ-ბორცვებზე 500—600 მეტრის სიმაღლემდე ზღვის დონიდან. ტუნგის კულტურის გაშენება აჭარაში 1923—1935 წლებში დაიწყო: 1940 წელს ტუნგის ნარგავებს 2928 ჰექტარი ფართობი ეკავა, 1950 წელს 2692 ჰექტარი, 1955 წელს 2415 ჰექტარი, 1959 წელს 2038 ჰექტარი. ტუნგი უმთავრესად მთლიანი პლანტაციების სახით არის გაშენებული. პლანტაციების ფართობი წლითიწლობით კლებულობს, რადგანაც მოუკლელობის გამო ცალკეული ხეები ხშირად ხმება. გარდა ამისა, ტუნგის საკმაო რაოდენობის ნარგავი 1949—50 წლის სუსხიან ზამთარში დაიღუპა ყინვებისაგან.

ტუნგის პლანტაციების $^{3}/_{4}$-დი ქობულეთის რაიონშია განლაგებული, ხოლო $^{1}/_{4}$-დი — ბათუმის რაიონში, ზემო აჭარაში ტუნგის კულტურა სულ არ გვხვდება არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო. ტუნგის კულტურის გავრცელებით გამოირჩევა სოფლები: ჭახათი, ხალა, ალამბარი, ჯიხანჯური და სხვ.

ტუნგის ნაყოფის მცირე მოსავლიანობისა და ზეთის დაბალი გამოსავლიანობის გამო ტუნგის საბოლოო პროდუქტი ტუნგის ზეთი, ძვირი ჯდება. ამიტომ პერსპექტივაში ტუნგის პლანტაციების გაფართოება არ არის გათვალისწინებული, მაგრამ საშუალო-საპენტარო მოსავლიანობა კი უნდა გადიდდეს აგროტექნიკის გაუმჯობესების საფუძველზე.

კ ე თ ი ლ შ ობ ი ლ ი დ ა ფ ნ ა. კეთილშობილი დაფნის გაშენება აჭარაში 1940 წლიდან დაიწყო. 1959 წელს დაფნის ნარგავებს 174 ჰექტარი ეკავა, აქედან ქობულეთის რაიონში 85 ჰექტარი იყო, ბათუმის — 56 ჰექტარი, ქედის 28 ჰექტარი, შუახევის — 4 ჰექტარი და ხულოს რაიონში — 1 ჰექტარი. დაფნის კულტურის გავრცელებით გამოიყოფა სოფლები: ჭახათი, ქაქუთი, თხილნარი, ერგე, აჭარისწყალი, წინსვლა და სხვ. პლანტაციების თითქმის $^{2}/_{3}$ (64%) საკოლმეურნეო მიწებზეა გაშენებული.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია კეთილშობილი დაფნის ახალი პლანტაციების გაშენება — ყოველწლიურად 30—35 ჰექტარზე. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დაფნის ხმელი ფოთლის დამზადების ზრდას.

ბ ა მ ბ უ კ ი. აჭარის ასს რესპუბლიკაში გავრცელებულია ბამბუკის კულტურა. იგი გაშენებულია ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში — დაბალ ზონაში, მცირე დაქანების გორაკ-ბორცვებზე. ბამბუკის პლანტაციებს 1940 წელს 335 ჰექტარი ეკავა, 1950 წელს 862 ჰექტარი, 1955 წელს 475 ჰექტარი, 1959 წელს 302 ჰექტარი. ბამბუკის ფართობმა უკანასკნელ წელში საგრძნობლად მოიკლო, რადგანაც პლანტაციები ცუდ მდგომარეობაშია, მათ აკლია სათანადო მოვლა-პატრონობა. საჭიროა პლანტაციების შემოღობვა, ვინაიდან საქონელმა თუ გააფუჭა აღმონაცენი, მერე ბამბუკი ვეღარ ამოიყრის.

პლანტაციების ძირითადი მასივები განლაგებულია ქობულეთის რაიონში 243 ჰექტარზე, ბათუმის რაიონზე 50 ჰექტარი მოდის. ბამბუკის ფართობის მიხედვით ქობულეთის რაიონს პირველი ადგილი უკავია საქართველოში.

ბამბუკის ყველაზე დიდი პლანტაცია ციხისძირშია, აგრეთვე ჩაქვში, ბობოყვათში, კვირიკეში და სხვ. პლანტაციები ძირითადად საბჭოთა მეურნეობაშია გაშენებული, კოლმეურნეობებზე მთელი ფართობის $^{1}/_{3}$ მოდის. ბამბუკის ჯიშებიდან უმთავრესად იაპონური მადაკეა გავრცელებული.

ბამბუკი მეტად სასარგებლო მცენარეა, იგი გამოყენებას პოულობს მშენებ-

ლობაში, საავეჯო წარმოებაში, ქაღალდის მრეწველობაში, სპორტული იარაღების დამზადებისათვის და სხვ. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ბამბუკის ახალი პლანტაციების გაშენება და მის პროდუქციის დამზადების მკვეთრი ზრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემინდვრეობა

მ ე თ ა მ ბ ა ქ ო ე ო ბ ა. თამბაქოს კულტურა აჭარაში XVII საუკუნეში იქნა შემოტანილი, ხოლო XIX საუკუნის 70 წლებში იგი უკვე ფართოდ გავრცელდა. მაგრამ იმდროინდელი ნატურალური მეურნეობის პირობებში მეთამბაქოეობას ძირითადად სამომხმარებლო ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ საქართველოსთან აჭარის შეერთების შემდეგ ეს დარგი უფრო ჩქარი ტემპით განვითარდა და ეროვნულად სასაქონლო მნიშვნელობაც მიიღო. გავრცელდა თამბაქოს თურქული ჯიშები — სამსუნი და ტრაპიზონი. თამბაქოს პლანტაციებისათვის გამოყენებული იყო ტყიდან და ბუჩქნარიდან გაწმენდილი ნაკვეთები. ზღვის სანაპირო და მთის ზონა შედარებით ნაკლები ხარისხის თამბაქოს ნედლეულს იძლევა, უფრო ხარისხოვან ნედლეულს აჭარის საშუალო სიმაღლის ზონაში ღებულობენ 500 მეტრიდან 1200 მეტრის სიმაღლედე ზღვის დონიდან.

მეთამბაქოეობა აჭარის ყველა რაიონშია გავრცელებული, გარდა ქობულეთისა.

1914 წელს აჭარაში თამბაქოს ნარგავებს 1108 ჰექტარი ეკავა. პირველი იმპერიალისტური ომის დაწყების შემდეგ მეთამბაქოეობა სწრაფად დაეცა. მისი აღდგენა საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. თამბაქოს ფართობი თანდათანობით იზრდებოდა და 1959 წლისათვის 1,3 ათას ჰექტარს მიაღწია. აჭარის ხვედრითი წონა საქართველოს მეთამბაქოეობაში 9,4% უდრიდა. თამბაქოს პლანტაციები განლაგებულია ძირითადად მთისწინა გორაკ-ბორცვიან ზონაში, აგრეთვე ვაკე ადგილებში და მთის ფერდობებზე. ვაკე ადგილებში თამბაქოს კულტურას თანდათან სცვლის ჩაის ბუჩქი და ვაზი.

ზემო აჭარაში მეთამბაქოეობა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ძირითად სასაქონლო დარგს წარმოადგენს. აღსანიშნავია მეთამბაქოეობის მიკროზონები: ბათუმის რაიონში — აჭარის აღმართი, კირნათი, ზედა ჩხუტტუნეთი; ქედის რაიონში — ახო, კოკოტაური, გობრონეთი, ცხმრისი, წონიარისი, დანდალო, კვაშტა; შუახევის რაიონში — ჯაბნიძეები, დაბაძველი, ტბეთი, ოლადაური, სამოლეთი, შუახევი; ხულოს რაიონში — ოქტომბერი, დოკნისი, დიდაჭარა, საციხური, რიყეთი, ბოძაური, ბეღლეთი, კორტოხი, პაქსაძეები, ფურტა, ოქრუაშვილები, დეკანაშვილები, წაბლანა და სხვ.

თამბაქოს ჯიშებიდან ბათუმის რაიონში ძირითადად სამსუნია გავრცელებული, შუახევისა და ხულოს რაიონებში — ტრაპიზონი, ხოლო ქედის რაიონში სამსუნსა და ტრაპიზონს თითქმის თანაბარი ფართობი უკავია.

მეთამბაქოეობის კოლმეურნეობებმა ომისშემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაზარდეს თამბაქოს ფოთლის მოსავლიანობა. 1940 წელს თამბაქოს ფოთლის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა 8,65 ცენტნერს უდრიდა, 1950 წლისათვის კი 11,52, ხოლო 1959 წლისათვის 15 ცენტნერამდე ავიდა. განსაკუთრებით გაიზარდა თამბაქოს ფოთლის მოსავლიანობა სარწყავ მიწებზე (18—30 ცენტნერამდე). თამბაქოს კულტურა აჭარაში უფრო მოსავლიანია, ვიდრე აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სადაც 1958 წელს საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა 11,3 ცენტნერს არ აღემატებოდა, მაგრამ თავისი არომატით, გემოთი და სხვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღირსებებით აფხაზეთის თამბაქო უფრო მაღლა დგას, იგი ეოთ-ერთი საუკეთესო მთელ საბჭოთა კავშირში.

თამბაქოს ბლანტაციების განლაგება აჭარის ასსრ-ში

1959 წ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია და აგროწესები უფრო დაცულია, საშუალო — საჰექტარო მოსავლიანობამ 25,4 ცენტრამდე მიაღწია. სიმინდის ფართობის მიხედვით პირველი ადგილი ქედის რაიონს უკავია.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კულტურების ათვისებასთან და მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობის შექმნასთან დაკავშირებით აჭარაში მარცვლეულის მეურნეობამ დაჰკარგა თავისი ყოფილი მნიშვნელობა და ამჟამად მეორეხარისხოვან დარგს წარმოადგენს. მარცვლეულის წარმოებას მარტო სამომხმარებლო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საკუთარი მოსავალი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას პურზე, რაც ფქვილისა და მარცვლეულის სხვა რაიონებიდან შემოზიდვის აუცილებლობას იწვევს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1961 წ.) პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების შესახებ, აჭარის კოლმეურნეობებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქცინონ მარცვლეულის მეურნეობას, როგორც სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს მეცხოველეობისა და სხვა დარგების განვითარებაზე. საჭიროა გადიდდეს კოლმეურნეობებში მარცვლეულის ნათესი ფართობები, რისთვისაც შეიძლება სათანადო მელიორაციის შემდეგ გამოყენებულ იქნას მიწის ისეთი ნაკვეთები, რომლებიც უვარგისია სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურებისათვის. ასეთი მიწები მოიპოვება აჭარის ყველა რაიონში. უნდა გაუმჯობესდეს მეთესლეობის საქმე. დაინერგოს საუკეთესო დარაიონებული მაღალმოსავლიანი ჯიშები, დაითესოს სიმინდის ჰიბრიდული და დაყალიბებული თესლები. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მეურნეობაში სასუქების გამოყენებასა და მექანიზაციის დანერგვას. მარცვლეულის მეურნეობის პროდუქციის შემდგომი ზრდა უნდა მოხდეს ძირითადად კულტურების მოსავლიანობის გადიდების გზით, მოწინავე აგროტექნიკის გამოყენების საფუძველზე.

ბ ო ს ტ ნ ე უ ლ-ბ ა ღ ჩ ე უ ლ ი კ უ ლ ტ უ რ ე ბ ი დ ა კ ა რ ტ ო ფ ი ლ ი. ბოსტნეულ-ბაღჩეულის ნათესები აჭარის ყველა რაიონშია განლაგებული, მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა მათ ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში აქვთ, რადგანაც აქედან უნდა დაკმაყოფილდეს ქალაქების მოსახლეობისა და კურორტებზე ჩამოსულ დამსვენებელთა მოთხოვნილება ახალ ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე.

1959 წელს ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ფართობი 696 ჰექტარს უდრიდა, აქედან 218 ჰექტარი ბათუმისა, ხოლო 198 ჰექტარი ქობულეთის რაიონში იყო.

კარტოფილი აჭარის მთაგორიან ზონის კოლმეურნეობებში მოყავთ (ხულოსა და შუახევის რაიონებში). 1959 წელს კარტოფილის ნათესი ფართობი 827 ჰექტარს უდრიდა. კარტოფილის ნათესების უდიდესი ნაწილი (91%) კოლმეურნეობებს ეკუთვნის, ბოსტნეულის ნათესები კი პირიქით, უმთავრესად მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზეა განლაგებული.

ბოსტნეული კულტურებიდან აჭარის ასს რესპუბლიკაში ყველაზე მეტად გავრცელებულია პომიდორი, კომბოსტო, კიტრი, სუფრის ჭარხალი, ითესება აგრეთვე ბოსტნის მწვანილი.

მებოსტნეობა შედარებით უკეთ არის განვითარებული სოფლებში: დაგვაში, ბობოყვათში, კვირიკეში, მუხაესტატეში (ქობულეთის რაიონი), ურეხში, ანგისაში, მეჯინწყალში, ხელვაჩაურში (ბათუმის რაიონი) და სხვ., მეკარტოფილეობა: რიყეთში, დანისპარაულში, დიდაჭარაში, ღორჯომში, საციხურში, მეკეიძეებში, ხიხაძირში, თხინვალში, ბაკოში (ხულოს რაიონი), დარჩიძეებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტბეთში, შუახევში, ნაღვარევში, ინწკირვეთში (შუახევის რაიონი) დ[illegible] ბოსტნეულისა და კარტოფილის საკუთარი მოსავალი ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას და საკოლმეურნეო ბაზრებზე ბლომად შემოაქვთ ბოსტნეული სამტრედიიდან, ქუთაისიდან, ვანიდან და სხვ. და კარტოფილი ახალციხედან. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილის ფართობების ზრდა კოლმეურნეობებში; უნდა გაიზარდოს აგრეთვე საშუალო-სიჰექტარო მოსავლიანობა სასუქების გამოყენებისა და აგროტექნიკის გაუმჯობესების საფუძველზე. დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე კულტურათა სელექციასა და ელიტური თესლის გამოყენასს. სკკ XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, საჭიროა მოეწყოს აჭარაში საგარეუბნო მებოსტნეობის მეურნეობები ქალაქებისა და კურორტების ახალი ბოსტნეულით უზრუნველსაყოფად. 1959 წელს ქ. ქობულეთის მახლობლად უკვე დაარსდა მებოსტნეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა. მას გადაეცა 200 ჰექტარზე მეტი ნოყიერი მიწა ჩოლოქის ხეობაში. მომავალში ეს მეურნეობა კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და მის ბაზაზე გათვალისწინებულია საკონსერვო ქარხნის აგება.

ს ა კ ვ ე ბ ი კ უ ლ ტ უ რ ე ბ ი. რევოლუციამდელ აჭარაში საკვებ კულტურებიდან მარტო ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახი ითესებოდა, ისიც მეტად მცირე ფართობზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მდგომარეობა შეიცვალა. საკვები კულტურების ფართობი მკვეთრად გაიზარდა. განსაკუთრებით გაიზარდა იგი ომის შემდგომ პერიოდში სკკ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა (1953 წ) და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად.

1959 წელს საკვები კულტურების ნათესები 3564 ჰექტრამდე გაიზარდა და 1940 წელთან შედარებით ოთხჯერ და უფრო მეტად გადიდდა.

როგორც მთელ საქართველოში, ისე აჭარის ასს რესპუბლიკაშიც ძირითადი ადგილი საკვებ კულტურათა შორის სასილოსე კულტურებს უკავია. სასილოსედ სიმინდია გამოყენებული. საკმაო მნიშვნელობა საკვების ბალასნში ერთწლოვან და ნაწილობრივ მრავალწლოვან ბალახის ნათესებს აქვს. ერთწლოვანი ბალახი ითესება ძირითადად როგორც თამბაქოს კულტურის წინამორბედი. ნათესი ბალახიდან დაბალ ზონაში გავრცელებულია სამყური, იონჯა, და კოინდარი, ძაღალ ადგილებში — ესპარცეტი. კოინდარი სარწყავ მიწებზე 5—6 ჯერ ითიბება და ჰექტარიდან საშუალოდ 550 ცენტნერ მწვანე მასას იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის კოლმეურნეობებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ჩატარდა საკვებმოოვების განვითარების საქმეში, საკმაო რაოდენობის საკვები ბაზის შექმნა ჯერჯერობით მაინც ვერ მოხერხდა, სახნავ-სათესი ფართობის სიმცირის გამო. მაშინ როდესაც ზემო აჭარის კოლმეურნეობები თითქმის უზრუნველყოფილია ადგილობრივი საკვები ბაზით, ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში საკვების დიდ გასაჭირს განიცდიან და კოლმეურნეობებს უხდებათ უხეში და კონცენტრირებული საკვების შეძენა და სხვა რაიონებიდან ზემოხიდვა.

საკვები ბაზის გადიდებისათვის საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს კოლმეურნეობებში ერთწლოვან და მრავალწლოვან ბალახისა და სხვა მაღალნოყიერი საკვები კულტურების ფართობის ზრდას. რიგი ღონისძიება უნდა გატარდეს საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საკოლმეურნეო პირუტყვი სხვადასხვა მაღალხარისხოვანი ცილოვანი საკვებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეცხოველეობა

მეცხოველეობა აჭარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. აჭარის ასს რესპუბლიკა არ არის უზრუნველყოფილი მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზით. კოლმეურნეობებში, განსაკუთრებით ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში, პირუტყვისათვის საჭირო საკვების დიდ დანაკლისს განიცდიან და ბევრ მათგანში პირუტყვი მთელი წლის განმავლობაში შესყიდულ საკვებზე იმყოფება. ძირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების გაშენებასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელ ათწლეულების მანძილზე მეცხოველეობის ბუნებრივი საკვები ბაზა კიდევ უფრო შემცირდა. ზოგან, სადაც საძოვრები იყო, კარტოფილის კულტურა გაშენდა, კარტოფილის ადგილი კი თამბაქომ დაიკავა, ბუნებრივ სათიბებზე ვენახები და თამბაქოს პლანტაციები გაშენდა. აჭარა, ისევე როგორც აფხაზეთი, სათიბ-საძოვრებით გაცილებით უფრო ნაკლებად არის უზრუნველყოფილი, ვიდრე საშუალოდ საქართველოს რესპუბლიკა. საზამთრო საძოვრები აჭარაში არ მოიპოვება, ხოლო საზაფხულო საძოვრები მოთავსებული ძირითადად ზემო აჭარის ქედების კალთებზე. საკვლევ ტერიტორიაზე სუბალპური საძოვრები არის და ალპური. ბუნებრივი საკვებ-სავარგულების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სათიბ-საძოვრების მოსავლიანობა დაბალია. ადმინისტრაციულ რაიონებს შორის მხოლოდ ხულოს რაიონია უკეთ უზრუნველყოფილი ადგილობრივი საკვები ბაზით, აქ აჭარის საძოვრების მთელი ფართობის ½-ზე მეტია განლაგებული.

დაბალ ზონაში (ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში) პირუტყვის მოვლა-შენახვის წმინდა ბაგური სისტემაა გამოყენებული მთელი წლის მანძილზე, მაღალ ზონაში კი ბაგურ-საძოვრული. ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში ივნისის პირველ რიცხვებში მთელი ჯოგის სულადობა შორეულ საზაფხულო საძოვრებზე გადაირეკება და იქ 15—20 სექტემბრამდე რჩება. ამ რაიონებში მოსანაცვლებელი საძოვრებიც არის, სადაც პირუტყვს ასვენებენ და შემდეგ დიდ სიმაღლეებზე მოთავსებულ საზაფხულო საძოვრებზე გადარეკავენ ხოლმე. ზამთარში პირუტყვი აქაც შენახვის ბაგურ სისტემაზე იმყოფება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკვები ბაზით ყველაზე ნაკლებად ქობულეთისა და ბათუმის რაიონებია უზრუნველყოფილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ მეცხოველეობის პროდუქტიულობა უფრო მაღალია.

1923—1959 წლების მანძილზე აჭარაში მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 148%-ით, ძროხების სულადობა — 168%-ით, ცხვრისა და თხის სულადობა 138%-ით. უკანასკნელ წლებში მეტი ყურადღება ექცევა მეღორეობას და ეს დარგი სწრაფად ვითარდება. ცხენის სულადობა გაიზარდა 35%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ მეცხოველეობის განვითარების ტემპები აჭარაში ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე აფხაზეთში და საშუალოდ საქართველოში; მეცხოველეობის გეოგრაფიული განლაგება აჭარის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა (ცხრილი 2). როგორც ცხრილიდან ჩანს, მეცხოველეობის ძირითადი რაიონებია ხულოსა და შუახევის. აქ მეცხოველეობის ყველა დარგია განვითარებული, განსაკუთრებით კი მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენება.

აჭარის ასსრ რესპუბლიკის ხვედრითი წონა მთელი საქართველოს მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობაში 6,3% უდრის, ხოლო ძროხების სულადობაში უფრო მაღალია (6,6%). წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის და ცხენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2

პირუტყვის სულადობა აჭარის ასსრ-ში 1959 წ.

რაიონები	ყველა კატეგორიის მეურნეობებში					აქედან კოლმეურნეობებში				
	მსხვილი რქოსანი პირუტყვი	მ. შ. ძროხები და ფუფუკამეჩები	ცხვარი და თხა	ღორი	ცხენი	მსხვილი რქოსანი პირუტყვი	მ. შ. ძროხები და ფუფუკამეჩები	ცხვარი და თხა	ღორი	ცხენი
ქობულეთის										
აბს.	12836	6126	1746	2102	600	3237	1100	88	1765	391
%	13,0	16,2	5,4	40,8	26,5	14,0	16,6	4,2	41,3	43,8
ბათუმის აბს.	13588	6630	6023	1703	466	2597	929	1942	1218	296
%	14,4	17,5	18,5	33,2	20,6	11,2	14,0	96,2	28,4	33,2
ქედის აბს.	12780	4466	5004	617	158	2743	826	37	600	64
%	13,5	11,7	15,4	12,0	7,0	11,8	12,4	1,8	14,0	7,2
შუახევის აბს.	24772	8954	7410	419	590	5802	1661	24	400	85
%	26,3	23,7	22,7	8,2	26,1	25,2	25,2	1,1	9,4	9,6
ხულოს აბს.	30533	11620	12371	299	447	8745	2100	6	295	55
%	32,3	30,9	38,0	5,8	19,8	37,8	31,8	0,3	6,9	6,2
სულ აბს.	94459	37796	32554	5140	2261	23124	6616	2097	4278	891
%	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
საქართველოს ასსრ-ში (ათ)	1503	576	2125	582	93	563	164	1279	226	35
აჭარის ასსრ %-ით საქართველოს ასრ მიმართ	6,3	6,6	1,5	0,9	2,5	3,7	4,0	0,16	1,9	2,5

ბის სულადობაში აჭარის ხვედრითი წონა ბევრად უფრო დაბალია, განსაკუთრებით დაბალია იგი ღორების სულადობაში.

მიუხედავად საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარებისა, აჭარის ასს რესპუბლიკაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში ჯერ კიდევ მაღალია კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა პირადი მეურნეობის ხვედრითი წონა. აჭარის კოლმეურნეობათა წინაშე დგას სერიოზული ამოცანა — მკვეთრად გაუმჯობესონ მეცხოველეობის საკვები ბაზა; უზრუნველყონ საორგანიზაციო — მეურნეობრივი და ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ღონისძიებათა კომპლექსის დანერგვა საკოლმეურნეო წარმოებაში და მიაღწიონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის შემდგომ განვითარებას.

ამ უკანასკნელ წლებში მსხვილი რქოსანი პირუტყვის სტრუქტურა გაუმჯობესდა. 1959 წელს ძროხების სულადობის ხვედრითი წონა ჯოგში გაიზარდა 1950 წელთან შედარებით 25%-ით და 40%-ს მიაღწია. განსაკუთრებით მაღალია ეს მაჩვენებელი ბათუმისა (49%) და ქობულეთის (48%) რაიონებში. უნდა ითქვას, რომ მთლიანად საქართველოში ძროხების ხვედრითი წონა მთელი ჯოგის სულადობაში შედარებით დაბალია (38%);

პირუტყვის სულადობის სიმჭიდროვით აჭარას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია საქართველოში. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ყოველ 100 ჰექტარზე აქ საშუალოდ 160 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვი მოდის, მათ შორის 64 ძროხა. აფხაზეთში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 89 და 39,6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოლო მთლიანად საქართველოში 57 და 22 უდრის. ცალკე რაიონებიდან პირ-უტყვის სულადობის უფრო მაღალი სიმჭიდროვით ბათუმის რაიონი გამოიყოფა, ყველაზე დაბალ სიმჭიდროვეს ადგილი აქვს ხულოს რაიონში.

აღსანიშნავია, რომ აჭარის კოლმეურნეობებში ძროხების პროდუქტიულობა ამ უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა. თუ 1950 წელს ერთ საფუძაქე ძროხაზე აქ საშუალოდ 249 კილოგრამ რძეს ღებულობდნენ, 1959 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 1249 კილოგრამს მიაღწია, ე. ი. გაიზარდა 5-ჯერ. საშუალო წველადობის მხრივ ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებს პირველი ადგილი უკავია საქართველოში, მათ 2470 კილოგრამი რძე მოწველეს ერთ საფურაქე ძროხაზე, რაც 2-ჯერ აღემატება საქართველოს შესატყვის მაჩვენებელს.

მაღალი წველადობა პირუტყვის კვებისა და შენახვის რეჟიმის გარდა, დამოკიდებულია აგრეთვე ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაზე. ამ მხრივ აჭარის კოლმეურნეობებში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული. ჯიშიანი პირუტყვის ხვედრითი წონა ძროხების მთელ სულადობაში გაიზარდა 29%-მდე, განსაკუთრებით მაღალია იგი ბათუმისა (90%) და ქობულეთის (79%) რაიონებში, სადაც საკოლმეურნეო სარძეო ფერმები დაკომპლექტდა ჯიშიანი, ძირითადად ველის წითელი ჯიშის, მაღალპროდუქტიული პირუტყვით, რომელიც კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს.

აჭარის 38 კოლმეურნეობაში სარძეო ფერმებში დანერგილია მექანიზაცია თითქმის 100%-ით, დანარჩენში კი — ნაწილობრივ. მეცხოველეობის განვითარებით გამოირჩევა სოფლები; ბათუმის რაიონში — მეჯინისწყალი, მახინჯაური, განთიადი, ურეხი, ერგე, ახალშენი, ჩაისუბანი, ხელვაჩაური, წინსვლა, თხილნარი, ჭარნალი, სარფი, ქობულეთის რაიონში — დაგვა, ციხისძირი, აუყეა, ქვეშა და ზედა ულიანოვკა, ჩაისუბანი, წუაგროკა, ხუცუბანი, ხალა, ბობოყვათი; ქედის რაიონში — წონიარისი, დოლოგანი, ნამლისევი, უჩხითი, ახოშუახევის რაიონში — შუახევი, გრგაძეები, სამოლეთი, ქიძინიძეები; ხულოს რაიონში — კორტოხი, დეკანაშვილები, დიდაჭარა, ბოძაური, ყინჩაური და სხვ.

მესაქონლეობას ზემო აჭარაში სახორეე-სარძეო, ხოლო ზღვისპირა ზოლში სარძეო-სახორეე მიმართულება აქვს. რძით და რძის პროდუქტებით პირველ რიგში მარაგდება ადგილობრივი კურორტები და შემდეგ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების მოსახლეობა, მაგრამ კოლმეურნეობები ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებენ მზარდ მოთხოვნილებას რძეზე და რძის პროდუქტებზე. საჭიროა პროდუქტიული მესაქონლეობის შემდგომი განვითარება. ზღვისპირა ზონაში მესაქონლეობამ შემდგომში საგარეუბნო ხასიათი და სარძეო მიმართულება უნდა მიიღოს. დასმულია საკითხი ბათუმის რაიონში ერთი სპეციალიზირებული მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის აგების შესახებ. ამ საკითხის გადაჭრა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სარძეო მეცხოველეობის მკვეთრ განვითარებას. რძის დამზადება შვიდწლედის მანძილზე მკვეთრად უნდა გადიდდეს, ძირითადად საშუალო წველადობის ზრდის ხარჯზე. ძროხების სულადობის ზრდა გათვალისწინებული მხოლოდ ზემო აჭარაში, დაბალ ზონაში იგი სტაბილური რჩება, სოფლის მეურნეობის სხვა ინტენსიურ დარგების განვითარებასთან დაკავშირებით.

ზვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას და მეღორეობას უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს საკვლევი რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვრის სულადობა პირობით პირუტყვზე გადაყვანილი მთელი პირუტყვის სულადობის 6%-დან 1950 წელს 3.1%-მდე შემცირდა 1959 წელს. თხის სულადობა — შესაბამისად 8,9%-დან 4,7%-მდე. საერთოდ, აჭარაში ცხვრის და თხის სიმჭიდროვე მეტად დაბალია. 1959 წელს ყოველ 100 ჰექტარ ნახნავსა და სათიბ-საძოვარზე საკვლევ რაიონში 55 სული ცხვარი და თხა ყავდათ, მთლიანად საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 81 სულით განისაზღვრებოდა. კოლმეურნეობებს წვრილი რქოსანი პირუტყვი თითქმის აღარ ყავს, გარდა ბათუმის რაიონისა.

მეღორეობა ძირითადად ქობულეთისა და ბათუმის რაიონებშია გავრცელებული, მაგრამ უკანასკნელ წლებს ზემო აჭარაშიც იკიდებს ფეხს. 1959 წ. ღორების სულადობა აჭარაში გადიდდა 1950 წელთან შედარებით $2^1/_2$-ჯერ და უფრო მეტად. ბათუმის რაიონში ღორების მთელი სულადობა ჯიშიანი ღორებიდან შედგება. 1959 წელს აჭარაში ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე 33 სული ღორი მოდიოდა, თითქმის ორჯერ ნაკლები, ვიდრე საქართველოს რესპუბლიკაში მთლიანად.

აჭარაში საკმაო ყურადღება ექცევა მეფრინველეობას. კოლმეურნეობებს აქვთ საკუთარი მეფრინველეობის ფერმები. ქობულეთისა და ქედის რაიონებში მოწყობილია საკოლმეურნეობათშორისო მეფრინველეობის ფერმები, რომლებიც ერთიანებენ რამდენიმე მსხვილ კოლმეურნეობას. ბათუმში არსებობს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური. ფერმებში ადგილობრივი ჯიშის ფრინველს თითქმის სულ აღარ აშენებენ, გავრცელებულია უფრო პროდუქტიული ჯიშები — კვერცხმდებელი და მეხორცე.

მ ე ა ბ რ ე შ უ მ ე ო ბ ა განვითარებულია ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში. ნაწილობრივ აგრეთვე ქედის რაიონში. საკვლევ რაიონში მეაბრეშუმეობის საკვები ბაზა საკმარისია — თუთის ნარგაობას 109 ჰექტარი უკავია. გაშენებულია ძირითადად ჯიში „გრუზია“-ს ნერგები, ნაწილობრივ „ქუთათური“ და ჰიბრიდული ჯიშები. თუთის პლანტაციების $^1/_2$-ზე მეტი ქობულეთის რაიონშია განლაგებული. მეაბრეშუმეობას 85 კოლმეურნეობა ეწევა. გარდა ამისა, მეაბრეშუმეობაში ჩაბმულია კოლმეურნეები და მუშა-მოსამსახურენი. 1959 წელს აჭარაში 1346 კოლოფი თესლიდან 525 ცენტნერი პარკი იქნა მიღებული; ერთ კოლოფზე კი საშუალოდ მიღებული იქნა 39 კილოგრამი პარკი. გრენის ბამოსავლიანობა აჭარაში უფრო მაღალია, ვიდრე აფხაზეთში. თუთის აბრეშუმხვევიას ჯიშებიდან გავრცელებულია — იმერული, კახური და ასკალი.

მეაბრეშუმეობის განვითარებით გამოირჩევა სოფლები: ქობულეთის რაიონში — დაგვა, ბობოყვათი, ფიქვნარი, ციხისძირი, ლეღვა; ბათუმის რაიონში — ხელვაჩაური, ურეხი, ფერია, მეჯინისწყალი, ერგე, თხილნარი, ჭარნალი, ახალსოფელი, ქედის რაიონში — პირველი მაისი და სხვ.

აჭარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია აგრეთვე მ ე ფ უ ტ კ რ ე ო ბ ა. აჭარა მდიდარია თაფლოვანი მცენარეებით, რაც ხელს უწყობს ამ დარგის განვითარებას. ფუტკრის მოშენებას დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარის სოფლის მეურნეობისათვის, რადგანაც სუბტროპიკულ და სხვა კულტურებს ფუტკრით დამტვერვა ესაჭიროება. აჭარის რელიეფი ხელსაყრელ პირობებს ქმნის ფუტკრის მომთაბარეობისათვის. მიუხედავად ამისა, მეფუტკრეობას სათანადო ყურადღება არ ექცევა. 1959 წელს აჭარის კოლმეურნეობებს მხოლოდ 5 ათასამდე სკა ფუტკარი ყავდათ. მეფუტკრეობა განლაგებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე მთიან აჭარაშიც. შვიდწლიანი გეგმის მიხედვით აჭარაში განსაკუთრებით უნდა განვითარდეს მეღორეობა, მეფრინველეობა და მეფუტკრეობა.

საკოლმეურნეო წარმოების ძირითადი მაჩვენებლები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) და შემდგომი პლენუმებისა და პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შედეგად აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გადიდდა ჩაის ბუჩქისა და სხვა სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურათა მოსავალი, განხორციელდა რიგი ღონისძიება კოლმეურნეობათა გამსხვილებისა და ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში საზოგადოებრივი მეურნეობის როლის ამაღლებისათვის.

აჭარის ასს რესპუბლიკაში სულ 166 კოლმეურნეობაა. ერთ კოლმეურნეობაზე საშუალოდ 399 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა მოდის. კოლმეურნეობათა მიწაოსარგებლობის ოდენობის მიხედვით აჭარა ჩამორჩება აფხაზეთს, ზემო და ქვემო იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმს. კოლმეურნეობათა მიწის საშუალო ნორმიდან სახნავი მხოლოდ 15 ჰექტარს შეადგენს.

შრომისუნარიანთა საშუალო რიცხვი აჭარის ერთ კოლმეურნეობაზე 238 კაცს არ აღემატება, რადგანაც შრომისუნარიანი კოლმეურნეთა შედარებით მაღალი პროცენტი (14,6%) მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სხვა შრომებადაწესებულებაში მუშაობს. სასოფლო-სამეურნეო მიწების ოდენობა ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე მერყეობს 0,77 ჰექტარიდან (ბათუმის რაიონი) 2,72 ჰექტარამდე (ხულოს რაიონი), ხოლო სახნავი მიწების ოდენობა 0,18 ჰექტარიდან (ბათუმის რაიონი) 0,59 ჰექტარამდე (ქედის რაიონი). ასეთი დაბალი მაჩვენებლები გამოწვეულია მცირემიწიანობით. საქართველოს აღმოსავლეთ რაიონების კოლმეურნეობებში ეს მაჩვენებლები ბევრად უფრო მაღალია.

1959 წელს აჭარის კოლმეურნეობებში 26,9 ათასი კომლი ითვლებოდა. კოლწევრთა საერთო რაოდენობიდან შრომისუნარიან კოლწევრების რიცხვი 51,4 ათას შეადგენდა.

არსებული შრომითი რესურსები არ არის რაციონალურად გამოყენებული. მიუხედავად სოფლის მეურნეობის დიდი ინტენსივობისა, შრომადღეების გამომუშავება საშუალოდ ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე დაბალია. კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობის გაძლიერება განსაზღვრადოებულ მეურნეობაში აჭარის სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი რეზერვია. ამ რეზერვის გამოყენება მოითხოვს შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებასა და შრომისუნარიანი მოსახლეობის საკოლმეურნეო შრომაში უფრო აქტიურ მონაწილეობას. უნდა გაძლიერდეს კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება დახარჯული შრომის შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს კოლექტიური მეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას.

აჭარის სოფლის მეურნეობა სპეციალიზებულია სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოებაზე. სოციალისტური სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია საერთოდ დაყრდნობილია წამყვანი დარგის ან კულტურის დამხმარე და დამატებით დარგებთან და კულტურებთან შეთანაწყობაზე.

საკოლმეურნეო წარმოებაში დარგთა შეთანაწყობის განსაზღვრის მიზნით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გამოვიყენეთ ნატურალური მონაცემები, როგორიც არის სასოფლოსამეურნეო კულტურების ფართობი, შრომის დანახარჯები სხვადასხვა დარგში, მეცხოველეობის სულადობა, მისი პროდუქტიულობა ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე, ფულადი შემოსავლის ოდენობა სხვადასხვა დარგებიდან და სხვ. ასეთი მაჩვენებლების მეოხებით თუმცა ჩვენ სრული სიზუსტით ვერ დავახასიათებთ ამა თუ იმ დარგის სამეურნეო მნიშვნელობას საკოლმეურნეო წარმოებაში, მაგრამ შედარებითი მიზნებისათვის მათი გამოყენება სავსებით დასაშვებია.

განვიხილოთ აჭარის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების — მემცენარეობისა და მეცხოველეობის შეთანაწყობა. მემცენარეობა აჭარაში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო პროდუქციის 93% იძლევა, კოლმეურნეობათა მთელი ფულადი შემოსავლის 85% ამ დარგზე მოდის. მემცენარეობიდან მიღებული ფულადი შემოსავალი თითქმის 11-ჯერ აღემატება მეცხოველეობიდან მიღებულ შემოსავალს. ბუნებრივია, რომ შრომითი დანახარჯების ძირთადი ნაწილიც მემცენარეობაში იხარჯება. 1959 წელს ამ დარგზე მოდიოდა კოლმეურნეობებში გამომუშავებული შრომადღეების მთელი ოდენობის 67%. ამ ციფრების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარაში საკოლმეურნეო წარმოებაში წამყვანი როლი მემცენარეობას ეკუთვნის. მეცხოველეობა — სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი — აჭარის პირობებში შედარებით სუსტადაა განვითარებული და თავისი მნიშვნელობით ბევრად ჩამორჩება მემცენარეობას.

მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგთა შეთანაწყობის განსაზღვრისათვის, განვიხილოთ ამ დარგების ძირითადი მაჩვენებლები. მემცენარეობაში დამუშავებული მიწის ფართობის 15,3% მარცვლეულის მეურნეობაზე მოდის. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი აჭარაში ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე აფხაზეთში და საქართველოს სხვა რაიონებში (ზემო და ქვემო იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში და სხვ.)

მნიშვნელოვანი ფართობი მეჩაიეობას (20,4%), საკვებმოპოვებას (15,6%), მეხილეობას (15,4%), მეციტრუსეობას (11,5%), მეთამბაქოეობას (6,4%) უკავია. ფართობის მხრივ დაბალი ხვედრითი წონით ხასიათდება მევენახეობა, მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა-მებაღეობა.

შრომის დანახარჯების თვალსაზრისით რომ განვიხილოთ ამ დარგების შეთანაწყობა, დავინახავთ, რომ ამ მხრივ წამყვანი ადგილი მეჩაიეობას და მეთამბაქოეობას უკავია. მარცვლეულის მეურნეობა, საკვებმოპოვება და მეხილეობა ჩამორჩება ამ დარგებს. დანარჩენ დარგებს დაბალი ხვედრითი წონა აქვთ შრომის დანახარჯებში.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას და დარგთა შეთანაწყობას საკოლმეურნეო წარმოებაში უფრო მკვეთრად ცალკეულ დარგთა ფულადი შემოსავალი ახასიათებს. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი აჭარის საკოლმეურნეო მემცენარეობაში მეჩაიეობასა და მეთამბაქოებას უჭირავს. მაღალი შემოსავალი აქვთ კოლმეურნეობებს აგრეთვე მებაღეობა-მევენახეობიდან. დანარჩენ დარგებში საქონლიანობა შედარებით დაბალია, რადგანაც მათი პროდუქცია ძირითადად საკუთარი, საკოლმეურნეო საჭიროებისათვის მოიხმარება.

კომპლექსურად რომ განვიხილოთ მემცენარეობის დარგთა შეთანაწყობა კოლმეურნეობებში ზემომოყვანილ მაჩვენებლების საფუძველზე და აგრეთვე ცალკეულ კულტურების საშუალო მოსავლიანობის გათვალისწინებით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ წამყვანი ადგილი აჭარის სოფლის მეურნეობაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეჩაიეობას; მეთამბაქოეობასა და მეხილეობას (მეციტრუსეობის ჩათვლით) ეკუთვნის. მეჩაიეობა და მეთამბაქოეობა აჭარაში სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის ყველაზე მკვეთრად გამომსახველი დარგებია. მათი მნიშვნელობა აგტონომიური რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრებისათვის ნათელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ ამ დარგების შრომატევადობასა და ამავე დროს მაღალ შეძოსავლიანობას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად. მეხილეობაც, კერძოდ, მეციტრუსეობა შრომატევადი და შემოსავლიანი დარგია. ამ დარგებს საკავშირო მნიშვნელობა აქვთ და მათი შემდგომი აღმავლობისათვის საჭიროა ყველა შესაძლებლობა იქნეს გამოყენებული.

მნიშვნელოვანი დარგებია აგრეთვე მარცვლეულის მეურნეობა, მებოსტნეობა-მებაღჩობა, მეკარტოფილეობა, საკვებმოპოვება. ეს დარგები ძირითადად ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება. აჭარის ზღვისპირა ზოლი საკურორტო ზონაში შედის და ამასთან დაკავშირებით იქ მკვეთრად უნდა განვითარდეს მებოსტნეობა-მებაღჩობა და ნაწილობრივ მეკარტოფილეობა. ამ დარგებმა საგარეუბნო ხასიათი უნდა მიიღოს. კონკრეტული ღონისძიებები უნდა გატარდეს საკვებმოპოვების გადიდებისათვის, რადგანაც იგი მეცხოველეობის განვითარებასთან არის დაკავშირებული. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1961 წ.) პლენუმის დადგენილებათა შესაბამისად, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აჭარაში მარცვლეულის წარმოების გადიდებას, ხოლო ეს გადიდება უნდა მოხდეს არა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ფართობების შემცირების ხარჯზე, არამედ მარცვლეულის მოსავლიანობის მკვეთრი გადიდების გზით.

მეცხოველეობა წარმოდგენილია აჭარის კოლმეურნეობებში ძირითადად მსხვილი რქოსანი პირუტვის მოშენებით. ამ დარგზე მთელი სულადობის 91,5% მოდის. მეღორეობა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება ბევრად უფრო სუსტად არის განვითარებული. ფუღადი შემოსავლითა და შრომის დანახარჯების მხრივაც წამყვანი დარგი მეცხოველეობაში მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენებაა. შრომატევადი და უაღრესად შემოსავლიანი დარგია მეაბრეშუმეობა. მეფრინველეობა და მეფუტკრეობა, თუმცა ამჟამად ჩამორჩენილი დარგებია, მაგრამ მათი განვითარების პერსპექტივა ხელსაყრელია.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის კოლმეურნეობებში მეცხოველეობა ბევრად უფრო ნელი ტემპით და უფრო არათანაბრობით ვითარდება, ვიდრე მემინდვრეობა. მეცხოველეობის დარგები უფრო დაზიანდა დიდი სამამულო ომის პერიოდში; გარდა ამისა, მათ ზრდაზე გავლენა იქონია საკვები ბაზით უზრუნველყოფის დაბალმა დონემ და საკვები კულტურების დაბალმა მოსავლიანობამ.

განვიხილოთ მეცხოველეობის ნაწარმის გამოსავალი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ყოველ 100 ჰექტარზე.

აჭარის კოლმეურნეობებში ყოველ 100 ჰექტარ სახნავსა და სათიბ საძოვრებზე მიღებული იქნა 1959 წელს 10 ცენტნერი ხორცი (ცოცხალი წონით) და 114 ცენტნერი რძე. ამ საშუალო მაჩვენებლებს მეტად ადაბლებს ზემო აჭარის კოლმეურნეობათა მონაცემები, სადაც მიწის სავარგულების სტრუქტურა ხასიათდება შედარებით მცირეპროდუქტიული სეზონური საძოვრების მაღალი ხვედრითი წონით. ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა მიიღეს ყოველ 100 ჰექტარ სახნავსა და სათიბ-საძოვარზე 43 ცენტნერი ხორცი და 294 ცენტნერი რძე. ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა შესაბამისად — 27 და 205. ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესებზე აჭარის კოლმეურნეობებმა მიიღეს 44 კვერცხი, ყოველ 100 ჰექტარ ხნულზე — 16 ცენტნერი ღორის ხორცი.

მეცხოველეობის ნაწარმის გამოსავალი მიწის სავარგულების ერთეულზე ჯერჯერობით დაბალია და ჩამორჩება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის მაჩვენებლებს, მაგრამ წინა წლებთან შედარებით იგი გაზრდილია რამდენადმე. მეცხოველეობის ნაწარმის მაღალი გამოსავლით გამოირჩევა ბათუმისა და ქობულეთის რაიონები.

აჭარის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია, იგი სპეციალიზებულია ძვირფას სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურებზე, რაც მეურნეობის მაღალ ინტენსიობას გულისხმობს. საკოლმეურნეო წარმოება აჭარაში წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება. საკოლმეურნეო ეკონომიკის განმტკიცება თავის გამოსახულებას ფულად შემოსავლისა და განუყოფელი ფონდების ზრდაში პოულობს. 1959 წელს აჭარის კოლმეურნეობებმა ყოველ 100 ჰექტარ დამუშავებულ ფართობზე საშუალოდ 894 ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღეს მემცენარეობიდან. მთელი საქართველოს კოლმეურნეობათა შესატყვისი მაჩვენებელი კი 211 ათას მანეთს არ აღემატება. განუყოფელი ფონდების ზრდამ საშუალება მისცა კოლმეურნეობებს განმტკიცონ საზოგადოებრივი მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გააფართოონ კაპიტალური მშენებლობა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდება მექანიზაციის ფართოდ დანერგვას მოითხოვს. რაც უზრუნველყოფს შრომის მწარმოებლურობის ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონები აჭარის ასს რესპუბლიკაში

სოციალისტური მშენებლობის წლების მანძილზე აჭარის სოფლის მეურნეობის სტრუქტურამ და სპეციალიზაციამ უადრესად მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადა. სოფლის მეურნეობის განვითარებაში წამყვანი როლი საკაშირო მნიშვნელობის დარგებმა და კულტურებმა დაიკავეს. საკვლევი რაიონი, შრომის ტერიტორიული დანაწილების საფუძველზე, სპეციალიზებულია ჩაის, ციტრუსოვანთა, თამბაქოს და სუბტროპიკული მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებაზე. გარდა ამ კულტურებისა, აჭარის ასს რესპუბლიკაში განვითარდა მეხილეობა, მეაბრაშუმეობა, მევენახეობა. ამასთან ერთად გაფართოვდა ადგილობრივი მოხმარების სასურსსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგები—მებოსტნეობა-მებაღეობა, საკვებმომპოვება, პროდუქტიული მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და სხვ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორი ორგანიზაცია არსებული ბუნებრივი პირობებისა და ეკონომიური რესურსების კომპლექსურ გამოყენებას გულისხმობს.

ვიღებთ რა მხედველობაში საკვლევ ტერიტორიაზე არსებულ ნიადაგობრივ-კლიმატურ და საწარმოო-ეკონომიურ თავისებურებებს და სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარების დასახულ პერსპექტივებს, აჭარის ასს რესპუბლიკაში შესაძლებლად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო წარმოების 2 ზონა გამოვყოთ: აჭარის ზღვისპირა და შიდა აჭარის ზონები. თითოეულ ზონაში სოფლის მეურნეობამ გარკვეულად თავისებური საწარმოო მიმართულება მიიღო.

ა ჭ ა რ ი ს ზ ღ ვ ი ს პ ი რ ა ზ ო ნ ა ში ქობულეთისა და ბათუმის ადმინისტრაციული რაიონებია გაერთიანებული. აქ არის თავმოყრილი საკვლევი რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები. ზონის სპეციალიზაციის პროფილი განისაზღვრება მეჩაიეობით, მეციტრუსეობითა და მეხილეობით. წამყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი როლი მეჩაიეობას უჭირავს. ზონის კოლმეურნეობათა მემცენარეობის-ფაბრიკა მეცხოველეობის საერთო პროდუქციის ღირებულებაში ჩაის პლანტაციების პროდუქციას 1959 წელს 80%-მდე ეკავა. კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალში მეჩაიეობის ხვედრითი წონა 75%-ზე მეტი იყო. გარდა კოლმეურნეობებისა, ზონაში მეჩაიეობას 15 საბჭოთა მეურნეობა ეწევა. მათი როლი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანაში საკმაოდ დიდია. ჩაის პლანტაციების კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად, ყოველწლიურად იზრდება მოსავლიანობა. ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო-საჰექტრო მოსავლიანობის მიხედვით აჭარის ზღვისპირა ზონას პირველი ადგილი უკავია საქართველოში. ჩაის მწვანე ფოთოლი მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

ზონის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია აგრეთვე მეციტრუსეობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეციტრუსეობამ შავი ზღვის სანაპირო ზოლში სამრეწველო ხასიათი მიიღო — შეიქმნა ციტრუსების მძლავრი საბჭოთა მეურნეობები, რიგი კოლმეურნეობები სპეციალიზებული იქნა მეციტრუსეობაზე. ციტრუსოვანთა ნარგავების მიხედვით საქართველოში პირველი და მეორე ადგილები ზონის ადმინისტრაციულ რაიონებს უკავია — ქობულეთისა და ბათუმის. უმთავრესად მანდარინის კულტურაა გაშენებული, თუმცა ფორთოხალსაც და ლიმონს საკმაო ფართობი უკავია, მკაცრ ზამთრებში მეციტრუსეობა მნიშვნელოვან ზიანს განიცდის და ზოგი ნარგავი კიდეც იღუპება, მაგრამ ეს დარგი მაინც რენტაბელურია და გარკვეულ როლს თამაშობს კოლმეურნეობათა ეკონომიკაში.

შრომატევადი და მაღალმოსავლიანი დარგია მეხილეობა. ხეხილის ბაღების მთელი ფართობის თითქმის $^2/_3$, ხოლო სუბტროპიკული ხეხილის 4/5-ზე მეტი აჭარის ზღვისპირა ზონის ტერიტორიაზეა განლაგებული. ზონაში გავრცელებულია ყველა სახის ხეხილი-თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და სუბტროპიკული. მეხილეობა დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობებს, განსაკუთრებით განვითარდა თხილის კულტურა, სუბტროპიკული ხურმისა და სხვ. მეხილეობა მაღალი საქონლიანობით ხასიათდება, მას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს.

სუბტროპიკული კულტურებიდან ზონაში გავრცელებულია აგრეთვე ტუნგი, კეთილშობილი დაფნა, ბამბუკი.

გარდა აღნიშნული მთავარი დარგებისა, მნიშვნელოვან როლს საკოლმეურნეო წარმოებაში ასრულებენ: მებოსტნეობა-მებაღჩეობა, მარცვლეულის მეურნეობა, სარძეო-სახორცე მომართულების მესაქონლეობა, საკვებმოპოვება, მეაბრეშუმეობა, მეფრინველეობა.

ზონის სოფლის მეურნეობის უახლოეს ამოცანად მიჩნეულ უნდა იქნეს: ჩაის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარება, ციტრუსების პლანტაციების შემდგომი გაფართოება და ყინვებისაგან დაღუპული და დაზიანებული პლანტაციების აღდგენა, მძლავრი კომპლექსური საგარეუბნო მეურნეობის შექმნა განვითარებული მებოსტნეობა-მებაღჩეობით, მეხილეობით, სარძეო-სახორცე მესაქონლეობით, საკვებრცხე-სახორცე მეფრინველეობით და სხვ., რომელიც შეძლებს ადგილობრივი მოსახლეობისა და ჩამოსული დამსვენებლების მზარდ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე.

შიდააჭარის ზონაში შედის ქედის, შუახევის და ხულოს ადმინისტრაციული რაიონების ტერიტორია. ეს არის მეთამბაქოეობისა და სახორცე-სარძეო მომართულების მესაქონლეობის ზონა. ზონის ბუნებრივი და სამეურნეო პირობები ხელს უწყობს ისეთი კულტურების წარმოებას, როგორიც არის თამბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქო, ხეხილი, ყურძენი, კარტოფილი, სიმინდი, საკვები კულტურები. მიწის ფონდის სტრუქტურაში მაღალი ხვედრითი წონა აქვს ბუნებრივ საკვებ სავარგულებს, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეცხოველეობის განვითარებისათვის. წამყვანი როლი ზონაში მეთამბაქოეობას უჭირავს. აქ განლაგებულია აჭარის თამბაქოს პლანტაციების მთელი ფართობის 9/10-ზე მეტი (92%). ზონაში მოყვანილი თამბაქოს ფოთოლი მაღალი ხარისხის თამბაქოს ნედლეულს იძლევა. 1959 წელს ზონის კოლმეურნეობათა მემცენარეობისა და მეცხოველეობის საერთო პროდუქციის ღირებულების 34,6% მეთამბაქოეობაზე მოდიოდა. კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალში მეთამბაქოეობას პირველი ადგილი უკავია. იგი ზონის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის განმსაზღვრელ ძირითად სასაქონლო დარგს წარმოადგენს. უკანასკნელ წლებში ზონის მეთამბაქოებმა თვალსაჩინოდ აწიეს თამბაქოს მოსავლიანობა. შედა აჭარის ზონის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია აგრეთვე მესაქონლეობა. მას სახორცე-სარძევე მიმართულება აქვს. აჭარის მსხვილი რქოსანი პირუტყვის მთელი სულადობის თითქმის 3/4 ზონის ტერიტორიაზეა მოთავსებული. მესაქონლეობა რენტაბელური დარგია და მნიშვნელოვან ფულად შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობებს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობათა ძროხების პროდუქტიულობა მკვეთრად გაიზარდა.

ზონაში გავრცელებულია აგრეთვე მეხილეობა, მევენახეობა, მეკარტოფილეობა, მარცვლეული კულტურების წარმოება. ეს დარგებიც გარკვეულ როლს თამაშობს ზონის ეკონომიკაში.

ზონის სოფლის მეურნეობის ამოცანებია — მეთამბაქოეობის, მეხილეობის, მევენახეობის და მარცვლეული კულტურების წარმოების შემდგომი განვითარება, პირუტყვის საკვების წარმოების მკვეთრად გადიდება და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება.

Н. Г. ДЕВИДЗЕ.

РАЗВИТИЕ И РАЗМЕЩЕНИЕ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА АДЖАРСКОЙ АВТОНОМНОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

Резюме

Аджарская Автономная Советская Социалистическая республика занимает видное место в сельском хозяйстве Грузинской ССР. Аджария — наиболее ярко выраженный район развитого субтропического земледелия, где за годы Советской власти возникли плантации цитрусовых, чая, тунга, бамбука и др.

В условиях социалистического строя почвенно-климатические условия явились важной предпосылкой для создания в Аджарии многогранного высокоразвитого субтропического хозяйства. Климат влажных субтропиков с мягкой зимой и жарким летом в прибрежной полосе, а также наличие красноземных, желтоземных и субтропических подзолистых почв создали весьма благоприятные условия для разведения ценных субтропических культур. На основе колхозного строя сельское хозяйство Аджарии подверглось за советский период коренной реконс-

струкции — в совхозах и колхозах были заложены крупные плантации новых культур: чая, цитрусовых, тунга, бамбука, благородного лавра, субтропической хурмы и т. д.; дальнейшее развитие получили существующие отрасли сельского хозяйства — табаководство, плодоводство, виноградарство. Субтропическое хозяйство превратилось в ведущую, профилирующую отрасль сельского хозяйства Аджарской АССР. Современная Аджария — район развитых субтропических и технических культур.

Изменение отраслевой структуры сельского хозяйства повлияло на характер использования земельных фондов и структуру земельных угодий. Благодаря условиям рельефа сельское хозяйство Аджарии характеризуется недостаточной обеспеченностью сельскохозяйственными угодьями. Сельскохозяйственная площадь не превышает 27,5% земельного фонда, в то время, как по Грузинской ССР она составляет 38%. Обращает на себя внимание чрезмерно низкий удельный вес пахотной земли (6,3%).

Характерной особенностью структуры земельного фонда Аджарии является весьма высокий удельный вес многолетних насаждений, который равен 57,2% обрабатываемой площади; по Грузинской ССР этот показатель не превышает 19,5%. Пастбищами Аджария обеспечена хуже, чем Грузинская ССР в целом, сенокосами — несколько лучше. Значительная часть территории (54%) покрыта лесом, по лесистости Аджария занимает одно из первых мест среди экономико-географических районов Грузии.

Сельское хозяйство Аджарской АССР является многоотраслевым, в нем широко представлены различные отрасли земледелия и животноводства, оно характеризуется низким уровнем механизации, что связано в основном с горным рельефом страны.

Одной из ведущих отраслей сельского хозяйства Аджарской АССР является чаеводство, которое имеет важное значение для экономики автономной республики. На красноземных, частично желтоземных и подзолистых почвах размещены обширные чайные плантации, занимающие более 6,3 тысяч гектар. Основные массивы чайных плантаций находятся в приморской зоне — в Батумском и Кобулетском районах. По урожайности чайных плантаций Аджария занимает первое место в Грузинской ССР. Чай — высокодоходная культура. Помимо колхозов чаеводством занимаются 15 совхозов. На базе чайного хозяйства в Аджарии создано 11 чайных фабрик.

Важной отраслью субтропического сельского хозяйства Аджарской АССР является цитрусоводство. В этом отношении Аджария выделяется среди всех других субтропических районов Грузии. В 1949—1950, а также 1953—1954 гг. значительная часть цитрусовых насаждений погибла от исключительно сильных морозов, в результате площадь под цитрусовыми культурами сократилась. В 1959 году площадь под цитрусовыми была равна 5,3 тысяч гектар. Цитрусовые плантации размещены только в Кобулетском и Батумском районах. По площади

цитрусовых насаждений Кобулетский район занимает первое место в Грузии, Батумский район — второе.

Древнейшей отраслью сельского хозяйства Аджарии является плодоводство. Площадь плодовых садов превышает 7 тысяч гектаров. Аджария славится качеством своих плодов. Возделываются почти все виды плодовых культур — семечковые, косточковые, орехоплодные, субтропические. Плодоводство распространено по всей Аджарии, но главным образом в Кобулетском и Батумском районах. Из субтропических плодовых следует отметить субтропическую хурму, инжир, гранат, фейхоа и др. Плодоводство доходная отрасль и имеет важное значение для экономики Аджарии.

Наряду с плодоводством в Аджарии развито виноградарство. В прошлом был развит экстенсивный тип виноградарства, представленный высокоствольными насаждениями, однако в последнее время получили распространение и низкоствольные насаждения, которые занимают преобладающее место. Площадь виноградников достигла в 1959 году 682 гектара, в том числе низкоствольные виноградники 575 гектаров. Виноградники размещены главным образом в Верхней Аджарии. Примечательно, что виноградарство Аджарии отличается высокой урожайностью.

Помимо цитрусовых и субтропических плодовых в Аджарии разводятся также ценные многолетние субтропические культуры — тунг, благородный лавр, бамбук. Плантации тунга и бамбука размещены только в Кобулетском и Батумском районах, благородный лавр встречается повсеместно, но основные массивы — в приморской полосе.

Посевная площадь Аджарии составила в 1959 году 8,6 тыс. гектаров, по сравнению с 1940 годом она значительно сократилась, что вызвано, с одной стороны, расширением площадей под многолетние насаждения, с другой стороны — развитием эрозионных явлений на незащищенных склонах.

За годы Советской власти структура полеводства улучшилась и стала более рациональной. Удельный вес зерновых культур снизился с 93% в 1923 году до 57% в 1959 году; технические культуры составили 9,3% посевной площади, кормовые культуры — 27,7%. Основной зерновой культурой является кукуруза. Урожайность кукурузы низкая, что вызвано в основном неудовлетворительной обработкой полей — непроведением в установленные сроки необходимых агромероприятий, а также недостаточным применением минеральных удобрений. В работе приводятся данные о географическом размещении зерновых культур и намечаются мероприятия, осуществление которых должно привести к подъему зернового хозяйства.

Из технических культур следует отметить табак. Табаководство играет важную роль в сельском хозяйстве Аджарии. В Верхней Аджарии табаководство является основной товарной отраслью, определяющей профиль специализации сельского хозяйства указанного подрайона.

Овощеводство недостаточно развито, так как в колхозах основное

внимание уделяется ведущим субтропическим культурам. Намечается концентрация овощеводства вокруг курортов. Перспективы развития благоприятные.

Площадь под кормовыми культурами в последнее время значительно увеличилась. Больше $^2/_3$ этой площади занято силосными культурами.

Существенную роль в сельском хозяйстве Аджарской АССР играет животноводство. Аджария не обеспечена твердой кормовой базой животноводства. Особенно сильный недостаток в кормах ощущается в приморской полосе. Структура животноводства в переводе на условный скот представляется в следующем виде: крупный рогатый скот 88%, овцы и козы 7,8%, свиньи 1,8%, лошади 2,4%. Направление животноводства мясо-молочное, в приморской зоне—молочно-мясное. Животноводство характеризуется весьма высокой плотностью. На каждые 100 га пашни, сенокоса и пастбищ приходится 160 голов крупного рогатого скота, в том числе 64 коровы, а по Грузии в целом — соответственно 57 и 22. Продуктивность животноводства в приморской полосе высокая. В Батумском районе среднегодовая удойность на одну колхозную фуражную корову составляла в 1959 году 2470 килограммов. По удойности коров батумские колхозы занимают первое место в Грузии. Отсталой отраслью животноводства является птицеводство, хотя в последнее время ему оказывается большое внимание — организуются крупные межколхозные птицеводческие фермы, что дает возможность значительно снизить расходы и повысить рентабельность хозяйства.

В Аджарии широко развито шелководство. Эта острасль распространена, главным образом, в Кобулетском и Батумском районах, частично в Кедском районе.

Обилие в Аджарии медоносной растительности способствует развитию пчеловодства, но этой отрасли в колхозах не уделяется должное внимание. По семилетнему плану намечается особо значительное развитие пчеловодства, а также свиноводства и птицеводства.

В работе освещаются основные показатели колхозного производства, в частности вопрос о сочетании отдельных отраслей и культур в сельском хозяйстве.

На основе анализа структуры сельского хозяйства, в исследуемом экономико-географическом районе выделены 2 зоны сельско-хозяйственного производства в соответствии с почвенно-климатическими и производственно-экономическими особенностями: 1. Приморская и 2. Внутренне-Аджарская. Первая зона охватывает территорию Кобулетского и Батумского районов и является зоной чаеводства, цитрусоводства и плодоводства. Во вторую зону входят Кедский, Шуахевский и Хулойский районы. Это—зона табаководства и животноводства мясо-молочного направления.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატ. კრებული, ბათ., 1958.
2. აჭარის ეკონომიურ-გეოგრაფიული ექსპედიციის მიერ მოპოვებული სტატისტიკური მასალები, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდ. №№ 710 — 714, 720.
3. ვ. შ ქ ა ვ ა ნ ა ძ ე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, მოხსენება ა/ქაკკასიის სოფ. მეურნ. მოწინავეთა თათბირზე, გაზ. „კომუნისტი“, 1961, 7. 11.
4. ნ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ნ. ჯ ი ბ უ ტ ი, აჭარის ასსრ, ბათ., 1957.
5. ი. რ ც ხ ი ლ ა ძ ე, საქართველოს მეგენახეობა და მეღვინეობა, თბ., 1956.
6. საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, თბ., 1925.
7. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგება, სპეციალიზაცია და სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემები, ტ.1, თბ., 1960.
8. ო. შ ა ვ ი ძ ე, მაღალმთიანი რაიონების საკვლევებლის ანგარიში, „საქართველოს კოლმეურნე“, 1959, № 1, გვ. 32 — 33.
9. ს. ჩ ი ხ ლ ა ძ ე, გ. ჩ ხ ა ი ძ ე, ს. ჯ ო გ ლ ი ძ ე, ზოგიერთი მონაცემები მეფუტკრეობის განვითარების საკითხებზე აჭარაში, ბათ., 1958.
10. ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, მეთამბაქოეობა, თბ., 1958.
11. ი. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ბათუმის რაიონი, ბათ., 1960.
12. А. Бучукури, Плодоводство эконом-географ. района — Аджарская АССР, Тб., 1947, ф. ин-та географии им. Вахушти, № 407.
13. Грузинская ССР, статистический сборник, Тб., 1959.
14. Грузинская ССР, экономико-географическая характеристика, изд. 2-ое, М., 1958.
15. П. В. Гугушвили, Табаководство в Грузии и Закавказье 1801—1920 гг., ეკონომიკის ინსტ. შ., ტ. XI, 1959.
16. П. В. Гугушвили, Шелководство в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., Тб., 1960.
17. М. О. Кордзахия и др., Климат Аджаро-Гурии, ф. ин-та географии им. Вахушти, № 101.
18. И. С. Микеладзе, Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, Тб., 1959.
19. С. Н. Тимофеев, Очерк виноградарства в Батумском и Артвинском округах, ССВВК, в. IV, Т., 1896.
20. М. Н. Сабашвили, Почвы Грузии, Тб., 1948.

Ე. კობახიძე

აჭარის ასსრ საკურორტო მეურნეობა

აჭარის ზღვისპირა ზოლს დიდი საკურორტო ღირებულება გააჩნია. იგი გადაჭიმულია ბათუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 კმ-ის მანძილზე. აჭარის სანაპირო მეტწილად მთიანია, ქედები თანდათანობით დაბლდებიან ნაპირისაკენ, და ალაგ-ალაგ ეშვებიან ლაჟვარდოვან ზღვაში მარადმწვანე მცენარეულობით შემოსილი კონცხებით. ამგვარად აქ ჰარმონიულად არის შეხამებული მთებისა და ზღვისპირეთის სილამაზე.

აჭარის სანაპირო ზოლის კლიმატი გამოირჩევა განსაკუთრებული სირბილით. საშუალოთვიური ტემპერატურის ამპლიტუდა აქ მინიმალურია და 17° არ აღემატება, ე. ი. იმდენივეა, რამდენიც სახელგანთქმულ კურორტ ნიცაში. თვეების მიხედვით საშუალო ტემპერატურის განაწილება შემდეგ სურათს იძლევა (შედარებისათვის მოგვყავს სოხუმის შესაბამისი მაჩვენებლები):

ცხრილი № 1

თვეები მეტეოსადგურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
1. ბათუმი	6.4	6,5	8.4	11,3	16,1	20,3	23,0	23,2	20.2	16.3	12,1	9,2	14,4
2. სოხუმი	5,7	6 3	9.4	12.7	17.1	20.8	23,5	23,9	20,6	16.7	12.0	8,2	14,7

როგორც ცხრილიდან ჩანს, საშუალოწლიური ტემპერატურა ბათუმში და სოხუმში თითქმის ერთნაირია, ამასთანავე სოხუმში უფრო თბილია გაზაფხულ-ზაფხული, ბათუმში—კი ზამთარი.

მზის ნათების ხანგრძლივობით (1852 საათი წელიწადში) ბათუმი საგრძნობლად ჩამორჩება შავიზღვისპირეთის სხვა საკურორტო ადგილებს, თუმცა ამ მაჩვენებლით სჯარბობს ბალტიის ზღვის სანაპირო ზოლის კურორტებს.

აჭარის ზღვისპირეთის პლაჟების უმეტესობა საუცხოო ხარისხისაა, განსაკუთრებით ქობულეთში. დადებით ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე ზღვის წყლის მაღალი ტემპერატურა, რომელიც ზაფხულში შეადგენს 24°, წინააღმდეგ 23° სოჭაში და 19° იალტაში.

ამრიგად, ზღვის წყლის ტემპერატურა აჭარის ნაპირებთან მეტია, ვიდრე სოჭის საკურორტო რაიონის ან ყირიმის ნაპირებთან. ეს სხვაობა კიდევ უფრო მკვეთრია, საბჭოთა კავშირის სხვა საზღვაო კურორტებთან შედარებით. რიგის ზღვისპირეთში, მაგალითად, ზაფხულის თვეებში ზღვის წყლის საშუალო ტემპერატურა 17-18° არ აღემატება.

კურორტების შესაქმნელად სავსებით ხელსაყრელია აჭარის მთიანი რაიონებიც. მათთვის დამახასიათებელია შედარებით გრილი და რბილი კლიმატი, მდიდარი და მრავალრიცხოვანი მცენარეულობა, ლამაზი ლანდშაფტები.

მთიანი ზონა მინერალური წყაროებითაც არის მდიდარი. მათი რაოდენობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ათეულს აღწევს. აღსანიშნავია მერისის რკინიანი და გოგირდოვანი, ნამონასტრევის რადიოაქტიურ-კირიანი, კოკოტურის ტუტე-კირიანი, ლუმბაძის და ბაკანთის რკინიანი წყლები ქედის რაიონში. ამ კუთხეს ჰიდრომინერალური რესურსების სიუხვით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აჭარაში. ქედის რაიონის მინერალური წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. ცნობილია აგრეთვე თბილი მარილიანი და გოგირდოვანი წყაროები შუახევის რაიონში; გოგირდოვანი წყაროები ს. ს. აგარასა და ხულოში, რკინიანი წყალი სოფ. ბუშუმთან. მინერალური წყაროები გვხვდება აგრეთვე ქობულეთის რაიონის მთიან ნაწილში: ს.ს. ცხემლოვანში, ჩაქვისთავში და სხვა. აღნიშნული მინერალური წყაროების დიდი ნაწილი მდებარეობს კლიმატურად ხელსაყრელ და ადგილად მისადგომ ადგილებში, რაც შრეული, ბალნეოკლიმატური კურორტების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

რევოლუციამდელ პერიოდში აჭარის საკურორტო სიმდიდრეები შედარებით მცირე მასშტაბით იყო ათვისებული, თუმცა ბათუმის და მისი მიდამოების საკურორტო ღირებულება ყურადღება მიექცა ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლების დამლევს, ამ კუთხის რუსეთთან შეერთების შემდეგ. აქ აგებული იქნა შეძლებული პირების აგარაკები. მწყობრში ჩადგნენ კერძო სასტუმროები და პანსიონატები. მარტო ციხისძირში პირველი მსოფლიო ომის დაწყებისათვის ითვლებოდა 100-მდე საგარაკო შენობა და 2 სასტუმრო. მწვანე კონცხზე რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ შეიქმნა სანატორიუმი დაჭრილი ოფიცრებისათვის, რომელმაც 2 წელი იარსება, ხოლო ქობულეთში 1905 წლიდან ფუნქციონირებდა რკინიგზის უწყების სანატორიუმის ტიპის დაწესებულება. 1910 წელს მახინჯაურის მინერალური წყაროების ბაზაზე ააგეს მცირე ტევადობის გოგირდოვანი აბაზანების შენობა. მიუხედავად ჩატარებული მშენებლობისა, აჭარის კურორტები კეთილმოწყობის მხრივ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. რევოლუციამდელი რუსეთის საკურორტო მეურნეობის საერთო ჩამორჩენილობის ფონზე აჭარის კურორტები კიდევ უფრო დაბალ დონეზე იდგნენ.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში აჭარის კურორტებზე ყოველწლიურად 4-5 ათასი ადამიანი ისვენებდა, იმ დროს, როცა კავკასიის მინერალური წყლების კურორტებზე დამსვენებელთა საერთო რაოდენობა აღემატებოდა 40 ათას ადამიანს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი აჭარის კურორტების დემოკრატიზაცია. სოციალისტური მშენებლობის წლებში სისტემატურად სწარმოებდა კურორტების გაფართოება და რეკონსტრუქცია. არსებული კერძო პირთა ნაციონალიზირებული აგარაკები გადაკეთდა სანატორიუმებად და დასასვენებელ სახლებად. გაიშალა ახალი მშენებლობაც, რომელმაც განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ოცდაათიან წლებში. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე აჭარის კურორტების მშენებლობაზე და კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 9.4 მლნ. მან. (1926/27 წ.წ. ფასებში). დამსვენებელთა საერთო რაოდენობა რევოლუციამდელ დონესთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა და უკვე 1932 წელს მიაღწია 29 ათას, რომელთა შორის 10 ათასამდე ადამიანი საგზურებით ისვენებდა. 1940 წლისათვის აჭარაში შექმნილ იქნა საკმაოდ განვითარებული საკურორტო მეურნეობა. ამ წელს მუშაობდა 17 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, რომლებმაც 16 ათასი დამსვენებელი გაატარეს.

დიდი სამამულო ომის წლებში სანატორიუმები და დასასვენებელი სახ-

ლები გადაკეთდნენ სამხედრო ჰოსპიტალებად, სადაც წარმოებდა საბჭოთა-ათ-ბ-ბ-ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარონ იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ გაფართოვდა სანატორიუმებისა და დასასვენებელ სახლთა საწოლთა ფონდი, გაუმჯობესდა კეთილმოწყობა და დამსვენებელთა მომარაგება.

გეოგრაფიული მდებარეობისა და საკურორტო სპეციალიზაციის შესაბამისად აჭარის ასსრ ტერიტორიაზე გამოვყოფთ კურორტთა ორ ჯგუფს: ბათუმისა და ქობულეთის. პირველი მათგანი მოიცავს ბათუმს, მახინჯაურს, მწვანე კონცხსა და სამთოკლიმატურ კურორტ ცისკარს (მტირალს): მეორეში-კი ვაერთიანებთ ქობულეთსა და ციხისძირს. ბათუმის ჯგუფის კურორტებისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია ტურისტულ-სამკურნალო ფუნქცია, ქობულეთის ჯგუფისათვის-კი ძირითადია სამკურნალო ფუნქცია.

საყოველთაოდ აღიარებულ საზღვაო კურორტს წარმოადგენს ბათუმი. მისი მიდამოები სამართლიანად ითვლება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხედ. ბათუმის კლიმატის დადებით მხარეს წარმოადგენს ნისლოვანი დღეების სიმცირე და წვიმიანი ამინდის სწრაფი შეცვლა მზიანი ამინდით. ქარები აქ იშვიათად იცის და წყანარი დღეების რიცხვი ორჯერ მეტია, ვიდრე სოხუმში და სოჭაში, ქარის საშუალო სიჩქარე-კი ორჯერ ნაკლებია. ამის გამო, ბათუმისათვის დამახასიათებელია წყანარი ხავერდოვანი ჰაერი, რომელიც გამოირჩევა იშვიათი გამჭვირვალობით და მოკლებულია მტვერს. ბათუმის კლიმატის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ნალექიან დღეთა დიდი რაოდენობა (154); სახანაო სეზონის ხანგრძლიობა (სამკურნალო მიზნებისათვის) საკმაოდ დიდია და გრძელდება ივნისიდან ოქტომბრამდე ჩათვლით. ბათუმი, როგორც კლიმატური კურორტი 900-იან წლებიდანაა ცნობილი, თუმცა მასიურად დამსვენებლებმა აქ მხოლოდ 30-იანი წლებიდან იწყეს ჩამოსვლა. მთ მოზიდვას ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩატარებულმა სამუშაოებმა ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში. ამკამად ბათუმი საბჭოთა შავიზღვისპირეთის ერთერთი საუკეთესო ქალაქია. მისი ნაგებობები მოქცეულია მარადწვანე სუბტროპიკული მცენარეულობით შემოსილ გორაკ-ბორცვების ჩარჩოში; ქალაქის ხედს აგრეთვე აშშვენებს ალმოსავლეთით გაჭიმული მაღალი ქედები. ბათუმისა და მისი მიდამოების სილამაზე იზიდავს მრავალრიცხოვან დამსვენებლებსა და ტურისტებს, რომელთა რაოდენობამ 1959 წელს 70-80 ათას კაცს მიაღწია. მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (7 ათასამდე) გაატარა ბათუმის ახალმა 220-ადგილიანმა ტურისტულმა ბაზამ, დანარჩენი-კი უსაგზაუროდ ისვენებდა.

ბათუმი მზარდი რაოდენობით იზიდავს ტურისტებს არა მარტო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც. მარტო 1959 წელს ბათუმს ესტუმრა რამდენიმე ათასი უცხოელი ტურისტი მსოფლიოს 23 ქვეყნიდან.

დამსვენებელთა მომსახურეობის გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად უნდა იქნას მიჩნეული არსებული სასტუმროებისა და ტურისტული ბაზის გაფართოება. სასურველია აგრეთვე საზაფხულო ტიპის სასტუმროების მშენებლობა.

ბათუმიდან 6-კმ-ის დაშორებით, კარა-დერესა და მწვანე კონცხებს შორის მდებარეობს ზღვისპირა კლიმატური კურორტი მახინჯაური. აღნიშნული კონცხები ქმნიან 3—4 კმ სიგრძის მქონე, ზღვისაკენ ფართოდ გაშლილ ველს. ზღვისნაპირისაგან მცირე დაშორებით ამფითეატრისებურად გაფენტულია სუბტროპიკული მცენარეულობით დაფარული ბორცვები, რომელთა სიმაღლე თანდათან 300-500 მ-ს აღწევს. მათ უკან აღმართულია საშუალო მთიანი ქედების ჯაჭვი (1500 მ-დე ზ. დ.) მახინჯაურის ველი მთლიანად ჩაფლულია მწვანე სამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სელში, რომლის შორის მიმოფანტულია დასასვენებელი სახლებისა და აგარაკების შენობები.

მახინჯაურის კლიმატური მაჩვენებლები რამდენადმე უკეთესია, ვიდრე ბათუმში. ზაფხული აქ ოდნავ უფრო გრილია, ვიდრე ბათუმში, ზამთარი-კი რამდენადმე თბილი. ქარებისაგანაც მახინჯაური უკეთესად არის დაცული, ვიდრე ბათუმი და ქობულეთი. დამატებით სამკურნალო საშუალებას წარმოადგენენ თბილი მცირედ რადიოაქტიური წყაროები სუსტი მინერალიზაციით და მნიშვნელოვანი საერთო დებიტით. მათ ბაზაზე აგებულია საბაზანო შენობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნაციონალიზირებულ კერძო პირთა აგარაკებისა და ახალი მნიშვნელობის საფუძველზე შექმნილია რამდენიმე დასასვენებელი სახლი და პანსიონატი. უკვე 30-იანი წლების დასაწყისში მახინჯაურში მოქმედებდა ამ სახის სამი დაწესებულება. შემდგომ წლებში საკურორტო დაწესებულებების ქსელი საგრძნობლად გაფართოვდა და 1960 წელს მახინჯაურში მუშაობდა 6 დასასვენებელი სახლი და პანსიონატი, რომელთა ერთდროული ტევადობა ათას საწოლს აღემატებოდა, ხოლო წლიური გამტარუნარიანობა 20 ათას სულზე მეტი იყო.

მახინჯაურის ფაქტიურ გაგრძელებას წარმოადგენს კურორტი მწვანე კონცხი, რომელიც ბათუმიდან 9 კმ-ით არის დაშორებული. იგი ამავე სახელწოდების მქონე კონცხზე მდებარეობს. ეს ადგილი აჭარის სანაპიროს ულამაზესი კუთხეა, წარმოადგენს რა სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეულობის ნამდვილ სამეფოს. კურორტს აშშვენებს პროფ. ა. ნ. კრასნოვის მიერ 1912 წელს დაარსებული ბოტანიკური ბაღი, ერთერთი უდიდესი მთელს საბჭოთა კავშირში.

მწვანე კონცხი ერთ-ერთი პირველი კუთხე იყო აჭარაში, რომელიც გამოყენებულ იქნა რევოლუციამდელ პერიოდში აგარაკების გასაშენებლად. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აგებულია ახალი სანატორიუმის „აჭარის“ რამდენიმე კორპუსი და ტურისტული ბაზის ნაგებობები. კურორტის ერთდროული ტევადობა გაიზარ.და 420 საწოლიდან 1934 წელს 700 საწოლამდე.

ბათუმის კურორტთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს სამთოკლიმატური კურორტი ცისკარა (მტირალა), რომელიც ზღვისპირა რაიონებს ახლადგაყვანილი შარაგზით უკავშირდება. იგი მდებარეობს დაახლოებით 1300 მ სიმაღლეზე ზ. დ., უაღრესად ლამაზ ადგილას, საიდანაც იშლება ვრცელი ხედი შავი ზღვის სანაპიროზე და აჭარა-იმერეთის მთიან სისტემაზე. კურორტის ტერიტორიის ძიკრორელიეფური პირობები (ბლატოსებრივი ზედაპირები) ხელს უწყობენ მის განაშენიანებას. დღესდღეობით აქ მხოლოდ კერძო პირთა აგარაკებია აგებული.

დიდი რაოდენობით დამსვენებელი და ავადმყოფი ეტანება ქობულეთსა და ციხისძირს, სადაც თავმოყრილია აჭარის სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების $^2/_3$. როგორც ტურიზმის რაიონი, ქობულეთი და ციხისძირი მკვეთრად ჩამორჩება ბათუმის ჯგუფის კურორტებს.

ზღვისპირა კლიმატური კურორტი ციხისძირი დაშორებულია ბათუმს 19 კმ-ით და ქობულეთს 5 კმ-ით იგი მდებარეობს მაღალ კლდოვან ნაპირზე და ჩაფლულია მარადმწვანე სუბტროპიკულ მცენარეულობაში. მისი მიდამოები მთლიანად კულტურულ ლანდშაფტს უქირავს. ყოველი დასასვენებელი სახლისა და აგარაკის გარშემო გაშენებულია პარკები, რომლებსაც მინიატურული ბოტანიკური ბაღების სახე აქვთ.

ციხისძირში ჯერ კიდევ რევოლუციამდელ წლებში აგებული იყო შედარებით მრავალრიცხოვანი აგარაკები. საბჭოთა პერიოდში მათი რეკონსტრუქცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ახალი კორპუსების მშენებლობის შედეგად შეიქმნა დასასვენებელი სახლები. 1959 წელს მწყობრში ჩადგა ციხისძირის ტურისტული ბაზა. საკურორტო დაწესებულებების საერთო ტევადობა 1934 წელს შეადგენდა 130 საწოლს, 1950 წელს — 240, ხოლო 1960 წელს მიაღწია 810 საწოლს. კურორტის შემდგომი გაფართოება უნდა წარიმართოს არსებული დასასვენებელი სახლებისა და ტურისტული ბაზის ტევადობის ზრდის ხარჯზე.

აჭარის ასსრ უმნიშვნელოვანეს კურორტს წარმოადგენს ქალაქი და რაიონული ცენტრი ქობული. იგი მდებარეობს ქობულეთის დაბლობის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, რომელიც აღმოსავლეთით შემოფარგლულია ტყიანი მთებით, სამხრეთით კი გადადის ციხისძირის ბორცვებში. ქობულეთის კლიმატი უფრო მშრალია, ვიდრე ბათუმის, მზიან დღეთა რიცხვი მეტია, რაც გამოწვეულია, კურორტის გაშლილი მდებარეობით. ქობულეთისათვის არ არის დამახასიათებელი ისეთი დიდი სიცხეები, როგორიც იცის სოხუმში, ან გაგრაში.

ქობულეთის, როგორც კურორტის, დიდ ღირსებას წარმოადგენს ზღვის წყლის მაღალი ტემპერატურა და საუცხოო ფართო პლაჟი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა შავიზღვისპირეთში.

ქობულეთის კარგმა ბუნებრივმა პირობებმა და მკურნალობის მაღალმა ეფექტმა მიიზიდეს ავადმყოფები და დამსვენებლები ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევიდან. დაიწყო მისი სამკურნალო ფაქტორების შესწავლა ცალკეულ დაინტერესებულ პირთა მიერ. სააგარაკო რაიონად გადაიქცა სოფ. სმეკალოვკა, რომელიც სოფ. ჩურუქ-სუსთან ერთად მოიცავდა დღევანდელი ქობულეთის ტერიტორიას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში პირველი სანატორიუმი შეიქმნა 1924 წელს და მისმა მხოლოდ 30 საწოლი იყო. უკვე პირველ ხუთწლედში კურორტი რეკონსტრუირებულ და ნაწილობრივ კეთილმოწყობილი იქნა. 1932 წელს ქობულეთში იმკურნალა და დასვენა 7.5 ათასმა სტაციონარულმა და დაახლოებით ამდენივე უსაგზურო მოგარაკემ. შემდგომ პერიოდში კურორტ ქობულეთის გაფართოება კვლავ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, იზრდებოდა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი; თუ 1934 წელს კურორტზე მუშაობდა 7 საკურორტო დაწესებულება სულ 780 ადგილზე, 1960 წლისათვის ქობულეთში ფუნქციონირებდა 5 სანატორიუმი. 4 დასასვენებელი სახლი და 1 პანსიონატი 1400 ადგილის ტევადობით. მათი წლიური გამტარუნარიანობა 20 ათას სულს აღწევდა. საკურორტო დაწესებულებათა რაოდენობით და ტევადობით ქობულეთი საქართველოს ზღვისპირა კურორტებს შორის მხოლოდ გაგრას ჩამორჩება.

ქობულეთის სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები მდებარეობენ ზღვის პირას, მრავალწლიან ფიჭვნარში, სადაც ხეების სხვა ჯიშებიც მრავლადაა წარმოდგენილი. აქვე მუშაობს საკურორტო პოლიკლინიკა, სასტუმრო, ზღვის თბილი საბაზანო, სამედიცინო პლაჟი, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

აჭარის კურორტებს შორის ქობულეთს ყველაზე უფრო დიდი თავისუფალი ფართობები (მდ. ჩოლოქის შესართავამდე) გააჩნია ახალი საკურორტო მშენებლობისათვის. შვიდწლიანი გეგმით ქობულეთში გათვალისწინებულია 200-საწოლიანი სასტუმრო-პანსიონატის აგება და არსებული დასასვენებელი სახლების ერთგვარი გაფართოება. შედარებით უფრო შორეულ მომავალში ქობულეთი ჩვენ წარმოგვიდგება როგორც უკიდურესი სამხრეთი ნაწილი იმ დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყვეტი საკურორტო ზოლისა, რომელიც საქართველოს ფარგლებში მოიცავს ზღვისპირა ტერიტორიას მდ. კინტრიშის შესართავიდან მდ. ფსოუმდე. პირველ რიგში მიზანშეწონილად უნდა იქნას მიჩნეული ზღვისპირა ზოლის იმ მონაკვეთის ათვისება, რომელიც მდებარეობს ციხისძირის ბორცვებიდან მალთაყვამდე.

ზოფხულის მაღალი ტემპერატურა აჭარის ზღვისპირა ზოლში იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის ლტოლვას დასასვენებლად მთებში. ბათუმის რაიონის მშრომელებისათვის უკვე არის შერჩეული სამთოკლიმატური კურორტი ცისკარის სახით, ქობულეთელებისათვის-კი მსგავსი რამ ჯერ არ არსებობს. ყველაზე უფრო მოსახერხებელი იქნებოდა საგარაკო ადგილად სოფ. ხინოს მიკრორაიონის გამოყენება.

ზღვისპირა ზოლისაგან განსხვავებით, შიდა აჭარა საკურორტო თვალსაზრისით სრულიად უმნიშვნელოდ არის ათვისებული, აქ მხოლოდ კურორტი ბ ე შ უ მ ი არის შექმნილი. იგი მდებარეობს გოდერძის ულელტეხილის მახლობლად 1800-1900 მ სიმაღლეზე ზ. დ. კურორტის რაიონში მრავალრიცხოვანი აგარაკებით არის მოფენილი არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარე საკმაოდ ფართო და არაღრმა ქვაბული, რომელიც ყოველი მხრივ მთებითაა გარშემორტყმული. ბეშუმს ახასიათებს გრილი და მშრალი მაღალმთიანი კლიმატი, მზის დიდი რადიაცია, ჰაერის სიმდიდრე ოზონით და გამქვირვალობა. კურორტის ახლოს განლაგებულია რკინიანი და გოგირდოვანი მინერალური წყაროები. იგი ეზიდავს ავადმყოფებს და დამსვენებლებს უკვე 30-იანი წლებიდან. ამჟამად აქ მუშაობს 60-ადგილიანი დასასვენებელი სახლი, რომელმაც 1959 წელს 250-მდე კაცი გაატარა. ზოფხულობით კურორტზე მოქმედებენ პიონერთა ბანაკები. სულ ბეშუმში ზაფხულის სეზონში ისვენებს რამდენიმე ათასი მოაგარაკე.

ამრიგად, აჭარის მდიდარმა და მრავალფეროვანმა ბუნებამ, მისმა იშვიათმა სილამაზემ, შექმნა აქ საკავშირო მნიშვნელობის საკურორტო რაიონის ჩამოყალიბების წინაპირობები, სადაც უკანასკნელ წლებში საშუალოდ 150 ათასი მოაგარაკე ისვენებს. საკურორტო მეურნეობა გადაიქცა აჭარის ეკონომიკის მნიშვნელოვან რგოლად. საკმარისია აღინიშნოს, რომ საკვლევი რაიონის მუშამოსამსახურეთა 3% პირდაპირ დასაქმებულია საკურორტო დაწესებულებებში. არაპირდაპირი გზებით-კი (ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო და კულტურულსაგანმანათლებლო დაწესებულებებში) დამსვენებელთა მომსახურეობასთან დაკავშირებულია ბევრად მეტი ადამიანი. ამიტომ აჭარის ასლრ სახალხო მეურნეობის აღმავლობა მნიშვნელოვნად არის შეპირობებული კურორტების ზრდის ტემპებით. თავის მხრივ, საკურორტო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია სპეციალიზირებული (მებოსტნეობის, მესაქონლეობის) საბჭოთა მეურნეობების შექმნა, რომლებიც მკვეთრად გაუმჯობესებდნენ აჭარის კურორტების მომარაგების საქმეს.

Э. Д. КОБАХИДЗЕ

КУРОРТНОЕ ХОЗЯЙСТВО АДЖАРСКОЙ АССР

Резюме

Среди курортных районов советского Черноморья видное место занимает приморская полоса Аджарской АССР. Здесь расположены курорты Батуми, Махинджаури, Зеленый мыс, Цихисдзири, Кобулети.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Особую ценность представляет исключительно мягкий и ровный климат этой части Аджарии. Амплитуры среднемесячных температур тут минимальны и не превышает 17°. Отрицательной стороной является сравнительно меньшее число часов солнечного сияния (1852 в год). Температура морской воды у берегов Аджарии очень высока и превышает аналогичные показатели в любом другом районе Черноморского побережья. Пляжи, особенно в Кобулети, отличаются высоким качеством.

До революции курорты Аджарии даже на фоне общей отсталости курортного хозяйства царской России отличались своей неблагоустройенностью. Количество отдыхающих не превышало 4—5 тыс. человек в год.

За годы советской власти в строительстве и благоустройство курортов Аджарии вложены десятки миллионов рублей. Уже в 1934 году функционировало 15 санаториев и домов отдыха на 1,4 тыс. мест, количество-же курортников составляло 28,6 тыс. чел. (из них 9,6 тыс. стационарных и 19 тыс. внестационарных). В настоящее время (1960) действует 26 курортных и туристических учреждений всех типов на 4 тыс. мест. Общая численность организованных отдыхающих составила в 1959 году 83,7 тыс. чел., в т. ч. приехавших из пределов Грузинской ССР лишь 12,4 тыс. чел., или 14,8%; этот показатель характеризует Аджарию, как всесоюзную здравницу. Всего в курорты Аджарии ежегодно прибывает (включая неорганизованных отдыхающих) 160—180 тыс. чел. и по посещаемости они уступают лишь Абхазии, Сочи, Южному берегу Крыма и Одесским курортам. Аджарское побережье является также объектом международного туризма.

На основе географического положения и курортной специализации на территории Аджарии нами выделено 2 группы курортов: Батумская и Кобулетская.

Известным приморским курортом является **г. Батуми,** который ежегодно посещает 70—80 тыс. чел. Функционирует туристская база и 2 гостиницы, однако, их коечный фонд не удовлетворяет растущих потребностей.

В 6 км от Батуми расположен курорт **Махинджаури,** а еще несколько севернее, **Зеленый мыс.** Это замечательный уголок Аджарии, природа которого отличается исключительной живописностью. Здесь находится 7 санаториев и домов отдыха, пансионат, турбаза. Общее количество отдыхающих превышает 30 тыс. чел. в год. К батумской группе курортов относится также вновь создаваемый горноклиматический курорт **Цискара.**

В число курортов Кобулетской группы входит Цихисдзири и Кобулети. В **Цихисдзири** функционируют дома отдыха (в количестве 5) и туристская база (всего на 810 коек). Число отдыхающих исчисляется примерно в 10 тыс. чел. в год.

Кобулети является один из крупнейших курортов Черноморского побережья Кавказа. Его развитию способствовало наличие первоклассного пляжа и хороших условий для застройки. По количеству отдыха-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ющих на Черноморском побережье Кавказа он уступает лишь Батуми, Сухуми, Гагра, Сочи и Геленджик.

В будущем наиболее перспективной для курортного строительства является территория к северу от Цихисдзири, которая может явиться частью крупной курортной полосы, простирающейся (в пределах Грузинской ССР) до р. Псоу.

Несмотря на благоприятные климатические условия и наличие многочисленных минеральных источников, Внутренняя Аджария в курортном отношении освоена весьма слабо. Здесь имеется лишь один курорт местного значения — Батуми.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1. დ. ყაველიშვილი, კურორტოლოგია, თბ., 1946.
2. Аджарская АССР. Статья в БСЭ, т. I, изд. 2-ое, М., 1949.
3. В. Борчхадзе, Физико-географическая характеристика горного курорта Мтирала. Труды Бат. Гос. пед. ин-та им. Руставели, т. VI. 1958.
4. В. Голицын, Цихисдзири, Бат., 1911.
5. Д. Х. Комахидзе, Батуми, Бат., 1956.
6. Курортный путеводитель. Петроград, 1916.
7. Курорты СССР, справочник. М. Л., 1936.
8. Курорты СССР, М., 1950.
9. Курорты ССР Грузии. М. Л., 1934, на правах рукописи.
10. И. М. Пантюхов, Кобулети, как приморский курорт, 1900.
11. Н. Шереметьевская, Кобулети — приморский курорт, климатическая станция и дачное место, Тф., 1914.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ., შრ., ტ. XIX, 1962
Академия наук Груз. ССР — Труды Института географии им. Вахушти, т. XIX, 1962

თ. ღვინიანიძე, ნ. დორეული

აჭარის ტრანსპორტი და რაიონთაშორისი ეკონომიური კავშირი[1]

აჭარის ასსრ თავის სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობით საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით მთელი რიგი თავისებურებით ხასიათდება. იგი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია მოქცეული და სამხრეთით სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრითაა შემოფარგლული. ამ გარემოებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს აჭარის სატრანსპორტო ქსელის განვითარებისათვის, რადგან პოლიტიკურმა საზღვარმა ერთგვარად შეზღუდა სახმელეთო გზების აუცილებელი და ბუნებრივი განვითარება სამხრეთი მიმართულებით. საზღვაო ტრანსპორტის განვითარების მხრივ აჭარა დიდად ხელსაყრელ პირობებში იმყოფება. საქართველოსა და საბჭოთა კავშირის საზღვაო პორტებს და საერთაშორისო საზღვაო ტრასებს აჭარა ქ. ბათუმის მყუდრო და მოხერხებული ნავსადგურით უკავშირდება. ბაქო-ბათუმის რკინიგზის ხაზით იგი როგორც ამერკავკასიის, ისე საბჭოთა კავშირის ცენტრებთანაა დაკავშირებული. საკავშირო მნიშვნელობის შავი ზღვისპირა ავტომაგისტრალს ერწყმიან მდინარეთა ხეობებიდან გამომავალი განედური მიმართულების საავტომობილო გზები, რომლებიც ზღვისპირა ზოლთან აკავშირებენ მთელ შიდა აჭარას.

კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში აჭარა ჩამორჩენილ სოფლის მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენდა და მისი ხელსაყრელი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა გამოიყენებოდა უმთავრესად კერძო მრეწველების ინტერესებისათვის. ისეთი მოხერხებული ნავსადგური, როგორც ბათუმია, მხოლოდ დიდი სატრანზიტო სადგურის როლს ასრულებდა, რადგან თვით აჭარას საკუთარი ტვირთები მცირე რაოდენობით გააჩნდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ახალი ეტაპი იწყება აჭარის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მათ შორის ტრანსპორტის განვითარებაშიც. აჭარის სატრანსპორტო—გეოგრაფიული მდებარეობა ახალ სახეს იღებს. იგი არამარტო რკინიგზითა და ზღვითაა დაკავშირებული სსრკ-ის დიდ სამრეწველო ცენტრებს, არამედ საჰაერო გზითაც გავიდა საბჭოთა კავშირის შორეულ ტრასებზე. შავიზღვისპირა რკინიგზის ცხაკაია-ადლეიის ხაზის გაყვანის შემდეგ დიდად შემცირდა მანძილი აჭარიდან რუსეთის ცენტრალურ რაიონებამდე. თუ აჭარის ტვირთბრუნვაში თითქმის მხოლოდ სატრანზიტო ტვირთები იღებდა მონაწილეობას, ახლა ქ. ბათუმი განვითარებული მრეწველობის ცენტრია და აჭა-

[1] წერილში — აჭარის ტრანსპორტი — შესრულებულია თ. ღვინიანიძის მიერ, აჭარის რაიონთაშორისი ეკონომიური კავშირი — ნ. დორეულის მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რის სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქტები საკმაო მონაწილეობას იღებენ საერთო ტვირთბრუნვაში.

საბჭოთა პერიოდში შეიქმნა ტრანსპორტის ახალი ორგანიზაცია, რომელიც წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზეა დამკვიდრებული და ცენტრალიზებულ მართვის პრინციპს ემყარება. მთლიანად რეკონსტრუირებული და ელექტრიფიცირებულია აჭარის რკინიგზის ხაზი. ამჟამად თითქმის სავსებით მექანიზირებულია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები. ამან დიდად გაზარდა აჭარის რკინიგზის გამტარუნარიანობა. ასე, მაგალითად, რკინიგზის ტვირთბრუნვა 1959 წელს 19-ჯერ გაიზარდა 1913 წლთან შედარებით.

1928 წლიდან 1932 წლამდე წარმოებდა აგრეთვე ბაიუმის ნავსადგურის რეკონსტრუქცია. აიგო ახალი ნავმისადგომები ნავთობისა და მშრალი ტვირთებისათვის. საბჭოთა პერიოდში შეიქმნა საკუთარი ნავთობგადამსხმელი ძლიერი ფლოტი, რომელთა დატვირთვა-გადმოტვირთვა სავსებით მექანიზირებულია. მშრალი ტვირთებისათვის 1956—57 წლებში დაიდგა მძლავრი ამწეები. რკინიგზის ლიანდაგი უშუალოდ შედის პორტის ტერიტორიაზე, რაც საადვილებს ტვირთის გადატანას ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორე სახის ტრანსპორტზე. ნავსადგურის ტვირთბრუნვა 1913 წელთან შედარებით 1959 წელს 5-ჯერ გაიზარდა.

სამამულო ომის წინა და შემდგომ ხუთწლედებში შეიქმნა აჭარის საავტომობილო ტრანსპორტი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მთავარი გზები, რომლებიც ბორბლიანი ტრანსპორტისათვის იყო განკუთვნილი და ბევრ ადგილას ბილიკებად იყო ქცეული, რეკონსტრუირებულ იქნა. რამდენიმე ასეულ კილომეტრზე ყამრი გზები მაგარსაფრიანად დადაკეთდა. აჭარის ურელსო გზების საერთო სიგრძე 1959 წელს 4-ჯერ გაიზარდა 1913 წლთან შედარებით.

საბჭოთა პერიოდში შესაძლებელი გახდა სატრანსპორტო საშუალებათა უკეთ გამოყენება და სატრანსპორტო სამუშაოების ოპერატიული და ხარისხიანი დაგეგმვა.

აჭარის ასსრ წარმოადგენს ინტენსიური სოფლის მეურნეობის რაიონს განვითარებული მრეწველობით. აჭარის სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა მეტად ხელსაყრელია ამიერკავკასიიდან ისეთი მასიური ტვირთის გასატანად, როგორც ბაქოს ნავთობია. ამიტომაა, რომ აჭარის საზღვაო ტვირთბრუნვაში 88%-ს და რკინიგზის ტვირთბრუნვაში 76,2%-ს ნავთობი შეადგენს. რაც შეეხება მილსადენ ტრანსპორტს, იგი მთლიანად ამ მიზანს ემსახურება. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აჭარის ტრანსპორტის ტვირთბრუნვაში საბჭოთა პერიოდში განვითარებული მრეწველობის პროდუქციას. 1965 წლისთვის აჭარის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1,5-ჯერ უნდა გადიდდეს 1958 წლთან შედარებით, რაც შესაბამისად გაზრდის ყველა სახის ტრანსპორტის ტვირთების მოცულობას. ასევე მკვეთრად გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო ტვირთების ტონაჟი ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვაში.

აჭარის მოსახლეობას და მეურნეობას ამჟამად შემდეგი სახის ტრანსპორტი ემსახურება: საზღვაო, სარკინიგზო, მილსადენი, საავტომობილო, საჰაერო და საჭაპანო. ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობებს შორის ხორციელდება გეგმიანი ურთიერთდამოკიდებულება, რის შედეგადაც დიდად ვითარდება სარკინიგზო, საზღვაო და საავტომობილო შერეული გადაზიდვები. ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობების მონაწილეობა ტვირთბრუნვაში 1959 წელს აჭარის ასსრ-ში შემდეგნაირად გამოიხატება: ავტონომიური რესპუბლიკის საერთო ტვირთბრუნვის უდიდესი ნაწილი — 55,3% მოდის საზღვაო ტრანსპორტზე, ტრანსპორტის დანარჩენ სახეებზე მოდის ტვირთბრუნვის 44,7%. მთლიანი ტვირთბრუნვა 1955

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელთან შედარებით 1959 წელს 1,5-ჯერ გაიზარდა და ტვირთბრუნვის სიდიდით პირველ ადგილზე საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტია.

ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა ნაწილებს შორის ტრანსპორტით ყველაზე უკეთ ზღვისპირა ზოლია უზრუნველყოფილი. აქ ტრანსპორტის ყველა სახეა წარმოდგენილი და თითქმის ყველა მათგანი დიდი ტვირთბრუნვით ხასიათდება. სუსტადაა განვითარებული სატრანსპორტო ქსელი აჭარის მთაგორიან ნაწილში, სადაც ტვირთზიდვა და მგზავრთა გადაყვანა მხოლოდ ავტომანქანებით და საჭიპანო ტრანსპორტით წარმოვის.

აჭარის ტრანსპორტის ზოგადი ნიშნების მითითების შემდეგ, მოკლედ განვიხილოთ მისი თითოეული სახე.

აჭარა ზღვისპირა ქვეყანაა. მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ იგი ძველთაგანვე ზღვაოსნობის მნიშვნელოვან ცენტრად აქცია და ამჟამად, კომუნისტური მშენებლობის პირობებში, მის სატრანსპორტო მეურნეობაში ძირითადი ადგილი საზღვაო ტრანსპორტს უჭირავს. შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზღვაოსნობისათვის შესანიშნავ პირობებს ჰქმნის. ქ. ბათუმი როგორც აჭარის, ისე შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი საუკეთესო ნავსადგურია.

როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა საქართველო თავისი დანგრეული მეურნეობის აღდგენას შეუდგა, ბათუმის ნავსადგურს სათანადო ყურადღება მიექცა. ამ პერიოდში შესაბამისად იზრდებოდა ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვაც. თუ 1921 წელს ნავსადგურის ტვირთბრუნვა მხოლოდ 51 ათას ტონას შეადგენდა, უკვე 1922 წელს მან 198 ათას ტონას მიაღწია და შემდეგ წლებში ტვირთბრუნვა განუწყვეტლივ იზრდება. ბათუმის ნავსადგურისათვის რევოლუციამდე დამახასიათებელი იყო ექსპორტის სიუხვე, რადგან ბაქოს ნავთობის უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ გაიზიდებოდა. ეს ტენდენცია ახასიათებს ბათუმის ტვირთბრუნვას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც. ასე მაგალითად 1922 წელს საზღვარგარეთ გატანილ იქნა 114 ათასი ტონა ტვირთი, აქედან ნავთობი 98 ათასი ტონა, კობოტაჟური ნაოსნობით კი მთელი ტვირთბრუნვა შეადგენდა 25 ათას ტონას და ნავთობი მხოლოდ 3 ათას ტონას.

ამჟამად თავისი ფუნქციების მიხედვით ბათუმის ნავსადგური მრავალმხრივობით ხასიათდება. მისი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას იძლევა დაუკავშირდეს ქვეყნის ძირითად სატრანსპორტო ქსელს და მიზიდულობის ვრცელ რაიონებს. იგი ემსახურება, როგორც რაიონთაშორის, აგრეთვე ექსპორტ-იმპორტულ გადაზიდვებს.

დიდი სამამულო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის ცალკეული საზღვაო გზების ტვირთბრუნვა ძალზე შეიცვალა. მთავარი ადგილი საზღვაო გადაზიდვებში კასპიის ზღვის შემდეგ შავ და აზოვის ზღვებს უკავიათ, რის შესაბამისად დიდად გაიზარდა ბათუმის ტვირთბრუნვაც.

1945 წელთან შედარებით, 1959 წელს ტვრითბრუნვა 12-ჯერ გაიზარდა, ექსპორტი მთელი ტვირთბრუნვის მხოლოდ 38%-ს (1959 წ) შეადგენს.

ნავსადგურის ტვირთბრუნვის სტრუქტურაში პირველი ადგილი ნავთობპროდუქტებს უჭირავთ (88% — 1959 წ), მშრალი ტვირთებიდან აღსანიშნავია მინერალური საშენი მასალები, შაქარი, ქვანახშირი, ფქვილი და ბურღული. მშრალი ტვირთების საერთო ტვირთბრუნვა 1959 წელს გაიზარდა 2-ჯერ 1955 წელთან შედარებით.

1959 წელს 1955 წელთან შედარებით მშრალ ტვირთებში შემცირდა შაქრის შემოზიდვა (5%-ით). გაიზარდა ფქვილისა და ბურღულის რაოდენობა; 1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს შანხაიდან შემოიტანეს ბრინჯი. საკმაოდ გაიზარდა ხე-ტყის შემოზიდვა, რომელიც დიდი კაბოტაჟით იგარკიდან შემოაქვთ. შეწყდა მინერალური სასუქის ზღვით შემოტანა, რადგან ნავსადგურს არა აქვს შესაფერისი სათავსოები. ნავსადგურიდან გააქვთ ჩაი, ქუთაისის ავტომანქანები, თბილისის კიროვის ქარხნის დაზგები და სხვ. მარილის შემოზიდვის შემცირება გამოიწვია რკინიგზით ამ პროდუქტის დიდი რაოდენობით შემოტანამ. მინერალური საშენი მასალებიდან აღსანიშნავია გონიოდან შემოტანილი ხრეში.

ნავთობის შემოზიდვა ბათუმის ნავსადგურში ორჯერ ნაკლებია გაზიდვასთან შედარებით. ბათუმიდან ბაკოს ნავთობის უდიდესი ნაწილი გააქვთ როგორც საბჭოთა კავშირის რაიონებში, ისე საზღვარგარეთ. ზღვით ნავთობი შემოაქვთ ნოვოროსისიკიდან და ტუაფსედან ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში გადასამუშავებლად.

ჩვენს აზრით ნოვოროსიისკიდან და ტუაფსედან ნავთობის შემოტანა ბათუმში არც თუ ისე რაციონალურია, ვინაიდან ეს შემხვედრ გადაზიდვებს ჰქმნის და უმჯობესია ნავთობგადამმუშავებელი ქარხნისათვის ნედლეული შემოტანილ იქნას მხოლოდ ბაქოდან, რისთვისაც მიზანშეწონილია გაყვანილ იქნას დამატებითი ნავთობსადენი.

ბათუმი საერთო ტვირთბრუნვით საქართველოს ნავსადგურებში პირველ ადგილზეა, თუმცა მშრალი ტვირთებით მას ფოთი ჭარბობს. შავი ზღვის პორტებს შორის ნავთობის ტვირთებით ნოვოროსისიკმა გაუსწრო ბათუმს და ამიტომ ეს უკანასკნელი მეორე ადგილზე გამოვიდა. 1965 წლისთვის ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა 2-ჯერ გაიზრდება 1959 წელთან შედარებით და ამისთვის მთელი რიგი რეკონსტრუქციული სამუშაოები ჩატარდება პორტში.

შვიდწლიანი გეგმის თანახმად ბათუმში აშენდება ახალი სატვირთო ნავმისადგომი, გაყვანილ იქნება ზღვის ფსკერზე ნავთობსადენი, რომელიც უშუალოდ რეიდზე მდგარ ტანკერს მიაწვდის ნავთობს და ნავთობპროდუქტებს. წარმოებს აგრეთვე სამი გემმისადგომის რეკონსტრუქცია. კეთდება სპეციალური გადამტვირთი ხიდები, რათა უამინდობის დროს შაქრის, ფქვილის და სხვა სათუთი ტვირთების გადაზიდვა არ შეფერხდეს. 1961 წელს ახალი საზღვაო სადგურის მშენებლობა დასრულდა და ექსპლოატაციაში შევიდა.

აჭარის სანაპიროზე ზღვა საკმაოდ ჭუჭყიანია, რაც ტანკერების მიერ ბალასტის ზღვაში გადაღვრითაა გამოწვეული. ამის გამო თევზი იღუპება და აჭარის მშვენიერ კურორტებზე დამსვენებლებისათვის იქმნება ზღვაში ბანაობის არახელსაყრელი პირობები. 1921 წლის ზაფხულიდან სპეციალური კატერების საშუალებით დაიწყო ზღვის გაწმენდა ნავთობისაგან.

შვიდწლედის მანძილზე შეიცვლება ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვის სტრუქტურაც. სპეციალური ტანკერებით იწარმოებს ღვინის, თხევადი გაზისა და ზეთის გატანა.

გარდა ბათუმისა, აჭარას ნავმისადგომები აქვს მახინჯაურში, მწვანე კონცხზე, ჩაქვში, ქობულეთში, გონიოში, მაგრამ ისინი ძირითადად მგზავრთა გადაყვანისათვის არიან გამოყენებული, გარდა გონიოსი, საიდანაც ტვირთი გააქვთ.

მგზავრთა გადაყვანა აჭარაში ყოველწლიურად საკმაოდ სწრაფად იზრდება. განსაკუთრებით დიდია მგზავრთა რაოდენობა წლის თბილ პერიოდში, როდესაც დამსვენებელთა და ტურისტთა რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს.

1959 წელს მგზავრთა გადაყვანამ ყველა სახის სამგზავრო გემებით 319,7 ათას კაცს მიაღწია და 1955 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადგილობრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ხვედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითი წონა, რომელსაც საერთო გადაყვანის 63% უჭირავს. ეს გამოწვეულია აჭარის სანაპირო ზოლში განლაგებულ კურორტებზე ადგილობრივ საზღვაო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის დიდი მოთხოვნილებით. მიუხედავად ამისა, მგზავრთა გადაყვანით აჭარა მაინც ჩამორჩება აფხაზეთს, სადაც 1958 წელს მთლიანად გადაყვანილ იქნა 902 ათასი მგზავრი.

აჭარის ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს სარკინიგზო ტრანსპორტიც. მის ტერიტორიაზე ბოლოვდება ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალი (ბაქო-ბათუმი). მისი სიგრძე ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში სულ 33 კმ-ია, მაგრამ მას აჭარის საერთო ტვირთბრუნვაში მეორე ადგილი უჭირავს.

მდ. ჩოლოქის გადაკვეთის შემდეგ აჭარის რკინიგზის ხაზი ჭაობიან დაბლობს მიუყვება, ქობულეთთან ზღვის ნაპირს უახლოვდება და აქედან ბოლომდე, ბათუმამდე ზღვას თითქმის აღარ შორდება. ქობულეთიდან ციხისძირამდე გზა ტალღოვან დაბლობზე გადის, შემდეგ ციხისძირის ქედის გაკვეთით ჩაქვში შედის, აქედან მწვანე კონცხის ზღვაში შეჭრილ მთას სჭრის მცირე ზომის გვირაბით და შემდეგ უკვე ბათუმამდე ხან ზღვის კიდეზეა გაყვანილი, ხან კი უკან იხევს აჭარის ქედის ტროპიკული მცენარეულობით დაფარულ კალთების ძირთან. ეს საკმაოდ რთული გეოლოგიური პირობების მქონე ტრასა გამაგრებულია მრავალი ხელოვნური ნაგებობით.

ტვირთების სიხშირის მიხედვით აჭარის რკინიგზის ხაზი საკმაო დაძაბულობით ხასიათდება, რადგან ატარებს დიდი რაოდენობით ისეთ ტვირთს, როგორც ბაქოს ნავთობია. რკინიგზის ამ ხაზს, რომელიც წარმოადგენს აჭარის შიდა სარკინიგზო მაგისტრალს, დიდი მნიშვნელობა აქვს მხარის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, თუმცა მისი სიხშირე საკმაოდ მცირეა. 100 კვ. კმ-ზე მოდის 1 კმ რკინიგზის ხაზი და ამით აჭარა ჩამორჩება საქართველოს მთლიან მაჩვენებელს (100 კვ. კმ-ზე 2 კმ რკინიგზის ხაზი).

1953 წელს ელექტროფიცირებულ იქნა ბათუმი-სამტრედიის რკინიგზის მონაკვეთი. ამან გაადიდა გამტარუნარიანობა აჭარის რკინიგზის ხაზზე და 1950 წელთან შედარებით 1959 წელს ტვირთბრუნვა 2-ჯერ გაიზარდა. ნავთობის ტვირთებს აჭარის რკინიგზის ტვირთებში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავთ — 76,2%, შემდეგ მოდის მინერალური სამენი მასალები, ხე-ტყე, ქვანახშირი და კვების პროდუქტები. (იხ. ცხრ.).

აჭარის ასსრ რკინიგზის ტვირთბრუნვა 1959 წ. (ტონებში)

ტვირთების დასახელება	გაზიდვა	შემოზიდვა	ტვირთბრუნვა
ქვანახშირი	48. 926	27.715	86.541
ნავთობპროდუქტები	562.830	2. 068.708	2. 631·538
მადანი	24. 47 9	—	24.479
შავი ლითონები	19. 500	18.635	88.135
ხე-ტყე	12. 900	127.210	140.110
მინ. სშენი მასალები	11.067	61 .475	172.542
სხვადასხვა მანქანები	1.886	7.014	8.900
მინ. სასუქები	94	35.416	35.540
საკვები პროდუქტები	32 405	17.351	50,256
დანარჩენი	19.262	246,361	265.623
სულ	733.549	27,10.385	3.453.634

ეროვნული ბიბლიოთეკა

1955 წელთან შედარებით 1959 წელს ტვირთბრუნვაში გაიზარდა ქვანახშირი, ნავთობპროდუქტების, მინერალური სასუქების, შავი ლითონის და ხეტყის რაოდენობა. განსაკუთრებით მკვეთრად გაიზარდა მინერალური სასუქების შემოზიდვა. 1940 წელთან შედარებით მისი რაოდენობა 35-ჯერ გაიზარდა, რაც აჭარის ინტენსიური სოფლის მეურნეობის მიერ მინერალურ სასუქებზე დიდი მოთხოვნილებითაა გამოწვეული.

აჭარის ტერიტორიაზე რამდენიმე რკინიგზის სადგურია. თავისი ფუნქციების მიხედვით ისინი შეიძლება ორ ძირითად ტიპად დაიყოს: 1. მსხვილი სარკინიგზო სადგური სატრანზიტო ტვირთების ძლიერი ნაკადით და საკუთარი ტვირთების დიდი რაოდენობით. ამ ტიპს ბათუმი მიეკუთვნება, რომელიც გარდა ამისა მსხვილი სამგზავრო სადგურია.

2. სადგურები, რომლებშიც დიდი რაოდენობით გადის სატრანზიტო ტვირთი, მაგრამ საკუთარი ტვირთების მცირე რაოდენობა აქვთ. ასეთია ჩაქვის, ოჩხამურის და ქობულეთის რკინიგზის სადგურები.

ქ. ბათუმის განვითარებულ მრეწველობას დიდი რაოდენობით ესაჭიროება რკინიგზით შემოზიდული ნედლეული. მის მიერ დამზადებული პროდუქციის დიდი ნაწილი რკინიგზით გაიზიდება როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში.

ქ. ბათუმს რკინიგზის ორი სადგური აქვს, სატვირთო და სამგზავრო. ბათუმის სატვირთო რკინიგზის სადგური რთულ სადგურთა რიცხვს მიეკუთვნება, რადგან მას ავრეთვე სანავსადგურო რკინიგზის ხაზიც აქვს.

საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის მძლავრ განვითარებასთან დაკავშირებით რკინიგზით მგზავრთა გადაყვანაში 73% ადგილობრივ, საგარეუბნო გადაყვანას უჭირავს, მაშინ როცა საბჭოთა კავშირში მასზე მხოლოდ 23% მოდის. ასეთი დიდი მოძრაობა თვით აჭარის ფარგლებში და საერთოდ, აჭარაში ჩასულ და გამგზავრებულ მგზავრთა დიდი ნაკადები აიხსნება იმით, რომ რკინიგზის გასწვრივ განლაგებული აჭარის თითქმის ყველა სადგური კურორტია. მგზავრთა დიდი რაოდენობა, საერთოდ, დამახასიათებელია საკურორტო რაიონებისათვის (კავკასია, ყირიმი, ბალტიისპირეთი) და ამ მხრივ აჭარაც არ წარმოადგენს რაიმე გამონაკლისს. ავტონომიური რესპუბლიკის ყველა საკარიგზო სადგური მგზავრთა დიდი რიცხვით ხასიათდება; მგზავრთათვის მოწყობილია ავრეთვე მახინჯაურის სადგური და მწვანე კონცხისა და ცინხისძირის ბაქნები.

მეორე ტიპის საკარიგზო სადგურებს — ქობულეთის, ჩაქვისა და ოჩხამურის ტვირთბრუნვა, ძირითადად შედგება გაგზავნილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისაგან, ხოლო მიღებულ ტვირთებში მთავარია მინერალური სასუქები, საშენი მასალები და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

აჭარის რკინიგზის სადგურთა ტვირთბრუნვისთვის საერთოდ დამახასიათებელია საკურორტო მეურნეობისათვის საჭირო ტვირთების დიდი რაოდენობა — სასურსათო და სამშენებლო მასალების სახით (6,5%).

შვიდწლედის მანძილზე აჭარის რკინიგზის ტვირთბრუნვა და მგზავრთა გადაყვანა კიდევ უფრო გაიზრდება და გაუმჯობესდება.

აჭარის ასსრ-ს შიდარაიონული კავშირისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ავტოტრანსპორტს. მისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილის მთაგორიანი რელიეფი და მცირე დაშორება ზღვისპირა რკინიგზის ხაზიდან (მაქსიმალური დაშორება გოდერძის უღელტეხილიდან ბათუმამდე 127,5 კმ-ია) საფუძველს უქმნის საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას, რადგან იგი წარმოადგენს მობილურ და დიდი მანევრირების მქონე სატრანსპორტო საშუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებას და ყველაზე მოსახერხებელია შიდა აჭარის პირობებში. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე აჭარაში გაიზარდა საავტომობილო ქსელის სიხშირე. 1921 წელთან შედარებით, 1941 წელს 1,4-ჯერ გადიდდა ავტოსაჭანანო გზების საერთო სიგრძე და მხოლოდ ამ წლებში შეიქმნა მაგარსაფრიანი გზები, რომელნიც 1941 წელს ავტონომიური რესპუბლიკის გზების საერთო სიგრძის 80%-ს შეადგენდა. შემდგომ წლებში ასე იზრდება აჭარის ურელსო გზების სიგრძე: 1951 წ. — 700 კმ, 1955 წ. — 1000 კმ., 1957 წ. — 1100 კმ. 1959 წ. — 1219,3 კმ. 1959 წლისათვის მაგარსაფარიანი გზა 594,2 კმ-ია, (49%) ამ მხრივ აჭარა როგორც საქართველოს სსრ-ს მთლიან მაჩვენებელს, ისე აფხაზეთის მაჩვენებელს ჩამორჩება, რომელიც პირველში 70%-ს შეადგენს, ხოლო მეორეგან 75%-ია.

ურელსო გზების ქსელი ავტონომიურ რესპუბლიკაში საკმაოდ ხშირია — 100 კვ. კმ-ზე 20 კმ საავტომობილო გზა მოდის, თუმცა ასეთი გზებით საქართველო მთლიანად უკეთაა უზრუნველყოფილი (24 კმ).

აჭარის სამიმოსვლო ქსელზე ბუნებრივი კომპონენტების უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რელიეფისა და კლიმატის გავლენა გზებზე. აჭარა-იმერეთის ახალგაზრდა ნაოჭა ქედის ციცაბო ფერდობები, დასერილი ღრმა, ხშირი, კანიონისებრი ხეობებით, საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაციასა და საგზაო მშენებლობაზე უარყოფითად მოქმედებს. გზების პროფილი რთულია, მანძილი გადიდებული, დიდია ხიდების, სამაგრი კედლების, გვირაბებისა და გზის სხვა საცავი ნაგებობების რიცხვი. ეს იწვევს გადაზიდვის თვითღირებულების გადიდებას და დიდად ამცირებს მთიანი რელიეფის პირობებში ტრანსპორტის თვითმფრენობასა და სისწრაფეს.

როგორც თითქმის ყველგან, ისე აჭარაშიც საავტომობილო ტრანსპორტი სეზონურობით ხასიათდება. დიდი დაძაბულობით გამოირჩევა გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის თვეები, ხოლო ზამთარში მთებში მიმავალ გზებზე დიდი თოვლის გამო ხშირად მხოლოდ ხარებშებმული მარხილებით წარმოებს მიმოსვლა.

აჭარის საავტომობილო გზების ძირითადი ხაზები ავტ. რესპუბლიკის სამოქალაქო, კულტურულ, ადმინისტრაციულ და საკურორტო ცენტრებში — ქ. ბათუმსა და ქ. ქობულეთში ერთდებიან. ბათუმში იწყება საკავშირო მნიშვნელობის, განედურად გაჭიმული, მდ. აჭარისწყლის ხეობის გასწვრივ გამავალი ე. წ. ნამხრეთ ამიერკავკასიის შარაგზა (ბათუმი—ახალციხე), შავიზღვისპირა გზატკეცილი და სარფის შარაგზა, რომელთა ხვედრითი წონა ავტონომიური რესპუბლიკის გზების საერთო სიგრძეში 16%-ს შეადგენს. აქ იყრის თავს აგრეთვე რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები: ბათუმი—ჟირნათი, ბათუმი—ჯახაბერი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები (ხვედრითი წონა გზების საერთო სიგრძეში 82,2%), რომელნიც უშუალოდ ან ძირითადი საგზაო არტერიების საშუალებით ბათუმსა და ქობულეთისაკენ მიმავალ გზებს ერწყმიან. რადგან აჭარის მსხვილი ქალაქები შავიზღვისპირასაა მოქცეული, ამიტომ ამ ზოლში მოთავსებული გზები ყველაზე დიდი დაძაბულობით ხასიათდება როგორც ტვირთების, ისე მგზავრთა გადაყვანის მხრივაც.

ყველა სახის ტვირთი აჭარის შიდა რაიონებიდან სხვა სახის ტრანსპორტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უქონლობის გამო ავტომანქანებით გადაიზიდება. ტვირთბრუნვაში ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ტვირთები ჭარბობენ. 1950 წელს ავტონომიურ რესპუბლიკაში ავტოტრანსპორტით გადაზიდული იყო 53,8 ათასი ტონა ტვირთი, 1955 წ. — 274,7 ათასი, ხოლო 1959 წელს — 538 ათასი ტონა, ე. ი. 1950 წელთან შედარებით ტვირთბრუნვა 1959 წელს 10-ჯერ გაიზარდა.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციასთან დაკავშირებით ქობულეთისა და ბათუმის რაიონების გზებზე ჭარბობს ჩაის ფოთლის და ციტრუსების გადაზიდვა; ქედის, შუახევის და ხულოს რაიონებში კი — თამბაქოს, ხილის, ყურძნის ტვირთები.

დიდი ადგილი უჭირავს საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვაში მინერალურ სასუქებს და ტორფს. ქობულეთის ტორფის ქარხანას მხოლოდ ავტომანქანებით გადაქვს ტორფი. ასევე მნიშვნელოვანია აჭარის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვაში საშენი მასალები — ხრეში და ხე-ტყე.

აჭარის საავტომობილო ტრანსპორტით გადაიყვანება 24 მილიონამდე მგზავრი. 1950 წელთან შედარებით მგზავრთა გადაყვანა 9,5-ჯერ გადიდდა. ამ მხრივ იგი წინ უსწრებს აფხაზეთის ასსრ-ს, სადაც ამ პერიოდში მგზავრთა გადაყვანა მხოლოდ 5-ჯერ გაიზარდა, მგზავრთა გადაყვანის სწრაფი ზრდა გამოწვეულია როგორც შავიზღვისპირა საკურორტო ზოლში დიდი მოთხოვნილებით საავტომობილო ტრანსპორტზე, ასევე ქალაქებში ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის დიდი რაოდენობით. ასე მაგ., 1959 წელს სულ გადაყვანილი იყო აჭარაში 23.759 ათასი მგზავრი, აქედან საგარეუბნო მარშრუტებით 1.405 ათასი მგზავრი, საქალაქთაშორისო მარშრუტებზე — 208,5 ე. ი. თვით ქალაქებში — 22.146 ათასი მგზავრი. სადღეისოდ აჭარაში საგარეუბნო 36 მარშრუტია, საქალაქთაშორისო 8, ამ უკანასკნელით უშუალო კავშირია დამყარებული ქ. თბილისთან, ქ. მახარაძესთან, ფოთთან, ქუთაისთან, ზუგდიდთან; თვით ავტ. რესპუბლიკაში ბათუმიდან მიემართება ავტობუსები ხულოში, შუახევში, ქედაში, ქობულეთში.

აჭარის მგზავრთა საგარეუბნო გადაყვანა ავტოტრანსპორტით მგზავრების მთელი გადაყვანის 88%-ს შეადგენს (ქალაქების შიგნით მგზავრთა გადაყვანა არაა მიღებული მხედველობაში). ადგილობრივი გადაყვანის ასეთი მაღალი ხვედრითი წონა მიუთითებს ავტოტრანსპორტის დიდ როლზე მგზავრთა გადაყვანაში.

შესაბამისად იზრდება ავტომანქანების პარკი აჭარაში. 1958 წელთან შედარებით 1960 წელს ავტომანქანების რაოდენობა 1,2-ჯერ გაიზარდა.

მართალია, ყოველწლიურად იზრდება როგორც ავტოპარკი, ისე უმჯობესდება არსებული გზების მდგომარეობა, მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმარისია როგორც სატვირთო ავტომანქანების, ისე ავტობუსების რაოდენობა, ბევრია დაბალხარისხიანი გზა, რომელთა გაუმჯობესება ნელა წარმოებს და რის გამო სატვირთო მანქანების გარბენის გამოყენების დაბალი კოეფიციენტია.

შვიდწლედის მანძილზე გათვალისწინებულია 255 კმ ექსპლოატაციაში მყოფი ყამირული გზის გაფართოება, მოხრეშვა და 39 ხიდის აშენება. აღნიშნულ პერიოდში უნდა გაფართოვდეს სამხრეთ-ამერკავკასიის მნიშვნელოვანი მაგისტრალი. მომავალში ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა ყველა ძირითადი საავტომობილო გზების მაგარსაფარიან გზად გადაქცევა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთიან აჭარაში გზის უკეთ პროფილირებას და კეთილმოწყობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჰაერო ტრანსპორტს აჭარაში დღესაც ხშირად იყენებენ, განსაკუთრებით ძნელადმისადგომ მთის ფერდობებიდან ხე-ტყის გამოსაზიდად და ადგილობრივ გადაზიდვებში. დიდი მნიშვნელობა აქვს მარხილიან საჰაერო ტრანსპორტს ზამთარში, როდესაც მთიან რაიონებში, დიდი თოვლის გამო ავტოტრანსპორტი მუშაობას წყვეტს. სამწუხაროდ, სათანადო აღრიცხვის უქონლობის გამო საჰაერო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში შეიქმნა ტრანსპორტის ახალი სახე — საჰაერო. პირდაპირი მიმართულებით ქ. ბათუმი დაკავშირებულია თბილისთან, მოსკოვთან, სტალინოსთან და ოდესასთან. როგორც საერთოდ, ისე აჭარაშიც საჰაერო ტრანსპორტი გამოყენებულია ტვირთების გადატანისა და საფოსტო ოპერაციებისათვის, აგრეთვე მგზავრების სწრაფი გადაყვანისთვის შორეულ მანძილზე. უკანასკნელ წლებში სისტემატურად იზრდება ტვირთების რაოდენობა და გადაყვანილ მგზავრთა რიცხვი. 1959 წელს 1955 წელთან შედარებით ტვირთის გადატანა 3-ჯერ გაიზარდა. საჰაერო ტრანსპორტით აჭარიდან ძირითადად ციტრუსები გაიზიდება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დიდ ქალაქებში; გაქვთ აგრეთვე შავიზღვისპირის მშვენიერი, წლის ყველა პერიოდის შესაბამისად აყვავებული ყვავილები, რომლითაც ამარაგებენ თბილისს, მოსკოვსა და ლენინგრადს. სხვა ტვირთთა შორის 1960 წელს თვითფრინავებით აჭარიდან გადატანილ იქნა ხილ-ბოსტნეულიც, ძირითადად ტყემალი.

საჰაერო ტრანსპორტის შემდგომი განვითარება იწარმოებს მისი ძირითადი საფრენოსნო-ტექნიკური საშუალების გაზრდით და გაუმჯობესებით. მრავალდარგიანი, დიდი სიჩქარის მქონე ტურბორეაქტული თვითმფრინავები გახდება სამგზავრო ტრანსპორტის ერთ-ერთი ძირითადი სახე.

შვიდწლედში განზრახულია ავტონომიური რესპუბლიკის ძნელად მისაწვდომი რაიონების ვერტმფრენებით მომსახურება. სავერტმფრენო ხაზები ბათუმს დააკავშირებენ ხულოსთან, შუახევთან, ქედასთან, ბახმაროსთან, ბეშუმთან, ცისკარასთან და სხვა პუნქტებთან.

კომუნისტური მშენებლობის პირობებში აჭარის ტრანსპორტის მნიშვნელობა როგორც თვით ამ მხარის, ისე მთელი საქართველოსათვის მეტად თვალსაჩინოა. სახალხო მეურნეობის აღმავლობასთან და საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით მისი როლი კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენი ქვეყნის კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებაში.

აჭარის რაიონთაშორისი ეკონომიური კავშირი

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების ათვისებისა და მრავალმხრივი გამოყენების ბაზაზე შეიქმნა საკმაოდ მძლავრი ეკონომიური კომპლექსი, სადაც წამყვან როლს თამაშობს განვითარებული სუბტროპიკული მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობა, ნავთობის გადამუშავება და მანქანათმშენებლობა, მეთამბაქოეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა. აჭარის მეურნეობის სტრუქტურა მისი წამყვანი, სპეციალიზებული დარგებით განაპირობებს აჭარის რაიონის საწარმოო-ეკონომიურ კავშირს როგორც საქართველოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებთან, ისევე საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

სამეურნეო ცხოვრების განვითარების შედეგად, მჭიდრო ეკონომიური კავშირი დამყარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცალკეულ ადმინისტრაციულ რაიონებს შორის. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მრავალფეროვანი ნაკადები ერთ-მეორეს ეფარებოდა, ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე. ასეთ ადგილებად ითვლებოდა: ბათუმი, ბორჯომი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ქობულეთი, ხელვაჩაურა, ადიგენი, ასპინძა, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი, ბაკურიანი, ბაღდათი, ვანი, ვალე, ზესტაფონი, ზუგდიდი, ზესტაფონი, ზუგდიდი, ზესტაფონი, ზუგდიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის სხვადასხვა სახის პროდუქცია.

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის პროდუქცია — მანქანები და მოწყობილობა იგზავნება ჩაის ფაბრიკებისთვის, ტექნოლოგიური მანქანა-მოწყობილობა საქართველოს ღვინისა და ლუდის ქარხნებისათვის, მანქანა-დანადგარები — გორის, თელავისა და ქუთაისის საკონსერვო ქარხნებისათვის.

სუბტროპიკული მეურნეობის ბაზაზე აღმოცენებული მრეწველობის პროდუქციიდან—შავი ბაიხოს ჩაი იგზავნება თბილისში; თამბაქოს ნაწარმი — მახარაძეში, ფოთში, გეგეჭკორის, წულუკიძის, სამტრედიისა და სხვა რაიონებში; ციტრუსები — თბილისში, ქუთაისში, გორში და ტყვარჩელში, ხილი (ვაშლი, მსხალი, ხურმა) — თბილისში. თითქმის ყველა მსხვილ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში — თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, მახარაძესა და ცხაკაიაში იგზავნება მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი — მზა ტანსაცმელი, ტყავი და ფეხსაცმელი.

აჭარის გარეეკონომიურ კავშირში დიდი ადგილი უჭირავს ურთიერთობას საბჭოთა კავშირის რაიონებთან, სადაც აჭარას გააქვს თავისი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია და დიდი რაოდენობით შემოაქვს მისი სამეურნეო განვითარებისათვის აუცილებელი ნედლეული და სამრეწველო პროდუქცია.

აჭარიდან, სახელდობრ ბათუმის ნავსადგურიდან, რომელიც სპეციალიზირებულია ნავთობის პროდუქტების გაზიდვაზე, საბჭოთა კავშირის ფარგლებში ნავთობის პროდუქტები იგზავნება — უკრაინაში, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის და ამიერკავკასიის სოციალისტურ რესპუბლიკებში, ვორონეჟისა და როსტოვის ოლქებში, კრასნოიარსკის მხარეში და ქალაქებში — ირკუტსკში და ხაბაროვსკში.

კვების, ელექტროტექნიკური მრეწველობისა და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის პროდუქცია ნაწილდება შემდეგნაირად: ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციას მოიხმარენ რსფსრ-ს ევროპული ნაწილის ცენტრებსა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში. ბათუმის მცირე გემმშენებლობის ქარხანა, რომელიც ამზადებს სხვადასხვა სახის კატარღებს, მუშა და სასეირნო ჯარჯანებს, თავის პროდუქციას აწვდის ბრატსკს, იალტას, ოდესას, სოჭს, ხმაილს, ბალტიისა და ოხოტის ზღვების ნავსადგურებს. სპეციალურად საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთი რაიონებისათვის მზადდება ე. წ. ყველგანმავლები. მოწყობილობა რეფრიჟერატორებისათვის, რეზერვუარები ღვინის ქარხნებისათვის და მანქანები პურის ქარხნებისათვის იგზავნება უკრაინაში, რსფსრ-ს ევროპული ნაწილის ცენტრში და მოლდავეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში. ტუნგის მაღალხარისხოვანი ზეთით აჭარა ამარაგებს ქვეყნის ორ ცენტრს — იაროსლავსა და ერევანს.

აჭარიდან საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქალაქის (მოსკოვი, ლენინგრადი, უფა, ოდესა), ჩაისგადამწონ ქარხნებში მიდის პირველადი დამუშავების შავი ბაიხოს ჩაი. მწვანე ბაიხოს ჩაი კი შუა აზიის რესპუბლიკებში. საბჭოთა კავშირის თამბაქოს მრავალი ფაბრიკისათვის აჭარიდან გაიზიდება თამბაქო და თამბაქოს ნაწარმი. მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია — ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იგზავნება ქალაქებში — ვორონეჟი, ტულა, კრასნოდარი, ყარაგანდა, სევიპალატინსკი, კალუგა და სხვა.

ფეოდოსიის, ოდესისა და ნიკოლაევის ნავსადგურების საშუალებით ბათუმიდან გაიტანება საშენი მასალები.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთების უკუდინებაში დომინირებული ადგილი უკავია ნავთობს. ნოვორო-სიისკიდან და ტუაფსიდან შემოიტანება ნედლი ნავთობი შემდგომი გადამუშავებისათვის და აგრეთვე ნახევარი პროდუქტები, რომლებიც სათანადო გადამუშავების შემდეგ განკუთვნილია საზღვარგარეთ ექსპორტისათვის.

ნავთობის შემდეგ აჭარაში შემოზიდული ტვირთების მთავარ სახეობას შეადგენენ — ქვანახშირი, ლითონები და სხვადასხვა მანქანები. ქვანახშირი და კოქსი აჭარაში მიიღება დონბასიდან, რკინის სხმულები — ყდანოვიდან, ალუმინის სწბეული — სტუპინოდან (მოსკოვის ოლქი) და კიროვიდან; ვემომშენებელი მრეწველობის მანქანები — ქალაქ ბოგოროდსკიდან (გორკის ოლქი) და ბარნაულიდან (ალტაის მხარე); მართვის აპარატურა — ოდესიდან, რადიომოწყობილობა და აკუმულიატორები — ლენინგრადიდან, ელექტრომოწყობილობა — ერევნიდან, დაზგები — კემეროვიდან და კადიევკიდან, ბულდოზერები — ლუგანსკიდან და ხარკოვიდან, სასოფლო-სამეურნეო მანქანები როსტოვიდან, ხარკოვიდან, ვოლგოგრადიდან და გორკიდან.

საშენი მასალებით (ტუფი და პემზა) აჭარა მარაგდება სომხეთიდან, ცემენტით — ასტრახანიდან, მინერალური სასუქებით — დონბასიდან.

აჭარაში ოდესის, ნოვოროსიისკისა და ოსპენკოს ნავსადგურების საშუალებით მოდის შაქარი და მარილი — უკრაინიდან; ფქვილი ბურღული, კარაქი, რძე და რძის პროდუქტები კი ჩრდილო კავკასიიდან. მანქანები ნავთობის მრეწველობისათვის — ბაქოდან.

უკანასკნელ წლებში ძალიან გაიზარდა აჭარის ეკონომიური კავშირურთიერთობა საზღვარგარეთელ ქვეყნებთან. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგარეო ეკონომიური კავშირი მოიცავს ევროპის, აზიის, ამერიკისა და ნაწილობრივ აფრიკის ქვეყნებს. საზღვარგარეთ ექსპორტირებული საქონლის ძირითად სახეობას შეადგენენ: ნავთობის პროდუქტები, კვებისა და ელექტრომექანიკური მრეწველობის მანქანები, ჩაი და ციტრუსები. ბათუმის ნავსადგურიდან ნავთობის პროდუქტები გადის მსოფლიოს 27 ქვეყანაში. გატანა ნაწილდება შემდეგნაირად: 1959 წლის მონაცემებით გაზიდვის 21,5% მოდის შვედეთზე, 20,0% — ფინეთზე, 13,1% — ჰოლანდიაზე, 11,5% — ისლანდიაზე. ამ ოთხივე ქვეყანაზე ერთად მოდის მთელი გაზიდული ნავთობპროდუქტების 66,1%, დანარჩენი 33,9% გაიზიდება იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ჩინეთის, პოლონეთის და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკებში და სხვა ქვეყნებში. 1960 წელს ნავთობის პროდუქტები იგზავნებოდა აგრეთვე კუბაში.

ჩაის მრეწველობისათვის საჭირო მანქანები იგზავნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხილის საჭირელი მანქანები — ალბანეთის და კორეის სახალხო რესპუბლიკაში; შავი ბაიხაოს ჩაი და ხილის კონსერვები— პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, ციტრუსები — ფინეთში.

აჭარის იმპორტი თითქმის მთლიანად შედგება ნედლეულის სხვადასხვა სახეებიდან. ტყავი შემოდის ირანიდან, ინდოეთიდან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, ხის მზა ყუთების კომპლექტები ციტრუსებისათვის — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, თამბაქო — ბულგარეთის და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკებიდან და აგრეთვე თურქეთიდან. ბრინჯი და ბურღული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, შაქარი — კუბიდან. ამ ტვირთების მნიშვნელოვან ნაწილს სატრანზიტო დანიშნულება აქვს.

აჭარის საწარმოო-ეკონომიური კავშირურთიერთობის მოკლე განხილვა გვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებს, რომ ამ ურთიერთობათა ძირითადი ნაწილი შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების წლებში ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩამოყალიბებულ საწარმოო სპეციალიზაციის ბაზაზე და მისი მეურნეობის სწორედ მთავარი, მაპროფილებელი დარგები (ნავთობგადამუშავება, კვების მრეწველობა, მანქანათმშენებლობა) განსაზღვრავენ ეკონომიურ ურთიერთობათა მოცულობას და გეოგრაფიულ მიმართულებას. მეორე მხრივ საწარმოო და ეკონომიური კავშირის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია იმ პროცესთან, რომელიც მიმდინარეობს აჭარის კომპლექსურ განვითარებისა და ერთიან ტერიტორიულ-საწარმოო ერთეულად გადაქცევის საფუძველზე.

მიმდინარე შვიდწლედში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბუნებრივი და ეკონომიური რესურსების შემდგომი ათვისება გამოიწვევს ამ ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონის მეურნეობის მძლავრ აღმავლობას. ეს კი განაპირობებს ეკონომიური კავშირურთიერთობის გაძლიერებას, რის შედეგადაც აჭარა დაამყარებს ახალ, კიდევ უფრო ფართო ეკონომიურ კავშირებს არა მარტო საქართველოს ცალკეულ კუთხეებთან, არამედ საბჭოთა კავშირის მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან და ეკონომიურ რაიონებთან.

Т. ГВИНИАНИДЗЕ, Н. ДОРЕУЛИ

ТРАНСПОРТ И МЕЖРАЙОННЫЕ СВЯЗИ АДЖАРСКОЙ АССР

Резюме

Будучи расположена в крайней юго-западной части Грузинской ССР, Аджария занимает весьма выгодное траспортно-географическое положение. Глубокой, тихой и удобной Батумской природной бухтой она тесно связана с портами Советского Союза и с международными морскими коммуникациями. Баку-Батумской железнодорожной линией она соединена как с Закавказскими, так и другими основными экономическими центрами Советского Союза. Черноморская автомагистраль и примыкающие к ней шоссейные дороги, проложенные по ущельям рек, создают внутренную транспортную сеть. Для хозяйственной жизни Аджарии, превратившейся в настоящее время в крупный сельскохозяйственный и промышленный район Грузинской ССР, особенно важное значение имеет транспортное хозяйство. За годы Советской власти транспортное хозяйство Аджарии подверглось коренной реконструкции. Наряду с расширением и реконструкцией Батумского порта, механизацией в нем погрузочно-разгрузочных работ, в годы довоенных и послевоенных пятилеток была проведена большая работа по развитию и улучшению безрельсовых дорог, созданию автомобильного и воздушного транспорта Аджарии. Огромную роль в транспортной работе автономной республики играет трубопровод Баку—Батуми. Большая часть грузооборота (55,3%) приходится на морской транспорт, остальная — на железнодорожный, трубопроводный и автомобильный.

Неравномерность размещения по территории Аджарии населения и хозяйства, получило отражение и в географии транспорта. В то время как причерноморская полоса, представляющая зону сосредоточения хозяйственной жизни авт. республики, располагает современными видами транспорта, работающих с большой нагрузкой, горная Аджария обес-

печена лишь одной шоссейной магистралью Батуми—Годердзский перевал и ее перевозки осуществляются только автомобильным и частично гужевым транспортом.

Основным видом транспорта, наиболее тесно связанным со всеми отраслями хозяйства Аджарии и в частности в вывозе такого важного груза, как бакинская нефть, являются морской и железнодорожный транспорт. В структуре грузооборота первое место занимают нефтепродукты (88% — в морском, 76,2% — в железнодорожном транспорте 1959 г.). Батумский порт по количеству нефтегрузов среди портов Черного моря занимает второе место (после Новороссийска). В 1965 году грузооборот Батумского порта возрастет в 2 раза, в связи с чем предстоит проведение ряда реконструктивных работ. Увеличится количество пассажиров, перевозимых морским траспортом, число которых в 1959 году составляло 319,7 тыс. человек. В общем пассажирообороте 63% занимают местные перевозки,, что объясняется наличием курортов в прибрежной части Аджарии.

Протяженность железнодорожной линии в авт. республике составляет всего 33 км, но несмотря на такое короткое расстояние, она отличается большой грузонапряженностью. В 1959 г. общий грузооборот железнодорожного транспорта составил 3453 млн. тонн, а ежегодный пассажирооборот около 2 млн. На территории Аджарии находится крупная железнодорожная станция г. Батуми, с мощным транзитным грузопотоком и одновременно большим количеством собственного грузооборота, а также ряд менее значительных станций, с сравнительно незначительным собственным грузом.

Для внутрирайонных связей Аджарии особенное значение имеет автотранспорт, который ежегодно перевозит около 500 тыс. тонн груза, в основном сельскохозяйственного характера и около 24 млн. пассажиров. В настоящее время в Аджарии действует 8 междугородных и 35 пригородных автопассажирских линий. В текущем семилетии наиболее важное значение имеет улучшение профиля автодорог в горной Аджарии, где зимой дороги часто надолго выходят из строя и улучшение их покрытия.

Автономную республику обслуживает также воздушный транспорт, который перевозит в основном быстро портящиеся продукты, чудесные цветы Аджарии, почту и пассажиров на дальние расстояния.

Одной из важных задач дальнейшего развития транспорта Аджарии является установление наиболее тесной взаимоувязки в работе отдельных видов транспорта.

После установления Советской власти коренным образом изменились структура товарообмена и география экономических связей Аджарской АССР. Созданный в Аджарии за годы пятилеток экономический комплекс, с ведущим субтропическим хозяйством, промышленностью по переработке сельскохозяйственного сырья, переработки нефти и машиностроением, обусловил создание густых производственно-экономических связей Аджарии с районами Грузии, а также с другими крупными экономическими районами Советского Союза и зарубежными странами.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Аджария получает из других районов Грузии нужное для развития хозяйства сырье и различные виды продукций, вывозя в пределы Грузии продукцию своих отраслей хозяйства. Важное значение в хозяйственном развитии Аджарии имеют экономические связи с другими районами Советского Союза. Из районов СССР в Аджарию поступает нефть, каменный уголь, металлы, различные машины и оборудование, строительные материалы, удобрения и продукция легкой и пищевой промышленности. В обратном потоке основным грузом являются нефтепродукты, также продукция машиностроительной промышленности и продукты субтропического хозяйства: чай, табак и цитрусы.

Нужно отметить, что за последние годы значительно расширились экономические связи Аджарии с зарубежными странами.

Дальнейшее освоение природных и экономических ресурсов Аджарии определит значительный рост хозяйства автономной республики, а в связи с этим расширение производственно экономических связей.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. გ. გველესიანი, ქვემო ქართლის ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები., IX, ეკონომიურ-გეოგრაფიული სერია, ქვემო ქართლი, თბ., 1956.
2. რ. კვერენჩხილაძე, აფხაზეთის ტრანსპორტი და რაიონთაშორისი ეკონომიური კავშირი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVI, თბ., 1961.
3. საბჭოთა აჭარის 40 წელი. სტატისტიკური კრებული. ბათუმი, 1961.
4. სტატისტიკური კრებული 1913-1923 წწ. ბათუმი, 1824.
5. „ „ 1909-1921 წწ. თბილისი, 1923.
6. 1960 წელს აჭარაში ჩატარებული ეკონომიურ-გეოგრაფიული ექსპედიციის მასალები ტრანსპორტის შესახებ, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალა. № 718
7. И. Н. Баранский, Методика преподавания экономической географии. М., 1960.
8. Грузинская ССР, Экономико-географическая характеристика, изд. 2-е, М., 1958.
9. И. В. Никольский, География транспорта СССР, М., 1960.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ., შრ. ტ. XIX, 1962
Академия наук Груз. ССР — Труды Института географии им. Вахушти, т. XIX, 1962

ბ. ჯაოშვილი

აჭარის ქალაქები

ქალაქთა წარმოშობისა და განვითარების პირობები სრულიად სხვადასხვაგვარია ზღვისპირა და შიდა აჭარაში. ზღვისპირა აჭარის სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, მეურნეობის განვითარების ტენდენციები ყოველმხრივ ხელშემწყობია ქალაქების წარმოშობისა და განვითარებისათვის, მაშინ როდესაც შიდა აჭარას არცერთი ეს უპირატესობა არ გააჩნია. რელიეფის შეტისმეტი დანაწევრება და მოსახლეობის სიმეჩხრე, მთავარი საკომუნიკაციო მაგისტრალებიდან დაშორება, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შედარებით დაბალი დონე და, რაც მთავარია, მრეწველობის მძლავრი განვითარების წინამძღვრების უქონლობა თითქმის გამორიცხავს თანამედროვე ეტაპზე აქ მნიშვნელოვანი ქალაქის წარმოქმნის შესაძლებლობას. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ერთმანეთის საწინააღმდეგო პირობების არსებობამ, სრულიად განსხვავებულ შედეგებამდე მიგვიყვანა: აჭარის ზღვისპირა ზოლი გამოირჩევა განვითარებული ქალაქებით და დაბებით, შიდა აჭარაში კი არცერთი საქალაქო დასახლება არ არსებობს.

რაში მდგომარეობდა აჭარის ზღვისპირა რაიონებში ქალაქების წარმოქმნისა და განვითარების წინაპირობები?

ბუნებრივი პირობებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია სწორედ ზღვისპირა მდებარეობა და ბათუმთან ნავსადგურის წარმოქმნისათვის მეტად ხელსაყრელი ყურეს არსებობა. იმავე ზღვისპირა მდებარეობამ განაპირობა არა მარტო მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ფუნქციის მქონე ქალაქის წარმოქმნა, არამედ საზღვაო კურორტების ჩასახვაც, რაც თავის მხრივ საქალაქო ცხოვრების განვითარების ერთ-ერთ წინამძღვრად გადაიქცა. კურორტების წარმოქმნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე თბილი ჰავის, უხვი სუბტროპიკული მცენარეულობის და ლამაზი ბუნების არსებობას. ზღვის სანაპიროსთან ვაკე რელიეფმა ხელი შეუწყო ისეთი დიდი ქალაქის წარმოქმნას, როგორიც ბათუმია.

სოციალურ-ეკონომიური ფაქტორებიდან აჭარის ზღვისპირა ზოლში ქალაქების დაწინაურებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა წარსულში კაპიტალიზმის განვითარებას, ხოლო ჩვენს ეპოქაში წარმოების სოციალისტური წესის დამკვიდრებას, რომელმაც უზრუნველჰყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მძლავრი თანამედროვე მრეწველობის წარმოქმნა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მაღალი დონე. მატერიალური დოვლათის დაგროვებამ შესაძლებელი გახადა საკმაოდ დაწინაურებული საყურორტო მეურნეობის შექმნა. საქალაქო ცხოვრების აღმავლობაზე დიდი გავლენა მოახდინა აჭარის საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებამ. დაბოლოს, ერთ-ერთი საყურადღებო ფაქტორი იყო თვით აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტური რესპუბლიკის შექმნა, რამაც დიდად გაზარდა ბათუმის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის უმსხვილესი სამეურნეო, კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრის მნიშვნელობა.

აღნიშნულმა წინამძღვრებმა განაპირობეს აჭარის თანამედროვე ქალაქების ძირითადი ფუნქციების ჩამოყალიბება, მათი გარკვეული სახის შექმნა. ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისათვის დამახასიათებელია ნაირსახოვანი ფუნქციები. ბათუმისათვის მთავარია სამრეწველო-სატრანსპორტო და ადმინისტრაციულ-კულტურული ფუნქციები. ქობულეთი საკურორტო ქალაქია და ამავე დროს ადმინისტრაციული რაიონის ცენტრი; დაბა მახინჯაურისათვის ძირითადი ფუნქციაა მისი საკურორტო მნიშვნელობა. რაც შეეხება დაბებს — ოჩხამურსა და ჩაქვს, ისინი წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ცენტრს. ეს ორი დაბა საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში წარმოქმნილ იმ ახალი ტიპის საქალაქო დასახლებებს მიეკუთვნებიან, რომლებიც წარმოიშვნენ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე უმთავრესად ჩაის და სხვა სუბტროპიკული კულტურების წარმოებისათვის შექმნილი საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე. იმავე პუნქტებში არსებობს კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი საწარმოებიც, რომლებიც ადგილობრივ ნედლეულს გადაამუშავებენ. ჩვეულებრივი საქალაქო დასახლებისაგან განსხვავებით, აღნიშნული დაბების მთავარ ფუნქციას შეადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მასზე დამყარებული კვების მრეწველობა. თვით დაბების ტერიტორიაზე მდებარეობენ ჩაის, ტუნგის, ციტრუსების და რიგი სხვა სუბტროპიკული კულტურის პლანტაციები. თითოეულ დაბას აქვს ერთი ან ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე დასახლება, სადაც ძირითადად მუშა-მოსამსახურეები ცხოვრობენ. წარმოების ხასიათით ისინი სოფლის მეურნეობისა და მასზე დამყარებული მრეწველობის თავისებურ შერწყმას გამოსახავენ და ამ მხრივ გარდამავალი ადგილი უკავიათ სოფლისა და ქალაქის ეკონომიკას შორის. საინტერესოა, რომ დასახლების ტიპითაც ეს დაბები ანალოგიურ მდგომარეობაში არიან: ქალაქის ტიპის დასახლებას დაბები უახლოდებიან იმით, რომ მცხოვრებთა ძირითადი ნაწილი მუშა-მოსამსახურეებისაგან შედგება. საცხოვრებელი სახლები აქ შენდება მრავალბინიანიც (სახელმწიფო საკუთრება) და ერთბინიანიც (მუშა-მოსამსახურეთა კუთვნილება).

აღსანიშნავია, რომ ქალაქების განვითარებით აჭარა წინ უსწრებს საქართველოს სხვა ავტონომიურ ერთეულებს. 1959 წლის მონაცემებით ქალაქად ცხოვრობს აჭარის მოსახლეობის 45,2%, აფხაზეთში — 37%, სამხრეთ ოსეთში — 25%. საშუალოდ საქართველოში ქალაქებზე მოდის მთელი მოსახლეობის 42,4%. აჭარაში საქალაქო ცხოვრების განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ მისი დედაქალაქი ბათუმი თავისი სიდიდითა და მნიშვნელობით საქართველოს მესამე ქალაქია; რესპუბლიკის ქალაქებიდან მას მხოლოდ თბილისი და ქუთაისი უსწრებენ წინ. აჭარის ზღვისპირა ზოლში ქალაქად ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 61,7%.

აჭარის ქალაქების გეოგრაფიული განლაგების ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი კონცენტრირებული არიან შედარებით მცირე ტერიტორიაზე — ზღვის სანაპირო ზოლში. ბათუმიდან ქობულეთამდე მანძილი პირდაპირი ხაზით არ აღემატება 20 კმ-ს; სანაპიროს ეს მონაკვეთი უწყვეტ საკურორტო ზონას წარმოადგენს. აღნიშნულ ქალაქებს შორის მდებარეობენ ორი დაბა — მახინჯაური და ჩაქვი და ორი საკურორტო დასახლება — მწვანე კონცხი და ციხისძირი. ორივე ამ უკანასკნელ პუნქტში, ისევე როგორც დაბა მახინჯაურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მოქმედებენ დასასვენებელი სახლები და თავისი ძირითადი ფუნქციით ისინი ქალაქებს უფრო მოგვაგონებენ, ვიდრე სოფლებს. დაბა ოჩხამური არაა განლაგებული ზღვის ნაპირას, მაგრამ იგი ქობულეთს ესაზღვრება ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან და მისგან მხოლოდ რამდენიმე კილომეტრითაა დაცილებული. საერთოდ, შავი ზღვის სანაპიროს უდიდესი ნაწილი აჭარის ფარგლებში წარმოადგენს ერთიან საკურორტო ზონას, რომელშიაც ერთმანეთს ენაცვლებიან საქალაქო განაშენიანება საცხოვრებელი კვარტალებით და სამრეწველო საწარმოებით, საკურორტო დასახლებანი, იშვიათი სილამაზის სანაპირო პარკები, ჩაის, ციტრუსების, ბამბუკისა და სხვა სუბტროპიკების პლანტაციები, რომლებიც გაშენებული არიან უშუალოდ დაბებისა და კურორტების ტერიტორიაზე. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ ზოლს აქვს საქალაქო აგლომერაციის ზოგიერთი ნიშანი. იგი მოიცავს აჭარის ორივე ქალაქს, ყველა დაბებსა და საკურორტო დასახლებებს. მართალია, აგლომერაცია აქ ჯერჯერობით სუსტადაა გამოსახული, მაგრამ მისი უგულებელყოფა შეუძლებლად უნდა მივიჩნიოთ. ბათუმისა და ქობულეთის შემდგომი აღმავლობა, ისევე როგორც აჭარის დაბებისა და კურორტების წინსვლა რეალურ პერსპექტივებს ქმნის აგლომერაციის საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის. საქალაქო აგლომერაციის წარმოქმნა აჭარაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, რადგან ზოგადად საქართველოში ეს პროცესი ჯერჯერობით სუსტადაა გამოსახული. აჭარის გარდა, ძძლავრი საქალაქო აგლომერაციის წარმოქმნას ადგილი აქვს მხოლოდ თბილის-რუსთავის სამრეწველო კვანძში; მცხეთიდან რუსთავამდე, დაახლოებით 50 კმ მანძილზე — მდ. მტკვრის გაყოლებით საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს ეს პროცესი. მის საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე მსხვილი მრეწველობა, რომლის ბაზაზე ვეებერთელა ტერიტორიაზე იქმნება საქალაქო დასახლების ერთიანი, თითქმის უწყვეტი ჯაჭვი.

აჭარის ქალაქების ამ ზოგადი ნიშნების მითითების შემდეგ მოკლედ დავახასიათებთ ბათუმს და ქობულეთს.

ბ ა თ უ მ ი

ის, რაც ზემოთ ნათქვამი იყო აჭარის ქალაქების გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობათა შესახებ, მოლიანად შეეხება პირველ რიგში ბათუმს.

ქალაქი მდებარეობს შავი ზღვის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირის მეტად მოხერხებულ ყურესთან, რომელიც საკმაოდ ღრმა და კარგად დაცულია ზღვის ტალღებისაგან, რის წყალობითაც მშვენიერ სანაგსადგურო ადგილს წარმოადგენს. ამ გარემოების წყალობით ბათუმის სატრანსპორტო დანიშნულება ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად გადაიქცა.

რკინიგზითა და საავტომობილო მაგისტრალებით ბათუმი დაკავშირებულია საქართველოს და ამერიკაკავასიის ყველა ძირითად რაიონთან, აგრეთვე საბჭოთა კავშირის უმსხვილეს ცენტრებთან, რაც ჯერ-ერთი, მას აქცევს საზღვაო და სახმელეთო ტვირთების მსხვილ სატრანზიტო პუნქტად და, მეორეც, ყოველმხრივ ხელს უწყობს ქალაქის ფართო საწარმოო-ეკონომიური კავშირის დამყარებას უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ რაიონებთან.

ქალაქის მეტად მოხერხებულმა სატრანსპორტო მდებარეობამ შექმნა წინამძღვრები მრეწველობის რიგი დარგების განვითარებისათვის. ბათუმში მრეწველობის აღმავლობამ ბიძგი მისცა აგრეთვე საქართველოს შავი ზღვისპირა-რაიონებში ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ჩაის მრეწველობის შექმნამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმს ესაზღვრება საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული აჭარისა და გურიის სასოფლო რაიონები, რომლებიც წარმოადგენენ ქალაქის მოსახლეობის მექანიკური შევსების მთავარ რეზერვს.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბათუმისა და მისი უახლოესი გარემოცვის ბუნებრივი პირობები ყოველმხრივ ხელს უწყობენ ქალაქის განვითარებას.

ბათუმის მდებარეობის უპირატესობანი გამოვლინდა კაპიტალისტურ ეპოქაში, ქალაქის რუსეთის ხელში გადასვლის შემდეგ, როცა იგი გადაიქცა ბაქოს ნავთის ექსპორტის მთავარ ბაზად და არა თუ საქართველოს, არამედ მთელი ამერკავკასიის და რუსეთის სამხრეთი პროვინციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სანავსადგურო ქალაქად. ამ დროიდან დამყარდა ბათუმის მჭიდრო ეკონომიური კავშირი რუსეთის შავი ზღვისპირა მრავალ ქალაქთან და საზღვარგარეთულ ქვეყნებთან.

თავის პირველდაწყებით ბირთვს — ბათუმის ყურის სანაპიროს — ქალაქი ამკამად უკვე დიდად გასცილდა ოთხრეთ-სამხრეთ-დასავლეთით, ისე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით—სანაპირო ხაზის გასწვრივ; იგი აღწევს აგრეთვე აღმოსავლეთით მდებარე გორაკების ძირამდე და საკმაოდ ღრმად არის შეჭრილი მდ. მდ. ბარცხანისა და ყოროლისწყლის გაფართოებულ ხეობებში. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ თანამედროვე ბათუმის განაშენიანებული ტერიტორია გრძელდება 7 კმ-ზე, ხოლო სიგანე ზღვის ნაპირიდან გორაკ-ბორცვებამდე, რომლებიც აღმოსავლეთიდან ეკვრიან ქალაქს, მერყეობს 1—2,5 კმ შორის. ქალაქის ფართობი უდრის 1376 ჰას.

ბათუმი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, მაგრამ მისი შორეული წარსულის შესახებ მეტად მცირე ცნობებია შემონახული. ამავე დროს, ეს ცნობები იმდენად ფრაგმენტული და არაზუსტია, რომ შეუძლებელია მათ საფუძველზე დაბეჯითებით გამოითქვას აზრი ქალაქის დაარსების დროის შესახებ ან განისაზღვროს მისი ადგილი ადრინდელ ქართულ ქალაქთა შორის. მიუხედავად ამისა, რიგი მონაცემების საფუძველზე ამკამად ის აზრია განმტკიცებული, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში და მომდევნო ეპოქაშიც არსებობდა ქალაქი ბათუმი და მისი ქართული სახელწოდება ევროპიელების მიერ გაარჩევული იყო ამ სიტყვის ბერძნული შინაარსით („ბათუ“ ბერძნულად ნიშნავს ღრმას). მკვლევართა აზრით, ბათუმი მაშინ ახლანდელი საქალაქო დასახლების ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ყოროლისწყლის შესართავთან არსებობდა.

(XVI საუკუნის ორმოციანი წლებიდან დაიწყეს თურქებმა ბრძოლა ბათუმის მიტაცებისათვის. გურიელი და მისი მოკავშირეები თავგამოდებით იცავდნენ ქალაქს მტრის შემოსევებისაგან. თითქმის 200 წლის მანძილზე ამაოდ ცდილობდა თურქეთი დამკვიდრებულიყო ბათუმსა და ზღვისპირა აჭარაში; მხოლოდ 1726 წელს ჩაიგდო მან საბოლოოდ ხელში ქალაქი. აქედან იწყება მეტად მძიმე ხანა ბათუმის ისტორიაში. თურქთა ბატონობის პერიოდში იგი იყო მეურნეობისა და კულტურის მხრივ ჩამორჩენილი პატარა ქალაქი.

XIX საუკუნის მა[ძ]ილზე რუსეთსა და თურქეთს შორის მომხდარი ომების დროს მეფის მთავრობას არა ერთხელ უცდია შემოეერთებინა აჭარა და ბათუმი, მაგრამ ამ მიზანს რუსებმა მხოლოდ 1877—1878 წლების ომის შედეგად მიაღწიეს. ეკონომიური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მთელი რუსეთისა და კერძოდ საქართველოსათვის ბათუმის შემოერთება, რადგან იგი წარმოადგენდა საუკეთესო ბუნებრივ ნავსადგურს შავი ზღვის სანაპიროზე. რუსეთის კაპიტალიზმის ზოგადი აღმავლობის პირობებში ბათუმს დიდი როლი შე-

ეძლო შეესრულებინა არა მარტო რუსეთის სამხრეთის რაიონებსა და ამიერ-კავკასიას შორის ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერებაში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობის მკვეთრად გაფართოებაშიც.

ბათუმის შემოერთების პირველ წლებშივე განისაზღვრა მისი მომავალი როლი, როგორც მსხვილი ნავსადგურისა შავ ზღვაზე. ქალაქის რუსეთის ხელში გადასვლის წლები დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც მსოფლიო ბაზარზე გაძლიერდა მოთხოვნილება ნავთობის პროდუქტებზე და ბაქოს ნავთობის რაიონი ხდებოდა აღნიშნული პროდუქტების ერთ-ერთი უმსხვილესი მიმწოდებელი როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის. ასეთ ვითარებაში ბათუმისათვის გადაშალა მეტად ხელსაყრელი პერსპექტივა — გამხდარიყო კავკასიის ნავთობის გაზიდვის მთავარ ცენტრად. მართლაც, გასული საუკუნის ორი უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ბათუმმა ამ მხრივ განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწია. ნავთობპროდუქტების სულ უფრო მზარდი რაოდენობით გაზიდვამ გამოიწვია ბათუმის არა მარტო მსხვილ ნავსადგურად გადაქცევა, არამედ ქალაქში საკმაოდ მნიშვნელოვანი მრეწველობის შექმნაც. მძლავრ ეკონომიურ წინსვლას კი თან მოჰყვა საქალაქო მეურნეობისა და კულტურული ცხოვრების აღმავლობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებშივე ბათუმი გადაიქცა ახლად შექმნილი აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქად. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ, ქალაქის სამეურნეო, ადმინისტრაციული და კულტურული ფუნქციების გაფართოებისათვის, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მისი მოსახლეობის საკმაოდ სწრაფი ზრდა. უკანასკნელი 150 წლის მანძილზე ბათუმის მოსახლეობის დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა:

წელი	მოსახლეობის რაოდენობა	წელი	მოსახლეობის რაოდენობა
1807 . . .	2 000[1]	1926 . . .	48474
1878 . . .	3 000[1]	1939 . . .	70019
1882 . . .	8671[1]	1959 . . .	82328
1897 . . .	28512[1]		

როგორც ვხედავთ, ქალაქი რუსეთთან შემოერთების პირველსავე წლებში მეტად სწრაფად იზრდებოდა, რაც გამოწვეული იყო სატრანსპორტო ფუნქციების მკვეთრი გაფართოებით. ამავე დროს, შემოერთების პირველ ხანებშივე შეიქმნა საკმაოდ მსხვილი სამხედრო-ადმინისტრაციული აპარატი და აქ თავი მოიყარა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა. ეკონომიური ცხოვრების აღმავლობამ მიიზიდა მოსახლეობა როგორც მახლობელი აჭარისა და გურიის სოფლებიდან, ისე შორეული მხარეებიდან.

ბათუმი საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა საბჭოთა პერიოდში. 1926 წლიდან 1959 წლამდე მისი მოსახლეობის რიცხვი თითქმის 70%-ით გადიდდა.

ბათუმის მოსახლეობაში სწრაფად იზრდება ქართველების ხვედრითი წონა. 1897 წელს ქართველებზე მოდიოდა მთელი მოსახლეობის 21,3%, ხოლო 1959 წელს — 48,8%. გიზარდა აგრეთვე რუსებისა და უკრაინელების ხვედრითი წონა. 1959 წელს ორივე ამ ეროვნებაზე მოდიოდა 29,3%. შესამჩნევად შემ-

[1] Батум и его окрестности, Батум, 1906, стр. 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირდა სომხებისა და ბერძნების, აგრეთვე უცხოელ ეროვნებათა ხვედრითი წონა.

საინტერესოა მონაცემები ბათუმის მოსახლეობის სოციალურ ჯგუფებად განაწილების შესახებ. იმავე 1959 წლის აღწერით, მუშები და მათი ოჯახის წევრები შეადგენდნენ ქალაქის მცხოვრებთა 49,5%-ს, მოსამსახურეები — 44,4%-ს, კოლმეურნეები — 3,3%-ს, დანარჩენი — 2,8%-ს. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მკვეთრად გაიზარდა მომუშავე მოსახლეობის როგორც აბსოლუტური, ისე ხვედრითი ოდენობა. 1926 წელს შრომის სხვადასხვა დარგში ჩაბმული იყო 14,1 ათასი კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 31,1%, 1959 წელს კი მომუშავეთა რიცხვი შეადგენდა 35,6 ათასს, ანუ მცხოვრებთა საერთო რიცხვის 43,3%-ს. იმავე პერიოდში ქალაქის მთელი მოსახლეობა გაიზარდა 1,7-ჯერ, ხოლო მომუშავეთა რიცხვი 2,5-ჯერ. შრომაში ახალი კონტინგენტების ჩაბმამ ბევრად დაიჩქარა ქალაქის სამეურნეო და კულტურული აღმავლობა. სამრეწველო პერსონალის რიცხვი გადიდდა სამჯერ და კიდევ უფრო მეტად. 1959 წელს ამ დარგში ჩაბმული იყო მუშა-მოსამსახურეთა 33,3%, ტრანსპორტზე მოდიოდა, შესაბამისად 11%, მშენებლობაზე — 8,1%, ვაჭრობასა და მომარაგებაზე — 11,1%, ხოლო სოფლისა და სატყეო მეურნეობაზე — 3,6%. სულ მწარმოებლურ დარგებში ჩაბმული იყო მომუშავეთა ორ მესამედზე მეტი (67,1%), ხოლო არამწარმოებლურ დარგებში — 30%; აქედან ყველაზე მრავალრიცხოვანია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები (10,1%).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ტრანსპორტსა და ვაჭრობაში ჩაბმულთა აბსოლუტური რიცხვი გაიზარდა, მაგრამ ხვედრითი წონა შემცირდა 20-დან 11%-მდე (თითოეულის). ასეთ მოვლენას ადგილი აქვს ტვირთბრუნვისა და საქონელბრუნვის მრავალჯერ გადიდებასთან ერთად. საქმე ისაა, რომ დიდად გაზარდა მექანიზაცია სატვირთო სამუშაოებში, აგრეთვე კერძო ვაჭრობის მოსპობის შედეგად მოლიანად გადახალისდა საქონელბრუნვის ორგანიზაცია, რასაც თან მოჰყვა ამ დარგებში ცოცხალი შრომის გამოყენების მკვეთრად შემცირება. ამრიგად, მოსახლეობის განაწილებაზე შრომითი დარგების მიხედვით გავლენას ახდენდა არა მარტო ბათუმის ფუნქციების გადახალისება, კერძოდ, მრეწველობის სწრაფი აღმავლობა და ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობის გაზრდა, არამედ მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნაც, რის ერთ-ერთ გამოსახულებას შეადგენდა მოწინავე ტექნიკის დანერგვა და შრომის ახლებური ორგანიზაცია.

თანამედროვე ბათუმი ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ცენტრია. ქალაქის კულტურული აღმავლობა დაიჩქარა მისმა გადაქცევამ აჭარის დედაქალაქად და ჩვენს ქვეყანაში ახალი სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის შექმნილმა ხელსაყრელმა პირობებმა.

ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო წ ა რ მ ო ე ბ ა ქალაქის სატრანსპორტო დანიშნულებასთან ერთად ბათუმის მთავარ ეკონომიურ ფუნქციას შეადგენს. როგორც ზევით დავინახეთ, მას უკავია პირველი ადგილი ქალაქის მოსახლეობის საქმიანობაში. ბათუმის თანამედროვე მრეწველობა წარმოადგენს ამ ქალაქის ზრდისა და განვითარების მთავარ წყაროს და მოსახლეობის კეთილდღეობის უპირველეს საფუძველს. ამავე დროს, აჭარის დედაქალაქის მრეწველობა საქართველოს სოციალისტური სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და ასახავს ბათუმის მონაწილეობას საქართველოს მოსახლეობის შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში.

ბათუმის რუსეთთან შეერთების შემდეგ ქალაქის მრეწველობის წარმოქმნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სწრაფი განვითარება მთლიანად გაპირობებული იყო ბაქოს ნავთობპროდუქტების ექსპორტით. ამრიგად, ბაქოს ნავთობმა უდიდესი როლი შეასრულა ბათუმის ეკონომიურ დაწინაურებაში, მაგრამ მანვე გამოიწვია, ქალაქის მრეწველობის მეტისმეტი ვიწრო სპეციალიზაციის შედეგად, მისი ცალმხრივი მეურნეობრივი განვითარება. ეს იყო ბათუმის ეკონომიკის ძალზე სუსტი მხარე, რადგან რომელიმე სერიოზულ შეფერხებას ბაქოს ნავთობის მრეწველობაში შეიძლება გამოეწვია უაღრესად მძიმე შედეგები მის მეურნეობაში. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდებოდა იმით, რომ თვით ბაქოს ეკონომიური კეთილდღეობა ნავთობის შიდასახელმწიფოებრივ მოხმარებაზე კი არ იყო დაფუძნებული, როგორც ამას დღეისათვის აქვს ადგილი, არამედ ძირითადად ნავთობპროდუქტების ექსპორტით განისაზღვრებოდა. მისი განვითარება ხდებოდა მსოფლიო კაპიტალისტური წარმოების მძაფრი კონკურენციის პირობებში. სწორედ ამის გამო იყო, რომ 1903 წლიდან დაეცა ნავთობპროდუქტების ექსპორტი და ამასთან დაკავშირებით მკვეთრად შეიკვეცა ბათუმის მრეწველობა. ბათუმის მრეწველობის მდგომარეობა ძალზე გაუარესდა აგრეთვე პირველი მსოფლიო ომისა და მეწშვიეკების მმართველობის პერიოდში. ომის წლებში ქალაქის მომქმედ საწარმოთა შორის გამოირჩეოდა როტშილდის ფირმის თუჯის ჩამოსასხმელი და მექანიკური წარმოება, რომელიც სამხედრო დაკვეთებზე მუშაობდა. რევოლუციამდელი ბათუმი თბილისს შემდეგ საქართველოს უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრი იყო და სოციალისტური მრეწველობის შექმნაშიაც მას მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა. აქ უკვე არსებობდა საფბარიკო-საქარხნო შრომაში გაწრთვნილი პროსნალის საკმაოდ მძლავრი ბირთვი, რომელსაც ფართოდ შეეძლო გამოეყენებინა თავისი ცოდნა და გამოცდილება ახალ საწარმოებში. ბათუმში მსხვილი მრეწველობის შექმნის მეორე ხელშემწყობი გარემოება იყო მისი საუკეთესო სატრანსპორტო მდებარეობა საზღვაო და სახმელეთო კომუნიკაციების შესაყარზე.

ბათუმის წინაშე კვლავ ისახებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ნავთობპროდუქტებით ვაჭრობის მკვეთრად გაფართოების ახალი პერსპექტივები. მაგრამ ამჟამად ქალაქს უნდა შეესრულებინა არა ბაქოს ნავთობის გადამტვირთავის როლი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რევოლუციამდელ პერიოდში, არამედ იგი უნდა გამხდარიყო ნავთობგადამუშავების მნიშვნელოვანი ცენტრი. ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრა პირველ ხუთწლედში, როცა აშენდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. აღნიშნული საწარმოს აგება წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ეტაპს აჭარის დედაქალაქის სამრეწველო განვითარებაში. სათბობის მრეწველობას ამჟამადაც პირველი ადგილი უჭირავს ბათუმის სამრეწველო წარმოებაში, მაგრამ იგი უკვე აღარ წარმოადგენს მისი მრეწველობის ერთად-ერთ დარგს. ხუთწლედების მანძილზე შეიქმნა ბათუმის მრავალდარგიანი მძლავრი მრეწველობა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გარდა ნავთობგადამუშავებისა, მანქანათმშენებლობას, მსუბუქ და კვების მრეწველობას.

თანამედროვე ბათუმის მრეწველობისათვის დამახასიათებელია მჭიდრო კავშირი საქართველოს სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებთან. ბათუმის მანქანათმშენებლობა ამარგებს რესპუბლიკას კვების მრეწველობის სხვადასხვა სახის მანქანა-გაწყობილობით. აქედან ღებულობს საზღვაო ტრანსპორტი მსუბუქი ტიპის გემებს და კატარღებს, აქვე მზადდება როგორც საწარმოო, ისე სამომხმარებლო დანიშნულების ელექტროტექნიკური მოწყობილობა. ქალაქის მსუბუქი და კვების მრეწველობა აწარმოებს საქართველოს და, პირველ რიგში, აჭარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის მრავალრიცხოვან პროდუქციის გადამუშავებას. ამ ნედლეულიდან აღსანიშნავია: ტყავნედლეული, თამბაქო, ხილი და ბოსტნეული, ციტრუსები, ღვინომასალა, ჩაის მწვანე და უხეში ფოთოლი, ხორცის ნედლეული და სხვ.

არსებითად ბათუმის სამრეწველო წარმოება განსაზღვრავს აჭარის მრეწველურ სახეს. ქალაქზე მოდის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის დაახლოებით 70%. მაგრამ ბათუმის როლი აჭარის მრეწველობაში მარტო ამ მაჩვენებლით არ განისაზღვრება. დედაქალაქში თავმოყრილია ავტონომიური რესპუბლიკის ყველაზე უფრო კვალიფიციური დარგები და უდიდესი საწარმოები; ბევრ მთგანს საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა პერიოდში ბათუმის მრეწველობის ზრდის ერთ-ერთი მაჩვენებელია სამრეწველო პერსონალის დინამიკა 1926—1959 წლებში. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერით ბათუმის ყველა სახის სამრეწველო საწარმოში (მათ შორის ხელოსნობაშიც) 1926 წლის დეკემბერში ჩაბმული იყო 3664 კაცი, ანუ მომუშავე მოსახლეობის 25,9%. 32 წლის შემდეგ (1959 წლის იანვარში), აგრეთვე მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ქალაქის მრეწველობაში მუშაობდა 11863 კაცი, რაც შეადგენდა მთელი მომუშავე მოსახლეობის 33,3%-ს. როგორც ვხედავთ, სამრეწველო პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 3,2-ჯერ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ 1926 წელს ძირითადად გაბატონებული იყო ხელოსნური წარმოება, ამჟამად კი ბათუმში მსხვილი, კვალიფიციური მრეწველობაა შექმნილი, ხოლო წვრილ მრეწველობას სრულიად უმნიშვნელო ადგილი უკავია.

ბათუმის უმთავრესი სამრეწველო საწარმოები ტერიტორიულად ორ ჯგუფად არიან განლაგებული. ქარხნების პირველი ჯგუფი მდებარეობს ბათუმის ყურის ნაპირას, აგრეთვე მდ. მდ. ყორლისწყლისა და ბარცხანას გაფართოებულ ხეობებში; ისინი ნახევარრკალად ეტყმიან ყურეს დასავლეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან და ქალაქის მთავარ სამრეწველო უბანს წარმოქმნიან. მათი ნაწილი უშუალოდაა დაკავშირებული საზღვაო ტრანსპორტთან და ამან განაპირობა სიახლოვე ნავსადგურთან, ნაწილმა კი გამოიყენა ადრე არსებული ტარის ქარხნებისა და სხვა სამეურნეო ნაგებობათა ტერიტორია. ამ ჯგუფის საწარმოებიდან აღსანიშნავია ნავთობგადამამუშავებელი, გემთმშენებელი, ელექტროკარების, კოფეინის და ელექტრტექნიკური ქარხნები, აგრეთვე ხის დამამუშავებელი, თევზის და ციტრუსების კომბინატები. ქარხანა-ფაბრიკების მეორე ჯგუფი სამხრეთიდან ეკვრის საცხოვრებელ უბნებს და ალაგ-ალაგ შეჭრილია ციტრუსოვანთა პლანტაციებში. მათგან დაკავსახელებთ მანქანათმშენებელ, ელექტროხელსაწყოების, ტყავის და ლუდის ქარხნებს, აგრეთვე ფეხსაცმელის, სამკერვალო და თამბაქოს ფაბრიკებს.

ბათუმის თანამედროვე მსხვილ ქალაქად გადაქცევაში დიდი როლი შეასრულა მისმა ს ა ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ო დანიშნულებამ. სწორედ სატრანსპორტო ფუნქციამ შექმნა მრეწველობის განვითარების და, საერთოდ, ბათუმის ეკონომიური დაწინაურების თავდაპირველი წინამძღვრება. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმი უფრო დაცილებული იყო საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური ცენტრებიდან, ვიდრე ფოთი, იმდენად აშკარად ჩანდა მისი ბუნებრივი ნავსადგურის უპირატესობანი, რომ შესაძლებელი გახდა აქ მსხვილი საზღვაო-სატრანსპორტო ოპერაციების თავმოყრა და მის საფუძველზე ქალაქის სწრაფი ეკონომიური დაწინაურება. ყოველივე ამას თან მოჰყვა ბათუმის გადაქცევა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს უდიდეს ქალაქად და ნავსადგურად, რომელსაც საზღვაო ტვირთების მოცულობით პირველი ადგილი უკავია რესპუბლიკის ნავსადგურო ქალაქებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი ბათუმი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო კვანძს, სადაც თავს იყრიან საზღვაო, სარკინიგზო, მიწსადენი და საავტომობილო მაგისტრალები, ქალაქს ემსახურება აგრეთვე აეროპორტი. თუ პირველი სამი მთგანი დიდ როლს ასრულებდა ჯერ კიდევ რევოლუციამდელი ბათუმის ეკონომიურ ცხოვრებაში, საავტომობილო ტრანსპორტი მთლიანად საბჭოთა პერიოდში შეიქმნა და აწინდელი ქალაქის მეურნეობრივი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა; საჰაერო მიმოსვლაც ჩვენს დროში დაწესდა. მაგრამ განსხვავება ქალაქის საგარეო ტრანსპორტის მდგომარეობაში წინათ და ახლა, ამით არ ამოიწურება. მთავარი ის არის, რომ საბჭოთამდელი ბათუმი წარმოადგენდა ძირითადად სატრანსპორტო პუნქტს, სადაც ხდებოდა ტვირთების ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორეზე გადატვირთვა, ახლა კი, წინანდელი სატრანზიტო მნიშვნელობის გაფართოებასთან ერთად, დიდად გაიზარდა თვით ქალაქისა და მისი უახლოესი გარემოცვის სამეურნეო ტვირთების მოცულობა ბათუმის საერთო ტვირთბრუნვაში. ასეთი ცვლილება უშუალო შედეგია ბათუმის სწრაფი სამრეწველო განვითარებისა და მის მიდამოებში მძლავრი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნისა. გარდა ამისა, ადგილი აქვს ქალაქის საგარეო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის საერთო მოცულობის მკვეთრად გადიდებას, რაც თავისთავად ბათუმის სატრანსპორტო ფუნქციის გაფართოებაზე მიუთითებს.

ბათუმის სატრანსპორტო ფუნქციის მნიშვნელოვანი გადახალისება პირველ რიგში გამოისახა ნავთობისა და მისი პროდუქტების უფრო მსხვილი სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელებაში. ამ სახის ტვირთებს, ისევე როგორც წინათ, ახლაც მთავარი ადგილი უკავია ბათუმის საზღვაო, სარკინიგზო და მილსადენი ტრანსპორტის ტვირთბრუნვაში, მაგრამ შეიცვალა მათი მიმართულება; ნავთობპროდუქტების შიდასახელმწიფოებრივი მოხმარების მკვეთრად გადიდების გამო, დიდი ადგილი დაიკავა აღნიშნული ტვირთების გადაზიდვებმა შავიზღვისპირა მხარეებში. საერთოდ, ბევრად უფრო მჭიდრო გახდა სატრანსპორტო კავშირი ბათუმსა და საბჭოთა კავშირის შავი ზღვის დანარჩენ ნავსადგურებს შორის, ისევე როგორც მრავალჯერ გაიზარდა სარკინიგზო კავშირი ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ცენტრებთან. თუ ბათუმის ტრანსპორტი წინათ ორიენტირებული იყო საზღვარგარეთთან კავშირზე, ამჟამად იგი მნიშვნელოვანწილად ემსახურება ქალაქის ეკონომიური კავშირის უზრუნველყოფას საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სამეურნეო ცენტრებთან, თუმცა სატრანსპორტო ოპერაციებს ბათუმისა და საზღვარგარეთის ნავსადგურებს შორის ახლაც დიდი ადგილი უკავია.

ბათუმი წარმოადგენს ამიერკავკასიის რკინიგზის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ პუნქტს და ამყარებს კავშირს საზღვაო და სახმელეთო მაგისტრალებს შორის. უკანასკნელ წლებში სწრაფად იზრდებოდა ქალაქის რკინიგზის სადგურის ტვირთბრუნვა, რასაც ხელს უწყობს როგორც ნავსადგურში საზღვაო-სატრანსპორტო ოპერაციების გაფართოება, ისე ქალაქის სამეურნეო ცხოვრების აღმავლობა, განსაკუთრებით — მშენებლობის ფართო მასშტაბი და მრეწველობის განვითარება. შეიძლება ითქვას, რომ რკინიგზა მნიშვნელოვანწილად ემსახურება საზღვაო ნავსადგურს. თავის მხრივ ნავსადგურიც აწოდებს ტვირთებს რკინიგზას, მაგრამ ბევრად უფრო მცირე მასშტაბით.

საქართველოს უმთავრეს ეკონომიურ ცენტრებთან ბათუმი კავშირს ამყარებს ძირითადად რკინიგზის ტრანსპორტის საშუალებით.

ბათუმის კავშირურთიერთობის დამყარებაში თავის უახლოეს გარემოცვასთან, პირველ რიგში აჭარის სოფლებთან და ქალაქებთან უდიდეს როლს ასრუ-

ლებს საავტომობილო ტრანსპორტი. იგი ტრანსპორტის ძირითად სახეობად ყველაზე ახალგაზრდაა, მაგრამ ამავე დროს ყველაზე უფრო სწრაფად ზრდადი. ქალაქგარეთ გადაზიდული ტვირთების მოცულობით, მართალია, ავტომობილები ჩამორჩება საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტს, მაგრამ გაბატონებული ადგილი უკავია შიდასაქალაქო გადაზიდვებში და ბათუმის მიზიდულობის არეალის სატრანსპორტო საშუალებათა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის სამეურნეო და კულტურულ წინსვლას თან ახლავს კ ე თ ი ლ-მ ო წ ყ ო ბ ი ს სისტემატური გაუმჯობესება. ამჟამად არ არსებობს ბათუმის საქალაქო მეურნეობის არცერთი უბანი, რომელსაც მკვეთრად არ ეცვალოს სახე უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე. კეთილმოწყობიები სამუშაოები განზორციელდა როგორც ქალაქის ცენტრალურ რაიონში, ისე მის განაპირა უბნებში. ამ სამუშაოებიდან აღსანიშნავია ფართოდ გაშლილი საბინაო მშენებლობა, არსებული ქუჩების კეთილმოწყობა და ახალი მაგისტრალების გაყვანა, წყალსადენის გაფართოება და კანალიზაციის მოწყობა, შიდასაქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მიმოსვლის დაწესება, ელექტროენერგიით ქალაქის უზრუნველყოფა, მწვანე ნარგავების მკვეთრად გაფართოება. ყველა ამ კეთილმოწყობითმა სამუშაოებმა სახე უცვალა წინანდელ ბათუმს და სრულიად ახალი იერი მისცა მას.

სერიოზული ყურადღება ექცევა საბინაო ფონდის გაფართოებას. 1959 წლისათვის ბათუმში იყო სულ 5883 სახლი, რომელთაგან ქალაქის საბჭოს და ცალკეულ უწყებებს ეკუთვნოდა 1633 სახლი, დანარჩენი 4250 სახლი კი მუშა-მოსამსახურეთა საკუთრებაში ითვლებოდა. მთელი საცხოვრებელი ფართობი შეადგენდა 542,5 ათას კვ. მ-ს. კერძო სახლებზე მოდიოდა მთელი საბინაო ფონდის 39,4%. განზოგადოებულ სექტორში საშუალოდ ერთი სახლის საცხოვრებელი ფართი შეადგენდა 201 კვ. მ-ს, ხოლო კერძო სახლებში — 50 კვ. მ-ს.

ბათუმის განაშენიანებაში დიდად ჯარიობს ერთ და ორსართულიანი სახლები, უკანასკნელ წლებში ბევრი შენდება სამ და ოთხსართულიანი საცხოვრებელი შენობები. 1956 წელს საცხოვრებელი სახლების საერთო რიცხვის 44,6% მოდიოდა ხის სახლებზე, რომლებიც თითქმის მთლიანად კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნოდათ, დანარჩენი კი ქვითა და აგურით იყო ნაგები. მას შემდეგ ხის სახლების რიცხვი სწრაფად მცირდება, რადგან ახალი შენობებისათვის ხის საკედლე მასალას აღარ ხმარობენ. სახურავ მასალად გამოყენებულია თუნუქი, კრამიტი და შიფერი, იშვიათად — რბილი სახურავი მასალა.

ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნაში, დასახლებული უბნების კეთილმოწყობაში და მიმზიდველი გარეგანი სახის ჩამოყალიბებაში დიდი ადგილი უჭირავს ქალაქის მ წ ვ ა ნ ე ს ა მ ა ს ი ლ ს. სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობა მეტად კარგ პირობებს ქმნიდა ძველთაგანვე ბათუმის უხვად გამწვანებისათვის. შავი ზღვის სანაპირო ბათუმის მიდამოებში გამოირჩევა ძალზე მდიდარი, მრავალნაირი მცენარეულობით, რომელიც წლის ყველა დროის განმავლობაში ათასგვარადაა აფერადებული და თავისი იშვიათი სილამაზით ხიბლავს მნახველს. ამ 80 წლის წინათ (1881 წ.) ჩაეყარა საფუძველი ბათუმის მწვანე ნარგავების მნიშვნელოვან მასივს — აწინდელ პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკს, მაშინ დაუწყიათ აგრეთვე ხეების დარგვა ქუჩებში, ტროტუარების გასწვრივ. 1884 წლის ბოლოს დაიწყო ბათუმის ზღვისპირა ბულვარის ხეივნების გაშენება. იგი თავისი სიდიდითა და სილამაზით ერთ-ერთი საუკეთესო პარკია შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე. მას ამშვენებს მუდამ მწვანე მაგნოლიების, კვიპაროზების, კედრების, პალმების, ლუგუსტრუმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ულამაზესი ხეივნები, ხალიჩასავით აპრელებული ყვავილნარები — ცენტრში განლაგებული საზაფხულო თეატრის მეტად ლამაზი შენობით; პარკი წარმოადგენს ბათუმის მშრომელთა და ჩამოსული სტუმრების საყვარელ დასასვენებელ ადგილს.

ქალაქისა და მისი მიდამოების მწვანე მასივებიდან ცალკე უნდა აღინიშნოს ბათუმის ბოტანიკური ბაღი, რომელიც ქალაქგარეთ, მწვანე კონცხთან მდებარეობს. ბაღის ტერიტორია და საერთოდ მწვანე კონცხის მიდამოები მკვეთრად განაწვეერებული რელიეფით და უჩვეულოდ მდიდრული მარად მწვანე სამოსელით, ლურჯად მოლივლივე ზღვაში შეჭრილი მაღალი, კლდოვანი ქიმით (რომელშიაც რკინიგზის გვირაბია გაჭრილი) და ზედ შეფენილი ძვირფასი მკენარეულობით — იმდენად ლამაზი და თვალწარმტაცია, რომ სამუდამოდ აღიბეჭდება ადამიანის მეხსიერებაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ბუნების მომხიბლავი მშვენიერებით ამ არემარეს ბადალი არ მოეპოვება შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე.

ბათუმი და მისი მიდამოები საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკურორტო ზონას წარმოადგენს. მეტად ხელსაყრელი კლიმატური პირობები, ბუნების იშვიათი სილამაზე და მშვენიერი პლაჟები აჭარის თითქმის მთელ სანაპიროს დასვენების საუკეთესო ადგილად აქცევს. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში ბათუმსა და ქობულეთს შუა შენდებოდა კერძო ააგარაკო სახლები, რომლებიც საზოგადოების პრივილეგიური ფენის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა. ჩვენ დროში ქობულეთში, ციხისძირში, მწვანე კონცხზე და მახინჯაურში შეიქმნა დასასვენებელი და სანატორიუმები, სადაც ყოველწლიურად საბჭოთა კავშირის მრავალი კუთხიდან ჩამოსული ათი ათასობით მშრომელი მკურნალობს და ისვენებს.

დიდი რაოდენობით იზიდავს ბათუმი ტურისტებსა და ექსკურსანტებს. ქალაქი წარმოადგენს შავი ზღვის ტურისტული მარშრუტის უკიდურეს სამხრეთ პუნქტს. მრავალრიცხოვანი ტურისტები აქ ჩამოდიან როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მხრიდან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

ქობულეთი

ქობულეთი მდებარეობს ბათუმიდან ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 20 კმ მანძილზე (პირდაპირი ხაზით) და მოქცეულია მდ. კინტრიშისა და მდ. ჩოლოქის შესართავებს შორის. ქალაქის უმეტესი ნაწილი შედარებით ვიწრო ზოლის სახით ზღვის ნაპირასაა განლაგებული თითქმის 12 კმ-ზე, ხოლო დასახლების სიგანე 500—600 მ შეადგენს. განაშენიანებულ უბნებს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ვაკე-დაბლობი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ტორფიან ჭაობს უკავია. ქალაქზე გადის სამტრედია — ბათუმის რკინიგზის ხაზი და საავტომობილო გზატკეცილი.

თავისი გარეგნული სახითა და მთავარი ფუნქციით ქობულეთი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. სამხრეთით მდებარეობს მისი სამეურნეო-ადმინისტრაციული ნაწილი უფრო მჭიდრო დასახლებით, ჩრდილოეთით კი საკურორტო ზონაა განლაგებული. ადგილობრივი მოსახლეობა პირველს უწოდებს ქალაქს, მეორეს კი კურორტს. საკუთრივ ქალაქში მდებარეობს რკინიგზის სადგური, ადგილობრივი მნიშვნელობის წვრილი საწარმოები, ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, აგრეთვე სავაჭრო ქსელის უმეტესი ნაწილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკურორტო ზონა ზღვის ნაპირას 10 კმ გრძელდება, მისი საშუალო სიგანე 530 მ. აქ კარგადაა გამოსახული ზღვისპირა დიუნი, რომელსაც ფიჭვნარის ზოლი გასდევს, იგი გამოყენებულია დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმებისათვის, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა დასახლება მის უკან, მთავარი ქუჩის გადაღმაა განლაგებული. საკურორტო დაწესებულებათა განლაგება კარგად გამწვანებულ ზოლში და წმინდა ქვიშით მოფენილი პლაჟი დიდ უპირატესობას ანიჭებს ქობულეთს და ერთ-ერთ პირველ ადგილზე აყენებს საქართველოს ზღვისპირა კურორტებს შორის. მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი, როგორც ძვალ-სახსრის ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო ადგილმა. ამიტომ აქ რამდენიმე სანატორიუმია სპეციალიზებული ბავშვთა მკურნალობაზე, მოქმედებენ აგრეთვე დასასვენებელი სახლები და პანსიონატები. გარდა ამისა, ყოველ ზაფხულსა და შემოდგომაზე ქობულეთში დიდი რაოდენობით ჩამოდიან ე. წ. არაორგანიზებული დამსვენებლები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისაგან ქირაობენ ბინებს. საკურორტო სეზონის დროს ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია დამსვენებელთა მომსახურებით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ხელსაყრელი პირობები ქალაქების სწრაფი განვითარებისათვის, ამიტომ დაბა ქობულეთიც ნელა მიიწევდა წინ. 1926 წელს იგი კვლავ წარმოადგენდა პატარა დაბას, სადაც მოსახლეობა 1904 კაცს შეადგენდა. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე მდგომარეობა უკვე მკვეთრად შეიცვალა. ერთი მხრივ, ქობულეთის მიდამოებში შეიქმნა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოება ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების ფართოდ დანერგვის გზით, და, მეორე მხრივ, თვით დაბაში გაიშალა მნიშვნელოვანი საკურორტო მშენებლობა. ამ ორმა გარემოებამ დიდი სტიმული მისცა ქობულეთის დაწინაურებას და მის ქალაქად გარდაქმნას. 1939 წლის აღწერით მოსახლეობამ 6133 კაცს მიაღწია. 1944 წლის 4 აგვისტოს ქობულეთი ქალაქად გამოცხადდა. 1959 წლის 15 იანვრისათვის აქ უკვე ცხოვრობდა 12598 კაცი.

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი შედგება ქართველებისაგან. მნიშვნელოვანი ოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე რუსები და რიგი სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. მომუშავე მოსახლეობა უმთავრესად ჩაბმულია საკურორტო მეურნეობაში, ადმინისტრაციულ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აგრეთვე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში; ქალაქში სულ 5 ათასამდე მუშა-მოსამსახურე ითვლება.

დიდი ცვლილებები მოხდა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. ამჟამად ქობულეთში მოქმედებს სამი სრული საშუალო სასწავლებელი და ორი შვიდწლიანი სკოლა, რომლებშიაც ორი ათასზე მეტი მოსწავლე ირიცხება. გახსნილია კულტურის სახლი, სამი საერთო სარგებლობის ბიბლიოთეკა, კინოთეატრი. ბიბლიოთეკები და კინოდანადგარები მოქმედებენ აგრეთვე სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. ქალაქში გაიხსნა მუსიკალური სკოლა.

ქალაქის სამრეწველო საწარმოებიდან აღსანიშნავია ჩაის ორი ფაბრიკა, რომლებიც ქალაქის მიდამოებში განლაგებულ ჩაის პლანტაციებიდან მოღებული მწვანე ფოთლის გადამუშავებას აწარმოებენ. ქობულეთის აღმოსავლეთ გარეუბანში მოქმედებს ტორფის ქარხანა. აქ საკმაოდ პრიმიტიული წესით ხდება ტორფის მოპოვება და შრობა. მისი გამოყენება სწარმოებს სასუქად აპარის ზღვისპირა ზოლის სოფლის მეურნეობაში. ქალაქის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატს მოწყობილი აქვს წვრილი სარეწავები, სადაც ამზადებენ ფართო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხმარების საგნებს, აგრეთვე გადაამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

უკანასკნელ დრომდე ქალაქის მოსახლეობა და წარმოება-დაწესებულებების მეტი ნაწილი ხმარობდა ჭის წყალს, რადგან არსებული წყალსადენი ვერ აკმაყოფილებდა. 1962 წელს მთავრდება ახალი წყალსადენის მშენებლობა, რომელიც იკვებება მდ. კინტრიშის ფილტრატებით. იგი სეკუნდში ქალაქს მიაწვდის 76 ლიტრ წყალს და, ამრიგად, უზრუნველყოფს მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებების ნორმალურ მომარაგებას სასმელი და სამეურნეო წყლით. დაწყებულია ქალაქში კანალიზაციის მშენებლობა. მიმდებარე ტერიტორიაზე ჭაობების ამოშრობის მიზნით გაყვანილია სპეციალური არხები, რის შედეგადაც ქობულეთის მიდამოების ჰავა მნიშვნელოვნად გაჯანსაღდა.

1960 წელს ქალაქში იყო 50-მდე ქუჩა და შესახვევი. მათი საერთო ფართობი აღემატებოდა 63 ჰექტარს, რომლის ნახევარზე მეტი მოასფალტებული იყო, დანარჩენი კი მოკირწყლული ან მოხრეშილი.

უკანასკნელ ხანებში ქობულეთში განხორციელდა მნიშვნელოვანი კეთილმოწყობითი სამუშაოები. ქალაქის ცენტრში მოეწყო ვრცელი მოედანი, რომელსაც ამშვენებს მრავალსართულიანი ადმინისტრაციული შენობა და საცხოვრებელი სახლები; აქვე მდებარეობს მოზრდილი სკვერი. ყოველწლიურად იზრდება მწვანე ნარგავების ფართობი, ლამაზდება საკურორტო ზონის პარკები, ეწყობა გაზონები და ყვავილნარები, უმჯობესდება ფიქვნარის კეთილმოწყობა.

იმის გამო, რომ სისტემატურად იმატებს დამსვენებელთა ნაკადი, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ქალაქის მთავარი ფუნქცია — საკურორტო დანიშნულება. ასევე იზრდება ქობულეთის როლი, როგორც რაიონის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრისა.

В. Ш. ДЖАОШВИЛИ

ГОРОДА АДЖАРИИ

Резюме

Как экономические факторы, так и природные условия весьма благоприятны для развития городской жизни в приморской зоне Аджарии. Здесь расположен один из древнейших городов Грузии Батуми, сильно развившийся в капиталистическую эпоху и ставший в совесткое время столицей автономной республики. На территории Аджарии в годы социалистического строительства возникли город Кобулети и поселки городского типа — Чакви, Махинджаури и Очхамури.

Для возникновения и развития городских поселений в приморской зоне Аджарии большое значение имело создание мощной современной промышленности, развитие транспорта, интенсификация сельского хозяйства и курортное строительство. Значительным фактором, способствующим развитию г. Батуми явилось превращение его в столицу Аджарской Автономной Советской Социалистической Республики, благодаря чему важное значение приобрели политико-административная и культурно-просветительная функции города.

Указанные выше предпосылки развития городов Аджарии определили формирование и их современных функций. В частности, Батуми превратился в довольно крупный, многофункциональный город с развитой промышленностью, транспортом и широкой сетью административно-культурных учреждений. Для Кобулети и Махинджаури ведущей является курортная функция — обеспечение лечения и отдыха трудящихся; в то-же время Кобулети центр административного района. Что-же касается поселков городского типа Чакви и Очхамури, на их территории развиты весьма интенсивные отрасли сельского хозяйства и пищевая промышленность. Эти два поселка принадлежат к тем типам городских поселений, которые образовались за последние 10 — 15 лет в западной части Грузии главным образом на базе созданных чайных и субтропических совхозов и предприятий первичной переработки сельскохозяйственного сырья. В отличии от обычных типов городских поселений, экономическая функция Чакви и Очхамури определяется в результате своеобразного сочетания сельского хозяйства и опирающейся на нем промышленности. По существу они представляют собою переходный тип между сельскими и городскими поселениями, но преобладание среди жителей этих поселков рабочих и служащих послужило основанием для их преобразования в поселки городского типа.

По уровню развития городов Аджария опережает другие автономные единицы Грузинской ССР. В городах Аджарии в 1959 году проживало 110,8 тыс. чел., или 45,2% населения автономной республики. Аналогичный показатель в Абхазской АССР составлял 37%, а в Юго-Осетинской АО—25%. В среднем в городах проживает 42,4% всего населения Грузии. Одним из показателей развития городов Аджарии является тот факт, что столица автономной республики Батуми по числу жителей и экономическому значению является третьим городом Грузии. В приморской части Аджарии в городах проживает 61,7% всего населения этой зоны.

Одна из особенностей географического положения городов Аджарии заключается в том, что они сконцентрированы на небольшой территории вдоль восточного берега Черного моря, тогда как во внутренней Аджарии нет ни одного города. Вся прибережная полоса между Батуми и Кобулети с расстоянием между ними по прямой около 20 км, представляет из себя сплошную курортную зону. Здесь расположены два поселка городского типа и курорты Зеленый мыс и Цихисдзири. На большей части побережья Аджарии городские поселения с жилыми кварталами и промышленными предприятиями перемежаются с курортными поселками, прибережными парками исключительной красоты, а также с плантациями чая, цитрусов и бамбука, которые разбросаны между застроенными площадями. Все это придает побережью Аджарии некоторые черты городской агломерации, охватывающей территории обоих городов, всех поселков городского типа и курортных поселений. Правда агломерация здесь еще слабо представлена и имеет своеобразный характер, однако в процессе дальнейшего промышленного развития городов автономной республики, она получит более четкое выражение.

Помимо общей характеристики городов Аджарии, в труде дается краткий экономико-географический обзор Батуми и Кобулети.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. იტალელი მოგზაურები საქართველოში, „მთამბე“, 1894, № 11, გვ. 45—49;
2. ი. სიხარულიძე, ბათუმის წარსულიდან, შ. რუსთაველის სახ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 5, ბათუმი, 1956, გვ. 83;
3. ს. ყაუჩიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 10, ქუთაისი, 1950—1951, გვ. 17—23.
4. ჯ. ჩხეიძე, ბათუმის ისტორიული ნარკვევი, ბათუმი, 1959;
5. Батум и его окрестности, Батум, 1906.
6. О. А. Константинов, О классификации городов в экономической географии, Вопросы географии, сборник 41, 1957, стр. 65—92.
7. О. А. Константинов, Темпы роста городов СССР и капиталистических стран, Известия Всесоюзного Географического общества, № 6, 1949, стр. 577—583.
8. В. В. Покшишевский, Методика экономико-географических исследований, Советская география, Москва, 1960, стр. 559—571.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი — СОДЕРЖАНИЕ

1. გ. გველესიანი, ვ. ნეიძე, აჭარის ასსრ ზოგადი ეკონომიურ გეოგრაფიული დახასიათება 3
Г. Гвелесиани, В. Неидзе. Общая экономико-географическая характеристика Аджарской АССР 21
2. ე. კობახიძე, აჭარის ასსრ ბუნებრივი პირობები და რესურსები 25
Е. Кобахидзе, Природные условия и ресурсы Аджарской АССР . . 37
3. კ. ანთაძე, აჭარის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი 41
К. Д. Антадзе, Историко-географический очерк Аджарии 60
4. ვ. ჭაოშვილი, აჭარის მოსახლეობა 63
В. Ш. Джаошвили, Население Аджарской АССР 83
5. ვ. კაკაბაძე, აჭარის ასსრ მრეწველობის განვითარება და განლაგება . . . 87
В. С. Какабадзе, Развитие и размещение промышленности Аджарской АССР 110
6. ნ. დეევიძე, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის განვითარება და დადგენილება . 113
Г. Н. Девидзе, Развитие и размещение сельского хозяйства Аджарской Автономной Советской Социалистической республики 139
7. ე. კობახიძე, აჭარის ასსრ საკურორტო მეურნეობა 145
Э. Д. Кобахидзе, Курортное хозяйство Аджарской АССР . . . 151
8. თ. ღვინიანიძე, ნ. დორეული, აჭარის ტრანსპორტი და რაიონთაშორისი ეკონომიური კავშირი 155
Т. Гвинианидзе, Н. Дорёули, Транспорт и междурайонные связи Аджарской ССР 167
9. ვ. ჭაოშვილი, აჭარის ქალაქები 171
В. Ш. Джаошвили, Города Аджарии 183

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი აკ. იაკობაშვილი
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ც. კახაბრიშვილი

გადაეცა წარმოებას 23. 4. 1962; ანაწყობის ზომა 7×12 ხელმოწერილია
დასაბეჭდად 21. 9. 1962; ქაღალდის ზომა 70×108 1/16
ქაღალდის ფურცელი 5.9; საბეჭდი ფურცელი 16.2; საავტორო
ფურცელი 13.8; საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 13.98;
უე 02963; შეკვეთა 655; ტირაჟი 600.
ფასი 1 მან. 18 კაპ.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი.
Типография № 4, Тбилиси, Медгородок.

2.329/750